თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი,
ლ. ტატუნაშვილი

მაკროეკონომიკა

სასწავლო პრაქტიკული სახელმძღვანელო

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2010

UDC(უაკ) 330. 101. 54
მ–196

წარმოდგენილი სასწავლო პრაქტიკული სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ეკონომიკური საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ავტორთა კოლექტივი სიამოვნებით მიიღებს ყველა შენიშვნას, რომელიც სახელმძღვანელოს სრულყოფისათვის იქნება განკუთვნილი.

მეცნიერ-რედაქტორი: **ლამარა ბერიძე** – სრული პროფესორი

რეცენზენტი: **რამინ მითაიშვილი** – სრული პროფესორი

განხილულია
თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის თეორიული საფუძვლების პროგრამული მიმართულების სხდომაზე (ოქმი №14, 2008 წ.)

© ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუხირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, 2010

გამომცემლობა „უნივერსალი", 2010
თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-298-9

შინაარსი

თემა I. მაკროეკონომიკის არსი, საგანი. მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და ინსტრუმენტები 9

1. მაკროეკონომიკური თეორიის არსი და ჩამოყალიბების ისტორია 9
2. მაკროეკონომიკის კვლევის საგანი 15
3. მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსი და ძირითადი მიზნები 18
4. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები 20
5. მაკროეკონომიკური პოლიტიკა პრაქტიკაში 23

საკონტროლო კითხვები 25

ტესტები 25

სავარჯიშოები 26

თემა II. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა 28

1. მთლიანი შიდა პროდუქტი 28
2. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯებისა და შემოსავლების მიხედვით 31
3. ეროვნულ ანგარიშთა სხვა მაჩვენებლები 37
4. ნომინალური და რეალური მშპ 40
5. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი 44

საკონტროლო კითხვები 45

ტესტები 46

სავარჯიშოები 47

თემა III. ეკონომიკური ზრდა 49

1. ეკონომიკური ზრდის არსი 49
2. ეკონომიკური ზრდის ფაქტორები 53
3. ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფო პოლიტიკა 58
4. ეკონომიკური ზრდის საწინააღმდეგო და მხარდამჭერი არგუმენტები 66

საკონტროლო კითხვები 69
ტესტები 69
სავარჯიშოები 71

თემა IV. ეკონომიკური ციკლები 73
1. მაკროეკონომიკური არასტაბილურობის არსი 73
2. ეკონომიკური რყევები 74
3. ეკონომიკური ციკლის ფაზები და ძირითადი ნიშნები 77
4. ეკონომიკური ციკლის ზეგავლენა ხანგრძლივი და მოკლევადიანი გამოყენების საქონელთა წარმოებაზე 80
5. ეკონომიკური ციკლის გარეგან და შინაგან ფაქტორთა შეფასება 82
საკონტროლო კითხვები 86
ტესტები 87
სავარჯიშოები 88

თემა V. უმუშევრობა 90
1. უმუშევრობის არსი და მიზეზები 90
2. უმუშევრობის სახეები 99
3. უმუშევრობის დონე 103
4. უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ოუკენის კანონი 107
5. დასაქმების კლასიკური და ქეინსური თეორიები. სეის კანონი 111
საკონტროლო კითხვები 116
ტესტები 117
სავარჯიშოები 118

თემა VI. ინფლაცია 120
1. ინფლაციის არსი და მიზეზები 120
2. სამომხმარებლო ფასების ინდექსი 122
3. ეკონომიკური ცვლადების კორექცია ინფლაციის ეფექტების გათვალისწინებით 127
4. ინფლაციის გადასახადი. ფიშერის ეფექტი 132
5. ინფლაციის ტიპები და სახეები 136
6. ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები 141
7. ანტიინფლაციური ეკონომიკური პოლიტიკა 144
საკონტროლო კითხვები 145
ტესტები 146
სავარჯიშოები 147

თემა VII. ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება 150
1. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი 151
2. ერთობლივი მოთხოვნა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები 152
3. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილების ფაქტორები 157
4. ერთობლივი მიწოდების მრუდი 161
5. გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილების ფაქტორები 163
6. ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში 166
7. მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილების ფაქტორები 173
8. ეკონომიკური რყევების მიზეზები 175
საკონტროლო კითხვები 182
ტესტები 183
სავარჯიშოები 184

თემა VIII. უმუშევრობასა და ინფლაციას შორის ურთიერთკავშირი 187
1. ფილიპსის მრუდი 187
2. ერთობლივი მოთხოვნა, ერთობლივი მიწოდება და ფილიპსის მრუდი 191
3. ფილიპსის მრუდი გრძელვადიან პერიოდში 193
4. ფილიპსის მრუდის გადაადგილების მიზეზები 197
5. ინფლაციის შემცირების პოლიტიკის დანახარჯები 204
საკონტროლო კითხვები 207
ტესტები 208
სავარჯიშოები 209

თემა IX. ფულადი სისტემა 210
1. ფულის როლი, მისი მნიშვნელობა და ფუნქციები 210
2. ფულის მიწოდება, ფულადი აგრეგატები 211
3. ფულის მიწოდების საფუძველი და კონტროლი 214
4. ფულზე მოთხოვნა 216
5. ფულის ბაზარი 222
საკონტროლო კითხვები 225
ტესტები 225
სავარჯიშოები 227

თემა X. ბანკები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა 229
1. კრედიტის არსი და საბანკო სისტემის სტრუქტურა 229
2. ცენტრალური ბანკი 231
3. კომერციული ბანკები და მათი როლი ფულის მიწოდებაში 234
4. ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკა 239
5. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობა 243
საკონტროლო კითხვები 246
ტესტები 247
სავარჯიშოები 249

თემა XI. მოხმარება და დანაზოგები 252
1. მოხმარებისა და დანაზოგების არსი 252
2. დაზოგვისა და მოხმარებისადმი საშუალო და ზღვრული მიდრეკილება 261
3. მოხმარებისა და დაზოგვის ფაქტორები 262
4. მოხმარება საერთო ეროვნულ დონეზე 269
საკონტროლო კითხვები 270
ტესტები 270
სავარჯიშოები 271

თემა XII. ინვესტიციები 273
1. ინვესტიციების არსი და ფაქტორები 273
2. ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი 278
3. ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილება 281
4. დანაზოგები და ინვესტიციები 283
საკონტროლო კითხვები 294
ტესტები 295
სავარჯიშოები 295

თემა XIII. ფისკალური პოლიტიკა 297
1. ფისკალური პოლიტიკის არსი და სახეები 297
2. ფისკალური პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა 303
3. მიწოდებაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა 306
4. ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორი 310
საკონტროლო კითხვები 313
ტესტები 314
სავარჯიშოები 315

თემა XIV. ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალი 317
1. ბიუჯეტის არსი. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გასავლები 317
2. ბიუჯეტისადმი რამდენიმე კონცეპტუალური მიდგომა 320
3. ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალი 322
4. სახელმწიფო ვალის ზრდის მიზეზები 324
5. სახელმწიფო ვალი: მომხრეები და მოწინააღმდეგეები 326
6. სახელმწიფო ვალის ეკონომიკური შედეგები 327

საკონტროლო კითხვები 329

ტესტები 330

სავარჯიშოები 332

თემა XV დია ეკონომიკის მაკროეკონომიკური ანალიზი 333
1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მათი ძირითადი ფორმები 333
2. საერთაშორისო სავალუტო სისტემა 344
3. საერთაშორისო გარიგებების ფასები: რეალური და ნომინალური სავალუტო კურსები 348
4. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი 351
5. სასესხო კაპიტალისა და უცხოური ვალუტის ბაზრები 354

საკონტროლო კითხვები 361

ტესტები 362

სავარჯიშოები 364

ლიტერატურა 367

თემა I. მაკროეკონომიკის არსი, საგანი. მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და ინსტრუმენტები

ეკონომიკური თეორიის შესწავლის საწყისი ეტაპიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ არსებობს ეკონომიკური ანალიზის ორი სრულიად სხვადასხვა დონე. მიკროეკონომიკური ანალიზისაგან განსხვავებით, რომელსაც საქმე აქვს კონკრეტულ ეკონომიკურ ერთეულებთან, მაკროეკონომიკური ანალიზის დონე შეეხება ან ეკონომიკას როგორც მთელს, ან მის ისეთ ძირითად ქვედანაყოფს ან აგრეგირებულ მაჩვენებლებს (აგრეგატებს), როგორიცაა მაგალითად სამთავრობო ანდა კერძო სექტორი. აგრეგატების შესწავლით **მაკროეკონომიკა** ცდილობს წარმოადგინოს ეკონომიკის სტრუქტურისა და მთლიანად ეკონომიკის შემადგენელ მსხვილ აგრეგატებს შორის კავშირების საერთო სურათი. აქ ყურადღება არ ექცევა კონკრეტულ ერთეულებს, რომლებიც სხვადასხვა აგრეგატებს ქმნიან. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ სხვადასხვა ეკონომიკურ პრობლემათა მაკროეკონომიკური კვლევა მოიცავს ისეთ სიდიდეთა ანალიზს, როგორიცაა პროდუქციის საერთო მოცულობა, დასაქმების საერთო დონე, შემოსავლის საერთო მოცულობა, ხარჯების საერთო მოცულობა, ფასების საერთო დონე და ა.შ. მოკლედ, **მაკროეკონომიკა ახდენს ეკონომიკის ზოგად დახასიათებას.**

1. მაკროეკონომიკური თეორიის არსი და ჩამოყალიბების ისტორია

მაკროეკონომიკური თეორიის პრობლემათა შესწავლა XX საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების პრიორიტეტი გახდა. მან შესაძლებელი გახადა დაედგინათ, როგორ ებრძოლათ პერიოდულად წარმოშობილი ეკონომიკური კრიზისების წინააღმდეგ და როგორ უზრუნველეყოთ ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდა.

თანამედროვე მაკროეკონომიკა, როგორც ერთგვარი დამოუკიდებელი დისციპლინა ეკონომიქსის ფარგლებში, საბოლოოდ XX საუკუნის 30-ან წლებში ჩამოყალიბდა, როცა ეკონომიკური სტატისტიკის დარგში მომუშავე სპეციალისტებმა დაიწყეს აგრეგირებული ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემატიური გამოქვეყნება სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების აღსაწერად. ამასთანავე, შევნიშნავთ, რომ ზოგადეკონომიკური ტენდენციების კვლევა ეკონომისტების ყურადღების ობიექტი იყო საუკუნეთა მანძილზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯერ კიდევ 1752 წელს დევიდ იუმის მიერ ლონდონში გამოქვეყნებული კლასიკური ნაშრომი „სავაჭრო ბალანსის შესახებ“, რომელშიც ავტორმა გააანალიზა ურთიერთდამოკიდებულება ისეთ მაკროეკონომიკურ კატეგორიებს შორის, როგორიცაა: ქვეყნის სავაჭრო ბალანსი, ფასების დონე და მიმოქცევაში არსებული ფულის მასა. საერთო აღიარებით, იუმის ამ ნაშრომმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა აგრეგირებულ ეკონომიკურ სიდიდეთა კვლევის საქმეში, რის გამოც იგი სპეციალისტების მიერ შეფასებულია როგორც „დიდებული გარღვევა“ მაკროეკონომიკური აზრის ისტორიაში. გარდა ამისა, მან საფუძველი მოუმზადა ფულის რაოდენობრივი თეორიის შექმნას, რომელიც დღესაც რჩება ფულადი სისტემის ანალიზის ფუნდამენტად. და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაკროეკონომიკამ, როგორც დამოუკიდებელმა დისციპლინამ, გამოკვეთილი კონტურები მხოლოდ XX საუკუნეში შეიძინა. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია შემდეგმა სამმა გარემოებამ:

1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XX საუკუნის 30-ან წლებში დაიწყო აგრეგირებულ ეკონომიკურ მონაცემთა თავმოყრა, ანალიზი და კვლევის შედეგების პუბლიკაცია, რამაც მაკროეკონომიკის თეორიას მეცნიერული ბაზისი შეუქმნა. ამ პროცესების განვითარებას ბიძგი მისცა პირველმა მსოფლიო ომმა, რომლის დროსაც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად ესაჭიროებოდათ რეალური და ხარისხიანი სტატისტიკური ინფორმა-

ცია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

2. თანამედროვე მაკროეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო იმ ფაქტის დასაბუთება, რომ ე.წ. ბიზნეს-ციკლი განმეორებადი ეკონომიკური ფენომენია და გრძელვადიან პერიოდში ერთ გარკვეულ ტენდენციას ემორჩილება. ბიზნეს-ციკლი წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ოთხი ფაზის ერთობლიობას; ესენია: 1. **ექსპანსია,** ანუ გამოცოცხლება; 2. **პიკი**; 3. **რეცესია,** ანუ დაქვეითება და 4. **დეპრესია.**

3. თანამედროვე მაკროეკონომიკის ფორმირებისათვის ყველაზე დიდი სტიმული, ალბათ მაინც, 30-ანი წლების „დიდი დეპრესია" იყო. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი **ჯონ მეინარდ ქეინსი** იყო პირველი, ვინც ამ ფენომენის რაციონალური ახსნა მოგვცა. თავის ნაშრომში „დასაქმების, საპროცენტო განაკვეთისა და ფულის ზოგადი თეორია", რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა, ქეინსმა შეიმუშავა კრიზისის დაძლევის სპეციალური პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც მან მთავარი როლი მთავრობას დააკისრა; მისი აზრით, სწორედ მთავრობა იყო ვალდებული, ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით შებრძოლებოდა ეკონომიკურ კრიზისს, რადგან ბაზრის მექანიზმები უძლური იყო თვითონ დაერეგულირებინა ეს კრიზისი. ქეინსის ნაშრომი იმდენად რევოლუციური და დაპირისპირებული აღმოჩნდა იმ პერიოდში ჯერ კიდევ გაბატონებული კლასიკური ეკონომიკური თეორიისადმი, რომ დასაბამი დაუდო ახალ მიმდინარეობას, რომელიც დღეს „ქეინსიანიზმის" სახელითაა ცნობილი.

ქეინსიანური მაკროეკონომიკური თეორია კვლევის საგნისა და მეთოდის მიხედვით განსხვავდება ნეოკლასიკური თეორიისაგან. ქეინსიანური მაკროეკონომიკური თეორია მოთხოვნაზე ორიენტირებული ეკონომიკის თეორიაა. ქეინსის მტკიცებით, ეკონომიკის ზრდის პრობლემების გასაღები რესურსების მიწოდებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მოთხოვნაში, რომელიც უზრუნველყოფს ამ რესურსების რეალიზაციას. ამისგან განსხვავებით, ნეოკლასიკოსების კონცეფცია დაფუძნებულია **მი-**

წოდებაზე ორიენტირებული ეკონომიკის თეორიაზე. რესურსების მიწოდება (წარმოების პირობები) მიჩნეულია ზრდის განმსაზღვრელ პირობად. ნეოკლასიკოსები ზრდის ამაღლების წყაროში პირველხარისხოვან როლს ანიჭებენ მიკროეკონომიკურ სიდიდეებს (მოგების გაზრდა, ხელფასის გაყინვა და სხვა). ნეოკლასიკოსები ინფლაციის ძირითად მიზეზად მიიჩნევენ ხელფასის ზრდას და ამიტომ უარყოფითად აფასებენ მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნილების გადიდებას.

ქეინსმა უარყო კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლის ჟ. ბ. სეის დებულება იმის შესახებ, თითქოს მიწოდება ავტომატურად წარმოშობს მოთხოვნას. ამ უარყოფით ქეინსმა აღიარა საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების შეუძლებლობა. ქეინსის მტკიცებით, ეკონომიკის ციკლური განვითარება ბუნებრივი მოვლენაა, რომ **ეკონომიკური კრიზისი** გამოწვეულია არა საქონლის უკმარისობით, არამედ ბაზრის სიმცირით, არა მიწოდების უკმარისობით, არამედ არასაკმარისი მოთხოვნით.

ქეინსმა მაკროეკონომიკური თეორიის ცენტრალურ პრობლემად დააყენა მოთხოვნის სიდიდისა და მისი ნამატის განმსაზღვრელ ფაქტორთა შესწავლა. „ეფექტიანი მოთხოვნის" კონცეფცია ქეინსმა გამოიყენა **უმუშევრობის მიზეზის** ასახსნელად. კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში სამუშაო ძალაზეც ვრცელდება ფასის მეშვეობით მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა. მისგან განსხვავებით, მაკროეკონომიკურ თეორიაში უმუშევრობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მეტისმეტად მაღალ ხელფასზე, არამედ არასაკმარის მოთხოვნაზეც. ამ თეორიაში ხელფასის შემცირება არაა მიჩნეული უმუშევრობის წამლად. ამრიგად, მაკროეკონომიკურ თეორიაში აღიარებულია იძულებითი უმუშევრობა და უარყოფილია **სრული დასაქმების** ავტომატური მიღწევა.

ქეინსმა მოხმარების ზრდა დაუკავშირა შემოსავლის მატებას, მაგრამ უარყო მათ შორის პირდაპირი ფუნქციური დამოკიდებულების არსებობა. მისი მტკიცებით, მოხმარება იზრდება შემოსავლის გადიდების კვალობაზე, მაგრამ ერთდროულად მცირდება მისი წილი შემოსავალი.

შეიძლება ითქვას, რომ ქეინსმა მნიშვნელოვანი გადატრიალება მოახდინა იმ პერიოდისათვის გაბატონებულ ეკონომიკურ თეორიაში. ე.წ. „დიდი დეპრესიის" საპასუხოდ ჯონ მეინარდ ქეინსმა შეიმუშავა თავისი რევოლუციური თეორია, შემოგვთავაზა ის გზები და საშუალებები, რომელთა დახმარებითაც სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა კონტროლი გაუწიოს ეკონომიკური ციკლის უარყოფით შედეგებს. ამავე დროს, მან წარმოადგინა ხანგრძლივვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველმყოფი მექანიზმის დეტალური აღწერილობა.

მაკროეკონომიკის, როგორც მეცნიერების, **დამფუძნებლად** ითვლება ჯ. მ. ქეინსი, რომელიც პირველი შეეცადა დიდი დეპრესიის წარმომშობი მიზეზების არსის დეტალურ გარკვევას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მისი შეხედულებების დამკვიდრებისა და ახალი დეპრესიის მოლოდინის გამო აშშ კონგრესმა ოფიციალურად აღიარა ფედერალური მთავრობის პასუხისმგებლობა ქვეყნის ეკონომიკის წინაშე. 1946 წელს აშშ კონგრესმა მიიღო კანონი დასაქმების შესახებ, რითაც თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა მაქსიმალური დასაქმების, წარმოებისა და მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის განუხრელი ზრდის უზრუნველყოფისა და ფასების სტაბილერობის შესახებ. მას შემდეგ როგორც აშშ-ში, ასევე საბაზრო ეკონომიკის სხვა ქვეყნებშიც აღნიშნული მიზნები განსაზღვრავენ მაკროეკონომიკის სამ ცენტრალურ საკითხს:

1. რატომ ეცემა პერიოდულად წარმოების მოცულობა და დასაქმების დონე და როგორ შეიძლება უმუშევრობის დონის შემცირება? საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყნის ეკონომიკას განვითარების ციკლური ხასიათი გააჩნია. დროდადრო ქვეყნები განიცდიან მაღალი უმუშევრობის ხანგრძლივ (ზოგჯერ 10 წლამდეც კი) პერიოდებს. ამგვარი ვითარება აღინიშნა აშშ-ში „დიდი დეპრესიის" დროს, რომელიც 1929 წელს დაიწყო. მომდევნო წლებში უმუშევრობამ მოიცვა ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის მეოთხედი, ხოლო სამრეწველო წარმოება თითქმის განახევრდა. 1990-ან წლებში ევროპის ქვეყნებში შეინიშნებოდა საკმაოდ ძლიერი დეპრესია (უმუშევრობის დონე ევროპის მრავალ ქვეყანაში მუდმივად აღემატებოდა 10%-ს). საქმიანი აქ-

ტივობის დაცემის უკანასკნელი შემთხვევა აღინიშნა აშშ-ში 2001 წელს, როდესაც საქონლისა და მომსახურების წარმოება მკვეთრად შემცირდა და მილიონობით ადამიანმა დაკარგა სამუშაო.

პრაქტიკულად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის გამოყენება საქმიანი აქტივობის დაქვეითებისა და უმუშევრობის შედეგების შესარბილებლად.

მაკროეკონომიკა აანალიზებს ამ მუდმივი და მეტად მტკივნეული პრობლემის მიზეზებს. ეკონომისტებს შეუძლიათ წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტების წარმოდგენა. მაგალითად, მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკის რეალიზაციის ანდა, შრომის ბაზრის ინსტიტუტების რეფორმირების გზითა და ხელფასის მოქნილობის ამაღლებით.

2. რომელია ინფლაციის წყაროები და რა მექანიზმების დახმარებით არის შესაძლებელი მისი კონტროლი? ეკონომისტებმა დაასკვნეს, რომ ინფლაციის მაღალ ტემპებს კოროზიის მსგავსი ზემოქმედება აქვს საბაზრო ეკონომიკაზე. საბაზრო ეკონომიკა ფასებს იყენებს საწარმოო საქმიანობის მართვის საშუალებად. ამიტომ, ფასების მკვეთრი ცვლილება ეკონომიკურად მეტად არაეფექტიანია.

შედეგად, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილიზაცია. თუკი აშშ-ში ინფლაციის საშუალო წლიური ტემპი 1970-ან წლებში 10%-ს შეადგენდა, 2000 წლიდან იგი 3%-მდე შემცირდა. თუმცაღა, ყველა ქვეყანას არ ძალუძს ინფლაციის დაძლევა. მაგალითად, რუსეთში, აგრეთვე ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში ფასების ყოველწლიური ზრდა 1000%-მდე აღწევდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. როგორ შეძლო ამერიკამ ამ პრობლემის დაძლევა და რატომ განიცადა ფიასკო რუსეთმა? მაკროეკონომიკა შესაძლებლობას იძლევა სწორად განისაზღვროს ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის, აგრეთვე, საეალუტო კურსისა და ცენტრალური ბანკის როლი ინფლაციის შეკავებაში.

3. როგორ შეუძლია ქვეყანას ეკონომიკური ზრდის ტემპების გადიდება? პირველ რიგში მაკროეკონომიკა ორიენტირებულია ქვეყნის განვითარების ხანგრძლივვადიან პერსპექტივაზე. საწარმოო პოტენციალის გადიდება ათწლეულების მანძილზე ის ძირითადი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს რეალური ხელფასისა და ცხოვრების დონის ზრდას. ბოლო ათწლეულებში აზიის ქვეყნების, მაგ., იაპონიის, სამხრეთ კორეის, ტაივანის ეკონომიკური განვითარების სწრაფმა ტემპმა განაპირობა მათი მოსახლეობის ცხოვრების დონის შთამბეჭდავი ზრდა. ამავე დროს, ცალკეული აფრიკული ქვეყანა, კერძოდ, საჰარის უდაბნოს მეზობლად მდებარე, ბოლო ათწლეულებში განიცდის წარმოების მოცულობის მკვეთრ ვარდნას ერთ სულ მოსახლეზე და შესაბამისად, ცხოვრების დონის დაცემას.

ცხადია, ადამიანებს აინტერესებთ წარმოების ზრდის რეცეპტები. მათ სურთ გაიგონ კაპიტალდაბანდებათა და დაგროვების მაღალი დონე რატომ ახდენს ასეთ ძლერ ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდაზე; როგორია ბიუჯეტის დეფიციტის როლი ცხოვრების დონის ამაღლებაში; რამდენად მნიშვნელოვანია ინვესტიციები, გამოკვლევები, გამოგონებები და ადამიანური კაპიტალი.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა ყოველთვის ესწრაფვის ამ სამი, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიზნის მიღწევას. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის ამაღლებამ ხანგრძლივვადიან პერიოდში შეიძლება მოითხოვოს დიდი ინვესტიციების განხორციელება. ინვესტიციების გაზრდა, თავის მხრივ, შესაძლებელია მხოლოდ კვების პროდუქტებზე, ტანსაცმელსა თუ გართობის საშუალებებზე დანახარჯების შემცირების საფუძველზე.

მაკროეკონომიკის ყველა პრობლემათა შორის ყველაზე რთულია კომპრომისის მიღწევა უმუშევრობასა და ინფლაციას შორის. მათი მაღალი დონე იწვევს უამრავ პრობლემასა და პოლიტიკურ მღელვარებას საზოგადოებაში. თუმცაღა, წარმოების მოცულობის სწრაფი ზრდისა და უმუშევრობის შემცირებისას ადგილი აქვს ხელფასებისა და ფასების ზრდას. ამიტომ, პოლიტიკოსები იძულებულნი არიან შეინარჩუნონ ეკონომიკის განვითარების უკიდურესად მაღალი ტემპები მაკროეკონომიკური პო-

ლიტიკის ბერკეტების საშუალებით, ანდა, პრობლემა გადაჭრან უმუშევრობის დაბალი დონის შენარჩუნებით, რათა თავიდან აიცილონ ინფლაციის მკვეთრი ზრდა.

სამწუხაროდ, ამ კომპრომისების გადაჭრის მარტივი ფორმულა არ არსებობს და მაკროეკონომიკის სფეროს სპეციალისტები სხვადასხვაგვარად უდგებიან აღნიშნული პრობლემების გადაჭრას. თუმცაღა, მაკროეკონომიკის საფუძვლების შესწავლა თქვენ დაგეხმარებათ ამ პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური საშუალებების შერჩევაში.

2. მაკროეკონომიკის კვლევის საგანი

რამ გამოიწვია 1930-ანი წლების დეპრესია, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა? რატომ ვერ შოულობენ სამუშაოს დეპრესიის დროს მილიონობით ადამიანები და რატომ ცხოვრობენ ისინი შიმშილის ზღვარზე? რატომ მერყეობს ნავთობის მსოფლიო ფასები ან დოლარის კურსი? როგორ დაძლევთ უმუშევრობას, როგორ შეაჩერებთ ინფლაციას, როგორ აამოქმედებთ წარმოებას? როგორ უნდა მოიქცეთ ისე, რომ ხელი არ შეუშალოთ კერძო ბიზნესის განვითარებას? როგორ უნდა განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის ტემპი ამა თუ იმ ქვეყნისათვის? რა არის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და რატომ ხდება მისი წარმოქმნა? ამ კითხვებზე მზა რეცეპტის მოძებნა საკმაოდ რთულია, თუმცა აბსურდია იმის მტკიცება, რომ ამ პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია. მსოფლიოს გამოცდილება ცხადყოფს, რომ არსებობს ქვეყნები, რომელთაც წარმატებით დაძლიეს მსგავსი კრიზისული სიტუაციები.

ცხადია, ყველა ქვეყანა თავისი ეკონომიკური კრიზისებით უნიკალურია და ანალოგი არ მოეძებნება მსოფლიოში, მაგრამ საგანი, რომლის შესწავლასაც ახლა შევუდგებით, დაგეხმარებათ იმ უახლესი თეორიის შესწავლაში, რომლის ინსტრუმენტები მეტ-ნაკლები წარმატებით გამოიყენება ცივილიზებული მსოფლიოს მთავრობათა მიერ ამა თუ იმ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, ან მისი პროფილაქტიკისათვის (ანუ

დროული პროგნოზირებისა და თავიდან აცილებისათვის). ეს საგანი გახლავთ **მაკროეკონომიკა**.

ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სამეცნიერო დისციპლინისათვის, მაკროეკონომიკისთვისაც არსებობს განმარტების მრავალი ვარიანტი. მათ შორის ყველაზე ლაკონურად ჟღერს პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ჯეფრი საქსის ვარიანტი: **მაკროეკონომიკა არის მეცნიერება ეკონომიკაში აგრეგირებული ქცევის შესახებ.**

მაკროეკონომიკა სწავლობს ეკონომიკის ფუნქციონირებას მთლიანობაში. იგი აანალიზებს იმ ძალებს, რომლებიც ერთდროულად ზემოქმედებენ უამრავ ფირმაზე, მომხმარებელზე და დასაქმებულზე. ამით განსხვავდება იგი მიკროეკონომიკისაგან, რომელიც სწავლობს ფასებს, მოთხოვნასა და მიწოდებას ცალკეულ ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ ხშირად, ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების ცალკეული პერიოდისათვის მიგნებული ეკონომიკური კანონზომიერებანი შესაძლოა სამართლიანი არ აღმოჩნდეს სხვა ქვეყნის რეალობისთვის, ან თუნდაც იმავე ქვეყნის განვითარების სხვა ეპიზოდისათვის, ან მოითხოვდეს გარკვეულ მოდიფიკაციას. ეკონომიკური თეორიის დებულებებს შეუძლებელია მიეცეს მკაცრი მათემატიკური სიზუსტე (თუმცა მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენება ეკონომიქსის განუყოფელი თვისებაა), საყოველთაოდ სამართლიანი კანონების სახე. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მატემატიკური დებულებებისაგან განსხვავებით, ნებისმიერი ეკონომიკური კანონის უკან დგას ისეთი მრავალფეროვანი, გამოუცნობი და ძნელად პროგნოზირებადი ქცევის მქონე სუბიექტი, როგორიცაა ადამიანი. მიუხედავად ამისა, მაკროეკონომიკა ცდილობს ყველა ქვეყნისათვის საერთო ეკონომიკურ კანონზომიერებათა დადგენას და მათ სისტემატიზაციას იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებშიც ეს კანონზომიერებანი იქნებიან ძალაში.

ცნობილი ეკონომისტების, ს. ფიშერისა და რ. დორნბუშის აზრით, მაკროეკონომიკა არ წარმოადგენს დასრულებულ და უძრავ დისციპლინას. დღემდე გრძელდება კამათი ისეთი საკვანძო პრობლემის გარშემო, როგორიცაა უმუშევრობასთან, ინფლაცი-

ასთან, ან კიდევ ეკონომიკის ზრდის შეფერხებასთან ბრძოლაში სახელმწიფოს ჩარევის მიზანშეწონილობის საკითხი.

3. მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსი და ძირითადი მიზნები

პოლიტიკური, სოციალური და სამხედრო თვალსაზრისით ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობა დიდწილად დამოკიდებულია მის ეკონომიკურ წარმატებებზე. მაკროეკონომიკური თეორიის შესწავლისას ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის, მისი მიზნებისა და განხორციელების საშუალებების გაცნობა-დახასიათება.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა მთავრობის ქმედებებია, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკაზე მთლიანად. იმ პარამეტრებს, რომელსაც მთავრობა ცელის მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას (საგადასახადო განაკვეთები, სამთავრობო ხარჯები, სამთავრობო სუბსიდიები და სხვ.) პოლიტიკური ინსტრუმენტები ეწოდებათ.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის გარშემო მუდამ არსებობს კამათი. ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ მთავრობა ეკონომიკის ფუნქციონირებაში არ უნდა ჩაერიოს, ვინაიდან რაიმეს გაკეთების მცდელობას დღევანდელი პრობლემების თვალსაზრისით, როგორც ჩანს, მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლიანობა. სხვები ფიქრობენ, რომ მთავრობის აქტიურ პოლიტიკას უმუშევრობასა და ინფლაციასთან ბრძოლაში შეუძლია გააუმჯობესოს ეკონომიკის ფუნქციონირება.

ისეთი ქვეყნები, როგორიც არის სამხრეთ კორეა, მალაიზია, ტაივანი, სინგაპური და სხვ. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სწრაფად განვითარდნენ. საექსპორტო ბაზრების დაპყრობის გზით მოიპოვეს პოლიტიკური გავლენა და ცხოვრების მაღალი დონე. ხოლო, მეორეს მხრივ, არსებობენ ქვეყნები, რომლებიც განიცდიან სტაგნაციას, მაღალ ინფლაციას, მნიშვნელოვან სავაჭრო დეფიციტს და გააჩნიათ დიდი საგარეო ვალები.

როგორც ჩანს, ქვეყნის ცხოვრების დონე უშუალოდ არის დაკავშირებული მის მიერ გატარებულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე. მე-20 საუკუნის დასაწყისშიც კი ძალზე ცოტა რამ იცოდნენ იმის შესახებ, თუ როგორ დაემორჩილებინათ პერიოდული ეკონომიკური კრიზისები. მაგრამ ჯონ მეინარდ კეინსის რევოლუციურმა თეორიამ საშუალება მოგვცა გაგვეგო, თუ რა ძალები წარმოშობენ ეკონომიკურ კრიზისებს და როგორ შეიძლება მათთან ბრძოლა. ქეინსისა და მისი მიმდევრების წყალობით ჩვენ ვიცით, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით (ფულის მიწოდებაზე, გადასახადებზე თუ სამთავრობო ხარჯებზე ზემოქმედებით) ქვეყანას შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს ეკონომიკური ზრდა, წარმოშვას ძლიერი ინფლაცია ან ფასების ნელი ზრდა, სავაჭრო დეფიციტი ან აქტიური სავაჭრო სალდო.

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად წარმატებულად ფუნქციონირებს ეკონომიკა, მაკროეკონომიკის სფეროს მკვლევარები ნებისმიერ ქვეყანაში ანალიზს უკეთებენ ოთხ სფეროს: წარმოების მოცულობას, დასაქმებას, ფასების სტაბილურობასა და საერთაშორისო ვაჭრობას.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1) რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) მაღალი და მზარდი დონის მიღწევა, ანუ სასურველია უფრო მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქციის წარმოება, ანუ ცხოვრების დონის ამაღლება;

2) სრული დასაქმების მიღწევა, ანუ ყველა მსურველს უნდა ჰქონდეს მისი უნარისა და კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო.

3) ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა, რაც ნიშნავს მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღებას;

4) სტაბილური ან ოდნავ მზარდი ფასების უზრუნველყოფა, როდესაც ფასები და ხელფასები თავისუფლად ყალიბდება ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით;

5) აქტიური საერთაშორისო ვაჭრობის უზრუნველყოფა სტაბილური სავალუტო კურსისა და დაბალანსებული ექსპორტისა და იმპორტის პირობებში.

ეკონომისტები ზემოთდასახელებულ მიზნებს „მაგიურ ხუთკუთხედს“ უწოდებენ, რადგან უკიდურესად რთულია ამ ხუთი მიზნის ერთდროულად მიღწევა.

4. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები

წარმოიდგინეთ რომ ქვეყანაში უმუშევრობა იზრდება და მეპ მცირდება. ან, შესაძლოა ნავთობისა და ბენზინის ფასების სწრაფმა ზრდამ წარმოშვა ინფლაციური ნახტომი და იმპორტის ღირებულება გაციცებით სწრაფად გაიზარდა, ვიდრე ექსპორტისა. რა შეუძლია მოიმოქმედოს ქვეყნის მთავრობამ ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? რა საშუალებები გააჩნია ინფლაციის ან უმუშევრობის შესამცირებლად ან სავაჭრო ბალანსის გამოსასწორებლად?

მთავრობის განკარგულებაშია რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს მაკროეკონომიკურ აქტიურობაზე ზემოქმედებისათვის. **მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია** მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფი ის პარამეტრები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ზემოთდასახელებული მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევა. მათ შორის მთავარია: 1. ფისკალური პოლიტიკა; 2. მონეტარული პოლიტიკა; 3. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა; 4. შემოსავლების პოლიტიკა.

დასახელებული პოლიტიკების განხორციელების მექანიზმები და შედეგები დეტალურად იქნება განხილული მომდევნო თემებში, ახლა კი შევეცდებით მათ შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას.

ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების გამოყენებას ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. სახელმწიფო ხარჯები მოიცავს ხარჯებს ისეთ საქონელსა და მომსახურებაზე, როგორიც არის სამხედრო ტექნი-

კისა და საკანცელარიო ნივთების შესყიდვა, გზებისა და კაშხალების მშენებლობა, მოსამართლეებისა და სახელმწიფო მმართველობის სფეროებში დასაქმებულთა ხელფასების ანაზღაურება და სხვ. სახელმწიფო ხარჯები განსაზღვრავს საზოგადოებრივი და კერძო სექტორების თანაფარდობას, ანუ იმას, თუ მშპ-ის რა ნაწილი მოიხმარება ერთობლივად და რა ნაწილი ინდივიდუალურად. სახელმწიფო ხარჯები ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაში შესყიდვების საერთო დონეზე და ამრიგად ზემოქმედებს მშპ-ის მოცულობაზე.

ფისკალური პოლიტიკის მეორე ნაწილს წარმოადგენს **დაბეგვრა**. იგი ორი მიმართულებით ზემოქმედებს ეკონომიკაზე. დავიწყოთ იმით, რომ გადასახადები ამცირებენ მოსახლეობის შემოსავლებს. საგადასახადო განაკვეთების ცვლილებით შესაძლებელია ზემოქმედება იმაზე, თუ რამდენ ფულს დახარჯავენ ადამიანები საქონელსა და მომსახურებაზე. ეს კი, შესაბამისად ცვლის მოთხოვნას და საბოლოო ჯამში ცვლის ფაქტიური მშპ-ის მოცულობას.

ამასთანავე, გადასახადები ზემოქმედებენ საბაზრო ფასებზე, და აქედან გამომდინარე, სტიმულებსა და ეკონომიკურ ქცევაზე. მაგალითად, რაც უფრო მეტად იბეგრება ბიზნესში მოგება, მით უფრო მცირდება ინვესტირების სტიმულები.

მონეტარული პოლიტიკა წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის მეორე ინსტრუმენტს. მონეტარულ პოლიტიკას სახელმწიფო აწარმოებს ეროვნული ფულის, კრედიტისა და საბანკო სისტემის რეგულირების მეშვეობით. შესაძლოა თქვენთვის ცნობილია, რომ ეროვნული ბანკი არეგულირებს ფულის მიწოდებას, ანუ ქვეყანაში არსებული ფულის მასას. თანამედროვე ეტაპზე ხალხი იყენებს ნაღდ ფულს და მიმდინარე საბანკო ანგარიშებს ნაყიდი საქონლისა და მომსახურების საფასურის გადასახდელად. ეროვნულ ბანკს შეუძლია სხვადასხვა ოპერაციების მეშვეობით არეგულიროს ფულის რაოდენობა ეკონომიკაში.

როგორ შეუძლია ისეთ, თითქოსდა უმნიშვნელო რამეს, როგორიცაა ფულის მიწოდება, ასეთი დიდი გავლენა იქონიოს მაკროეკონომიკურ აქტიურობაზე? ფულის მიწოდების ცვლილე-

ბით ეროვნულ ბანკს შეუძლია ზემოქმედება იქონიოს მრავალ საფინანსო და ეკონომიკურ მაჩვენებელზე, როგორიც არის პროცენტის განაკვეთი, აქციების კურსი და სავალუტო კურსი. ფულის მიწოდების შემცირება ზრდის პროცენტის განაკვეთს და ამცირებს ინვესტიციებს, რაც თავის მხრივ იწვევს მშპ-ის შემცირებასა და ინფლაციის შესუსტებას. თუ ეკონომიკური აქტიურობა ქვეითდება, ეროვნულ ბანკს შეუძლია გაზარდოს ფულის მიწოდება და შეამციროს პროცენტის განაკვეთი, რაც გამოიწვევს ეკონომიკური აქტიურობის სტიმულირებას.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. რაც უფრო იზრდება საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები, მით უფრო დიდ ყურადღებას საჭიროებს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. იგი არეგულირებს ტარიფებს, ქვოტებსა და სხვა პარამეტრებს, რომელნიც ზღუდავენ ან წაახალისებენ ექსპორტსა და იმპორტს. საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა შეიძლება იყოს იმდენად დიდი, რომ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემები – ინფლაცია ან რეცესია.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მეორე მიმართულებაა ვალუტის ბაზრის რეგულირება. სავალუტო კურსი მნიშვნელოვან გაელენას ახდენს ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე. არსებობს სავალუტო ბაზრის რეგულირების სხვადასხვა სისტემები. ზოგი მათგანი იძლევა საშუალებას, რათა სავალუტო კურსი პირდაპირ ჩამოყალიბდეს მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. ზოგ შემთხვევაში კი, სახელმწიფო აწესებს ეროვნული ვალუტის ფიქსირებულ კურსს სხვა ვალუტის მიმართ.

ამასთან, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ლიდერები სულ უფრო ხშირად იკრიბებიან თავისი მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირების მიზნით, რადგან ამა თუ იმ ქვეყნის მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია მნიშვნელოვანი გაელენა იქონიოს მეზობელ ქვეყნებზე. 1975 წლიდან დაწყებული, განვითარებული ქვეყნების, ე. წ. „დიდი შვიდეულის“ ლიდერები ყოველწლიურად იკრიბებიან საერთო ეკონომიკური პრობლემების განსახილველად და ეკონომიკური პოლიტიკის შესათანხმებლად.

შემოსავლების პოლიტიკა. როდესაც არსებობს საშიშროება, რომ ინფლაცია გამოვიდეს კონტროლის არედან, სახელმწიფო ეძებს ეკონომიკური სტაბილიზაციის სხვადასხვა გზებს. ინფლაციის შეკავების ტრადიციული გზა არის ფისკალური და მონეტარული ღონისძიებები მეპ-ის შეზღუდვისა და უმუშევრობის ზრდის მიმართულებით. მაგრამ ეს ტრადიციული სტრატეგია ძალიან ძვირი ჯდება. იმისათვის, რათა ინფლაცია შემცირდეს სულ რამდენიმე პროცენტით მაინც, მეპ-ის ჩამორჩენის სახით იკარგება მილიარდობით ლარი. ამიტომ, როგორც ალტერნატიული საშუალება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფასებსა და ხელფასებზე კონტროლი, რომელსაც შედარებით ხშირად მიმართავენ ხოლმე ომის დროს. ამ პოლიტიკას ეწოდება შემოსავლების პოლიტიკა.

შემოსავლების პოლიტიკა არის ყველაზე საკამათო სხვა მაკროეკონომიკურ პოლიტიკებს შორის. ზოგს მიაჩნია, რომ იგი უბრალოდ არაეფექტიანია. ზოგს კი მიაჩნია რომ საზიანოა, რადგანაც იგი ერევა თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირებაში.

5. მაკროეკონომიკური პოლიტიკა პრაქტიკაში

ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელება მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. მიკროეკონომიკის კურსიდან გაიხსენეთ საწარმოო შესაძლებლობათა მრუდი, რომელიც გვიჩვენებს რომ მოცემული რესურსებით შეუძლებელია მაქსიმალური რაოდენობის ავტომობილებისა და კომპიუტერების ერთდროულად მიღება, ანდა მოხმარების მაღალი დონის მიღება სამუდამოდ და მისი მიღწევა ერთდროულად, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ სექტორში.

ბუნებრივია, მაკროეკონომიკაშიც არსებობს მსგავსი ალტერნატივები. მაკროეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს არჩევანის გაკეთებას სხვადასხვა ალტერნატიულ მიზნებს შორის. ქვეყანას შეუძლებელია ჰქონდეს მაღალი მოხმარების დონეც და სწრაფი ზრდის ტემპებიც. მზარდი ინფლაციის შეკავებას სჭირდება როგორც დროებითი მაღალი უმუშევრობა, ასევე,

ეროვნული პროდუქტის შემცირება, ან თავისუფალ ბაზარში ჩარევა შემოსავლების პოლიტიკის ხერხებით. სავაჭრო დეფიციტის შემცირება საჭიროებს მოხმარებისა და ინვესტიციების შემცირებას ქვეყნის შიგნით.

მაკროეკონომიკური მიზნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სრული დასაქმებისა და რესურსების სრული გამოყენების მიღწევა. ქვეყნის ამომრჩევლები თხოულობენ უმუშევრობის მასშტაბების შემცირებასა და ქვეყანაში წარმოების მოცულობის ზრდას. მაგრამ წარმოების მოცულობისა და დასაქმების მაღალი დონე ხელს უწყობს ფასებისა და ხელფასების ზრდას. ამიტომ ინფლაცია იზრდება ეკონომიკური აღმავლობის პერიოდებში. ამდენად, პოლიტიკოსები იძულებულნი ხდებიან დაამუხრუჭონ ეკონომიკის ზედმეტად სწრაფი ზრდა ან უმუშევრობის მეტისმეტად შემცირება, რათა თავიდან აიცილონ უკონტროლო ინფლაცია.

შეუძლებელია თავი ავარიდოთ ალტერნატიულობას უმუშევრობასა და ინფლაციას შორის. იქ, სადაც ფასები და ხელფასები განისაზღვრება თავისუფალ ბაზარზე, ინფლაციის შეკავების პოლიტიკის საფასური არის მასობრივი უმუშევრობა და მეპ-ის დიდი ჩამორჩენა. და პირიქით, თუ ქვეყანას სურს ეკონომიკის სწრაფი ზრდა და ნაკლები უმუშევრობა, ამას აუცილებლად მოჰყვება ინფლაცია.

ხანდახან ქვეყნები აკავებენ ინფლაციას ფასებისა და ხელფასების კონტროლით (შემოსავლების პოლიტიკით). მაგრამ ამის შედეგია ფასების დამახინჯება და ეკონომიკური არაეფექტიანობა. პოტენციური მეპ-ის ზრდის მაღალი ტემპები საჭიროებენ მეტ ინვესტიციებს განათლებაში, მეცნიერებასა და კაპიტალში. ეს ინვესტიციები ზღუდავენ სურსათის, ტანსაცმლის, გართობის საშუალებების მოხმარებას. ყოველივე ეს არის იმ რთული არჩევანის მაგალითები, რომლის წინაშეც დგანან პოლიტიკოსები საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში.

საკონტროლო კითხვები

1. რა განსხვავებაა მიკრო და მაკროეკონომიკას შორის?
2. ძირითადად რომელმა მოვლენამ მისცა დასაბამი მაკროეკონომიკის ჩამოყალიბებას?
3. ვინ ითვლება მაკროეკონომიკური თეორიის დამფუძნებლად?
4. რომელია ქეინსის ძირითადი ნაშრომი და რა არის მისი დედააზრი?
5. ძირითადად რით განსხვავდება ქეინსური თეორია ნეოკლასიკური თეორიისაგან?
6. რას შეისწავლის მაკროეკონომიკა?
7. რომელია მაკროეკონომიკის ძირითადი საკითხები?
8. რაში მდგომარეობს მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსი?
9. რომელია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნები?
10. რა გზებით ხდება მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრობლემების გადაჭრა?
11. რას გულისხმობს ფისკალური პოლიტიკა?
12. როგორ ზემოქმედებს ფულის მიწოდების გაზრდა ან შემცირება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე?
13. რა საშუალებებით ხორციელდება საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა?
14. რას აკონტროლებს მთავრობა შემოსავლების პოლიტიკის გატარების საშუალებით?

ტესტები

1. მაკროეკონომიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება ჩამოყა
   ლიბდა:

ა. მე-18 საუკუნეში;
ბ. მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში;
გ. მე-19 საუკუნის ბოლოს;
დ. ყველა პასუხი არასწორია.

2. მაკროეკონომიკას საფუძველი ჩაუყარა:
ა. სეის ნაშრომებმა;
ბ. დ. იუმის ნაშრომმა „სავაჭრო ბალანსის შესახებ“;
გ. ჯ. მ. ქეინსის ნაშრომმა „დასაქმების, საპროცენტო განაკვეთისა და ფულის ზოგადი თეორია“;
დ. ს. ფიშერისა და რ. დორნბუშის ნაშრომებმა.

3. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განხორციელებით სახელმწიფოს შეუძლია:
ა. არეგულიროს ფულის მიმოქცევა ეკონომიკაში;
ბ. ზემოქმედება მოახდინოს მოსახლეობის დანახარჯებზე;
გ. ზემოქმედება მოახდინოს სავალუტო კურსზე;
დ. ყველა პასუხი სწორია;
ე. ყველა პასუხი არასწორია.
4. ეკონომიკური ზრდის დაჩქარება შესაძლებელია, თუკი სახელმწიფოში უზრუნველყოფილი იქნება:
ა. ოპტიმალური ზემოქმედება სახელმწიფო ხარჯებზე;
ბ. ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაწესება;
გ. ინფლაციის ტემპების შეკავება;
დ. ყველა წინა პასუხი სწორია;
ე. ყველა წინა პასუხი არასწორია.

სავარჯიშოები

1. უნდა მოახდინოს თუ არა მთავრობამ მსხვილი კორპორაციების სუბსიდირება (რაც გამოიწვევს უმუშევრობის პრობლემის გამწვავებას), თუკი ისინი დგანან გაკოტრების საშიშროების წინაშე? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

2. უნდა უწევდეს თუ არა ქვეყნის მთავრობა დახმარებას ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, რათა მოახდინოს მათი ეკონომიკური ზრდის სტიმულირება? ახსენით თქვენი პასუხი.

3. ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების ცალკეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური კანონზომიერებანი შესაძლოა სამართლიანი არ აღმოჩნდეს სხვა ქვეყნის რეალობისთვის, ან თუნდაც იმავე ქვეყნის განვითარების სხვა ეპიზოდისათვის, ან მოითხოვდეს გარკვეულ მოდიფიკაციას. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის დამახასიათებელი მაგალითების განხილვის გზით.

4. დაეუშვათ ქვეყანაში უმუშევრობის მასშტაბები ბოლო წლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა. ამავე დროს მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და ბენზინის ფასების სწრაფმა ზრდამ წარმოშვა ინფლაციური ნახტომი და იმპორტის ღირებულება გაცილებით სწრაფად გაიზარდა, ვიდრე ექსპორტისა. რა შეუძლია მოიმოქმედოს ქვეყნის მთავრობამ ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? ანუ, უმუშევრობის შესამცირებლად, ანდა, სავაჭრო ბალანსის გამოსასწორებლად?

თემა II. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა

1. მთლიანი შიდა პროდუქტი

როდესაც იმაზე ვმსჯელობთ, როგორ მდგომარეობაშია ეკონომიკა, ბუნებრივია, დავინტერესდებით მთლიანი შემოსავლით, რომელსაც ეკონომიკის ყველა წევრი იღებს.

თანამედროვე ეკონომიკაში კლავწარმოების საბოლოო შედეგებს გამოხატავს ურთიერთდაკავშირებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. ესენია: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ), წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ), ეროვნული შემოსავალი (ეშ), წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა (წეკ), ეროვნული სიმდიდრე (ეს) და სხვ.

ეროვნული ანგარიშების სისტემაში შემავალი სხვადასხვა მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს გავზომოთ წარმოების მოცულობა დროის კონკრეტულ მომენტში და გამოვავლინოთ ეკონომიკის ფუნქციონირების უშუალოდ განმსაზღვრელი ფაქტორები.

ეროვნული ანგარიშების შედგენისას ძირითადი მაჩვენებელია მთლიანი შიდა პროდუქტი. **მშპ ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებაა, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში.**

მშპ გამოხატავს ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების საბოლოო შედეგებს დროის გარკვეულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი). როგორც წესი, იგი წლის განმავლობაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი საბაზრო ღირებულების ჯამია.

მშპ ფულადი მაჩვენებელია და ასეთიც უნდა იყოს ერთმანეთს რომ შევადაროთ თავიანთი შედგენილობით საქონელთა და მომსახურების სხვადასხვაგვარი სახეობანი, რომლებიც სხვადასხვა წელსაა წარმოებული, რათა სრული წარმოდგენა გვქონდეს მათ შეფარდებით ღირებულებაზე.

წარმოების მთლიანი მოცულობის სწორი გაანგარიშებისათვის საჭიროა მოცემულ წელს წარმოებული პროდუქტები და მომსახურება მხოლოდ ერთხელ იყოს გათვალისწინებული. პროდუქტთა უმრავლესობა რამდენიმე წარმოებრივ სტადიას გაივლის, სანამ ბაზარზე მოხვდებოდეს. ამის გამო პროდუქტთა უმრავლესობის ცალკეულ ნაწილებს რამდენჯერმე ყიდიან და ყიდულობენ. ამრიგად, პროდუქტთა ნაწილების მრავალჯერადი აღრიცხვის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც ყიდიან და ყიდულობენ, მშპ-ს გაანგარიშებისას გაითვალისწინება მხოლოდ **საბოლოო პროდუქტების** საბაზრო ღირებულება და გამოირიცხება **შუალედური პროდუქცია.**

საბოლოო პროდუქტში ვგულისხმობთ საქონელსა და მომსახურებას, რომელიც საბოლოო მოხმარებისათვის შეისყიდება და არა გადაყიდვისა და შემდგომი დამუშავებისა და გადამუშავებისათვის. გარიგებები, რომლებიც მოიცავენ **შუალედურ პროდუქტებს,** მეორე მხრივ, მიეკუთვნებიან საქონელთა და მომსახურების შესყიდვას შემდგომი დამუშავებისა და გადამუშავებისათვის ან გადაყიდვისათვის. მშპ-ში შეიტანება საბოლოო პროდუქტების გაყიდვები, მაგრამ მას გამოაკლდება შუალედურ პროდუქტთა გაყიდვები. იმიტომ, რომ საბოლოო პროდუქტთა ღირებულებაში უკვე შედის არსებული ყველა შუალედური გარიგება. შუალედურ პროდუქტთა ცალკე აღრიცხვა **ორმაგი ანგარიშში** იქნებოდა, რომელიც გაადიდებდა
მშპ-ს შეფასებას.

ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებისათვის ორმაგი ანგარიშის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, რომ მასში შეტანილ იქნას მხოლოდ დამატებული ღირებულება, რომელიც ყოველი ფირმის მიერ იქმნებოდა. **დამატებული ღირებულება** ფირმის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის საბაზრო ფასია, მომწოდებლებისაგან შეძენილი მოხმარებული ნედლეულისა და მასალების ღირებულების გამოკლებით.

მშპ-ს დახმარებით ცდილობენ ეკონომიკაში საქონელთა და მომსახურების მოცულობის გაზომვას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გამოირიცხოს მრავალი **არამწარმოებლური გარიგება,** რომელსაც ადგილი აქვს თითოეული წლის მანძილზე. **არამ-**

წარმოებლური_გარიგებები ორი სახისაა: **წმინდა ფინანსური გარიგებები და ნახმარი ნივთების** გაყიდვები.

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲑᲘ. წმინდა ფინანსური გარიგებები თავის მხრივ სამ ძირითად სახეობად იყოფა: ტრანსფერტული გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძო ტრანსფერტული გადასახდელები და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა.

1. **სახელმწიფო ტრანსფერული გადასახდელები** მოიცავენ მისაცემლებს სოციალური დაზღვევის ხაზით, დახმარებებს უმუშევრობებზე და პენსიებს – ვეტერანებზე, რომელთაც სახელმწიფო სთავაზობს განსაზღვრულ ოჯახებსა და ინვალიდებს. სახელმწიფო ტრანსფერტულ გადასახდელთა ძირითადი თავისებურება ისა, რომ მის მიმღებს ამ მისაცემლების საპასუხოდ არ შეაქვს რაიმე შენატანი წარმოების მიმდინარე მოცულობის შექმნაში. ამრიგად, მშპ-ში მათ შეტანას შესაძლოა ამ მაჩვენებლების ხელოვნური გადიდება გამოეწვია მოცემული წლისათვის.

2. **კერძო ტრანსფერტული გადასახდელები** – მაგ., ყოველთვიური სუბსიდიები, რომლებსაც უნივერსიტეტის სტუდენტები ოჯახიდან ღებულობენ, ან ერთჯერადი საჩუქრები მდიდარი ნათესავებისაგან – წარმოადგენს არა წარმოების შედეგს, არამედ ერთი კერძო პირიდან მეორეზე სახსრების გადაცემის აქტს.

3. **ფასიან ქაღალდებთან,** ე.ი. აქციებისა და ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული გარიგებები გამოირიცხება მშპ-დან. აქციათა ბაზარზე გარიგებები სხვა არაფერია, თუ არა ფულადი აქტივების გაცვლა. ეს გარიგებანი პირდაპირ არ გულისხმობენ მიმდინარე წარმოების გადიდებას, მაგრამ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ფულის ამოღება იმათგან, ვინც მას ზოგავს და მათზე გადაცემა, ვინც მას იყენებს, შესაძლოა საბოლოო ანგარიშით, მიმართული იყოს წარმოების მოცულობის გადიდებისაკენ.

ᲜᲐᲮᲛᲐᲠᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘ. ნახმარი ნივთების გაყიდვით მიღებული თანხის მშპ-დან გამოკლების საფუძველი ერთობ ბუნებრივია: მსგავსი გაყიდვები ან არ ასახავს მიმდინარე წარმოებას, ან ორმაგ ანგარიშს მოიცავს. მაგ., თუ თქვენ იყი-

დეთ ავტომობილი და ცოტა ხანში გაყიდეთ, ამ შემთხვევაში გამოვრიცხავთ გადაყიდვის გარიგებას მიმდინარე მშპ-დან. რადგან, როცა თქვენ იყიდეთ ავტომანქანა, მისი ღირებულება შევიდა მშპ-ში. თუ შევიტანთ მისი გადაყიდვის ღირებულებასაც, ეს გამოიწვევს ორმაგ ანგარიშს.

2. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯებისა და შემოსავლების მიხედვით

მშპ ერთდროულად ორ სიდიდეს ზომავს: ეკონომიკის ყველა წევრის მიერ მიღებულ მთლიან შემოსავალსა და ეკონომიკის საქონელსა და მომსახურებაზე გაღებულ მთლიან ხარჯებს.

რატომაა ეს ასე? იმის მიზეზი, რომ ეკონომიკის შემოსავალი იგივეა, რაც ეკონომიკის ხარჯები, ძალიან მარტივია: თითოეულ ქმედებას ორი მხარე აქვს – მყიდველი და გამყიდველი. რომელიმე მყიდველის მიერ დახარჯული ერთი ლარი რომელიმე გამყიდველის შემოსავლის ერთი ლარია. მაგალითად, დავუშვათ, რომ პაციენტი სტომატოლოგს 20 ლარს უხდის. ამ შემთხვევაში სტომატოლოგი მომსახურების გამყიდველია, პაციენტი კი მყიდველი. სტომატოლოგი 20 ლარს იღებს, პაციენტი კი 20 ლარს ხარჯავს. ამგვარად, ამ ურთიერთქმედების წვლილი ეკონომიკის შემოსავალსა და ხარჯებში თანაბარია. მშპ, მთლიანი შემოსავლითაა გამოხატული თუ მთლიანი ხარჯებით, 20 ლარით იზრდება.

ამგვარად, წარმოების მთელი მოცულობის საბაზრო ღირებულება შეიძლება ორნაირად გაიზომოს: ჯერ ერთი, ჩვენ შეიძლება ვნახოთ, თუ რამდენს ხარჯავს მომხმარებელი, როგორც ამ პროდუქციის საბოლოო გამომყენებელი, მის ყიდვაზე. მეორე, უნდა შევკრიბოთ წარმოების პროცესში შექმნილი მთელი ხელფასი, რენტული გადასახდელი, სარგებელი და მოგება. მეორე მიდგომა წარმოადგენს დამატებული ღირებულების გაანგარიშების ტექნიკას. ორივე ეს მიდგომა – საბოლოო პროდუქტებისა და დამატებული ღირებულების მიხედვით – წარმოად-

გენს ორ სხვადასხვა შეხედულებას ერთსა და იმავე პრობლემაზე. **ის, რაც დახარჯულია მომხმარებლის მიერ პროდუქტის შეძენაზე, შემოსავლის სახით მიღებულია მათ მიერ, ვინც მონაწილეობდა წარმოებაში.** წარმოების დანახარჯებსა და მისგან მიღებულ შემოსავლებს შორის აღნიშნული ტოლობა გარანტირებულია, რამდენადაც დამაბალანსებელი ელემენტია შემოსავალი მოგების სახით. **მოგება** (ან ზარალი) ის შემოსავალია, რომელიც რჩება ხელფასზე, რენტულ გადასახდელებსა და სარგებელზე მწარმოებლის დანახარჯების გამოკლების შემდეგ. თუ ხელფასის, რენტული გადასახდელებისა და სარგებლის თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს ფირმამ საქონლის საწარმოებლად, იმაზე ნაკლებია, რამდენიც იგი ბაზარზე ღირს, მაშინ ამ ორ სიდიდეს შორის სხვაობა იქნება ფირმის მოგება.

არსებობს მშპ-ს გაზომვისადმი მიდგომის სხვადასხვა ვარიანტი. პირველი გულისხმობს შეხედულებას მშპ-ზე, როგორც ყველა დანახარჯთა ჯამზე, რომელიც საჭიროა ბაზარზე წარმოების მთელი მოცულობის საყიდლად. მშპ განსაზღვრისადმი ეს მიდგომა **წარმოების** ანუ **გასაყიდების (დანახარჯების)** მიხედვით მიდგომაა. მეორე მიდგომა გულისხმობს შეხედულებას მშპ-ზე შემოსავლის თვალსაზრისით, რომელიც მიღებულია ან შექმნილია წარმოების პროცესში. ესაა მშპ-ს განსაზღვრისადმი შემოსულობათა, ანუ სხვანაირად მიდგომა. ე.ი. მშპ შეიძლება განისაზღვროს ან **განაწილების** ანუ **შემოსავლების მიხედვით** მოცემულ წელს წარმოებული პროდუქციის მთელი მოცულობის შესყიდვაზე დანახარჯების შეკრებით, ან მოცემული წლის პროდუქციის მთელი მოცულობის წარმოებით მიღებული ყველა შემოსავლის შეკრებით. მისი წარმოდგენა შეიძლება მარტივი ტოლობის სახით:

მოცემულ წელს წარმოებულ საქონელთა უდეის დანახარჯთა მოცულობა = ფულად შემოსავალს რომელიც მიღებულია მოცემული წლის პროდუქციის წარმოებისაგან

ანუ ის, რაც დახარჯულია პროდუქტის წარმოებაზე, შემოსავალია მათთვის, ვინც თავისი ადამიანისეული და მატერიალური

რესურსები დააბანდა მოცემული პროდუქტის წარმოებასა და ბაზარზე მის რეალიზაციაზე.

მოცემული იგივეობა სწორია ეკონომიკისათვის მთლიანად. ეს მტკიცება გვეუბნება იმას, რომ ეკონომიკაში წარმოებული ყველა საბოლოო პროდუქტი შეისყიდება ან ქვეყნის შიგნით სამი სექტორის – საოჯახო მეურნეობების, სახელმწიფოს და ბიზნესის, ან უცხოელი მომხმარებლების მიერ. ასევე, მთლიანი ამონაგები, რომელსაც ბიზნესი ღებულობს წარმოების მთელი მოცულობის გაყიდვიდან, ნაწილდება სხვადასხვა რესურსის მიმწოდებლებს შორის – ხელფასის, რენტული გადასახადებისა და მოგების სახით. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ დანახარჯთა სხვადასხვა სახის და მათგან მიღებულ შემოსავლების არსს და მნიშვნელობას.

მშპ გაანგარიშება დანახარჯების მიხედვით. დანახარჯების მიხედვით მშპ-ს გასაზომად საჭიროა საბოლოო პროდუქტის ან მომსახურების ხარჯების ყველა სახეობის შეჯამება.

პირადი სამომხმარებლო ხარჯები (C). ისინი მოიცავენ საოჯახო მეურნეობათა ხარჯებს ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე (ავ-
ტომანქანები, მაცივრები, ვიდეომაგნიტოფონები და ა.შ.), მიმდინარე მოხმარების საქონლებზე (პური, რძე, კბილის პასტა და სხვა) და ასევე მომსახურების სამომხმარებლო ხარჯებს (იურისტების, ექიმების, პარიკმახერების მომსახურება).

მოხმარება არის საოჯახო მეურნეობების მიერ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები ახალი საცხოვრებლის ყიდვის გამოკლებით.

მთლიანი საშინაო კერძო ინვესტიციები (I). ინვესტიცია კაპიტალური მოწყობილობების, ინვენტარისა და შენობების ხარჯებია. ინვესტიცია საოჯახო მეურნეობების მიერ ახალ საბინაო პირობებზე გაწეულ ხარჯებსაც შეიცავს. აღსანიშნავია, რომ მშპ-ს აღრიცხვა სიტყვა „ინვესტიციას“ იმისგან განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს ვიდრე ყოველდღიურ საუბრებში გსმენიათ. თუმცა, რადგან მშპ საქონელსა და მომსახურებაზე დანახარჯებს ზომავს, ამ შემთხვევაში სიტყვა „ინვესტიცია“ ნიშნავს ისეთი საინვესტიციო საქონლის შეძენას, როგორიცაა:

1. მეწარმეთა მიერ მანქანების, მოწყობილობათა და დანადგარების ყველა საბოლოო შესყიდვები; 2. მთელი მშენებლობა; 3. მარაგების ცვლილებები.

საქონელთა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (G). დანახარჯთა ეს ჯგუფი მოიცავს ყველა სახელმწიფოებრივ დანახარჯს საწარმოთა საბოლოო პროდუქტისა და რესურსების ყველა პირდაპირ შესყიდვაზე, განსაკუთრებით სამუშაო ძალაზე. მაგრამ იგი გამორიცხავს ყველა სახელმწიფო ტრანსფერტულ გადასახდელს, რამდენადაც მსგავსი ხარჯები არ ასახავს მიმდინარე წარმოების გადიდებას და წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლების უბრალო გადაცემას განსაზღვრულ ოჯახებსა და ინდივიდებზე.

წმინდა ექსპორტი (NX). იგი წარმოადგენს სიდიდეს, რომლითაც უცხოური ხარჯები აჭარბებს ჩვენი ქვეყნის დანახარჯებს უცხოურ საქონელსა და მომსახურებაზე. ანუ წმინდა ექსპორტი უცხოელთა მიერ სამამულო წარმოების საქონელზე დახარჯული თანხებისა (ექსპორტი) და ქვეყნის მოქალაქეთა მიერ უცხოურ საქონელზე დახარჯული თანხების (იმპორტი) სხვაობაა.

დანახარჯთა ოთხი კატეგორია, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, მოხმარება (C), ინვესტიციები (I), სახელმწიფო შესყიდვები (G) და წმინდა ექსპორტი (NX) – მოიცავენ დანახარჯთა შესაძლო ტიპებს. მათი დახმარებით გაიზომება წლიური წარმოების საბაზრო ღირებულება ანუ მშპ. ე.ი.

$$C + I + G + NX = Y$$

მშპ გაანგარიშება შემოსავლების მიხედვით. ეკონომიკაში პროდუქციის წლიური გამოშვების საერთო ხარჯები შემოდის საოჯახო მეურნეობებში ხელფასის, რენტულ გადასახდელთა, სარგებლისა და მოგების სახით. მაგრამ სურათი რამდენადმე რთულდება პროდუქციის საერთო მოცულობის ღირებულებაში ანუ მშპ-ში საშუალებათა განაწილების ორი სახით, რომელიც დაკავშირებული არაა შემოსავლების გაცემასთან. მათ მიეკუთნება **ანარიცხები კაპიტალის მოხმარებაზე (ამორტიზაცია) და ბიზნესის არაპირდაპირი გადასახადები.**

ამორტიზაცია. მოწყობილობათა უმრავლესობის სამსახურის სასარგებლო პერიოდი ერთ წელზე მეტია. ფაქტიურად საინვესტიციო საქონელთა შესყიდვის ხარჯები და მათი წარმოებრივი სამსახურის ხანგრძლივობა აღრიცხვის ერთიდაიგივე პერიოდში ვერ თავსდება. იმის გამო, რომ არ დაეუშვათ მოგების ხელოვნური შემცირება და მაშასადამე, მთელი შემოსავლისაც, შესყიდვის პერიოდში და მოგებისა და მთლიანი შემოსავლის ხელოვნური მომატება შემდგომ წლებში, ცალკეული საწარმოები მოწყობილობის სასარგებლო სამსახურის ვადას ანგარიშობენ და საინვესტიციო საქონელთა ღირებულების საერთო მოცულობას მეტნაკლებად თანაბრად ანაწილებენ მოწყობილობათა სამსახურის მთელ პერიოდზე. ყოველწლიურ ანარიცხებს, რომლებიც გვიჩვენებენ ცალკეულ წლებში წარმოების მსვლელობაში მოხმარებული კაპიტალის მოცულობას, **ამორტიზაცია** ეწოდება. ამორტიზაცია ბუღალტრული ჩანაწერია, რომელიც გამიზნულია იმისთვის, რომ უფრო ზუსტად გაეანგარიშოთ შემოსავალი მოგების სახით და შესაბამისად, კომპანიის მთლიანი ყოველწლიური შემოსავალი.

ბიზნესის არაპირდაპირი გადასახადები. შემოსაელის გადახდასთან დაკავშირებული ხარჯების მეორე სახეობა წარმოიშობა იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო განსაზღერულ გადასახადებს ამოიღებს ბიზნესის არაპირდაპირი გადასახადების სახით. კომპანიები მას როგორც წარმოების ხარჯებს განიხილავენ და ამიტომ შეაქვთ პროდუქტების ფასში. ასეთ გადასახადებს მიეკუთვნება საერთო გადასახადი გაყიდვებზე, აქციებზე, ქონებრივი გადასახადი, სალიცენზიო და საბაჟო გადასახადები. ბიზნესის არაპირდაპირი გადასახადები გამოუმუშავებელი შემოსავალია, რამდენადაც სახელმწიფოს არავითარი წვლილი არ შეაქვს ამ გადასახადებისაგან შემოსულობათა სანაცვლოდ. თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რომ ბიზნესის არაპირდაპირი გადასახადები გამოირიცხოს შემოსავლის საერთო მოცულობის გაანგარიშებისას, რომელიც მოცემულ წელს იქმნება. წლიური წარმოების ღირებულების ნაწილი ასახავს არაპირდაპირ გადასახადებს, რომლებიც მომხმარებლებს გადაეკისრება ამ საქონელზე მაღალი ფასების მეშვეობით. ეროვნული წარმოების ღირებულების ეს ნაწი-

ლი არ გამოდის ხელფასის, საოჯახო გადასახადის, სარგებლის ან მოგების სახით.

დაქირავებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურება. შემოსავლის ყველაზე უფრო მსხვილი კატეგორია პირველ რიგში მოიცავს ხელფასს, რომელსაც ბიზნესი და სახელმწიფო უხდის მომუშავეს. იგი ასევე მოიცავს ხელფასისადმი უამრავ დამატებებს, კერძოდ, მეწარმეთა შენატანებს სოციალურ დაზღვევაზე და საპენსიო უზრუნველყოფის სხვადასხვა კერძო ფონდებში, სამედიცინო დახმარებისა და უმუშევრობის თუ სხვა შემთხვევაში დახმარების ფონდებში. ხელფასის ეს დამატებანი მეწარმეთა დანახარჯების ნაწილია, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის დაქირავებასთან და ამრიგად, განიხილებიან როგორც ხელფასის გასაცემად კომპანიათა საერთო დანახარჯების კომპონენტები.

რენტული გადასახდელები. ეს ის შემოსაელებია, რომლებსაც მიწის, შენობის (სახლის) მფლობელები ღებულობენ, რომლებიც ეკონომიკას საკუთრების რესურსებით უზრუნველყოფენ.

სარგებელი კერძო ბიზნესის ფულადი შემოსაელის გადასახადია ფულადი კაპიტალის მიმწოდებლისათვის.

შემოსავლები საკუთრებიდან. ის რასაც აღვნიშნავთ ტერმინით "მოგება", სინამდვილეში ორი სახის ანგარიშად იყოფა, რომლებიც ერვნული შემოსაელის აღმრიცხველებს მოჰყავთ. ერთ ნაწილს ეწოდება **შემოსავლები საკუთრებისაგან** ანუ არაკორპორაციული მეწარმეობრივი სექტორებისაგან, ხოლო მეორეს **კორპორაციათა მოგება.** ცნება **"შემოსავალი არაკორპორაციულ მეწარმეობითი სექტორის საკუთრებისაგან"** ეხება საწარმოთა წმინდა შემოსავალს, რომლებიც ინდივიდუალურ, ასევე პარტნიორებისა და კოოპერატივების საკუთრებაშია.

კორპორაციათა მოგება. იგი შეიძლება გამოყენებული იქნას სამი სხვადასხვა წესით. ჯერ ერთი, განსაზღვრული ნაწილი გადაეცემა მთავრობას, რომელიც მას ღებულობს **კორპორაციათა მოგების გადასახადის სახით.** მეორე, კორპორაციათა დარჩენილი მოგების ნაწილი მიეცემა აქციონერებს **დივიდენდების** სახით. მესამე, საშემოსაელო გადასახადებისა და დივიდენდების გადახდის შემდეგ დარჩენილ ნაწილს ეწოდება კორპო-

რაციათა გაუნაწილებელი მოგება. კორპორაციათა ეს გაუნაწილებელი შემოსავლები მოხმარებული კაპიტალის აღსადგენ ანარიცხებთან ერთად ან მაშინვე, ან მომავალში ინვესტირდება ახალი ფაბრიკების შექმნასა და მოწყობილობის შეძენაზე.

3. ეროვნულ ანგარიშთა სხვა მაჩვენებლები

სტატისტიკის დეპარტამენტი ქვეყნის მშპ-სთან ერთად შემოსავლის სხვა მაჩვენებლებსაც ანგარიშობს, რომ უფრო სრული სურათი მიიღოს იმისა, თუ რა ხდება ეკონომიკაში. ეს მაჩვენებლები მშპ-სგან იმით განსხვავდება, რომ ითვალისწინებს ან არ ითვალისწინებს შემოსავლის ცალკეულ კატეგორიებს. მოკლედ გადავავლოთ თვალი მათგან ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლებს.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) არის ქვეყნის მუდმივი რეზიდენტების, ანუ მოქალაქეების, მიერ გამომუშავებული მთლიანი შემოსავალი. იგი მშპ-საგან იმით განსხვავდება, რომ შეიცავს მაგ., აშშ-ს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ გამომუშავებულ შემოსავლებს და არ შეიცავს იმ შემოსავლებს, რომლებსაც მოქალაქეები იღებენ აშშ-ს ტერიტორიაზე. მაგალითად, თუ კანადის მოქალაქე დროებით აშშ-ში მუშაობს, მისი შემოსავალი აისახება მშპ-ში, მაგრამ არ ჩაითვლება მეპ-ში (მისი შემოსავლები კანადის მეპ-ში შევა). ქვეყნების უმეტესობაში, მათ შორის აშშ-შიც, რეზიდენტები ქმნიან შიდა წარმოების დიდ ნაწილს. შესაბამისად, მშპ-სა და მეპ-ის მაჩვენებლები თითქმის ერთნაირია.

წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ). მეპ-ს როგორც წარმოების მთლიანი მოცულობის საზომს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი გააჩნია: იგი მოიცავს ღირებულებას, რომელიც გამოიყენება გაცვეთილი ძირითადი კაპიტალის (შენობა-ნაგებობების, მანქანა-მოწყობილობების) აღსადგენად, ე. ი. მეპ-ში შედის ამორტიზაცია. საბოლოო პროდუქტის ნამდვილი ოდენობის დასადგენად გამოიყენება წმინდა ეროვნული პროდუქტის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი. წეპ გაიანგარიშება, როგორც სხვაობა

მეპ-ს და საამორტიზაციო ანარიცხების შეჯამებულ სიდიდეს შორის.

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ეროვნულ ანგარიშებში **ამორტიზაცია** მოიხსენიება, როგორც **„მუდმივი კაპიტალის მოხმარება“**. ამრიგად,

წეპ – მეპ – ა (ამორტიზაცია)

ეროვნული შემოსავალი (ეშ) არის მთლიანი შემოსავალი, რომელსაც გამოიმუშავებენ ქვეყნის რეზიდენტები საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში. ანუ **ეშ** არის ყველა სახის შემოსავლის, ჯამი, ეროვნული წარმოებიდან მიღებული შემოსავალი. იგი ასახავს ეკონომიკური რესურსების საბაზრო ფასს და მოიცავს შრომის ანაზღაურებას, რენტულ შემოსავალს, კორპორაციების მოგებას, წმინდა სარგებელს და საკუთრებიდან შემოსავლებს. ეროვნული შემოსავალი შეიძლება მივიღოთ მეპ-დან, თუ მას გამოვაკლებთ სხვაობას ძირითადი კაპიტალის მოხმარებასა (ამორტიზაცია) და არაპირდაპირ გადასახადებზე გაწეულ ჯამობრივ დანახარჯებს შორის. პრაქტიკულად ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებისას წმინდა ეროვნულ პროდუქტს აკლებენ არაპირდაპირ გადასახადებს. ანუ იგი მეპ-ისგან იმით განსხვავდება, რომ მოიცავს ბიზნესზე დაწესებულ არაპირდაპირ გადასახადებს (როგორიცაა გაყიდვების გადასახადი) და მოიცავს ბიზნესზე გაცემულ სუბსიდიებს. წეპ-სა და ეშ-ს შორის განსხვავებას გარკვეული სტატისტიკური ცდომილებებიც იწვევს.

პირადი შემოსავალი (პშ) არის საოჯახო მეურნეობისა და არაკორპორაციული ბიზნესების შემოსავალი. ეროვნული შემოსავლისაგან განსხვავებით, პშ არ შეიცავს გაუნაწილებელ შემოსავალს, ანუ იმ შემოსავალს, რომელსაც კორპორაციები იღებენ, მაგრამ დივიდენდების სახით არ უხდიან მფლობელებს. ის არ მოიცავს კორპორაციის საშემოსაველო გადასახადსა და სოციალური დაზღვევის შენატანებს (სოციალური უსაფრთხოების გადასახადს). გარდა ამისა, პირადი შემოსავალი შეიცავს სარგებლიდან მიღებულ შემოსავალს, რომელსაც საოჯახო მე-

ურნეობები სამთავრობო ტრანსფერული პროგრამებიდან იღებენ, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფა.

პირადი შემოსავალი = ეროვნული შემოსავალი − სოციალური დაზღვევის შენატანები − კორპორაციათა მოგების გადასახდელები − კორპორაციათა გაუნაწილებელი მოგება + ტრანსფერტული გადასახდელები

წმინდა პირადი შემოსავალი (წპშ) არის შემოსავალი, რომელიც მომხმარებლის განკარგულებაშია. ის მომხმარებელს ყველა საგადასახადო ვალდებულების გადახდის შემდეგ რჩება. წპშ მიიღება შემოსავლიდან გადასახადებისა და გარკვეული არასაგადასახადო ხარჯების, მაგალითად, სამგზავრო ბილეთების ღირებულების გამოკლების შემდეგ.

წმინდა პირადი შემოსავალი = პირადი შემოსავალი − ინდივიდუალური გადასახადები

წმინდა პირადი შემოსავალი ის შემოსავალია, რომელსაც განკარგავენ საოჯახო მეურნეობანი საბოლოო სახით.

წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა (წეკ) – შედარებით ახალი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა ცხოვრების ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რაც აგრეგირებული სახით ასახვას ჰპოვებს წეკ-ის მაჩვენებელში.

მსოფლიო მეურნეობის პრაქტიკაში წეკ გაიანგარიშება როგორც მშპ-ს დამატებული ფულადი ფორმით გამოხატული არასაბაზრო საქმიანობა და თავისუფალი დრო და გამოკლებული კეთილდღეობაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორები (გარემოს დაბინძურება წარმოების ნარჩენებითა და გამონაბოლქვი აირებით, სუფთა წყლის დეფიციტი და ა.შ.)

ეროვნული სიმდიდრე – არის საზოგადოების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე თაობების შრომით შექმნილი და დაგროვილი მატერიალური დოვლათისა და კეთილდღეობაში ჩართული ბუნებრივი რესურსების ერთობლიობა, რომელსაც მოცემული პერიოდისათვის ფლობს საზოგადოება.

ეროვნული სიმდიდრის ძირითადი სტრუქტურული ელემენტებია: ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, მატერიალური მარაგები და რეზერვები, საცხოვრებელი ფონდები, სოციალურ-კულტურული დანიშნულების შენობა-ნაგებობები, ხანგრძლივი გამოყენების საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები, ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობის პირადი ქონება. გარკვეული თვალსაზრისით ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურული ელემენტია საზოგადოების მიერ დაგროვილი ცოდნა, წარმოების მუშაკთა საწარმოო გამოცდილება და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლის სხვადასხვა მაჩვენებლები ერთმანეთისაგან დეტალებით განსხვავდებიან, ეკონომიკის მდგომარეობას თითქმის ყოველთვის ერთნაირად ასახავენ. როდესაც მშპ მკვეთრად იზრდება, სხვა მაჩვენებლებიც, როგორც წესი მკვეთრად იზრდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლის სხვადასხვა მაჩვენებლები ერთმანეთისაგან დეტალებით განსხვავდება, ეკონომიკის მდგომარეობას ისინი თითქმის ერთნაირად ასახავს. როდესაც მშპ მკვეთრად იზრდება, სხვა მაჩვენებლებიც, როგორც წესი, იმატებს. როდესაც მშპ მცირდება, სხვა მაჩვენებლებიც იკლებს. ამდენად, ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, შემოსავლის რომელ მაჩვენებელს გამოვიყენებთ.

4. ნომინალური და რეალური მშპ

როგორც ვნახეთ, მშპ ასახავს საქონლისა და მომსახურების მთლიან ხარჯებს ეკონომიკის ყველა ბაზარზე. თუ მთლიანი ხარჯები წინა წელთან შედარებით იზრდება, ორიდან ერთი რამ ხდება: (1) ეკონომიკა საქონლისა და მომსახურების მეტ რაოდენობას აწარმოებს ან (2) საქონელი და მომსახურება უფრო ძვირად იყიდება. ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების შესწავლისას ეკონომისტები ამ ორი ეფექტის განცალკავებას ცდილობენ. კერძოდ, ეკონომისტებს სჭირდებათ ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი რაოდე-

ნობის ისეთი მაჩვენებელი, რომელზეც ამ საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილება არ მოქმედებს.

ამისათვის ეკონომისტები იყენებენ მაჩვენებელს, რომელსაც **რეალური მშპ** ეწოდება. რეალური მშპ პასუხს გვაძლევს შემდეგ კითხვაზე: როგორი იქნება ამ წელს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება, თუ ამ საქონელსა და მომსახურებას წარსულის ერთ-ერთი კონკრეტული წლის ფასებით შევაფასებთ? დღევანდელ პროდუქციას ადრინდელი ფასების მიხედვით თუ შევაფასებთ, რეალური მშპ გვიჩვენებს, როგორ შეიცვალა ამ დროის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების მთლიანი წარმოება.

რეალური მშპ-ს გამოთვლის წესს უფრო დეტალურად გაეცნობით ქვემოთ მოტანილი მაგალითით.

№ 2.1 ცხრილში მოცემულია მონაცემები იმ ეკონომიკის შესახებ, რომელიც მხოლოდ ორ საქონელს – პურსა და შაქარს აწარმოებს. ცხრილში ნაჩვენებია ამ ორი საქონლის რაოდენობა და მათი ფასები 2005, 2006 და 2007 წლებში.

ამ ეკონომიკის მთლიანი ხარჯების გამოსათვლელად პურისა და შაქრის რაოდენობა მათ ფასებზე უნდა გავამრავლოთ. 2005 წელს 100 პური გაიყიდა 1 ლარად, ამიტომ პურის ხარჯებია 100 ლარი. ამავე წელს 50 შაქარი გაიყიდა 2 ლარად, ამიტომ შაქრის ხარჯები 100-ის ტოლია. ეკონომიკის მთლიანი ხარჯები – პურისა და შაქრის ხარჯების გამო – არის 200 ლარი. ამ თანხას, მიმდინარე ფასებში ასახულ საქონლისა და მომსახურების წარმოებას, **ნომინალური მშპ** ეწოდება.

ცხრილში ნაჩვენებია ნომინალური მშპ-ს გამოთვლა ამ სამი წლისათვის. მთლიანი ხარჯები იზრდება 200 ლარიდან (2005) 600 ლარამდე (2006), შემდეგ კი –1 200-მდე (2007), ამ ზრდის ნაწილი პურისა და შაქრის რაოდენობის ზრდითაა გამოწვეული, ნაწილი კი პურისა და შაქრის ფასის ზრდით.

წარმოებული საქონლის რაოდენობის ისეთ მაჩვენებლად, რომელზეც ფასების ცვლილება არ მოქმედებს, **რეალურ მშპ**-ს ვიყენებთ, საქონლისა და მომსახურების მუდმივ ფასებში გამოხატულ რაოდენობას. რეალური მშპ-ს გამოთვლისთვის ჯერ საბაზო

წელიწადს ვირჩევთ. შემდეგ ვიღებთ საბაზო წელიწადს პურისა და შაქრის ფასს და მათი მეშვეობით ვითვლით საქონლისა და მომსახურების ღირებულებას სხვა წლებისთვის.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბაზო წელიწადს არსებული ფასები სხვადასხვა წლებში წარმოებული საქონლისა და მომსახურების შედარებისთვის საჭირო საფუძველს გვაძლევს.

ვთქვათ, საბაზო წლად 2005 წელს ვირჩევთ. მაშინ ის ფასი რა ფასადაც ამ წელს პური და შაქარი იყიდებოდა, შეგვიძლია 2005, 2006 და 2007 წელს წარმოებული საქონლისა და მომსახურების შეფასებისთვის გამოვიყენოთ.

ცხრილი № 2.1

ნომინალური და რეალური მშპ

ფასები და რაოდენობები

წელი	პურის ფასი	პურის რაოდენობა	შაქრის ფასი	შაქრის რაოდენობა
2005	1 ლარი	100	2 ლარი	50
2006	2 ლარი	150	3 ლარი	100
2007	3 ლარი	200	4 ლარი	150

ნომინალური მშპ-ს გამოთვლა

2005	(1 ლარი × 100 პურზე) + (2 ლარი×50 შაქარზე) = 200
2006	(2 ლარი × 150 პურზე) + (3 ლარი×100 შაქარზე) = 600
2007	(3 ლარი × 200 პურზე) + (4 ლარი×150 შაქარზე) = 1200

რეალური მშპ-ს გამოთვლა (საბაზო წელია 2005)

2005	(1 ლარი × 100 პურზე) + (2 ლარი ×50 შაქარზე) = 200
2006	(2 ლარი × 150 პურზე) + (3 ლარი ×100 შაქარზე) = 350
2007	(3 ლარი × 200 პურზე) + (4 ლარი ×150 შაქარზე) = 500

მშპ დეფლატორის გამოთვლა

2005	200 ლარი /200 ლარზე × 100 = 100
2006	600 ლარი /350 ლარზე × 100 = 171
2007	1200 ლარი /500 ლარზე × 100 = 240

ეს გამოთვლები № 2.1 ცხრილშია ნაჩვენები. 2005 წელს რეალური მშპ-ს გამოთვლისთვის ვიყენებთ პურისა და შაქრის ფასებს 2005 წელს (საბაზო წელს) და პურისა და შაქრის რაოდენობას 2005 წელს (ამგვარად, საბაზო წლისათვის რეალური მშპ ნომინალური მშპ-ს ტოლია).

2006 წლის რეალური მშპ-ს გამოთვლისთვის ვიყენებთ პურისა და შაქრის რაოდენობას 2006 წელს. ანალოგიურად, 2007 წლის რეალური მშპ-ს გამოთვლისთვის ვიყენებთ 2005 წლის ფასებსა და 2007 წლის რაოდენობებს. როდესაც ვხედავთ, რომ რეალური მშპ 200 ლარიდან (2005) 350 ლარამდე (2006), შემდეგ კი 500 ლარამდე (2007) გაიზარდა, ვიცით, რომ ეს ზრდა წარმოებული რაოდენობის ზრდის შედეგია, რადგან ფასები საბაზო წლის დონეზეა შენარჩუნებული.

ამრიგად, ნომინალური მშპ საქონლისა და მომსახურების წარმოების შეფასებისთვის მიმდინარე ფასებს იყენებენ. რეალური მშპ საქონლისა და მომსახურების წარმოების შეფასებისთვის მუდმივ, საბაზო წლის ფასებს იყენებს. ვინაიდან ფასების ცვლილება რეალურ მშპ-ზე არ მოქმედებს, რეალური მშპ-ს ცვლილება მხოლოდ წარმოებული საქონლის რაოდენობის ცვლილებას ასახავს. ამგვარად, რეალური მშპ ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების წარმოების მაჩვენებელია.

მშპ-ს გამოთვლისას ჩვენი მიზანია ეკონომიკის საერთო მდგომარეობის შეფასება. რადგან რელური მშპ ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობის მაჩვენებელია, ამიტომ ის ასახავს ეკონომიკის უნარს, დააკმაყოფილოს ხალხის საჭიროებანი და სურვილები. რეალური მშპ ეკონომიკის კეთილდღეობის უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე ნომინალური მშპ. როდესაც ეკონომიკის ზრდაზე მსჯელობენ, ამ ზრდას წინა პერიოდის რეალური მშპ-ს პროცენტული ცვლილებით გამოხატავენ.

5. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი

როგორც ვნახეთ, ნომინალური მშპ ასახავს ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების როგორც ფასებს, ისე რაოდენობას. როდესაც საბაზო წლის არჩევით ფასებს ვაფიქსირებთ, პირიქით, რეალური მშპ ასახავს მხოლოდ წარმოებული პროდუქციის რაოდენობას. ნომინალური მშპ-სა და რეალური მშპ-ს მეშვეობით შეგვიძლია გამოვითვალოთ მესამე სტატისტიკური მონაცემი: მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი, რომელიც გვიჩვენებს არა წარმოებული პროდუქციის რაოდენობას, არამედ ფასებს:

მშპ დეფლატორი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{მშპ დეფლატორი} = \frac{\text{ნომინალური მშპ}}{\text{რეალური მშპ}} \times 100$$

იმის გამო, რომ ნომინალური და რეალური მშპ საბაზო წელს ერთნაირი უნდა იყოს, მშპ დეფლატორი საბაზო წლისათვის ყოველთვის 100-ის ტოლია. მშპ დეფლატორი შემდგომი წლებისათვის ზომავს ნომინალური მშპ-ს ცვლილებას საბაზო წელთან შედარებით, რომელიც არ არის განპირობებული რეალური მშპ-ს ცვლილებით.

მშპ დეფლატორი გამოითვლის ფასების მიმდინარე დონეს საბაზო წლის ფასების დონესთან შედარებით. იმისათვის, რომ ვნახოთ, როგორ ხდება ეს, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. პირველად წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა დროთა განმავლობაში იზრდება, მაგრამ ფასები უცვლელი რჩება. ამ შემთხვევაში როგორც ნომინალური, ისე რეალური მშპ ერთად იცვლება, ასე რომ მშპ დეფლატორი მუდმივია. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ დროთა განმავლობაში ფასები იცვლება, მაგრამ წარმოების რაოდენობა უცვლელია. ამ მეორე შემთხვევაში ნომინალური მშპ იზრდება, მაგრამ რეალური მშპ იგივე რჩება, რაც ზრდის მშპ დეფლატორს. ყურადღება მიაქციეთ, რომ ორივე შემთხვევაში მშპ

დეფლატორი ასახავს იმას, თუ რა მოსდის ფასებს და არა პროდუქციის რაოდენობას.

მშპ დეფლატორი ერთ-ერთი ის მაჩვენებელია, რომელსაც ეკონომისტები ეკონომიკაში ფასების საშუალო დონეზე დაკვირვებისთვის, ანუ ინფლაციის ტემპის გამოსათვლელად იყენებენ. დეფლატორის სახელწოდება სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ შესაძლებელია მშპ-ს ინფლაციის ტემპის მიხედვით კორექტირება. სხვანაირად, ეს მაჩვენებელი ახდენს ფასების ზრდით გაბერილი ნომინალური მშპ-ს „ჩაფუშვას". მოგვიანებით ჩვენ ეკონომიკის კიდევ ერთ მაჩვენებელს – სამომხმარებლო ფასების ინდექსს განვიხილავთ, რომელიც ეკონომიკაში ფასების დონის ცვლილებას ასახავს.

საკონტროლო კითხვები

1. რომელი მაჩვენებლები გამოიყენება მაკროეკონომიკური ანალიზის დროს?
2. რა შინაარსობრივი განსხვავებაა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის?
3. რა არის საბოლოო პროდუქტი? შუალედური პროდუქტი?
4. პროდუქციის მთლიანი გამოშვების გაანგარიშებისას ყურადღებას რატომ აქცევენ მხოლოდ საბოლოო პროდუქტების ღირებულებას?
5. რა არის დამატებული ღირებულება?
6. დაახასიათეთ მშპ შემოსავლებისა და დანახარჯების მიხედვით.
7. რა განსხვავებაა მეპ-სა წეპ-ს შორის?
8. რა განსხვავებაა „ნომინალურ" და „რეალურ" მშპ-ს შორის?
9. როგორ გამოითვლება მშპ დეფლატორი?

ტესტები

1. ჩამონათვალიდან რომელი შედის მშპ-ში:
ა. საოჯახო მომსახურებები;
ბ. მეზობლისგან ავტომობილის შეძენა;
გ. ბროკერისგან ახალი აქციის შეძენა;
დ. ახალი სახელმძღვანელოს ღირებულება ადგილობრივ წიგნის მაღაზიაში;
ე. კორპორაციის ობლიგაციის შეძენა.

2. ანარიცხები მოხმარებული კაპიტალიდან ესაა:
ა. წმინდა ინვესტიციები;
ბ. წმინდა უცხოური ინვესტიციები;
გ. ამორტიზაცია;
დ. ფონდები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საშომხმარებლო საქონლის საყიდლად;
ე. საშუალება, რომელიც საჭიროა პირადი მოხმარების დაკმაყოფილებისათვის არაპირდაპირი ხერხით.

3. ჩამოთვლილი აგრეგატებიდან რომელი არ გამოიყენება ეროვნული შემოსავლის განსაზღვრისათვის?
ა. კორპორაციის მოგება;
ბ. სახელმწიფოს ტრანსფერტული გადასახდელები;
გ. პროცენტი, რომელსაც მეწარმეები იხდიან კაპიტალისათვის, რომელიც კრედიტით მიიღეს;
დ. რენტული შემოსავალი;
ე. ხელფასი.

4. დავუშვათ, რომ მშპ გაიზარდა 500 მლრდ. დოლარიდან 600 მლრდ. დოლარამდე, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 125-დან – 150-მდე. ასეთ პირობებში რეალური მშპ:
ა. არ შეიცვლება;
ბ. გაიზრდება;
გ. შემცირდება;
დ. არ შეიძლება გამოთვლა ამ მონაცემების საფუძველზე;
ე. ყველა პასუხი არასწორია.

5. თუ ეროვნულ შემოსავალს გამოვაკლებთ კორპორაციის მოგების გადასახადს, გაუნაწილებელ მოგებას და სოც. დაზღვევის შენატანს, ხოლო შემდეგ მივუმატებთ წმინდა ტრანსფერტულ გადასახდელს, მიღებული თანხა – ეს არის:

ა. პირადი შემოსავალი;

ბ. ამორტიზაცია;

გ. მთლიანი ეროვნული პროდუქტი;

დ. წმინდა ეროვნული პროდუქტი;

ე. შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ.

სავარჯიშოები

1. მშპ-ს რომელ კომპონენტებზე იმოქმედებს ქვემოთ ჩამოთვლილი გარიგებები? ახსენით.

ა) ოჯახი ახალ მაცივარს ყიდულობს;

ბ) დეიდა ახალ სახლს ყიდულობს;

გ) თქვენ პიცას ყიდულობთ;

დ) მთავრობა ერთ-ერთ გზატკეცილს ანახლებს;

ე) თქვენი მშობლები ერთ ბოთლ ღვინოს ყიდულობენ;

ვ) „ჰონდა“ აფართოებს თავის ქარხანას ოჰაიოს შტატში.

2. ფერმერი თავის მოყვანილ ხორბალს $100 მიჰყიდის მეწისქვილეს, რომელიც ამ ხორბალს ფქვავს და ფქვილს $150 მიყიდის მცხობელს. მცხობელი აცხობს პურს და მომხმარებელს $180 მიჰყიდის. მომხმარებელი პურს მიირთმევს.

ა) რა იქნება მშპ ამ ეკონომიკაში? ახსენით.

ბ) დამატებული ღირებულება განსაზღვრულია, როგორც მწარმოებლის პროდუქტის ღირებულებას გამოკლებული მწარმოებლის მიერ შეძენილი შუალედური საქონლის ღირებულება. დაეუშვათ, მაგალითში მოცემულის გარდა, სხვა შუალედური საქონელი არ არსებობს. გამოთვალეთ დამატებული ღირებულება ამ სამიდან თითოეული მწარმოებლისათვის;

გ) რას უდრის სამი მეწარმის მიერ ეკონომიკაში შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამი? როგორ შეეფარდება იგი ეკონომიკის მშპ-ს? გეიკარნახებს თუ არა ეს მაგალითი მშპ-ს გამოთვლის კიდევ ერთ მეთოდს?

3. ქვემოთ მოცემულია რძისა და თაფლის მონაცემები:

წელი	რძის ფასი	რძის რაოდენობა (ლიტრებში)	თაფლის ფასი	თაფლის რაოდენობა (ლიტრებში)
2005	1	100	2	50
2006	1	200	2	100
2007	2	200	4	100

ა) გამოთვალეთ ნომინალური მშპ, რეალური მშპ და მშპ დეფლატორი ყოველი წლისათვის. საბაზო წლად გამოიყენეთ 2005 წელი;

ბ) გამოთვალეთ ნომინალური მშპ-ს, რეალური მშპ-სა და მშპ დეფლატორის პროცენტული ცვლილება 2006 და 2007 წლებში წინა წელთან შედარებით. თითოეული წლისათვის განსაზღვრეთ მაჩვენებელი, რომელიც არ იცვლება. ახსენით, რატომ არის თქვენი პასუხი სწორი;

გ) რომელ წელს უფრო გაიზარდა ეკონომიკური კეთილდღეობა, 2006 თუ 2007 წელს?

4. მოცემულია ქვეყნის მშპ-ს მაჩვენებლები:

წელი	ნომინალური მშპ (მლრდ დოლარებში)	მშპ დეფლატორი (საბაზო წელი 1996)
2000	9873	118
1999	9269	113

ა. როგორ გაიზარდა ნომინალური მშპ 1999-დან 2000 წლამდე? (შენიშვნა: ზრდის მაჩვენებელში იგულისხმება ერთიდან მეორე პერიოდამდე მშპ-ს პროცენტული ცვლილება);

ბ. როგორ გაიზარდა მშპ დეფლატორი 1999-დან 2000 წლამდე?

გ. როგორი იყო 1996 წლის ფასებში გამოთვლილი 1999 წლის რეალური მშპ?

დ. როგორი იყო 1996 წლის ფასებში გამოთვლილი 2000 წლის რეალური მშპ?

ე. როგორი იყო რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი 1999-დან 2000 წლამდე?

ვ. ნომინალური მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო თუ რეალურისა? ახსენით.

თემა III. ეკონომიკური ზრდა

1. ეკონომიკური ზრდის არსი

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონეებს შორის უზარმაზარი განსხვავება არსებობს. მდიდარი ქვეყნის (ა.შ.შ., იაპონიის ან გერმანიის) საშუალო მოქალაქის შემოსავალი ათჯერ მაინც აღემატება ღარიბი ქვეყნის (ინდოეთი, ინდონეზია ან ნიგერია) საშუალო მოქალაქის შემოსავალს. შემოსავლებს შორის ასეთი დიდი სხვაობა ცხოვრების დონეებს შორის განსხვავებაში გამოიხატება. მდიდარ ქვეყნებში მეტი ავტომობილი, ტელეფონი და ტელევიზორი, უკეთესი კვება, უკეთესი სამედიცინო მომსახურება და სიცოცხლის უფრო დიდი ხანგრძლივობაა. თვით ქვეყნის შიგნითაც კი ცხოვრების დონეები სხვადასხვა პერიოდში მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

თუ რით აიხსნება ეს მრავალფეროვნება, როგორ უნდა უზრუნველყონ მდიდარმა ქვეყნებმა ცხოვრების მაღალი დონის შენარჩუნება, როგორ პოლიტიკას უნდა მიმართონ ღარიბმა ქვეყნებმა უფრო სწრაფი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად – მაკროეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კითხვებია.

ცნება „ეკონომიკური ზრდა" გულისხმობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ხანგრძლივ მყარ ზრდას. სხვა სიტყვებით, ეკონომიკურ ზრდას ადგილი აქვს მაშინ, როცა ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ. ამ განმარტებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მოცულობის ზრდის ტემპების კონცეფცია. ეს პარამეტრიც ახასიათებს ქვეყანაში ცხოვრების დონის ზრდას.

მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მოცულობის ზრდა – სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია, რამდენადაც მისი მიღწევა დაკავშირებულია რეალური შემოსავლების საშუალო დონისა და ცხოვრების დონის ზრდასთან.

ეკონომიკური ზრდის გასაანგარიშებლად გამოიყენება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ან მთლიანი წმინდა პრო-

დუქტის აბსოლუტური მატების ან მატების ტემპის მაჩვენებლები მთლიანად ან ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. მაგ.,

$$\Delta Y_t = Y_t - Y_{t-1} \quad \text{ანუ} \quad Y_t = \frac{\Delta Y_t}{Y_{t-1}}$$

სადაც t არის დროის ინდექსი.

მაგალითად, თუ გასულ წელს მშპ შეადგენდა 200 მლრდ. ლარს, ხოლო მიმდინარე წელს – 210 მლრდ. ლარს, მაშინ

$$\text{მშპ - ის მატების ტემპი მიმდინარე წელს} = \frac{210-200}{200} \times 100 = \frac{10}{200} \times 100$$

უნდა აღინიშნოს, რომ მშპ ქვეყნის კეთილდღეობის სრულყოფილი მაჩვენებელი ნამდვილად არ არის. ზოგი რამ, რასაც თავისი წელილი შეაქვს „კარგად ცხოვრებაში", მშპ-ს მიღმა რჩება. მათ შორისაა დასვენებაც. მაგალითად, თუ მომუშავეები დასვენების დღეების გარეშე იმუშავებენ, ასეთ დროს წარმოებული იქნება მეტი პროდუქცია და მშპ გაიზრდება. მაგრამ, ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ ყველას მდგომარეობა გაუმჯობესდება. დასვენების შემცირებით გამოწვეული კეთილდღეობის დანაკარგი გააბათილებს კეთილდღეობის ნამატს, რომელიც მეტი საქონლისა და მომსახურების წარმოება-მოხმარების შედეგია.

მშპ არ ითვალისწინებს აგრეთვე გარემოს მდგომარეობას. წარმოვიდგინოთ, რომ მთავრობამ გააუქმა ყველა კანონი, რომელიც გარემოს დაცვის მიზანს ემსახურება. ფირმები საქონელსა და საქონელსა და მომსახურებას ისე აწარმოებენ, რომ ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისათვის აღარ ზრუნავენ. მშპ ალბათ გაიზრდება, მაგრამ სამაგიეროდ, კეთილდღეობა აუცილებლად შემცირდება გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების გამო.

ვინაიდან საქონლისა და მომსახურების შეფასებისთვის მშპ საბაზრო ფასებს იყენებს, ამიტომ ის ვერ ითვალისწინებს თითქმის ყველა იმ საქმიანობის ღირებულებას, რომელიც ბაზარზე

ვერ ხვდება. მაგალითად ბავშვების აღზრდა, დიასახლისის შრომა საზოგადოების კეთილდღეობას ზრდის, თუმცა კეთილდღეობის ეს ნამატი მშპ-ში არ აისახება. თუ მშობლები სამუშაო საათების რაოდენობას შეამცირებენ, რათა ბავშვებს მეტი დრო დაუთმონ, ეკონომიკა ნაკლებ მომსახურებასა და საქონელს აწარმოებს და მშპ შემცირდება, მაგრამ ამ ცვლილებამ, შესაძლოა, სულაც არ გააუარესოს საზოგადოების კეთილდღეობის დონე.

დამატებით პრობლემას ვაწყდებით მშპ-ს, როგორც კეთილდღეობის საზომის, გამოყენებისას იმ შემთხვევაში, როდესაც ერთმანეთთან ვადარებთ სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების დონეებს. საქმე იმაშია, რომ ღარიბ ქვეყნებში, როგორც წესი, ფასების დონე უფრო დაბალია, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში, რის გამოც ასეთი ქვეყნების ცხოვრების დონეთა ურთიერთშედარებისას ახალი გზების ძიება ხდება საჭირო მეტი კორექტულობის მისაღწევად.

ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს, როგორც ქვეყნის „საშუალო მოქალაქის" სიმდიდრის მაჩვენებლის, კიდევ ერთი ხარვეზია ის, რომ იგი შეიძლება არ იყოს კეთილდღეობის საზომი იმის გამო, რომ ვერ ითვალისწინებს მოცემული ქვეყნის შიგნით შემოსავლების განაწილების თანაბარზომიერების საკითხს. ასეთ ქვეყნებში უკიდურესად დაძაბული და არაჯანსაღია სოციალური ვითარებაც, რაც კიდევ ერთი მინუსია ქვეყნის კეთილდღეობის თვალსაზრისით.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული ხარვეზებისა, დაბეჯითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით უფრო მაღალი რეალური მშპ-ს მქონე ქვეყნები, როგორც წესი, ცხოვრების უკეთეს დონეს აღწევენ, ვიდრე ის ქვეყნები, რომელთაც აღნიშნული მაჩვენებელი უფრო დაბალი აქვთ. ასევე, თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყნებს, რომელთა შემოსავალი მაღალია, უკეთ შეუძლიათ თავის მოქალაქეთა სულიერ განვითარებაზე, გართობა-დასვენებასა და ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. როგორც აღნიშნავს ცნობილი ეკონომისტი გრეგორი მენქიუ: „მშპ აგრეთვე არ ასახავს განათლების ხარისხს, მაგრამ ქვეყნებს, რომელთა მშპ მეტია, როგორც წესი,

განათლების უკეთესი სისტემა აქვთ. მშპ პოეზიის მშვენიერებასაც არ ასახავს, მაგრამ ქვეყნებს, რომელთაც მეტი შემოსავალი აქვთ უკეთესი პირობების შექმნა ძალუძთ თავისი მოქალაქეებისთვის, იკითხონ და სულიერი სიამოვნება მიიღონ პოეზიის მშვენიერებით. მშპ არ ითვალისწინებს ჩვენს გონიერებას, სიბრძნეს, პატიოსნებას, სიმამაცეს და სამშობლოსადმი ერთგულებას, მაგრამ ყველა ამ თვისების ხელშეწყობა უფრო ადვილია მაშინ, როდესაც ადამიანები ნაკლებს ფიქრობენ ცხოვრების აუცილებელ მატერიალურ საჭიროებებზე. მოკლედ, მშპ უშუალოდ არ ასახავს იმას, რაც ჩვენს ცხოვრებას ფასეულს ხდის, მაგრამ ასახავს ჩვენს უნარს, შევიძინოთ ცხოვრების ეს ფასეულობანი".

ქვეყნის კეთილდღეობის დონის შეძლებისდაგვარად ობიექტურად შეფასების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია მრავალი სპეციალური მეთოდი, რომელთაგან ერთ-ერთი უახლესი და დახვეწილი მეთოდი ეკუთვნის **გაერო**-ს ე.წ. ჰუმანური განვითარების ინდექსის ოფისს. ასეთსავე სახელს ატარებს კეთილდღეობის დონის შესატყვისი ინდექსიც: **„ჰუმანური განვითარების ინდექსი"**, შემოკლებით – ჰგი (HDI=Humam
Development Index).

მისი განსაზღვრა, თავის მხრივ, დაფუძნებულია სამი სხვადასხვა ინდექსის გამოთვლაზე. ესენია:

– სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი (L);
– განათლების დონის ინდექსი (E);
– რეალური საშუალო შემოსავლის ინდექსი (Y).

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ განისაზღვრება თითოეული მათგანი, სცილდება ჩვენი ინტერესის ფარგლებს; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ **ჰგი** გამოითვლება, როგორც აღნიშნული სამი სიდიდის საშუალო არითმეტიკული: **HDI=(L + E + Y) / 3.**

2. ეკონომიკური ზრდის ფაქტორები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების ახსნა ერთი მხრივ, ძალიან იოლია. ახსნა შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგან – მწარმოებლურობა. მაგრამ, მეორე მხრივ, საერთაშორისო მრავალფეროვნება რთული ასახსნელია. იმისთვის, რომ აეხსნათ რატომაა ზოგ ქვეყანაში შემოსავალი ბევრად უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში, უნდა განვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებიც ქვეყნის მწარმოებლურობას განსაზღვრავს.

მწარმოებლურობა – ერთ სამუშაო საათში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაა.

ქვეყანას მხოლოდ მაშინ აქვს ცხოვრების მაღალი დონე, თუ საქონლისა და მომსახურების დიდი რაოდენობით წარმოება შეუძლია. ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის ან სხვადასხვა დროის ცხოვრების დონეებს შორის განსხვავებების გასაგებად ძირითადი ყურადღება საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე უნდა გავამახვილოთ. მაგრამ ცხოვრების დონესა და მწარმოებლურობას შორის კავშირის დანახვა მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მას ბუნებრივად მივყავართ შემდეგ კითხვამდე: რატომ აღწევს ზოგი ეკონომიკა სხვებზე მეტ წარმატებას საქონლისა და მომსახურების წარმოებაში?

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება **ოთხი ძირითადი ფაქტორით**. ესენია:

– ფიზიკური კაპიტალი (მანქანა-დანადგარები, ფაბრიკა-ქარხნები, გზები და სხვა);

– ადამიანური კაპიტალი (შრომის მიწოდება, განათლება, დისციპლინა, მოტივაცია);

– ბუნებრივი რესურსები (მიწა, სასრგებლო წიაღისეული, სათბობი, გარემო-პირობების ხარისხი);

– ტექნოლოგიური ცოდნა (მეცნიერება, მენეჯმენტი, მეწარმეობა).

ფიზიკური კაპიტალი. მშრომელები უფრო მწარმოებლურები არიან, თუ შრომისთვის საჭირო იარაღები აქვთ. იმ მოწყობილობებისა და შენობების მარაგს, როლებიც საქონლისა და

მომსახურების წარმოებაში გამოიყენება, ფიზიკური კაპიტალი, ან, უბრალოდ, კაპიტალი ეწოდება. მაგლითად, როდესაც დურგლები ავეჯს ამზადებენ, იყენებენ ხერხებს, სახარატო ჩარხებსა და ბურღებს. რაც მეტი იარაღია, საქმე მით უფრო სწრაფად და აკურატულად კეთდება. ესე იგი, დურგალს, რომელსაც მხოლოდ ხელის იარაღები აქვს, ნაკლები ავეჯის დამზადება შეუძლია, ვიდრე დურგალს, რომელსაც უფრო დახვეწილი და რთული სადურგლო მოწყობილობა აქვს.

ალბათ, გახსოვთ, რომ მასალას, რომელიც საქონლისა და მომსახურების წარმოებაში გამოიყენება – შრომას, კაპიტალს და ა.შ. – წარმოების ფაქტორები ეწოდება. კაპიტალის მნიშვნელოვანი თვისება ისაა, რომ კაპიტალი წარმოების წარმოებული ფაქტორია. ესე იგი, კაპიტალი საწარმოო პროცესში გამოყენებული ის მასალაა, რომელიც თვითონ იყო წარსულში საწარმოო პროცესის შედეგი. დურგალი ჩარხს იყენებს იმისთვის, რომ მაგიდის ფეხი გამოჩარხოს. უფრო ადრე თვითონ ხერხი იყო იმ ფირმის პროდუქცია, რომელიც ხერხებს აწარმოებს. ხერხის მწარმოებელი, თავის მხრივ, წარმოებაში სხვა მოწყობილობებს იყენებს. ამგვარად, კაპიტალი წარმოების პროდუქტია, რომელიც ყველა სახის საქონლისა და მომსახურების, მათ შორის მეტი კაპიტალის, წარმოებაში გამოიყენება.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ. მწარმოებლურობის მეორე დეტერმინანტია ადამიანური კაპიტალი. ადამიანური კაპიტალი ეკონომისტების ტერმინია იმ ცოდნისა და უნარის აღსანიშნავად, რომელსაც მშრომელი განათლებისა და პრაქტიკული მუშაობის გზით იძენს. ადამიანური კაპიტალი შეიცავს უნარს, რომელიც დაგროვილია ადრეულ ბავშვობაში, დაწყებით სკოლაში, საშუალო სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელსა და სამსახურში.

მიუხედავად იმისა, რომ განათლება და გამოცდილება ნაკლებად ხელშესახებია, ვიდრე ხერხები, ბულდოზერები და შენობები, ადამიანური კაპიტალი მაინც ბევრი რამით ჰგავს ფიზიკურ კაპიტალს. ფიზიკური კაპიტალის მსგავსად, ადამიანური კაპიტალიც იწვევს საქონლისა და მომსახურების წარმოებაში ქვეყნის უნარის ზრდას. ასევე, ფიზიკური კაპიტალის მსგავსად, ადამიანური კაპიტალი წარმოების წარმოებული ფაქტორია.

ადამიანური კაპიტალის წარმოება მოითხოვს მასალებს მასწავლებლების, ბიბლიოთეკებისა და სტუდენტის დროის სახით. მართლაც, სტუდენტები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც „მშრომელები“, რომელთა სამუშაოც ადამიანური კაპიტალის წარმოებაა, იმ კაპიტალისა რომელიც მომავალ წარმოებაში გამოიყენება.

ბუნებრივი რესურსები. მწარმოებლურობის მესამე დეტერმინანტია ბუნებრივი რესურსები. ბუნებრივი რესურსები ის მასალაა, რომელსაც ბუნება გვაძლევს, მაგალითად, მიწა, მდინარეები, წიაღისეული. ბუნებრივი რესურსები ორი სახისაა: განახლებადი და არაგანახლებადი. ტყე განახლებადი რესურსის მაგალითია. როდესაც ერთი ხე იჭრება, მის ადგილზე ახალი ნერგის დარგვა შეიძლება, რომელიც მომავალში ახალ მოსავალს მოგვცემს. ნავთობი არაგანახლებადი რესურსის მაგალითია. ვინაიდან ნავთობს ბუნება მრავალი ათასი წლის განმავლობაში აწარმოებს, მისი მიწოდება შეზღუდულია. ნავთობის მიწოდების ამოწურვის შემდეგ ნავთობის შემდგომი შექმნა შეუძლებელია.

ბუნებრივ რესურსებს შორის განსხვავება ქვეყნის ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების ერთ-ერთი მიზეზია. დღეს შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, ქუვეითი და საუდის არაბეთი, მდიდარია მხოლოდ იმიტომ, რომ, თავისდა საბედნიეროდ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნავთობის საბადოს თავზე მდებარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ რესურსებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მათი არსებობა სულაც არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ ეკონომიკა დიდად მწარმოებლური იყოს. მაგალითად, იაპონია მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანაა, თუმცა ბუნებრივი რესურსები თითქმის არა აქვს. საერთაშორისო ვაჭრობა იაპონიის წარმატებას შესაძლებელს ხდის. იაპონია ახორციელებს თავისთვის საჭირო მრავალი ბუნებრივი რესურსის, მაგალითად, ნავთობის იმპორტს და ქვეყანაში წარმოებული საქონლის ექსპორტს ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებში.

ტექნოლოგიური ცოდნა. მწარმოებლურობის მეოთხე დეტერმინანტია ტექნოლოგიური ცოდნა – საქონლისა და მომსა-

ხურების წარმოების საუკეთესო გზების შერჩევის უნარი. ასი წლის წინ ამერიკელების უმრავლესობა ფერმებში შრომობდა, ვინაიდან ფერმერული ტექნოლოგია შრომის დიდ რაოდენობას მოითხოვდა, რათა ქვეყნის მოსახლეობა გამოეკვება. დღეს, სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიის განვითარების შედეგად, მოსახლეობის მცირე ნაწილს ქვეყნის მთელი მოსახლეობისთვის საკმარისი საკვების წარმოება შეუძლია. ამ ტექნოლოგიურმა ცვლილებამ გაათავისუფლა შრომა სხვა საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის.

ტექნოლოგიური ცოდნა მრავალგვარია. ზოგი ტექნოლოგია საყოველთაოა – მას შემდეგ, რაც მას ერთი ადამიანი გამოიყენებს, ყველასთვის ცნობილი გახდება. მაგალითად, როცა ჰენრი ფორდმა წარმატებით გამოიყენა კონვეიერი, მას მალე სხვა მანქანათმშენებლებმაც მიბაძეს. ზოგი ტექნოლოგია გასაიდუმლოებულია – მის შესახებ მხოლოდ იმ კომპანიამ იცის, რომელმაც ის აღმოაჩინა. მაგალითად, მხოლოდ „კოკა-კოლამ“ იცის თავისი ცნობილი სასმელის საიდუმლო რეცეპტი. როდესაც ფარმაცევტული კომპანია ახალ წამალს აღმოაჩენს, საპატენტო სისტემა ამ კომპანიას დროებით უფლებას აძლევს, ამ კონკრეტული წამლის ერთადერთი მწარმოებელი იყოს. მაგრამ პატენტის ვადის გასვლის შემდეგ სხვა კომპანიებს ამავე წამლის დამზადების უფლება აქვთ. ტექნოლოგიური ცოდნის ყველა ამ ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის.

უნდა განვასხვავოთ ტექნოლოგიური ცოდნა და ადამიანური კაპიტალი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მათ შორის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ტექნოლოგიური ცოდნა იმაზე მეტყველებს, როგორ ერკვევა საზოგადოება მსოფლიოს მიღწევებში, ადამიანური კაპიტალი კი იმ რესურსებს გულისხმობს, რომლებიც ამ მიღწევათა სამუშაო ძალისათვის გადაცემაზე იხარჯება.

საწარმოო ფუნქცია. მიკროეკონომიკის კურსიდან თქვენთვის ცნობილია, რომ წარმოების ფაქტორების რაოდენობასა და წარმოებული პროდუქციის მოცულობას შორის დამოკიდებულების აღსაწერად ეკონომისტები ხშირად საწარმოო ფუნ-

ქციას იყენებენ. დავუშვათ, Y არის წარმოებული პროდუქციის მოცულობა, L – შრომის რაოდენობა, K – ფიზიკური კაპიტალის რაოდენობა, H – ადამიანური კაპიტალის რაოდენობა და N – ბუნებრივი რესურსების რაოდენობა. შეგვიძლია გამოვიყენოთ ფორმულა:

$$Y= AF(L,K,H,N)$$

სადაც F – არის ფუნქცია, რომელიც გვიჩვენებს, როგორ შეესაბამება წარმოების ფაქტორები გამოშვებას. A არის ცელადი, რომელიც ასახავს არსებულ საწარმოო ტექნოლოგიებს. ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად A იზრდება და წარმოების ფაქტორების ნებისმიერი კომბინაციისათვის ეკონომიკის შედეგიანობაც მატულობს.

მრავალ საწარმოო ფუნქციას გააჩნია თვისება, რომელიც ცნობილია მასშტაბის მუდმივი უკუგების სახელით. თუკი საწარმოო ფუნქციას მასშტაბის მუდმივი უკუგება ახასიათებს, მაშინ წარმოების ფაქტორების გაორმაგება გამოშვების გაორმაგებას იწვევს. მათემატიკურად შეგვიძლია ვთქვათ, საწარმოო ფუნქციას მასშტაბის მუდმივი უკუგება ახასიათებს, თუკი ნებისმიერი დადებითი X–სთვის სამართლიანია შემდეგი გამოსახულება:

$$xY= AF(xL, xK, xH, xN)$$

ამ ტოლობაში წარმოების ფაქტორების გაორმაგების საჩვენებლად X=2. მარჯვენა მხარე გვიჩვენებს წარმოების ფაქტორების გაორმაგებას, მარცხენა კი გამოშვებისას.

მასშტაბის უკუგების მუდმივობის თვისების მქონე საწარმოო ფუნქციების მეშვეობით ერთი საინტერესო დასკვნის გაკეთება შეიძლება: დაუშვათ, რომ x=1/L წინა ტოლობა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$Y/L= AF(1, K/L, H/L, N/L)$$

მიაქციეთ ყურადღება, რომ Y/L – არის თითოეული მშრომელის მიერ გამოშვება, რაც მწარმოებლურობის მაჩვენებელია. ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ შრომის ნაყოფიერება დამოკიდე-

ბულია წარმოების თითოეული ფაქტორის იმ რაოდენობაზე, რომელიც მოდის თითოეულ მომუშავეზე, ანუ თითო მომუშავეზე არსებულ ფიზიკურ კაპიტალზე (K/L), ადამიანურ კაპიტალზე (H/L) და ბუნებრივ რესურსებზე (N/L). მწარმოებლურობა დამოკიდებულია ასევე ტექნოლოგიების განვითარების დონეზე, რასაც A ცელადი გვიჩვენებს. აქედან გამომდინარე, ეს ტოლობა მწარმოებლურობის იმ ოთხი დეტერმინანტის მათემატიკური ჩანაწერია, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ.

ეკონომიკურ ზრდას ეწოდება **ექსტენსიური,** თუ ის ხორციელდება დამატებითი რესურსების გამოყენებით და არ ცელის საზოგადოებაში შრომის საშუალო მწარმოებლურობას. **ინტენსიური** ზრდა დაკავშირებულია უფრო სრულყოფილი წამოების ფაქტორებისა და ტექნოლოგიების გამოყენებასთან, ანუ ხორციელდება არა დახარჯული რესურსების მოცულობის გაზრდის შედეგად, არამედ მათი უკუგების ზრდის შედეგად. სწორედ ინტენსიური ზრდა განაპირობებს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ჩვეულებრივად, ლაპარაკობენ ეკონომიკური ზრდის უპირატესად ინტენსიურ ან ექსტენსიურ ტიპზე ამა თუ იმ ფაქტორის წილთან დამოკიდებულებით, რომლებმაც გამოიწვიეს ეს ზრდა.

3. ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფო პოლიტიკა

როგორც ზემოთ განვსაზღვრეთ, საზოგადოების ცხოვრების დონე დამოკიდებულია საქონლისა და მომსახურების წარმოების მისეულ უნარზე, ხოლო მისი მწარმოებლურობა – ფიზიკურ კაპიტალზე, ადამიანურ კაპიტალზე, ბუნებრივ რესურსებსა და ტექნოლოგიურ ცოდნაზე. ახლა კი განვიხილოთ კითხვა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკოსების წინაშე დგას: რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ მწარმოებლურობისა და ცხოვრების დონის ზრდისთვის?

დანაზოგებისა და ინვესტიციების დიდი მნიშვნელობა. რადგან კაპიტალი წარმოების წარმოებული ფაქტორია, ამიტომ საზოგადოებას შეუძლია თავის ხელთ არსებული კაპიტალის

რაოდენობის შეცვლა. თუ ეკონომიკა დღეს ახალი კაპიტალური საქონლის დიდ რაოდენობას აწარმოებს, ხვალ მას კაპიტალის უფრო დიდი მარაგი ექნება და შეეძლება, ყველა ტიპის საქონლისა და მომსახურების უფრო დიდი რაოდენობა აწარმოოს. ამგვარად, მომავალი მწარმოებლურობის ზრდის ერთ-ერთი საშუალებაა დღევანდელი რესურსების მეტი რაოდენობის ინვესტირება კაპიტალის წარმოებაში.

როგორც ცნობილია, ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგანან. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კაპიტალის დაგროვების განხილვისას. რადგან რესურსები შეზღუდულია, კაპიტალის წარმოებისთვის მეტი რესურსების დათმობა მოითხოვს მიმდინარე მოხმარებისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ნაკლები რესურსების დათმობას. ესე იგი, იმისთვის, რომ საზოგადოებამ კაპიტალში მეტი ინვესტირება განახორციელოს, დღეს ნაკლები უნდა მოიხმაროს და მეტი შემოსავალი დაზოგოს. ეკონომიკური ზრდა, რომელიც კაპიტალის დაგროვების შედეგია, მოითხოვს, რომ საზოგადოებამ დათმოს საქონლისა და მომსახურების დღევანდელი მოხმარება, რათა მომავალში მეტი მოიხმაროს. დაზოგვისა და ინვესტირების ხელშეწყობა მთავრობის მიერ ეკონომიკური ზრდისა და გრძელვადიან პერიოდში ცხოვრების დონის ამაღლებისთვის ხელშეწყობის ერთ-ერთი გზაა.

კლებადი უკუგება და მკვეთრი ზრდის ეფექტი. დავუშვათ მთავრობა ირჩევს პოლიტიკას, რომელიც ზრდის ქვეყნის დანაზოგების სიდიდეს – მშპ-ს პროცენტულ წილს, რომელიც მოხმარების ნაცვლად დაზოგვას დაეთმობა. რა მოხდება? როდესაც ქვეყანა მეტ თანხებს დაზოგავს, სამომხმარებლო საქონლის წარმოებას ნაკლები რესურსი დასჭირდება და მეტი რესურსი გამოთავისუფლდება კაპიტალური საქონლის წარმოებისთვის. ამის შედეგად კაპიტალის მარაგი გაიზრდება, რის შედეგადაც მწარმოებლურობაცა და მშპ-ც უფრო სწრაფად გაიზრდება. მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება ასეთი სწრაფი ეკონომიკური ზრდა? თუ დავუშვებთ, რომ დაზოგვა ამ ახალ, უფრო მაღალ დონეზე რჩება, სამუდამოდ შეინარჩუნებს მშპ ზრდის ასეთ ტემპს თუ მხოლოდ დროის გარკვეულ პერიოდში?

საწარმოო პროცესის ტრადიციული ხედვა იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალი **კლებადი უკუგებით** ხასიათდება: როცა კაპიტალის მარაგი იზრდება, კაპიტალის თითოეული დამატებითი ერთეულიდან წარმოებული დამატებითი პროდუქციის რაოდენობა მცირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც მშრომელებს საქონლისა და მომსახურების საწარმოებელი კაპიტალის დიდი რაოდენობა უკვე აქვთ, მათთვის კაპიტალის დამატებითი ერთეულის მიცემა მწარმოებლურობას მხოლოდ მცირედით ზრდის.

კლებადი უკუგების გამო დაზოგვის სიდიდის ზრდა ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას მხოლოდ გარკვეული ხნით იწვევს. როცა დაზოგვის სიდიდის ზრდა მეტი კაპიტალის დაგროვების საშუალებას იძლევა, დამატებითი კაპიტალიდან მიღებული სარგებლობა დროთა განმავლობაში მცირდება, და ამიტომ ეკონომიკური ზრდაც ნელდება. გრძელვადიან პერიოდში დაზოგვის სიდიდის ზრდა გვაძლევს მწარმოებლურობისა და შემოსავლის უფრო მაღალ დონეს. მაგრამ ამ გრძელვადიანი პერიოდის მიღწევას შეიძლება საკმაო დრო დასჭირდეს. ეკონომიკური ზრდის საერთაშორისო მონაცემებიდან გამომდინარე, დაზოგვის სიდიდის ზრდას შეუძლია გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდის ტემპების ზრდა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

კაპიტალის კლებადი უკუგებიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გამომდინარეობს: სხვა თანაბარ პირობებში ქვეყნის ეკონომიკა უფრო სწრაფად იზრდება, თუ საწყისი წერტილი მისთვის სიღარიბეა. ეკონომიკურ ზრდაზე საწყისი პირობების ამ ზემოქმედებას ზოგჯერ **მკვეთრი ზრდის ეფექტი** ეწოდება.

ღარიბ ქვეყნებში მშრომელებს შრომის ყველაზე აუცილებელი იარაღებიც კი არ აქვთ და ამიტომ მათი მწარმოებლურობა მცირეა. კაპიტალური ინვესტიციების მცირე რაოდენობაც კი მშრომელების მწარმოებლურობის მკვეთრ ზრდას იწვევს. მდიდარ ქვეყნებში მშრომელებს კაპიტალის დიდი რაოდენობა აქვთ, რომელსაც შრომაში იყენებენ და მათი მაღალი მწარმოებლურობაც ნაწილობრივ ამით აიხსნება. მაგრამ, რაკი თითოეულ მშრომელზე კაპიტალის ასეთი დიდი რაოდენობა მოდის, დამატებითი კაპიტალური ინვესტიცია მწარმოებლურობის შე-

დარებით მცირე ზრდას იწვევს. ეკონომიკური ზრდის საერთაშორისო მონაცემების შესწავლა მკვეთრი ზრდის ეფექტის არსებობას ადასტურებს: სხვა ცვლადების, მაგალითად, ინვესტიციებზე დახარჯული მშპ-ს წილის კონტროლის გზით ღარიბი ქვეყნები, როგორც წესი, უფრო სწრაფ ეკონომიკურ ზრდას აღწევენ, ვიდრე მდიდარი ქვეყნები.

უცხოური ინვესტიციები. უცხოური ინვესტიციები რამდენიმე სახისაა. კაპიტალურ ინვესტიციას, რომლის მფლობელი და წარმმართველია უცხოური ფირმა, **პირდაპირი უცხოური ინვესტიცია** ეწოდება.

როდესაც უცხოელები ქვეყანაში ინვესტიციებს ახორციელებენ, ასე იმიტომ იქცევიან, რომ ამ ინვესტიციებიდან მოგებას ელიან. „ფორდის" საავტომობილო ქარხანა მექსიკის კაპიტალის მარაგსა და, შესაბამისად, მექსიკის მწარმოებლურობასა და მშპ-ს ზრდის. მაგრამ „ფორდი" ამ დამატებითი შემოსავლის ნაწილს, მოგების სახით ისევ ამერიკაში აბრუნებს. ამის მსგავსად, როდესაც ამერიკელი ინვესტორი მექსიკურ აქციებს ყიდულობს, მას უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი ნაწილი მექსიკური კორპორაციის მოგებიდან.

აქედან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციები სხვადასხვაგვარად მოქმედებენ მშპ-სა და მეპ-ზე. გავიხსენოთ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი ქვეყანაში მიღებული შემოსავალია, რომელსაც იღებენ როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები, ისე უცხოელები, ხოლო მთლიანი ეროვნული პროდუქტი ქვეყნის მოქალაქეების შემოსავალია, რომელსაც ისინი იღებენ როგორც ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. როდესაც „ფორდი" მექსიკაში საკუთარ ქარხანას აგებს, ამ ქარხნის შემოსავლის ნაწილს, სარგებლის სახით, ის მოქალაქეებიც იღებენ, რომლებიც მექსიკაში არ ცხოვრობენ. ამის შედეგად ეს ინვესტიცია მექსიკის მშპ-ს უფრო მეტად ზრდის, ვიდრე მექსიკის მეპ-ს.

უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთი გზაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინვესტიციების სარგებლის ნაწილი ისევ უცხოეთში ბრუნდება, ეს ინვესტიცია მაინც ზრდის ეკონომიკის კაპიტალის მარაგს, რაც უფრო მაღალ მწარმოებლურობასა და ხელფასებს უზრუნველ-

ყოფს. უფრო მეტიც, უცხოური ინვესტიციები ღარიბ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, გამოიყენონ ტექნოლოგიები, რომელთაც მდიდარი ქვეყნები ქმნიან და იყენებენ. ამის გამოა, რომ ნაკლებგანვითარებული ქვეყნების მთავრობათა მრჩეველი ეკონომისტები მხარს უჭერენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს უცხოეთიდან ინვესტიციების მოზიდვას. ხშირად ეს იმ შეზღუდვების გაუქმებას გულისხმობს, რომელიც მთავრობამ უცხოელების მიერ ადგილობრივი კაპიტალის ფლობასთან დაკავშირებით მიიღო.

განათლება. განათლებას – ადამიანური კაპიტალის ინვესტირებას – ქვეყნის გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკური წარმატებისათვის, სულ ცოტა, ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკური კაპიტალის ინვესტირებას. შეერთებულ შტატებში სკოლაში გატარებული ყოველი წელი პიროვნების ხელფასს საშუალოდ დაახლოებით 10 პროცენტით ზრდის. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ადამიანური კაპიტალი განსაკუთრებით შეზღუდულია, განსხვავება განათლებული და გაუნათლებელი მშრომელების ხელფასებს შორის კიდევ უფრო მეტია. ამიტომ ერთ-ერთი ხერხი, რომლის მეშვეობითაც მთავრობას შეუძლია ცხოვრების დონის ამაღლება, სკოლების აშენება და განათლების უპირატესობების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაა.

ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ ადამიანურ კაპიტალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის ზრდისათვის, ვინაიდან ადამიანური კაპიტალი დადებითი გარეგანი ეფექტებით ხასიათდება. გარეგანი ეფექტი ერთი პირის ქმედებების გავლენაა სხვა პირის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მაგალითად, განათლებულ ადამიანს შეუძლია ახალი იდეების ჩამოყალიბება საქონლისა და მომსახურების წარმოების საუკეთესო გზებთან მიმართებაში. თუ ეს იდეები საზოგადოების იდეების ყულაბაში შევა და ყველა შეძლებს მათ გამოყენებას, მაშინ ეს იდეები განათლებიდან მირებული დამატებითი სარგებლობაა. ამ შემთხვევაში საზოგადოებისთვის განათლების უკუგება უფრო დიდიც კია, ვიდრე ინდივიდისთვის. ეს არგუმენტი ამართლებს ადამიანური კაპიტალის ინვესტირებისთვის გაღე-

ბულ დიდ სუბსიდიებს, რომელთაც უფასო განათლების სახით ეხვდებით.

საკუთრების უფლებები და პოლიტიკური სტაბილურობა. კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც პოლიტიკოსებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას, საკუთრების უფლებების დაცვა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ეს უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მუშაობს საბაზრო ეკონომიკა.

წარმოება საბაზრო ეკონომიკაში მილიონობით ინდივიდისა და ფირმის ურთიერთქმედების შედეგია. მაგალითად, როდესაც ავტომობილს ყიდულობთ, ყიდულობთ ავტომობილების გამყიდველის, ავტომობილების მწარმოებლის, მეტალურგიული კომპანიის, რკინის მომპოვებელი კომპანიისა და მრავალი სხვა კომპანიისა თუ ინდივიდის პროდუქციას. მრავალ ფირმას შორის წარმოების ასეთი განაწილება ეკონომიკაში არსებულ წარმოების ფაქტორთა მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა. ასეთი შედეგის მისაღებად ეკონომიკამ უნდა განახორციელოს ამ ფირმების, ისევე, როგორც ფირმებისა და მომხმარებლების, ურთიერთქმედების კოორდინირება. ამას საბაზრო ეკონომიკა საბაზრო ფასების მეშვეობით აღწევს. ანუ საბაზრო ფასები ის ინსტრუმენტია, რომლითაც ბაზრის „უხილავ ხელს" მიწოდება და მოთხოვნა წონასწორობაში მოჰყავს.

ფასების სისტემის მუშაობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საკუთრების უფლებებისადმი განსაკუთრებული ყურადღება. საკუთრების უფლება გულისხმობს ადამიანების უნარს, სრულ განკარგულებაში იქონიონ საკუთარი რესურსები. სასამართლოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბაზრო ეკონომიკაში. ისინი საკუთრების უფლებებს იცავენ. სისხლის სამართლის კოდექსის მეშვეობით სასამართლოები ქურდობის სტიმულებს ამცირებენ. ამის გარდა, სამოქალაქო სამართლის კოდექსთან ერთად სასამართლოები იმის გარანტიას იძლევიან, რომ მყიდველები და გამყიდველები თავიანთი კონტრაქტების პირობებს დაიცავენ.

ერთ-ერთი საშიშროება, რომელიც საკუთრების უფლებებს ემუქრება, პოლიტიკური არასტაბილურობაა.

ამგვარად, ეკონომიკური კეთილდღეობა ნაწილობრივ პოლიტიკურ კეთილდღეობაზეა დამოკიდებული. ქვეყანას, სადაც ეფექტიანი სასამართლო სისტემა, პატიოსანი მთავრობა და სტაბილური კონსტიტუცია არსებობს, ცხოვრებას უფრო მაღალი დონე ექნება, ვიდრე ის ქვეყანა, რომელსაც სუსტი სასამართლო სისტემა, კორუმპირებული მთავრობა და ხშირი რევოლუციები თუ გადატრიალებები არყევენ.

თავისუფალი ვაჭრობა. მსოფლიოს რამდენიმე უღარიბესმა ქვეყანამ სცადა ეკონომიკური ზრდის დაჩქარება შიდა ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკის მეშვეობით. ასეთი პოლიტიკა მიზნად ისახავს ქვეყნის მწარმოებლურობისა და ცხოვრების დონის ამაღლებას დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობის შეზღუდვის გზით. ადგილობრივი ფირმები ხშირად მოითხოვენ უცხოელი კონკურენტებისგან დაცვას, რათა მიეცეთ ქვეყნის შიდა ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობა. არგუმენტი ახალი დარგების შექმნის სასარგებლოდ, უცხოელების მიმართ საყოველთაო უნდობლობასთან ერთად, ზოგჯერ დაბალგანვითარებული ქვეყნების პოლიტიკოსებს ტარიფებისა და ვაჭრობის სხვა სახის შეზღუდვებისკენ უბიძგებს.

დღევანდელ ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესია მაშინ, როდესაც ეს ქვეყნები მსოფლიო ბაზარზე ორიენტირებულ პოლიტიკას მიმართავენ, რომელიც ამ ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკაში აერთიანებს.

ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობას განსაზღვრავს არა მარტო მთავრობის პოლიტიკა, არამედ გეოგრაფიაც. იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც კარგი ბუნებრივი პორტები აქვთ, ვაჭრობა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც ასეთი რესურსები არა აქვთ.

მეცნიერული კვლევები და განვითარება. ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი იმისა, რომ ცხოვრების დონე დღეს უფრო მაღალია, ვიდრე საუკუნის წინ იყო, ტექნოლოგიური ცოდნის განვითარებაა. ტელეფონი, ტრანზისტორი, კომპიუტერი და ში-

დაწვის ძრავა მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ათასობით გამოგონებისა, რომლებმაც გააუმჯობესა საქონლისა და მომსახურების წარმოების შესაძლებლობები.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიის განვითარების უდიდესი ნაწილი ფირმებისა და ცალკეული გამომგონებლების კერძო კვლევების შედეგია, ამ კვლევების მხარდაჭერა საზოგადოების ინტერესებშიც შედის. შეიძლება ითქვას, რომ ცოდნა საზოგადოებრივი საქონელია: როდესაც ერთი ადამიანი რაიმეს აღმოაჩენს, ამით საზოგადოების ცოდნის ყულაბას ავსებს, და სხვა ადამიანებს მისი თავისუფლად გამოყენება შეუძლიათ. ისევე, როგორც სახელმწიფო თავდაცვის უზრუნველყოფის შემთხვევაში, მთავრობა დიდი როლს ასრულებს მეცნიერული კვლევებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის ხელშეწყობაშიც.

მოსახლეობის ზრდა. ეკონომისტები და სხვა სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები მუდამ კამათობენ იმის შესახებ, რა გავლენას ახდენს მოსახლეობის ზრდა საზოგადოებაზე. ყველაზე ცხადად ეს გავლენა სამუშაო ძალის ზრდაში გამოიხატება. მრავალრიცხოვანი მოსახლეობა საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი მეტი სამუშაო ძალის ქონას ნიშნავს. ამავე დროს, ეს წარმოებული საქონლის მეტი მომხმარებლის ყოლასაც გულისხმობს. თუმცა მოსახლეობის ზრდა, წარმოების სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში, სხვა შედარებით უფრო რთულ და საკამათო პროცესებსაც უწყობს ხელს.

მოსახლეობის ზრდა სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ერთი მხრივ, მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ, შესაძლოა, შეამციროს მწარმოებლურობა, რადგან თითოეული მშრომელისთვის ხელმისაწვდომი რესურსებისა და კაპიტალის რაოდენობა ბუნებრივად დაიკლებს. მეორე მხრივ, მოსახლეობის სიმრავლემ, შესაძლოა, გააძლიეროს ტექნოლოგიური პროგრესი, რადგან მრავალრიცხოვან ქვეყანაში მეცნიერებისა და ინჟინრების რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება.

4. ეკონომიკური ზრდის საწინააღმდეგო და მხარდამჭერი არგუმენტები

ამ ბოლო ხანებში სერიოზული ეჭვები წარმოიშვა ეკონომიკური ზრდის სასურველობის თაობაზე იმ ქვეყნებში, რომლებმაც მიაღწიეს კეთილდღეობის მაღალ დონეს. ეს ეჭვები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

1. გარემოს გაჭუჭყიანება. ეკონომიკური ზრდის მოწინააღმდეგენი შეშფოთებულნი არიან გარემოს მდგომარეობის გაუარესებით. მათი აზრით ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური ზრდა თანამედროვე ცხოვრების ისეთ უარყოფით მოვლენებს იწვევენ, როგორიცაა: გარემოს გაჭუჭყიანება, სამრეწველო ხმაური, ნარჩენები, ქალაქის იერსახის შეცვლა უარესობისაკენ, სატრანსპორტო ხერგილი და სხვა. ეს გამოწვეულია იმით, რომ საწარმოო პროცესში ბუნებრივი რესურსები მხოლოდ გარდაიქმნებიან და ბოლომდე არ მოიხმარებიან. პრაქტიკულად ის, რაც წარმოებაში მოიზიდება, დროთა განმავლობაში ნარჩენების სახით უბრუნდება საცხოვრებელ გარემოს. რაც მაღალია ცხოვრების დონე, მით მეტი ნარჩენი უნდა შთანთქას გარემომ. ყოველ კეთილდღეობას მიღწეულ საზოგადოებაში შემდგომი ეკონომიკური ზრდა მხოლოდ ყველაზე არაარსებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეიძლება ნიშნავდეს ეკოლოგიური კრიზისის მუქარის პირობებში. ამიტომ ზოგიერთი მეცნიერი ეკონომიკური ზრდის მიზანმიმართულ შეფერხებას მოითხოვს.

2. გადაჭრის თუ არა ეკონომიკური ზრდა ყველა პრობლემას? ეკონომიკური ზრდის მომხრეები ვარაუდობენ, რომ იგი თავისთავად გადაწყვეტს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. ამის საპირისპიროდ, ეკონომიკური ზრდის მოწინააღმდეგები თვლიან, რომ სიღარიბის პრობლემა (უთანაბრობა შემოსავლებში) განაწილების პრობლემაა და არა წარმოების და რომ მისი გადაჭრისათვის საჭიროა პოლიტიკური გაბედულება და ნებისყოფა და არა საზოგადოებრივი პროდუქტის გადიდება. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ეკონომიკური ზრდა არის თუ არა ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის საშუალება.

3. **ბარანტიების არ არსებობა.** ეკონომიკური ზრდის მოწინააღმდეგეები ვარაუდობენ, რომ სწრაფი ზრდა (განსაკუთრებით ტექნოლოგიათა განახლება) შეშფოთებას და მერყეობას იწვევს მუშაკებში. მათ მიერ დაგროვილი პროფესიული გამოცდილება და უნარ-ჩვევები ტექნიკური პროგრესის გამო შეიძლება მოძველებული აღმოჩნდეს.

4. **ეკონომიკური ზრდა და ადამიანისეული ფასეულობები.** ეკონომიკური ზრდის მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ მართალია ეკონომიკური ზრდა სიცოცხლისათვის საჭირო საშუალებებით გვამარაგებს, მაგრამ მას არ შეუძლია ჩვენთვის კარგი ცხოვრების უზრუნველყოფა. მეტის წარმოებით ნაკლებ სიხარულს ვიღებთ. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანები ხელოსნებიდან და მხატვრებიდან მანქანათა უბრალო დანამატად აქციეს, როცა ისინი მანქანის ღილაკს აჭერენ ხელს და მუშაობისაგან ესთეტიკური სიამოვნების მიღების შესაძლებლობა დაკარგეს. ეკონომიკური ზრდა მასიურ წარმოებას ნიშნავს, რომელიც შემოქმედებით ხასიათს არ ატარებს, მუშაკისათვის კმაყოფილება არ მოაქვს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისაგან მუშაკთა გაუცხოებას იწვევს.

მრავალი მეცნიერი-ეკონომისტი თელის, რომ ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზანია შემდეგი მოსაზრებების გამო:

1. **ცხოვრების დონე.** ეკონომიკური ზრდა მატერიალური სიუხვის მიღწევის და ცხოვრების დონის ამაღლების ძირითადი პირობაა, იგი შეუზღუდავ მოთხოვნასა და მწირ რესურსებს შორის წინააღმდეგობას არბილებს. ეკონომიკური ზრდის პირობებში სოციალური მიზნების არჩევა ნაკლებად მტკივნეულია და მოსახლეობის სოციალურ ჯგუფებს შორის ნაკლებ წინააღმდეგობას იწვევს. ეკონომიკური ზრდა საშუალებას იძლევა მოდერნიზებული იქნეს შეიარაღებული ძალები და იმავდროულად იგივე დონეზე შენარჩუნებული იქნეს ინფრასტრუქტურა, განხორციელდეს ხანდაზმულთა, ავადმყოფთა და ღარიბთა დახმარების პროგრამები, სრულყოფილი იქნას განათლების სისტემა და ამაღლდეს პირადი შემოსავლები.

2. ეკონომიკური ზრდა და გარემო. ეკონომიკური ზრდის მომხრეები თვლიან, რომ მისი კავშირი გარემოს მდგომარეობასთან გადაჭარბებულადაა შეფასებული. ისინი შეიძლება დავაშოროთ ერთმანეთს. თუ საზოგადოება უარს იტყვის ეკონომიკური ზრდაზე საერთოდ, მაშინ მას მოუწევს არჩევანი გააკეთოს წარმოების სხვადასხვა სტრუქტურებს შორის და ეს არჩევანი გავლენას მოახდენს გარემოს მდგომარეობასა და ცხოვრების ხარისხზე. მხოლოდ საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს შეინარჩუნოს ტყის მასივი თუ შეშად გამოიყენოს იგი. გაჭუჭყიანება არა იმდენად ეკონომიკური ზრდით არის გამოწვეული, არამედ არასწორი ფასწარმოქმნით: ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი (მდინარე, ტბა, ოკეანე, ჰაერი) განიხილება როგორც საერთო საკუთრება და მათ ფასი არა აქვთ, ამიტომ ისინი მეტად ინტენსიურად გამოიყენება, რაც მათ მდგომარეობას აუარესებს. ამ პრობლემის გადაჭრა საკანონმდებლო გზით ან სპეციალური გადასახადების დაწესებით შეიძლება. გარემოს გაჭუჭყიანების შესამცირებლად საჭიროა მისი და არა ეკონომიკური ზრდის შეზღუდვა.

3. შემოსავლების უთანაბრობა. ეკონომიკური ზრდა განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლების სამართლიანი განაწილების ერთადერთი რეალური გზაა. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საშუალო ამომრჩეველი თავიანთი შემოსავლის ღარიბებისათვის გადანაწილებას დაუჭერს მხარს, უფრო მოსალოდნელია ისინი ღარიბებისათვის მზარდი საზოგადოებრივი პროდუქტის მეტი წილის გამოყოფას მისცემენ ხმას. ღარიბთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი საშუალება არის შემოსავლების საერთო დონის ამაღლება ეკონომიკური ზრდის შედეგად, ხოლო ეკონომიკურ ზრდაზე უარის თქმა, ღარიბების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობის დაკარგვის ტოლფასი იქნება.

4. არაეკონომიკური მოსაზრებები. არასწორია მოსაზრება, რომ თითქოს ეკონომიკური ზრდა შრომას არასასურველს და საშიშს ხდის, პირიქით, როგორც წესი მოწყობილობათა განახლება შრომის დაძაბულობას ამცირებს.

ეკონომიკური ზრდის შენელება ამცირებს ადამიანთა ლტოლვას მატერიალური ფასეულობებისაკენ და მათ წარმოებისაგან გაუცხოებას იწვევს. ცხოვრების მაღალი დონე, რომელსაც ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფს, ადამიანთა სულ უფრო მეტ რაოდენობას შესაძლებლობას აძლევს მეტი დრო დახარჯოს განათლებასა და თვითრეალიზაციაზე.

საკონტროლო კითხვები

1. რას ნიშნავს ეკონომიკური ზრდა?
2. განმარტეთ ეკონომიკური ზრდის გაანგარიშების მეთოდები.
3. რომელი ფაქტორები განსაზღვრავენ ეკონომიკურ ზრდას?
4. რომელ ფაქტორს უკავია მაღალი ხვედრითი წილი ეკონომიკურ ზრდაში?
5. განმარტეთ ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები.
6. რა უარყოფითი მხარეები აქვს მშპ -ს როგორც ცხოვრების დონის მაჩვენებელს?
7. რა როლი აქვს კაპიტალის დაგროვებას ეკონომიკურ ზრდაში? რამდენად მნიშვნელოვანია ეს როლი.
8. ეკონომიკური ზრდის სახელმწიფო რეგულირების რამდენი მიმართულება არსებობს?

ტესტები

1. ტექნიკური ცოდნის სრულყოფა:

ა. ხდება მხოლოდ დიპლომირებული განათლების მიღების შედეგად;

ბ. მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს პროდუქციის გამოშვებაზე;

გ. შეიძლება მუშაობის პროცესში სწავლების შედეგად;

დ. გასული საუკუნის 60-იანი წლების ეკონომიკური ზრდაზე გავლენას არ ახდენდა.

2. გამოგონების და სიახლის დანერგვის მოტივაცია უფრო ხშირად არის:

ა. ადამიანური ცნობისმოყვარეობა;

ბ. მეტი ფულის გამომუშავების და საზოგადოებაში დაწინაურების სურვილი;

გ. უკეთესად და ეფექტირად სამუშაოს შესრულების სურვილი;

დ. ყველა წინა პასუხი სწორია;

ე. არცერთი პასუხი არა არის სწორი.

3. ყველა ქვემოთჩამოთვლილი მტკიცებულება სწორია, გარდა:

ა. ძირითადი ინვესტიციები უნდა აისახოს კაპიტალში მანამ, სანამ ისინი

ბ. ეკონომიკური ზრდაზე გავლენას მოახდენენ;

გ. ტექნოლოგიური პროგრესი სოფლის მეურნეობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდაში, რადგან იგი ადამიანებს მიწისაგან ათავისუფლებს;

დ. მანქანების საშუალებით ენერგიის დიდი რაოდენობით მიღება ინდუსტრიალიზაციის ერის დასაწყისს ნიშნავდა;

ე. დროის ყოველ მომენტში საზოგადოება ფლობს პროდუქტების წარმოების ხერხების შესახებ გარკვეულ ცოდნას;

ვ. ყველა ზემოთჩამოთვლილი სწორია.

4. თუ ეკონომიკაში წარმოების ყველა ფაქტორი ორმაგდება და ამის შედეგად გამომუშავებაც ორმაგდება, მაშინ ადგილი აქვს:

ა. მასშტაბის ეკონომიას;

ბ. მასშტაბისაგან მუდმივ უკუგებას;

გ. მასშტაბისაგან უარყოფით ეკონომიას;

დ. მასშტაბისაგან ზოგად უკუგებას.

5. მშპ -ს ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებლად გამოყენების უარყოფითი მხარეა:

ა. არ გაითვალისწინება საზოგადოების სოციალური დანახარჯები;

ბ. იგი არ არის ადამიანური ბედნიერების საზომი;

გ. მისი გამოანგარიშებისას ყურადღება არ ექცევა თავისუფალი დროის რაოდენობას;
დ. არ გაითვალისწინება წარმოებული პროდუქტების შემადგენლობა.

6. დაწყებული XIX საუკუნიდან შემოსავლების განაწილება განვი თარებულ ქვეყნებში:
ა. გახდა უფრო უთანაბრო;
ბ. ძირითადად იგივე დონეზე დარჩა;
გ. გახდა უფრო თანაბარი;
დ. ადვილად იზომება მშპ-ს მიხედვით.

7. ყველა შემდეგი არის წარმოების ფაქტორი, გარდა:
ა. ბულდოზერი;
ბ. IBM კომპანიის 500 აქცია;
გ. ხელოსანი;
დ. ჭანჭიკების მარაგი საწყობში (ღირებულებით $10 000)

სავარჯიშოები

1. დავუშვათ, საზოგადოებამ მოხმარების შემცირება და ინვესტიციების გაზრდა გადაწყვიტა.
ა. როგორ იმოქმედებს ეს გადაწყვეტილება ეკონომიკურ ზრდაზე?
ბ. საზოგადოების რომელი ჯგუფები მიიღებენ სარგებლობას ამ ცვლილებიდან? რომელი ჯგუფები დაზარალდებიან?

2. საზოგადოება ირჩევს, თავისი რესურსების რა ნაწილი მიუძღვნას მოხმარებას და რა ნაწილი – ინვესტირებას. ამ გადაწყვეტილებების ნაწილი კერძო ხარჯებს ითვალისწინებს,
სხვები კი – მთავრობის ხარჯებს.
ა. აღწერეთ კერძო ხარჯების რამდენიმე სახეობა, რომელიც წარმოადგენს მოხმარებას, და რამდენიმე სახეობა, რომელიც წარმოადგენს ინვესტირებას;

ბ. აღწერეთ მთავრობის ხარჯების რამდენიმე სახეობა, რომელიც წარმოადგენს მოხმარებას, და რამდენიმე სახეობა, რომელიც წარმოადგენს ინვესტირებას.

3. საერთაშორისო მონაცემები გვიჩვენებს, რომ ერთ სულზე არსებულ შემოსავალსა და საზოგადოებაში ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის დადებითი კავშირია.

ა. ახსენით, როგორ შეიძლება უფრო მეტი შემოსავლის პირობებში ჯანდაცვის უკეთესი შედეგების მიღება?

ბ. ახსენით, როგორ შეიძლება უკეთესი ჯანმრთელობის შედეგად უფრო მაღალი შემოსავლის მიღება?

4. საერთაშორისო მონაცემები პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებულ დადებით კორელაციაზე მეტყველებს.

ა. როგორ შეუძლია პოლიტიკურ სტაბილურობას ეკონომიკის სწრაფი ზრდის უზრუნველყოფა?

ბ. როგორ შეუძლია ეკონომიკის სწრაფ ზრდას პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა?

5. 1950-დან 2000 წლამდე მრეწველობაში დასაქმებულ ამერიკელთა ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობაში 28%-დან 13%-მდე დაეცა. ამავდროულად, მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე მთლიანად ეკონომიკა.

ა. რას გვასწავლის ეს ფაქტები შრომის ნაყოფიერების ზრდის შესახებ (რომელიც მრეწველობაში განისაზღვრება, როგორც პროდუქციის ერთი მშრომელის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა)?

ბ. თქვენი აზრით, უნდა შეშფოთდნენ თუ არა პოლიტიკოსები მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვის შემცირებით? პასუხი ახსენით.

თემა IV. ეკონომიკური ციკლები

1. მაკროეკონომიკური არასტაბილურობის არსი

იდეალურ საზოგადოებაში მთლიანი შიდა პროდუქტი სწრაფი და მყარი ტემპით იზრდება. რეალურ სინამდვილეში კი ადგილი აქვს ეკონომიკის მეტად არათანაბარზომიერ განვითარებას – მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას.

ყოველი საზოგადოება ცდილობს უწყვეტი ეკონომიკური ზრდის მიღწევას სრული დასაქმებისა და სტაბილური ფასების პირობებში. მსოფლიო ეკონომიკის ისტორიისათვის დამახასიათებელ ძირითად ტენდენციას წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ზრდა. მაგრამ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას პერიოდულად თან ახლავს არასტაბილურობა, რომელიც ეკონომიკის ყველა სექტორს მოიცავს.

მაკროეკონომიკური არასტაბილურობა საბაზრო სისტემისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. მისთვის ნიშანდობლივია ეკონომიკური მერყეობა, რესურსების ქაოსური მოძრაობა, საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობა, სოციალური პრობლემების გახშირება და ა.შ. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს წარმოების დაცემას, რასაც მოჰყვება უმუშევრობა და ინფლაცია. ყოველივე ეს აქვეითებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ამცირებს შრომის ფასს, სამომხმარებლო მოთხოვნას, ეკონომიკის ინვესტირებას, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ უფრო აფერხებს საქმიან აქტიურობას ქვეყანაში.

მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას უამრავი ფაქტორი განაპირობებს. ეკონომისტთა ერთი ნაწილი ამის მიზეზად ტექნიკურ სიახლეებსა და გამოგონებებს მიიჩნევს, რაც, მათი აზრით, დიდ გავლენას ახდენს წარმოების მოცულობაზე, დასაქმებასა და ფასების დონეზე, შედეგად კი – კაპიტალდაბანდებებსა და წარმოების ხარჯებზე. ეკონომისტთა მეორე ჯგუფი ეკონომიკის არასტაბილურობასა და მერყეობას პოლიტიკური მიზეზებითა და სხვა დროებითი მოვლენებით (მაგალითად ომებით) ხსნის. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ეს მოვლენა წმინ-

და მონეტარული ფაქტორით აიხსნება: როდესაც სახელმწიფო ბრუნვაში უშვებს ძალზე დიდი რაოდენობით ფულს, ეს იწვევს ინფლაციურ ბუმს, საბოლოო ანგარიშით კი – წარმოების დაცემასა და უმუშევრობის ზრდას.

ეკონომისტთა დიდი ნაწილი არასტაბილურობისა და მერყეობის განმსაზღვრელ ფაქტორად მოგების გამოდევნებას თვლის. მათი აზრით, მოგებისაკენ სწრაფვა იწვევს წარმოების მოცულობის იმგვარ ზრდას, რაც საბოლოოდ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევას განაპირობებს. როგორც ცნობილია, მიწოდების მკვეთრი გადამეტება მოთხოვნაზე უკუგაელენას ახდენს წარმოებაზე, იწვევს რა ფასების დაცემას, პროდუქციის გამოშვების შემცირებასა და ა.შ. ამას მოსდევს ეკონომიკის არასტაბილურობა და მერყეობა, რომელიც ციკლურ ხასიათს იღებს.

მაკროეკონომიკური არასტაბილურობა დამახასიათებელია ყველაზე განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი. მართალია, მათთვის ძირითადად ნიშანდობლივია მნიშვნელოვანი ეკონომიკური განვითარება, ტექნიკური პროგრესი, საწარმოო სიმძლავრეებისა და ცხოვრების დონის ამაღლება, მაგრამ დროგამოშვებით ყოველივე ამას ცვლის მერყეობა უმუშევრობისა და ინფლაციის ზრდის სახით. დროდადრო ეკონომიკური ზრდა ადგილს უთმობს დაქვეითებასა და დეპრესიას, ანუ დასაქმებისა და წარმოების დაბალ დონეს. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის არასტაბილურობა და მერყეობა საბაზრო სისტემის დამახასიათებელი და თანმდევი მოვლენაა, მაგრამ სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური რეგულირებით მისი აღკვეთა სავსებით შესაძლებელია.

2. ეკონომიკური რყევები

ეკონომიკური აქტივობის მოკლევადიანი პერიოდის რყევები ყველა ქვეყანაში იჩენს თავს. წლიდან წლამდე მიმდინარე რყევების გასაგებად განვიხილოთ მათი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლები:

1. ეკონომიკური რყევები არარეგულარული და არაპროგნოზირებადია. ეკონომიკაში რყევებს ხშირად **ბიზნესის ციკლს** უწოდებენ. როგორც ტერმინიდან ჩანს, ეკონომიკური რყევები ბიზნეს-პირობების ცვლილებებს შეესაბამება. როდესაც რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა სწრაფია, კარგი ბიზნეს-პირობები იქმნება. ფირმებს ბევრი მომხმარებელი ჰყავს და შემოსავალიც იზრდება. მეორეს მხრივ, როცა რეალური მშპ მცირდება, ბიზნესში პრობლემები ჩნდება. რეცესიის დროს ფირმების მიერ გაყიდული საქონლის რაოდენობა და გაყიდვიდან მიღებული მოგება მცირდება.

ტერმინ ბიზნესის ციკლს გარკვეულწილად შეცდომაში შევყავართ, რადგან, ერთი შეხედვით, ეკონომიკური რყევები თითქოს რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული სქემით ხდება. სინამდვილეში კი ეკონომიკური რყევები სულაც არ არის რეგულარული და თითქმის სრულიად შეუძლებელია მათი თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით წინასწარმეტყველება.

2. მაკროეკონომიკურ სიდიდეთა უმრავლესობა ერთდროულად მერყეობს. რეალური მშპ ყველაზე ხშირად გამოიყენება ეკონომიკაში მოკლევადიან ცვლილებებზე დაკვირვებისათვის, რადგანაც ის ეკონომიკური აქტივობის ყველაზე მრავალმხრივი მახასიათებელია. მაგრამ ხშირად მოკლევადიან რყევებზე დაკვირვებისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ეკონომიკური აქტივობის რომელ მახასიათებელს ავიღებთ. იმ მაკროეკონომიკური ცვლადების უმეტესობა, რომლებიც გარკვეული სახის შემოსავალს, ხარჯებსა თუ წარმოებას ახასიათებს, თითქმის ერთდროულად მერყეობს. როდესაც რეცესიების დროს რეალური მშპ მცირდება, შესაბამისად მცირდება პირადი შემოსავალიც, კორპორაციების მოგებაც, სამომხმარებლო ხარჯებიც, საინვესტიციო ხარჯებიც, პროდუქციის მოცულობაც, საცალო ვაჭრობაც, უძრავი ქონებით ვაჭრობაც, ავტომობილებით ვაჭრობაც და ა.შ. რადგან რეცესია ფართო ეკონომიკური ფენომენია, ამიტომ მრავალ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთან მიმართებაში იჩენს თავს.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ეკონომიკური ცვლადი ერთდროულად მერყეობს, ეს ცვლადები სხვადასხვა სიდიდით

იცვლება. კერძოდ, საინვესტიციო ხარჯები მნიშვნელოვნად იცვლება ბიზნესის ციკლის განმავლობაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინვესტიცია საშუალოდ რეალური მშპ-ს ერთ მეშვიდედს შეადგენს, რეცესიების დროს ინვესტიციების კლება დაახლოებით მშპ-ს კლების ორი მესამედით განისაზღვრება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ეკონომიკის პირობები უარესდება, მნიშვნელოვნად მცირდება თანხები, რომლებიც ახალ ქარხნებს, შენობებსა თუ მოწყობილობებს ხმარდება.

3. როცა წარმოება მცირდება, უმუშევრობა იზრდება. ცვლილებები საქონლისა და მომსახურების წარმოებაში მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკაში სამუშაო ძალის ათვისების მასშტაბის ცვლილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა რეალური მშპ მცირდება, უმუშევრობის დონე იზრდება. ეს არც არის გასაკვირი. როდესაც ფირმები ნაკლები რაოდენობის საქონლისა და მომსახურების წარმოებას გადაწყვეტენ, ისინი ათავისუფლებენ პერსონალს და ზრდიან უმუშევართა რიგებს.

როდესაც რეცესია მთავრდება და რეალური მშპ ზრდას იწყებს, უმუშევრობის დონეც თანდათან კლებულობს. უმუშევრობის დონე ნულს არასოდეს აღწევს; ის ბუნებრივი დონის საზღვრებში მერყეობს, რომელიც დაახლოებით 5-დან 6%-მდეა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანთა საქმიანობის პრაქტიკა მიუთითებს ეკონომიკური პირობების ცვალებადობაზე. ეკონომიკურმა აღმავლობამ შეიძლება განაპირობოს ეკონომიკური კრიზისი ანუ ეკონომიკური დაქვეითება, რომელსაც მოჰყვება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), დასაქმებისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება. ამ პროცესს თან ახლავს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების დონის დაცემა. შემდეგ ეს პროცესი შეიძლება განმეორდეს, ანუ, აღმავლობას კვლავ მოჰყვეს ახალი კრიზისი. წარმოების ასეთი აღმავლობა და დაცემა ქმნის **ეკონომიკურ ციკლს.**

3. ეკონომიკური ციკლის ფაზები და ძირითადი ნიშნები

არცერთი ეკონომიკური ციკლი ზუსტად არ იმეორებს მეორე ციკლს, მაგრამ მათ მაინც აქვთ ბევრი საერთო ნიშანი: აღმავალობა და კრიზისი, წარმოების გაფართოება და დაცემა ეკონომიკური ციკლის მთავარი ფაზებია.

ეკონომიკური კრიზისები პერიოდულად მეორდება. პირველი საყოველთაო კრიზისი დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის განვითარებასთან და იფეთქა 1825 წელს ინგლისში. რიგით მე-4 კრიზისი, რომელიც დაიწყო 1857 წელს, უკვე წარმოადგენდა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს. XIX საუკუნის მე-2 ნახევარში ეკონომიკური კრიზისები კიდევ უფრო გახშირდა.


XX საუკუნის პირველი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო 1900 წელს, რომელსაც მოჰყვა 1907 წლის კრიზისი. პირველმა მსოფლიო ომმა გადაავადა კრიზისის განმეორება. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ (1920-1921 წწ.) ახალ ეკონომიკურ კრიზისს ჰქონდა ადგილი. მას მოჰყვა ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკის სტაბილიზაცია, რომელმაც წარმოშვა მანამდე არნახული სიძლიერისა და ხანგრძლივობის (1929-1933 წწ.) ეკონომიკური კრიზისი და რომელიც უმაგალითო იყო თავისი სიღრმით, სიმწვავითა და ხანგრძლივობით. სწორედ ამ კრიზისმა მოუღო ბოლო **Laisser faire** (ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის) დოქტრინას და განაპირობა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლერება. 1937-1938 წლებში იფეთქა ახალმა ეკონომიკურმა კრიზისმა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ხელი შეუშალა მის შემდგომ გაღრმავებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მართალია არ ყოფილა დამანგრეველი სიძლიერის ეკონომიკური კრიზისები, მაგრამ ისინი პერიოდულად მაინც ახსენებდნენ თავს ინდუსტრიულ ქვეყნებს, განსაკუთრებით აშშ-ს.

ცალკეული ეკონომიკური ციკლები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხანგრძლივობითა და ინტენსივობით. მიუხედავად ამისა, ყოველ მათგანს ერთი და იგივე ფაზები გააჩნია, რომელთა ფორმულირება სხვადასხვა მკვლევარებთან მეტ-

ნაკლებად განსხვავებულია. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდეგნაირი განმარტება არსებობს: **ეკონომიკური ციკლი ნიშნავს ეკონომიკური აქტიურობის დონეთა ალმავლობისა და დაცემის მონაცვლეობას, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში ვლინდება.** მას აქვს ოთხი ფაზა: **პიკი, დაქვეითება, დეპრესია და გამოცოცხლება.** დაქვეითება და გამოცოცხლება მიჩნეულია ციკლის უმთავრეს ფაზებად, ხოლო პიკი და ფსკერი, ანუ დეპრესია – შემობრუნების ფაზებად.

ეკონომიკა მაშინ იწყებს დაქვეითებას, როცა რეალური მშპ მცირდება ზედიზედ 6 თვის განმავლობაში. დაქვეითება მთავრდება დეპრესიით.



ნახ. 3.1 ეკონომიკური ციკლი

ეკონომისტები გამოყოფენ ეკონომიკური ციკლის ოთხ ფაზას და აღიარებენ, რომ ისინი ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხანგრძლივობით. მაგალითად, დაქვეითება ყოველთვის როდი იწვევს სერიოზულ და ხანგრძლივ უმუშევრობას, ხოლო ციკლის პიკი – სრულ დასაქმებას.

ბუნებრივია იბადება კითხვა: არსებობს თუ არა ეკონომიკური **დაქვეითების** (ანუ კრიზისის) რაიმე ტიპიური ნიშნები? ასეთი ნიშნები პრაქტიკულად უკვე შემჩნეულია. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს: 1. ეკონომიკაში შეიმჩნევა სამომხმარებლო მოთხოვნის მკვეთრი შემცირება, მაშინ, როცა სწრაფად იზრდება ავტომობილებისა და სხვა ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ბაზრისთვის მიწოდება. ერთობლივი მოთხოვნის შემცირე-

ბა იწვევს რეალური მშპ-ს წარმოების შემცირებას. მას თან ახლავს ინვესტიციის ნორმის დაცემა, რომელიც მშპ-ს ყველაზე ცვალებადი კომპონენტია; 2. მცირდება მოთხოვნა შრომაზე. ჯერ ეს ვლინდება სამუშაო კვირის საშუალო დროის შემცირებით, რომელსაც მოსდევს წარმოების შეკვეცა და უმუშევრობის ზრდა; 3. წარმოების შემცირება ასუსტებს მოთხოვნას ნედლეულზე, შესაბამისად კლებულობს ნედლეულზე ფასები და მცირდება მათი მიწოდება; 4. ეცემა ხელფასისა და ინფლაციის ზრდის ტემპები; 5. ეკონომიკური დაქვეითების დროს მკვეთრად ეცემა მოგება. ამის წინასწარი მაუწყებელია აქციების კურსის დაცემა.

დეპრესიის ფაზაში ეკონომიკა დეპრესიულ მდგომარეობაშია: წარმოების დაცემა წყდება, იზრდება ფულის მიწოდება, კლებულობს მოთხოვნა კრედიტზე, ეცემა სარგებლის დონე, იაფდება კრედიტი. დეპრესიის ქვედა წერტილი იმით ხასიათდება, რომ მას შემდეგ, რაც წარმოება და დასაქმება ყველაზე დაბალ დონეს მიაღწევს, კვლავ იწყება ფსკერიდან ამოსვლა.

ასეთია ეკონომიკური დაქვეითებისა და დეპრესიის, ანუ კრიზისის, ძირითადი ნიშნები. რაც შეეხება ციკლის მეორე მთავარი ფაზის, **აღმავლობის** ნიშნებს, ისინი სრულიად განსხვავდებიან კრიზისის ნიშნებისაგან. კერძოდ, იზრდება მოთხოვნა კრედიტზე, მაღლდება სარგებლის განაკვეთი, იზრდება ინვესტიციის მოცულობა, მოგება. დასაქმება მატულობს სრულ დასაქმებამდეც კი. ეკონომიკაში გამოცოცხლების პროცესი თანდათან ძლიერდება, ფასების დონე იწყებს მატებას, სანამ არ მოხდება სრული დასაქმება და წარმოება მთელი სიმძლავრით არ ამუშავდება.

ეკონომიკური ციკლის **პიკის** ფაზა ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკაში სრული დასაქმება შეინიშნება და წარმოება სრული ან თითქმის სრული სიმძლავრით მუშაობს.

ეკონომიკის არასტაბილურობა და მერყეობა ძირითადად ეკონომიკური ციკლებით აიხსნება, მაგრამ ამ პროცესებს ხელს უწყობს ზოგიერთი სხვა ფაქტორიც: პირველ რიგში სეზონური მერყეობა, რომელიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მეურნეობის ყველა დარგზე. მაგალითად, ვაჭრობაში მერყეობას იწ-

ვევს შობის ან აღდგომის დღესასწაულების წინ სამომხმარებლო ბუმი, რომლის დროსაც დიდად იზრდება ეკონომიკური აქტიურობის ტემპები.

სეზონურ მერყეობას გარკვეულწილად განიცდის სოფლის მეურნეობა, საავტომობილო მრეწველობა, მშენებლობა და სხვ. ეკონომიკური არასტაბილურობა დამოკიდებულია აგრეთვე გრძელვადიან ტენდენციებზე ეკონომიკაში, ე. ი. ეკონომიკური აქტიურობის ზრდაზე ან შემცირებაზე ხანგრძლივი პერიოდის, მაგალითად, 25, 50 ან 100 წლის განმავლობაში. ამის საილუსტრაციოდ მიჩნეულია აშშ-ის ეკონომიკა, რომლისთვისაც ეკონომიკური ზრდა ხანგრძლივი პერიოდის ტენდენცია იყო. ახლა კი იქ შეიმჩნევა ეკონომიკური ციკლისათვის დამახასიათებელი საქმიანი აქტიურობის მერყეობა ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი ტენდენციის პირობებში.

4. ეკონომიკური ციკლის ზეგავლენა ხანგრძლივი და მოკლევადიანი გამოყენების საქონელთა წარმოებაზე

ეკონომიკური ციკლი ყველგან აღწევს, იგი პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა კუთხე-კუნჭულში იგრძნობა. ეკონომიკის ელემენტების ურთიერთკავშირი თითქმის არავის აძლევს დეპრესიის ან ინფლაციის ციებ-ცხელებათა თავიდან აცილების შესაძლებლობას. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ეკონომიკური ციკლი სხვადასხვა გზით და სხვადასხვა ზომით ზემოქმედებს ცალკეულ სექტორზე.

რაც შეეხება წარმოებასა და დასაქმებას, ჩვეულებრივ დაქვეითებისაგან ყველაზე მეტად ზარალდება მრეწველობის ის დარგები, რომლებიც წარმოების საშუალებებსა და ხანგრძლივი სარგებლობის სამომხმარებლო საქონელს უშვებენ. წარმოება და დასაქმება მოკლევადიანი გამოყენების სამომხმარებლო საქონელთა გამომშვებ დარგებში, ჩვეულებრივ, ნაკლებად რეაგირებენ ციკლებზე. მრეწველობის დარგები და მუშები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საცხოვრებელი სახლებისა და სამრეწველო ნაგებობების მშენებლობასთან, მძიმე მანქანათმშე-

ნებლობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ავტომანქანების, მაციერებისა და მსგავს საქონელთა წარმოებასთან, მძიმე დარტყმას განიცდიან. მრეწველობის ის დარგები კი, რომლებიც აწარმოებენ ხანგრძლივი გამოყენების საქონელს, აღმავლობის ფაზაში განვითარების მაქსიმალურ სტიმულს ღებულობენ. ეს მაგალითები ნათლად გვიჩვენებენ მრეწველობის ამ დარგების დამოკიდებულებას ციკლურ მერყეობაზე.

გადავადების შესაძლებლობა. ხანგრძლივი გამოყენების საქონელთა ყიდვა შეიძლება რაღაც დროით გადავადებულ იქნას. როცა ეკონომიკა სიძნელეებს განიცდის, მწარმოებლები ხშირ შემთხვევაში შეწყვეტენ უფრო თანამედროვე მოწყობილობის შეძენას და ახალი ქარხნების აშენებას. ასეთი კონიუნქტურის დროს აზრი არა აქვს საინვესტიციო საქონელთა მარაგის გადიდებას. ყველა შემთხვევაში ფირმას ჯერ კიდევ შეუძლია გამოიყენოს არსებული სიმძლავრეები. ხელსაყრელ პერიოდებში წარმოების საშუალებები, როგორც წესი, მათ სრულ გაცვეთამდე შეიცვლებიან. დაქვეითების დაწყებისას, ფირმები არემონტებენ თავიანთ მოძველებულ მოწყობილობას და ამუშავებენ მას. ამიტომ, ინვესტიციები წარმოების საშუალებებში მკვეთრად მცირდება.

მრავალი ამ მოსაზრებათაგანი სამართლიანია ხანგრძლივი მოხმარების საქონელთა მიმართაც. როდესაც იწყება დაქვეითება და საოჯახო ბიუჯეტის შემცირება აუცილებელი ხდება, იმსხვრევა ხანგრძლივი გამოყენების საქონელთა შეძენის გეგმები, ისეთების, როგორიცაა საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავტომანქანები, ადამიანები არ ყიდულობენ ახალ მოდელებს. სხვანაირადაა საქმე კვების პროდუქტებისა და ტანსაცმლის მიმართ. ოჯახმა უნდა ჭამოს და ჩაიცვას. ეს ყიდვა არ შეიძლება დიდხანს გადაიდოს. მართალია, რაღაც ზომით ამ ყიდვათა მოცულობა შემცირდება და რა თქმა უნდა, გაუარესდება მათი ხარისხი, მაგრამ არა იმ ზომით, რა ზომითაც ხანგრძლივი გამოყენების საქონლისა.

მონოპოლიათა ბალაუფლება. მრეწველობის დარგთა უმეტესობა, რომლებიც საინვესტიციო და ხანგრძლივი გამოყენების საქონელს აწარმოებს, მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა,

როდესაც ბაზარზე ბატონობს მსხვილ ფირმათა შედარებით მცირე რაოდენობა. ამის გამო, აღნიშნული ფირმები მონოპოლიურად გაბატონებულნი ხდებიან და როდესაც მოთხოვნა მცირდება ამა თუ იმ საქონელზე, განსაზღვრული პერიოდის მანძილზე ეწინააღმდეგებიან ფასების დაცემას პროდუქციის გამოშვების შეზღუდვის გზით. ამიტომ, მოთხოვნის შემცირება ძირითადად ზეგავლენას ახდენს წარმოებასა და დასაქმებაზე. საპირისპირო სურათი შეიმჩნევა მრეწველობის დარგებში, რომლებიც ხანმოკლე გამოყენების საქონელს აწარმოებენ. ეს დარგები საკმაოდ კონკურენტუნარიანი არიან და დაბალი კონცენტრაციით ხასიათდებიან. მათ არ შეუძლიათ წინ აღუდგნენ ფასების შემცირებას და მოთხოვნის შემცირება მეტწილად ფასებში აისახება, ვიდრე წარმოების დონეში.

5. ეკონომიკური ციკლის გარეგან და შინაგან ფაქტორთა შეფასება

ეკონომისტთა უმრავლესობა კრიზისების გარეგან და შინაგან მიზეზებს განიხილავს მათ ერთობლიობაში. ეკონომიკას ძლიერი დარტყმა შეიძლება მიაყენოს ომებმა, სხვადასხვა პოლიტიკურმა მოვლენებმა, უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ნედლეულზე, მაგალითად ნავთობზე, ფასების ძლიერმა მატებამ. ეკონომიკური ციკლის მთავარი დეტერმინანტი – კაპიტალდაბანდება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზე (მსოფლიოში მოცემული სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური როლის გაძლიერების პერსპექტივა, საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მსოფლიო მოსახლეობის ზრდა....). ინვესტიციაზე მოთხოვნა დამოკიდებულია სახელმწიფოს ფულადი შემოსავლების პოლიტიკაზე. მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების ამაღლება იწვევს მიწოდების გადიდებას და შესაბამისად, ეკონომიკაში ინვესტიციის ზრდას. ხოლო, როდესაც ეკონომიკური დაქვეითების დროს ძნელდება წარმოებული პროდუქტის რეალიზაცია

და მცირდება წარმოების მოცულობა, ადგილი ექნება კაპიტალის დაგროვების შემცირებას.

რაზე მიუთითებს აღნიშნული მსჯელობა? აშკარაა, რომ კაპიტალდაბანდებაზე მოქმედებს გასაღებისა და პროდუქციის ზრდა. ეს დამოკიდებულება ცნობილია როგორც „აქსელერატორის პრინციპი", რომელიც ეკონომიკური ციკლის თითქმის ყველა თეორიის შემადგენელი ელემენტია.

აქსელერატორის პრინციპი წარმოადგენს თეორიას კაპიტალდაბანდების დეტერმინანტების შესახებ. ამ თეორიის თანახმად, საზოგადოებისათვის აუცილებელი ძირითადი კაპიტალი (მანქანები, მოწყობილობა, წარმოებრივი მარაგი), უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია შემოსავლების ან წარმოების მოცულობის დონეზე. ძირითადი კაპიტალის (წმინდა ინვესტიციის) ზრდა ხდება მხოლოდ შემოსავლის (წარმოების) ზრდის პირობებში. მაშასადამე, აყვავების პერიოდი შეიძლება დასრულდეს არა მხოლოდ სამომხმარებლო საქონლის გაყიდვის შემცირების შედეგად, არამედ იმის გამოც, რომ გასაღება სტაბილური გახდა მაღალ დონეზე, ან ადრინდელთან შედარებით ნაკლები ტემპით გაიზრდება.

ამ მოსაზრების ახსნა შესაძლებელია მარტივი არითმეტიკული მაგალითით. წარმოვიდგინოთ ჩვეულებრივი საფეიქრო საწარმო, რომლის ძირითადი კაპიტალის ღირებულება ყოველთვის ორჯერ აღემატება ამ საწარმოს მიერ წლიურად გამოშვებული პროდუქციის ღირებულებას. ამრიგად, თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში საწარმო ყიდის 30 მლნ ლარის პროდუქციას, მაშინ მის ბალანსზე ითვლება 60 მლნ ლარის კაპიტალური მოწყობილობა. მაგალითად, ვთქვათ, იგი შედგება განსხვავებული ასაკის 20 მანქანისაგან, ამასთან, წლის განმავლობაში ერთი მანქანა გამოდის მწყობრიდან და მოითხოვს ახლით შეცვლას. რამდენადაც ეს შეცვლა უთანაბრდება ამორტიზაციის ანარიცხებს, არ გვაქვს წმინდა ინვესტიცია ან დაზოგვა. წლიური მთლიანი ინვესტიცია (3 მლნ ლარი) შეესაბამება ერთი მანქანის წლიურ ანაზღაურებას. დანარჩენი 27 მლნ ლარი ხმარდება შრომის ანაზღაურებასა და დივიდენდების გაცემას. ეს

შეიძლება დავინახოთ აქსელერაციის პრინციპის ილუსტრაციის ცხრილში (პირველი ფაზა).

ახლა დაეუშვათ, რომ მეოთხე წლის განმავლობაში მოცემული საწარმოს პროდუქციის რეალიზაცია გაიზარდა 50%-ით: 30 მლნ ლარიდან 45 მლნ ლარამდე. ამ შემთხვევაში მანქანების რიცხვიც უნდა გაიზარდოს 50%-ით (ჩვენი დაშვების თანახმად ძირითადი კაპიტალისა და პროდუქციის შეფარდება უდრის 2:1) – 20 მანქანიდან 30 მანქანამდე. მეოთხე წელს საწარმომ უნდა შეიძინოს 11 მანქანა, აქედან ერთი – ამორტიზებული მანქანის სანაცვლოდ. რას ვხედავთ? გაყიდვა გაიზარდა 50%-ით, მაგრამ ინვესტიცია 1000%-ით გაიზარდა! პროდუქციის რეალიზაციის (მოხმარების) ცვლილებაზე ინვესტიციის აჩქარებული (აქსელერატორული) ეფექტი წარმოადგენს აქსელერატორის პრინციპის არსს.

თუ მეხუთე და მეექვსე წელს პროდუქციის რეალიზაცია კვლავ გაიზრდება 15 მლნ ლარით, მაშინ ყოველ წელს ამ საწარმოს დაჭირდება 11 ახალი მანქანა (10+1). ამრიგად, აქსელერატორის პრინციპმა გამოიწვის ინვესტიციური ხარჯების შეფარდებითი უზარმაზარი ზრდა, მაგრამ წარმოიშვა მოულოდნელი საშიშროება: **აქსელერატორის პრინციპის თანახმად ინვესტიციის დონე რომ არ დაეცეს, აუცილებელია შევინარჩუნოთ ზრდადი მოხმარება.** თუ პროდუქციის გასაღების ზრდის ტემპი ნულოვანი გახდება, მაშინ მეშვიდე წელს საწარმოს მიერ რეალიზებული პროდუქციის მოცულობა 75 მლნ ლარს გაუთანაბრდება (გაყიდვის მაღალი დონე), წმინდა ინვესტიცია შეწყდება, ხოლო მთლიანი ინვესტიცია შემცირდება ერთ მანქანამდე. მერვე წელს კი დაიწყება ინვესტიციის შემცირება (იხ. ცხრილი 3.1). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაყიდვის ზრდის ტემპის ნულამდე დაცემა იწვევს მთლიანი ინვესტიციის 90%-ით, ხოლო წმინდა ინვესტიციის 100%-ით შემცირებას.

აქსელერაციის პრინციპი ფლობს ორმხრივ მოქმედებას. თუ გაყიდვის მოცულობა წლიურად 75 მლნ ლარზე ნაკლები გახდება, მაშინ მთლიანი ინვესტიცია ნულამდე შემცირდება. ამ პირობებში საწარმომ შეიძლება განახორციელოს დეინვესტირება (გამოყენებული მანქანების ნაწილის გაყიდვა). ახლა უკვე

ნათელი ხდება, რომ ეკონომიკური დაქვეითება შეიძლება გამოიწვიოს მოხმარების ზრდის ტემპის შეწყვეტამ, თუნდაც მიიღწეულ იქნას მოხმარების მაღალი დონე. სავსებით ცხადია, რომ მანქანების მწარმოებლურ დარგებში წარმოების შემცირება გამოიწვევს დეპრესიულ მოვლენებს, შეამცირებს შემოსავლებსა და ხარჯებს ფართო მოხმარების საგნებზე.

ცხრილი 3.1

აქსელერაციის პრინციპის ილუსტრაცია

დრო	წლიური გაყიდვა	ძირითადი კაპიტალი	წმინდა ინვესტიცია	მთლიანი ინვესტიცია (წმინდა ინვესტიცია + ანაზღაურება)
ბირველი ფაზა				
I წელი	30	60	0	1 მანქანა = 3 მლნ ლარი
II წელი	30	60	0	1 მანქანა = 3 მლნ ლარი
III წელი	30	60	0	1 მანქანა = 3 მლნ ლარი
მეორე ფაზა				
IV წელი	45	90	30	11 მანქანა = 33 მლნ ლარი
V წელი	60	120	30	11 მანქანა = 33 მლნ ლარი
VI წელი	75	150	30	11 მანქანა = 33 მლნ ლარი
მესამე ფაზა				
VII წელი	75	150	0	1 მანქანა = 3 მლნ ლარი
მეოთხე ფაზა				
VIII წელი	73,5	147	- 3	- 1 მანქანა = - 3 მლნ ლარი

ამან, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება განაპირობოს საფეიქრო ნაწარმის გაყიდვის ზრდის სრული შეწყვეტა ან შემცირება. უკანასკნელი კი გამოიწვევს წმინდა ინვესტიციის შემდგომ დაჩქარებულ შემცირებას. ამრიგად, აქსელერატორი გვევლინება ეკონომიკური სტაბილურობის ძლიერ ფაქტორად. წარ-

მოებისა და მოხმარების მოცულობის ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს უფრო არსებითი ცვლილებები ინვესტიციებში.

მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის ურთიერთდამოკიდებულება. ეკონომიკური ციკლის თანამედროვე თეორიები მეტწილად დაფუძნებულია მულტიპლიკატორულ-აქსელერატორული მოდელების ურთიერთმოქმედებაზე. როგორც აღინიშნა, პროდუქციის რეალიზაციის შემცირება იწვევს ინვესტიციის აჩქარებულ შემცირებას. რაღაც წერტილში ინვესტიცია აღწევს უკიდურესად დაბალ წერტილს. აქსელერატორის პრინციპის თანახმად, როცა პროდუქციის რეალიზაცია სწრაფად ეცემა, ინვესტიცია გახდება უარყოფითი, ანუ მივიღებთ დეინვესტიციას. მაგრამ, მიკროეკონომიკის დონეზე ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ინვესტიცია გახდეს უარყოფითი სიდიდე. ამიტომ, ინვესტიციის შემცირებას აქვს თავისი საზღვარი. როცა ინვესტიცია მაქსიმალურად დაბალი გახდება, იგი კლებას შეწყვეტს, რის შემდეგ მთლიანი ცაპიტალდაბანდება ნელნელა მოიმატებს და დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა. ახალი კაპიტალდაბანდება გამოიწვევს პროდუქციის შემდგომ ზრდას მულტიპლიკატორის კოეფიციენტის საშუალებით. მაგრამ რაღაც წერტილში პროდუქციის ზრდა დაიწყებს კლებას და აქსელერატორი იწყებს ეკონომიკური ექსპანსიის წინააღმდეგ მოქმედებას.

ამრიგად, სახეზეა ეკონომიკური ციკლის მარტივი მოდელი.

საკონტროლო კითხვები

1. რომელია მაკროეკონომიკური არასტაბილურობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები?
2. რა არის ეკონომიკური ციკლი? როგორია მისი ფაზები? რა დროის მანძილზე გრძელდება ეკონომიკური ციკლები?
3. ეკონომიკური ციკლი რატომ ახდენს უფრო ძლიერ ზემოქმედებას წარმოებასა და დასაქმებაზე ხანგრძლივვადიანი სარგებლობის საქონელთა მწარმოებელ დარგებში, ვიდრე მოკლევადიანი სარგებლობის საქონელთა მწარმოებელ დარგებში?

4. რატომ აძნელებენ ეკონომიკური ციკლის შეფასებას სეზონური შერყევები და ხანგრძლივვადიანი შერყევები?
5. რომელია ეკონომიკური ციკლის შინაგანი ფაქტორები?
6. რომელი გარეგანი ფაქტორები ახდენენ ძირითად ზეგავლენას ეკონომიკური ციკლის მიმდინარეობაზე?
7. რა ტიპიური ნიშნებით ხასიათდება დაქვეითება?
8. რაში მდგომარეობს აქსელერატორის პრინციპის ძირითადი დედააზრი?
9. როგორ ვლინდება მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის ურთიერთდამოკიდებულება?

ტესტები

1. ადამიანი, რომელმაც ეკონომიკური დაქვეითების პერიოდში დაკარგა სამუშაო, მიეკუთვნება უმუშევართა იმ კატეგორიას, რომელსაც ეწოდება:
ა. ფრიქციული;
ბ. სტრუქტურული;
გ. ციკლური;
დ. ყველა წინა პასუხი მცდარია.

2. ეკონომიკური აღმავლობის პროცესი სრულდება მაშინ, როდესაც....
ა. პროდუქციის გასაღება ადრინდელთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით იზრდება;
ბ. სამომხმარებლო საქონლის გაყიდვა მნიშვნელოვნად მცირდება;
გ. მცირდება სარგებლის განაკვეთი;
დ. იზრდება მოთხოვნა კრედიტზე.

3. ეკონომიკური არასტაბილურობა დამოკიდებულია....
ა. სეზონურ მერყეობაზე;
ბ. ეკონომიკის განვითარების ციკლურ ხასიათზე;

გ. ეკონომიკური აქტიურობის ზრდაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;
დ. ყველა წინა პასუხი სწორია.

4. ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური მოვლენებიდან რომელი ახასიათებს აღმავლობის ფაზას?
ა. ფასების ზრდა;
ბ. უმუშევრობის ზრდა;
გ. წარმოების მოცულობის ზრდა;
დ. ხელფასის ზრდა.

სავარჯიშოები

1. რა თავისებურებები ახასიათებს სტრუქტურულ კრიზისებს? რით განსხვავდებიან ისინი ციკლური კრიზისებისაგან?

2. კლასიკური ეკონომიკური ციკლის რომელ ფაზას ახასიათებს შემდეგი მოვლენები?
ა. ფასების ვარდნა;
ბ. წარმოების მოცულობის უმნიშვნელო მატება;
გ. საქონლის ჭარბწარმოება;
დ. ფასების მატება და უმუშევრობის შემცირება;
ე. ფასების ვარდნის შეჩერება; სასაქონლო მარაგების სტაბილიზაცია.

3. ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან რომელს ახორციელებს სახელმწიფო დაქვეითების დროს? აღმაველობის დროს?
ა. გადასახადის განაკვეთების გაზრდა;
ბ. სესხებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდა;
გ. სახელმწიფო ხარჯების ზრდა;
დ. შეზღუდვა საამორტიზაციო პოლიტიკის გატარების სფეროში.

4. X ქვეყნის ეკონომიკაში შეინიშნება შემდეგი პროცესები: იზრდება ფულის მიწოდება, კლებულობს მოთხოვნა კრედიტზე, ეცემა სარგებლის დონე, იაფდება კრედიტი. ეკონომიკური ციკლის რომელ ფაზაში იმყოფება ამ ქვეყნის ეკონომიკა? ციკლის რომელ ფაზასთან გვაქვს საქმე, თუკი ქვეყანის ეკონომიკაში ადგილი აქვს მსხვილი კომპანიების მოგების ზრდას?

5. რატომ არის ინვესტიციები ბიზნესის ციკლის განმავლობაში უფრო ცვალებადი ვიდრე სამომხმარებლო დანახარჯები? სამომხმარებლო ხარჯების რომელი სახეობაა უფრო ცვალებადი: ხანგრძლივი მოხმარების საგნები (ავეჯი, ავტომობილი) ხანმოკლე მოხმარების საგნები (საკვები და ტანსაცმელი) თუ მომსახურება (საპარიკმახერო, სამედიცინო მომსახურება)? რატომ?

თემა V. უმუშევრობა

ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ ქვეყანაში არსებულ უმუშევრობის დონეზე. ადამიანებს, რომელთაც შრომა სურთ, მაგრამ სამუშაო ვერ უშოვიათ, არ შეაქვთ თავიანთი წვლილი საქონლისა და მომსახურების წარმოებაში. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია რეალურ ეკონომიკაში, უმუშევრობის დონე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. რაც უფრო მეტად არიან ქვეყნის მშრომელები დასაქმებულნი, მით უფრო მეტია ამ ქვეყნის მშპ.

სწორედ ამიტომ, ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკოსები სავარძლებისათვის ბრძოლის პროცესში ხშირად საუბრობენ იმაზე, თუ როგორ შეუწყობს ხელს მათ მიერ შემოთავაზებული პოლიტიკა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

1. უმუშევრობის არსი და მიზეზები

უმუშევრობა – შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილის დროებითი დაუსაქმებლობა – საბაზრო ეკონომიკის განუყრელი თანამგზავრი და თანამედროვე საზოგადოების ერთერთი ცენტრალური მაკროეკონომიკური პრობლემაა. როგორც წესი, მაღალი უმუშევრობა ქვეყანაში მრავალგვარ გართულებას იწვევს, იქნება ეს საკუთრივ ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება თუ სოციალური უკმაყოფილების ზრდა.

ეკონომიკის თითქმის ყველა ბაზარზე, ფასები თვითრეგულირდება მანამ, სანამ მიწოდებისა და მოთხოვნის რაოდენობები არ გათანაბრდება. შრომის იდეალურ ბაზარზე, ხელფასები თვითრეგულირდება მანამ, სანამ შრომის მიწოდების რაოდენობა და შრომაზე მოთხოვნის რაოდენობა ერთმანეთს არ გაუ-


ტოლდება. ხელფასების ეს თვითრეგულირება იმის გარანტიას იძლევა, რომ ყველა მშრომელი დასაქმებულია.

რა თქმა უნდა, რეალობა ამ იდეალისაგან ძალიან შორსაა. ყოველთვის არიან უმუშევრები, მაშინაც კი, როდესაც მთლიანად ეკონომიკა წარმატებით ფუნქციონირებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უმუშევრობის დონე ნულს არასდროს უტოლდება; ის იცვლება უმუშევრობის ბუნებრივი დონის საზღვრებიდან მცირედი გადახრისას. ამ ბუნებრივი დონის უკეთ გასაგებად, ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ სრული დასაქმების იდეალური ბაზრისგან შრომის რეალური ბაზრის განსხვავების ოთხ ძირითად მიზეზს: მინიმალური ხელფასის კანონებს, პროფკავშირებს, ეფექტიან ხელფასებსა და სამუშაოს ძიებას.

მინიმალური ხელფასის კანონები. მიუხედავად იმისა, რომ მინიმალური ხელფასის კანონები ეკონომიკაში უმუშევრობის ძირითადი მიზეზი არაა, ისინი მაინც დიდ ზეგავლენას ახდენენ მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებზე, რომელთა წევრებს შორის უმუშევრობა განსაკუთრებით დიდია.

5.1 ნახაზზე ნაჩვენებია ეკონომიკური სიტუაცია მინიმალური ხელფასის არსებობის დროს. როდესაც მინიმალური ხელფასის კანონის შედეგად ხელფასი მიწოდებისა და მოთხოვნის გამაწონასწორებელ ხელფასზე მეტია, შრომის მიწოდების რაოდენობა იზრდება, ხოლო შრომაზე მოთხოვნის რაოდენობა მცირდება წონასწორულ დონესთან შედარებით. ჩნდება შრომის სიჭარბე. ვინაიდან მშრომელების რაოდენობა სამუშაო ადგილების რაოდენობაზე მეტია, ზოგი მშრომელი უმუშევარი რჩება.

მინიმალური ხელფასის კანონი უმუშევრობის ძირითადი მიზეზი არაა, რადგანაც ეკონომიკის მშრომელთა უმრავლესობის ხელფასები ოფიციალურ მინიმუმს ბევრად აღემატება. მინიმალური ხელფასის კანონები შემზღუდველია ძირითადად სამუშაო ძალის ყველაზე არაკვალიფიციური და გამოუცდელი წევრების, მაგალითად, მოზარდებისთვის. მინიმალური ხელფასის კანონებით სწორედ ამ უმუშევრებს შორის არსებული უმუშევრობა აიხსნება.



ნახ. 5.1 წონასწორულ დონეზე მაღალი ხელფასით გამოწვეული უმუშევრობა

შრომის ამ ბაზარზე, ხელფასი, რომელიც მიწოდებასა და მოთხოვნას აწონასწორებს, არის W_E. ამ წონასწორული ხელფასის დროს, შრომის მიწოდების რაოდენობაცა და მოთხოვნის რაოდენობაც L_E-ს ტოლია. მაგრამ, როდესაც მინიმალური ხელფასის დაწესების შედეგად ხელფასი წონასწორულ ხელფასზე მეტი ხდება, შრომის მიწოდების რაოდენობა L_S-მდე იზრდება, ხოლო შრომაზე მოთხოვნის რაოდენობა L_D-მდე მცირდება. შედეგად მიღებული შრომის სიჭარბე, $L_S - L_D$, უმუშევრობას ასახავს.

არსებობს კიდევ სხვა მიზეზებიც, რომლებიც განაპირობებენ ხელფასების წონასწორულ დონეზე მაღლა შენარჩუნებას. ეს მიზეზებია პროფკავშირები და ეფექტიანი ხელფასები. ძირითადი ეკონომიკური სიტუაცია ამ შემთხვევებში ისეთივეა, როგორც 5.1 ნახაზზე, მაგრამ უმუშევრობის ასეთი ახსნა შეგვიძ-

ლია ეკონომიკის მშრომელთა უფრო მეტი რაოდენობისათვის გამოვიყენოთ.

პროფკავშირები და კოლექტიური მოლაპარაკება. პროფკავშირი მშრომელთა გაერთიანებაა, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებებს ხელფასებისა და სამუშაო პირობების შესახებ. პროფკავშირი ერთგვარი კარტელია. როგორც ყველა კარტელი, პროფკავშირიც გამყიდველთა ჯგუფია, რომელიც საკუთარი საბაზრო ძალაუფლების გაფართოებას ცდილობს. მშრომელთა უმრავლესობა ხელფასისა და სამუშაო პირობების შესახებ მოლაპარაკებას ინდივიდუალურად აწარმოებს დამსაქმებლებთან. ამ მშრომელებისაგან განსხვავებით, პროფკავშირის წევრები გუნდურად მოქმედებენ. პროცესს, რომელშიც პროფკავშირები და ფირმები შეთანხმებას აღწევენ დასაქმების პირობებზე, **კოლექტიური მოლაპარაკება** ეწოდება.

როდესაც პროფკავშირი ფირმასთან მოლაპარაკებას აწარმოებს, ითხოვს იმაზე უფრო მაღალ ხელფასებს, მეტ საპენსიო უზრუნველყოფასა და უკეთეს სამუშაო პირობებს, ვიდრე ფირმა თავის მშრომელებს პროფკავშირის არარსებობის შემთხვევაში შესთავაზებდა. თუ პროფკავშირი და ფირმა შეთანხმებას ვერ აღწევენ, პროფკავშირს შეუძლია ორგანიზება გაუწიოს ფირმიდან მშრომელთა გამოსვლას, ანუ **გაფიცვას**. ვინაიდან გაფიცვა წარმოებას, გაყიდვასა და მოგებას ამცირებს, გაფიცვის მუქარის წინაშე მდგარი ფირმა იძულებულია დათანხმდეს იმაზე მაღალი ხელფასის გადახდაზე, რასაც სხვა შემთხვევაში გადაუხდიდა. ეკონომისტები, რომლებიც პროფკავშირების ეფექტებს შეისწავლიან, იმის მოწმენი ხდებიან, რომ პროფკავშირების წევრები, როგორც წესი, იმ მშრომელებზე 10-20%-ით მეტს იღებენ, რომლებიც პროფკავშირში არ არიან გაერთიანებული.

როდესაც პროფკავშირი ხელფასს წონასწორულ დონეზე მაღლა სწევს, იზრდება შრომის მიწოდება და მცირდება შრომაზე მოთხოვნა, რასაც შედეგად უმუშევრობა მოჰყვება. ის მშრომელები, რომლებიც დასაქმებულნი დარჩნენ, უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ისინი, ვინც ხელფასის გაზრდის შედეგად სამუშაო ადგილი დაკარგა, უარეს მდგომარეობაში ვარდებიან. ამის გამო პროფკავშირებს ხშირად ასახე-

ლებენ მშრომელთა ორ ჯგუფს – ვინც სარგებლობას იღებს პროფკავშირების მიერ გაზრდილი ხელფასებიდან და ვინც ხელფასის გაზრდის შედეგად სამუშაო ადგილს ჰკარგავს – შორის არსებული კონფლიქტის მიზეზად.

ახალი უმუშევრები ორგვარად რეაგირებენ თავიანთ ახალ სტატუსზე. ზოგიერთი მათგანი უმუშევრად რჩება და ელოდება, როდის იშოვის სამუშაო ადგილს და პროფკავშირების მაღალ ხელფასს მიიღებს. სხვები კი მუშაობას იწყებენ იმ ფირმებში, სადაც პროფკავშირი არ არსებობს. ამიტომ, როდესაც პროფკავშირები ეკონომიკის ერთ დარგში ხელფასებს ზრდიან, სხვაგან შრომის მიწოდება იზრდება. შრომის მიწოდების ეს ზრდა კი, თავის მხრივ, იწვევს ხელფასების შემცირებას იმ დარგებში, რომლებშიც პროფკავშირული მოძრაობა არ არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროფკავშირების წევრი მშრომელები კოლექტიური მოლაპარაკების სარგებლობას იმკიან, ამის დანახარჯებს კი ის მშრომელები გაიღებენ, რომლებიც პროფკავშირულ მოძრაობაში არ არიან ჩართული.

ეფექტიანი ხელფასების თეორია. უმუშევრობის მუდმივი არსებობის მიზეზების ახსნა **ეფექტიანი ხელფასების** თეორიითაცაა შესაძლებელი. ამ თეორიის თანახმად, ფირმები უფრო ეფექტიანად მოქმედებენ, თუ ხელფასები წონასწორულ დონეზე მეტია. ამიტომ ფირმებისათვის მომგებიანი იქნება მაღალი ხელფასების შენარჩუნება შრომის ჭარბი მიწოდების დროსაც კი.

გარკვეულწილად, უმუშევრობა, რომელიც ეფექტიანი ხელფასების შედეგად ჩნდება, იმ უმუშევრობის მსგავსია, რომელსაც მინიმალური ხელფასის კანონები და პროფკავშირები იწვევენ. თუმცა, ამ შემთხვევებს შორის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა. მაშინ, როდესაც, მინიმალური ხელფასის კანონები და პროფკავშირები ფირმებს ხელფასების შემცირების საშუალებას არ აძლევენ მშრომელთა რაოდენობის სიჭარბის დროს, ეფექტიანი ხელფასების თეორია ასეთ შეზღუდვას სულაც არ თვლის აუცილებლად, ვინაიდან ფირმების მდგომარეობა უკეთესია, როცა ხელფასი წონასწორულ დონეზე მეტია.

რატომ უნდა შეინარჩუნოს ფირმებმა მაღალი ხელფასი? ასეთი გადაწყვეტილება, ერთი შეხედვით, უცნაურია, ვინაიდან

ხელფასები ფირმათა დანახარჯების დიდი ნაწილია. ჩვეულებრივ, მოსალოდნელია, რომ ფირმა, რომელსაც მაქსიმალური მოგების მიღება სურს, დანახარჯებს – და, აქედან გამომდინარე, ხელფასებსაც – რაც შეიძლება დაბალ დონეზე შეინარჩუნებს. მაგრამ ეფექტიანი ხელფასების თეორიის თანახმად, ეფექტიანი ხელფასების გადახდა შეიძლება ეფექტიანი იყოს, რადგან ამან, შესაძლოა, ფირმის მშრომელთა ეფექტიანობა გაზარდოს.

არსებობს ეფექტიანი ხელფასების თეორიის რამდენიმე სახესხვაობა. თითოეული მათგანი გვთავაზობს იმის სხვადასხვა ახსნას, თუ რატომ უნდა სურდეთ ფირმებს მაღალი ხელფასების გადახდა. განვიხილოთ ოთხი ასეთი თეორია.

მშრომელის ჯანმრთელობა. ეფექტიანი ხელფასების თეორიის პირველი და უმარტივესი სახეობა ხაზს უსვამს კავშირს ხელფასსა და მშრომელის ჯანმრთელობას შორის. რაც უფრო მეტ ხელფასს იღებს მშრომელი, მით უფრო უკეთ იკვებება და უფრო ჯანმრთელია. შედეგად, მით მეტია მისი მწარმოებლურობა. ფირმისთვის უფრო მომგებიანია მაღალი ხელფასების გადახდა და ჯანმრთელი, დიდი მწარმოებლურობით გამორჩეული მშრომელების დაქირავება, ვიდრე დაბალი ხელფასების გადახდა და ნაკლებად ჯანმრთელი მშრომელების დაქირავება, რომელთა მწარმოებლურობაც მცირეა.

მშრომელთა დენადობა. ეფექტიანი ხელფასების თეორიის მეორე განშტოება ხაზს უსვამს კავშირს ხელფასებსა და მშრომელთა დენადობას შორის. სამსახურიდან მშრომელის წასვლის მრავალი მიზეზი არსებობს: შესაძლოა, მშრომელმა სხვა ფირმაში უკეთეს სამსახურს მიაგნო, საცხოვრებლად ქვეყნის სხვა ნაწილში გადაიდა, სამუშაო ძალას გამოეთიშა და ა.შ. სიხშირე, რომლითაც მშრომელები თავიანთ სამუშაო ადგილებს ტოვებენ, დამოკიდებულია მათ წინაშე მდგარი სტიმულების მთელს სიმრავლეზე, მათ შორის, სამუშაო ადგილის მიტოვების სარგებლობასა და სამუშაო ადგილზე დარჩენის სარგებლობაზე. რაც უფრო მეტს უხდის ფირმა თავის მშრომელებს, მით უფრო იშვიათად მიდიან ფირმიდან. ამგვარად, ფირ-

მას შეუძლია შეამციროს თავისი მშრომელების დენადობა, თუ მათ მაღალ ხელფასს გადაუხდის.

რატომ ცდილობენ ფირმები დენადობის შემცირებას? იმიტომ, რომ ახალი მშრომელების დაქირავება და სწავლება დანახარჯებთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც ახალი მშრომელები სათანადო ცოდნას შეიძენენ, მათი მწარმოებლურობა მაინც ნაკლები რჩება გამოცდილ მშრომელთა მწარმოებლურობაზე. ამიტომ, იმ ფირმებისთვის, რომლებშიც მშრომელთა დენადობა დიდია, წარმოების დანახარჯებიც დიდია. ფირმებისთვის მომგებიანია წონასწორულზე მაღალი ხელფასების გაცემა მშრომელთა დენადობის შემცირების მიზნით.

მშრომელთა ძალისხმევა. ეფექტიანობის თეორიის მესამე სახესხვაობა ხაზს უსვამს კავშირს ხელფასებსა და მშრომელთა ძალისხმევას შორის. ზოგჯერ მშრომელს საკუთარი მოსაზრებები აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გულმოდგინედ უნდა იმუშაოს. ამიტომ ფირმები აკვირდებიან იმას, თუ რა ძალისხმევით მუშაობენ მშრომელები, და იმ მშრომელს, რომელიც საკუთარ მოვალეობას სათანადო პასუხისმგებლობით არ ასრულებს, სამსახურიდან ითხოვენ. მაგრამ მოვალეობის შეუსრულებლო-ბის ყველა შემთხვევის აღმოჩენა შეუძლებელია, ვინაიდან ასეთი დაკვირვება არასრულყოფილია და ხარჯებს მოითხოვს. ეს პრობლემა ფირმას წონასწორულ დონეზე მაღალი ხელფასების გადახდით შეუძლია გადაჭრას. რაც უფრო მაღალია ხელფასი, მით უფრო მეტად ცდილობენ მშრომელები სამუშაო ადგილის შენარჩუნებას და მით უფრო მეტია მთელი ძალისხმევით მუშაობის სტიმული.

მშრომელთა კვალიფიკაცია. ეფექტიანი ხელფასების თეორიის მეოთხე და უკანასკნელი სახესხვაობა ხაზს უსვამს კავშირს ხელფასებსა და მშრომელის კვალიფიკაციას შორის. როდესაც ფირმა ახალ მშრომელებს ქირაობს, მათი კვალიფიკაციის სრულყოფილად შეფასება არ შეუძლია. მაღალი ხელფასის გადახდით ფირმა კვალიფიციურ მშრომელებს სთავაზობს, განაცხადი შეიტანონ ამ ფირმაში მუშაობის თაობაზე.

იმის გასაგებად, თუ რა შედეგი მოაქვს ამას, ერთი მაგალითი განვიხილოთ. დავუშვათ, გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად მინერალური წყლის ჩამომსხმელ კომპანიას სურს ერთი მშრომელის დაქირავება. ამ სამუშაო ადგილით ორი ადამიანია დაინტერესებული. გიორგი, გამოცდილი მშრომელი, მზადაა ამ კომპანიაში იმუშაოს საათში 10 ლარად. თუ ხელფასი ამაზე ნაკლები იქნება, იგი საკუთარი საქმის დაწყებას ამჯობინებს. ირაკლი, სრულიად არაკომპეტენტური მშრომელი, თანახმაა იმუშაოს 2 ლარზე მაღალი ნებისმიერი ხელფასის პირობებში. თუ ხელფასი 2 ლარზე ნაკლები იქნება, მაშინ იგი დასვენებას ამჯობინებს.

როგორ ხელფასს აირჩევს კომპანია? თუ იგი დაინტერესებულია მხოლოდ შრომის დანახარჯების მინიმიზაციით, ის აირჩევს საათში 2 ლარს. ამ ხელფასის შემთხვევაში, მშრომელთა მიწოდების რაოდენობა მოთხოვნის რაოდენობას გააწონასწორებს. ირაკლი ამ ადგილს მიიღებს, გიორგი კი განაცხადს არ შეიტანს. ახლა დავუშვათ კომპანიამ იცის, რომ ორი კანდიდატიდან მხოლოდ ერთია კომპეტენტური, ის კი არ იცის, რომელი. თუ კომპანია არაკომპეტენტურ მშრომელს დაიქირავებს, ეს მშრომელი კომპანიას დააზარალებს. ამ შემთხვევაში, კომპანიას უფრო უკეთესი სტრატეგია აქვს, ვიდრე წონასწორული ხელფასის, 2 ლარის გადახდა და ირაკლის დაქირავებაა. კომპანიას შეუძლია შესთავაზოს საათში 10 ლარი, რის შედეგადაც ორივე მშრომელს ამ ადგილის დაკავების სურვილი გაუჩნდება. ამ ორი კანდიდატიდან ერთ-ერთის ამორჩევითა და მეორისთვის უარის თქმით ფირმა არაკომპეტენტური მშრომელის დაქირავების ალბათობას ანახევრებს. ამის საწინააღმდეგოდ, თუ კომპანია ნაკლებ ხელფასს შესთავაზებს, აუცილებლად არაკომპეტენტურ მშრომელს დაიქირავებს.

ეს მაგალითი ერთი ზოგადი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს. როდესაც კომპანიას მშრომელთა ჭარბი მიწოდება აქვს, მის მიერ შეთავაზებული ხელფასის შემცირება უფრო ბუნებრივი ჩანს. მაგრამ ხელფასის შემცირებით ფირმა მშრომელთა შემადგენლობის არახელსაყრელ ცვლილებებს იწვევს. ჩვენს მაგალითში, როდესაც ხელფასი 10 ლარია, ერთ სა-

მუშაო ადგილზე პრეტენზიას ორი კანდიდატი აცხადებს. მაგრამ თუ კომპანია ამ ჭარბ მოთხოვნას ხელფასის შემცირებით უპასუხებს, კომპეტენტური მშრომელი (ის, რომელსაც მეტი ალტერნატიული შესაძლებლობები აქვს) უარს იტყვის ასეთ სამუშაო ადგილზე. ამგვარად, ფირმისთვის მომგებიანია მიწოდებისა და მოთხოვნის გამაწონასწორებელ ხელფასზე მაღალი ხელფასის გადახდა.

სამუშაოს ძიება. მინიმალური ხელფასის კანონების, პროფკავშირებისა და ეფექტიანი ხელფასების გარდა, არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ გარკვეული დონის უმუშევრობა ყოველთვის არსებობს. ეს მიზეზია სამუშაოს ძიება. სამუშაოს ძიება მშრომელის სათანადო სამუშაო ადგილთან დაკავშირების პროცესია. ყველა მშრომელი და ყველა სამუშაო ადგილი ერთნაირი და ყველა მშრომელი თანაბრად გამოსადეგი რომ იყოს ყველა ტიპის სამუშაოსთვის, სამუშაოს ძიება პრობლემა არ იქნებოდა. სამუშაოდან დათხოვილი მშრომელები მალე იპოვიდნენ ახალ სამუშაო ადგილს, რომელიც მათთვის სასურველი იქნებოდა. მაგრამ, რეალობაში, მშრომელები თავიანთი გემოვნებითა და კვალიფიკაციით, ხოლო სამუშაო ადგილები კი — თავიანთი ატრიბუტებით, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამავე დროს, ინფორმაცია სამუშაოს მაძიებლებისა და სამუშაო ადგილების შესახებ საკმაოდ ნელა ვრცელდება ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის.

სამუშაოს ძიებით განპირობებული უმუშევრობა ერთი მნიშვნელოვანი თვისებით განსხვავდება მინიმალური ხელფასის კანონების, პროფკავშირებისა და ეფექტიანი ხელფასების შედეგად გაჩენილი უმუშევრობისგან. ამ სამ შემთხვევაში, ხელფასი წონასწორულ ხელფასზე მეტია, ამიტომ შრომის მიწოდების რაოდენობა მოთხოვნის რაოდენობაზე მეტია. მშრომელები უმუშევრად არიან, ვინაიდან სამუშაო ადგილების გამოჩენას ელიან. ამ შემთხვევებისგან განსხვავებით, სამუშაოს ძიება არ არის გამოწვეული წონასწორულზე მაღალი ხელფასების გაცემით. როდესაც უმუშევრობა სამუშაოს ძიებით აიხსნება, მშრომელები ეძებენ ისეთ სამუშაო ადგილებს, რომლებიც მათთვის ყველაზე შესაფერისია.

უმუშევრობის გამომწვევი ზემოაღნიშნული მიზეზების გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია: წარმოების ციკლური განვითარება, რომელსაც თან სდევს კრიზისული მოვლენები - წარმოების ფუნქციონირების შეკვეცა-შეწყვეტა; მომუშავეთა მიერ სამუშაოს შეცვლა და ხშირი გადაადგილება როგორც დარგობრივ, ისე ტერიტორიულ ჭრილში; სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში; წარმოების სეზონური ხასიათი; ქვეყნის სპეციფიკური დემოგრაფიული განვითარება და ა.შ. არსებითად უმუშევრობის მიზეზები განსაზღვრავს მისი ძირითადი სახეების არსსა და თავისებურებებს.

2. უმუშევრობის სახეები

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია უმუშევრობის შემდეგი სახეები: ფრიქციული, სტრუქტურული, ციკლური, სეზონური, რეგიონული, ფარული, დემოგრაფიული, ინსტიტუციონალური, ნებაყოფლობითი, იძულებითი, შეჩერებული და ა.შ. ამათგან ძირითადია პირველი სამი.

ფრიქციული უმუშევრობა. უმუშევრობის ეს სახე დაკავშირებულია შრომით მოწყობაში დროებით გართულებასთან – სამუშაოს ძებნასთან ან მოლოდინთან. მას იწვევს მოსახლეობის დენადობა ერთი რეგიონიდან მეორეში, პროფესიის ცვლა, ასევე თვით ცხოვრების პირობები (სწავლა, ბავშვების მოვლა, პენსია და ა.შ). ფრიქციული უმუშევრობა არსებობს სრული დასაქმების დროსაც კი. მისი მიზეზია შრომის ბაზრის მოუქნელი ფუნქციონირება, რომელსაც თანაფარდობაში ვერ მოჰყავს სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების რაოდენობა.

ფრიქციულ უმუშევრობას ხშირად ნებაყოფლობითად მიიჩნევენ, რადგან ადამიანს შეუძლია თავისუფლად აირჩიოს საქმიანობის სახეობა და სამუშაო ადგილი. ახალ სამუშაოზე გადასვლას კი გარკვეული დრო სჭირდება (მაშინაც, როცა ახალი სამუშაო წინასწარვე ნაპოვნია და, მითუმეტეს, თუ ის მოსაძებნია); შრომისუნარიანთა დიდი ნაწილი სამუშაოს თავს ანებებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო. ამიტომ, სანამ მის-

თვის სასურველ ადგილას იპოვის შესაფერის სამუშაოს, ეს ნაწილიც დაუსაქმებელია; ფრიქციულ უმუშევართა კონტინგენტში საკმაო ხვედრითი წონა უკავიათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეძებენ სპეციალობის მიხედვით სამუშაოს და გარკვეული ხნის განმავლობაში დაუსაქმებელნი არიან.

უმუშევრობის ეს ფორმა მუდმივად არსებობს და ერთგვარად სასურველადაც კი ითვლება, რადგანაც მრავალი მუშაკი, რომელიც საკუთარი სურვილით ეძებს სამუშაოს, დაბალ-ანაზღაურებადი, ნაკლებად პროდუქტიული სამუშაოდან უფრო მაღალანაზღაურებად ადგილზე გადადის. ეს ნიშნავს მომუშავეთა მაღალ შემოსავალს, შრომითი რესურსების უფრო რაციონალურ განაწილებას და მაშასადამე, ეროვნული პროდუქტის მეტ რეალურ მოცულობას.

სტრუქტურული უმუშევრობა. იმ შემთხვევაში, როცა სამუშაო ძალის მიწოდება და მასზე მოთხოვნა ერთმანეთს არ ემთხვევა, საქმე გვაქვს სტრუქტურულ უმუშევრობასთან. იგი არსებითად ფრიქციული უმუშევრობის შემდგომ გაღრმავებად და გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც ცნობილია, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს თან სდევს წარმოების სტრუქტურული ცვლილებები, რამდენადაც ხდება ძირეული ძვრები მანამდე გამოყენებულ მანქანათა სისტემაში, ტექნოლოგიურ პროცესებში და ამის შედეგად ირღვევა შესაბამისობა სამუშაო ძალის არსებულ კვალიფიციურ სტრუქტურასა და ამ მხრივ წარმოების ახალ მოთხოვნებს შორის. აუცილებელი ხდება არსებულ მუშაკთა შეცვლა ახალი (მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევებს დაუფლებული) მაღალკვალიფიციური კადრებით. ბუნებრივია, ძველი მუშაკების გარკვეული ნაწილი კარგავს სამუშაოს, რადგანაც არა აქვს შრომის ის უნარ-ჩვევები, რომლებიც შეიძლება სწრაფად გაიყიდოს. სამომხმარებლო მოთხოვნის ხასიათსა და ტექნოლოგიაში მომხდარი ცვლილებების გამო მათი ჩვევები და გამოცდილება მოძველებული და უსარგებლოა. ამასთან განუწყვეტლივ იცვლება სამუშაო ადგილების გეოგრაფიული განაწილება. აღნიშნული კონტინგენტი აესებს უმუშევართა სარეზერვო არმიას.

დაახლოებით იმავე შედეგებს იწვევს სამომხმარებლო მოთხოვნის შესაბამისად ძირეული ცვლილებები წარმოების სტრუქტურაში. ვთქვათ, ფირმის ტრადიციულ პროდუქტზე მკვეთრად დაეცა მოთხოვნა (ფაქტიურად არ იყიდება). იგი იძულებულია გადავიდეს სრულიად განსხვავებული ნაწარმის გამოშვებაზე, რომელიც, განსხვავებული ტექნოლოგიის გამო, საჭიროებს სპეციფიკური მომზადების მქონე კადრებს. ასეთი კადრებით დაკომპლექტება და ძველი კადრების სამუშაოდან გათავისუფლება თითქმის ერთდროული აქტია. ამ ზემოაღნიშნულ საფუძველებზე წარმოშობილ უმუშევრობას უწოდებენ სტრუქტურულ, ანუ ტექნოლოგიურ უმუშევრობას, რომელიც მეტ-ნაკლები ზომით ყველა ქვეყანაში და განვითარების ყველა ეტაპზე შეინიშნება. ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ერთმანეთისგან განსხვავება ძნელია. არსებითი განსხვავება ის არის, რომ ფრიქციულ უმუშევრებს აქვთ გამოცდილება და ჩვევები, რაც შეუძლიათ დაუყოვნებლივ გაყიდონ, სტრუქტურული უმუშევრები კი გადამზადებისა და სწავლების დამატებითი კურსის გავლის ან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გარეშე სამუშაოს ვერ მიიღებენ. გარდა ამისა, ფრიქციული უმუშევრობა უფრო ხანმოკლეა, სტრუქტურული უმუშევრობა კი შედარებით ხანგრძლივი და ამიტომ უფრო სერიოზულ პრობლემად არის მიჩნეული.

ციკლური უმუშევრობა. წარმოების ციკლური განვითარების გამო, დგება გარკვეული ფაზები (ეკონომიკური კრიზისის, დეპრესიის), როდესაც მკვეთრად მცირდება ერთობლივი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, ნაწარმი არ იყიდება, წარმოება ჩერდება და ყოველივე ამის შედეგად უმუშევრობა მასობრივ ხასიათს ღებულობს. (მაგალითად, დიდი დეპრესიის დროს - 1933 წელს აშშ-ში ციკლურმა უმუშევრობამ დაახლოებით 25%-ს მიაღწია). ამ მიზეზით ციკლურ უმუშევრობას ზოგჯერ მოთხოვნის დეფიციტთან დაკავშირებულ უმუშევრობასაც უწოდებენ.

ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ანალოგიურად, საბოლოოდ არც ციკლური უმუშევრობის თავიდან აცილებაა შესაძლებელი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში იგი

ისევე გარდაუვალია, როგორც მისი გამომწვევი მიზეზი - წარმოების ციკლური განვითარება. თუმცა, ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარებით შეიძლება ეკონომიკური დაცემის ერთგვარი შერბილების მიღწევა და შესაბამისად, დროებით გამოთავისუფლებელ მუშაკთა რიცხვის შემცირება.

სეზონური უმუშევრობა. ზოგიერთ დარგში (სოფლის მეურნეობა, კეების მრეწველობა, მშენებლობა და ა.შ.) წარმოება სეზონურია. გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში მუშაობა ინტენსიურია და მუშახელი მაქსიმალურად სრულადაა დასაქმებული. სეზონთაშორის პერიოდში კი (ძირითადად ზამთარში) წარმოება მთლიანად გაჩერებულია, ან დატვირთულია ნაწილობრივ და მუშახელის დიდი ნაწილი გამონთავისუფლებულია (მაგ„ პირველადი ჩაის ფაბრიკებში, პირველადი მელვინეობის ქარხნებში და ა.შ.)

რეგიონული უმუშევრობა. არცთუ იშვიათად, უმუშევრობას ადგილი აქვს ქვეყნის მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში და არა ყველგან. ამის მიზეზია ამ რეგიონების სპეციფიკური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები (მცირემიწიანობა, სამუშაო ადგილების უკმარისობა და ა.შ.). ქმედითი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია რეგიონული უმუშევრობის მინიმუმამდე დაყვანა.

ფარული უმუშევრობა. მისი არსი ისაა, რომ ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ნაწილობრივი დატვირთვით ფუნქციონირების პირობებში, საწარმოები თანამშრომლებს კი არ ათავისუფლებენ სამუშაოდან, არამედ გადაჰყავთ ისინი მუშაობის შეკვეცილ რეჟიმზე (არასრული სამუშაო კვირა ან არასრული სამუშაო დღე), ან კიდევ, უშვებენ უხელფასო შვებულებაში განუსაზღვრელი ვადით. ამ გარემოებათა გამო ისინი ითვლებიან დასაქმებულებად, მაშინ როცა არსებითად უმუშევრები არიან. ამიტომაც უწოდებენ მას ფარულ უმუშევრობას. ამის ტიპიური მაგალითია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, სადაც სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობის დატვირთვის კოეფიციენტი 25-30%-ს არ აღემატება.

დემოგრაფიული უმუშევრობა. აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე არის ქვეყნები, სადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები ძალიან მაღალია და შრომითი რესურსების რაო-

დენობა მკვეთრად აღემატება არსებულ (და შესაძლებელ) სამუშაო ადგილების რაოდენობას. ამ სიდიდეების დაუბალანსებლობა ქმნის ე.წ. დემოგრაფიული უმუშევრობის პრობლემას.

ინსტიტუციონალური უმუშევრობა, იგი დაკავშირებულია სამუშაო ძალის ბაზრის მოუქნელ ფუნქციონირებასთან. მაგალითად, არის შემთხვევები, როცა არსებობს არცთუ ცოტა ოდენობის ვაკანტური სამუშაო ადგილი, მაგრამ მოსახლეობისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო ისინი აუთვისებელი რჩება, მაშინ როცა მუშაკთა გარკვეული ნაწილი უმუშევარია.

ნებაყოფლობითი უმუშევრობა. ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ადამიანთა გარკვეული ფენა, რომელსაც თავისი ფიზიკური წყობის თუ სხვა გარემოებათა გამო არ სურს ჰქონდეს რეგულარული სამუშაო.

შეჩერებული უმუშევრობა. ამ კატეგორიას განეკუთვნებიან შრომისუნარიანთა ის ჯგუფი რომელთაც დაკარგული აქვთ მუდმივი სამუშაო, შეგუებულნი არიან ამ მდგომარეობას, ასრულებენ მეტწილად არარეგულარულ სამუშაოს და სჯერდებიან დაბალ საზღაურს. ამრიგად, უმუშევრობა, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ნიშანია.

3. უმუშევრობის დონე

მოსახლეობის სრულ დასაქმებაზე საუბრისას, მასში არ იგულისხმება ქვეყნის ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის დასაქმება. სრული დასაქმება შედარებითი ცნებაა და იგი აბსოლიტური მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული, რადგანაც ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა გარდაუვალია.

სრული დასაქმება განისაზღვრება როგორც დასაქმება, სადაც შრომითი რესურსების 100%-ზე ნაკლებია ჩაბმული საზოგადოებრივ წარმოებაში. უფრო ზუსტად, სრული დასაქმების პირობებში უმუშევრობის დონე ფრიქციულ და სტრუქტურულ

უმუშევრობათა ჯამის ტოლია და მას **უმუშევრობის ბუნებრივი დონე** ეწოდება. მთლიანი ეროვნული პროდუქტის რეალურ მოცულობას, რომელიც უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან არის დაკავშირებული, **ეკონომიკის წარმოებითი პოტენციალი** ეწოდება. ეს არის პროდუქციის რეალური მოცულობა, რომლის წარმოებაც შეუძლია ეკონომიკას რესურსების სრული გამოყენების პირობებში.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე წარმოიშობა მაშინ, როდესაც სამუშაო ძალის ბაზარი დაბალანსებულია, ე.ი. სამუშაოს მძებნელთა რაოდენობა თავისუფალი სამუშაო ადგილების ტოლია. იგი გარკვეული ზომით დადებითი მოვლენაა. ფრიქციულ უმუშევრებს დრო სჭირდებათ შესაბამისი ვაკანტური ადგილების მოსაძებნად. ასევე სტრუქტურულ უმუშევრებსაც სჭირდებათ დრო კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ან სხვა სამუშაო ადგილზე გადასასვლელად. თუ სამუშაოს მძებნელთა რიცხვი სჭარბობს არსებულ ვაკანსიებს, შეინიშნება ერთობლივი მოთხოვნის დეფიციტი და ციკლური უმუშევრობა. მეორე მხრივ, ჭარბი ერთობლივი მოთხოვნის შემთხვევაში იგრძნობა სამუშაო ძალის უკმარისობა, როცა თავისუფალი სამუშაო ადგილების რაოდენობა მეტია სამუშაოს მძებნელთა რიცხვზე. ასეთ ვითარებაში უმუშევრობის ფაქტობრივი დონე ბუნებრივზე დაბალია. პრაქტიკაში ამგვარი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა აშშ-ში უმუშევრობის ბუნებრივი დონე 3-4%-ს შეადგენდა, სამხედრო წარმოების გაზრდამ გამოიწვია თითქმის განუსაზღვრელი მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. ამის შედეგად უმუშევრობის ფაქტობრივი დონე 1944 წელს 1,2%-მდე დაეცა.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე უცვლელი სიდიდე როდია. იგი იცვლება საზოგადოების კანონებსა და ადათ-წესებში მომხდარი ცვლილებების გამო. ამჟამად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში უმუშევრობის ბუნებრივი დონე 6-7%-ის ფარგლებშია.

საყოველთაოდ მიღებული მეთოდიკით, უმუშევრობის ფაქტიური დონის გასაანგარიშებლად ქვეყნის მთელი მოსახლეობა იყოფა სამ დიდ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიან 16 წლამდე

ასაკის პირები, აგრეთვე შრომისუნარიანი ასაკის პირები, რომლებიც სპეციალურ დაწესებულებებში (ფსიქიატრიული საავადმყოფოები, ციხეები) იმყოფებიან. ისინი სამუშაო ძალის პოტენციურ კომპონენტებად ითვლებიან; მეორე ჯგუფს აკუთვნებენ სრულწლოვან ადამიანებს (შინ მომუშავეებს, მოსწავლეებს, სამხედრო მოსამსახურეებს, პენსიონერებს), რომელთაც მუშაობის სრული ან ნაწილობრივი პოტენციური შესაძლებლობანი აქვთ, მაგრამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ მუშაობენ და არც ეძებენ სამუშაოს. მათ სხვანაირად სამუშაო ძალის შემადგენლობიდან გასულებსაც უწოდებენ; მესამე ჯგუფში წარმოდგენილია ნამდვილი სამუშაო ძალა — პირები, რომელთაც შეუძლიათ და სურთ კიდეც მუშაობა.

აშშ-ში უმუშევრობის ფაქტიური დონის დადგენა შრომის სტატისტიკის ბიუროს (შსბ) ეკისრება. იგი ყოველთვიურად აქვეყნებს მონაცემებს უმუშევრობისა და შრომის ბაზრის სხვა ასპექტების შესახებ. ეს მონაცემები გროვდება დაახლოებით 60000 ოჯახის რეგულარული გამოკითხვის საფუძველზე. შსბ გამოკითხული ოჯახების თითოეულ ზრდასრულ წევრს (აშშ-ში, ისევე როგორც საქართველოში, ზრდასრულ ასაკად მიიჩნევა 16 წელი და მის ზევით) შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთერთში ათავსებს: ა) დასაქმებული; ბ) უმუშევარი; გ) არ ეკუთვნის სამუშაო ძალას. ამასთან პირველ ორ მათგანს შსბ აერთიანებს სამუშაო ძალაში, ე.ი.:

სამუშაო ძალა = დასაქმებულთა რაოდენობა + უმუშევართა რაოდენობა

პიროვნება ითვლება დასაქმებულად, თუ გამოკითხვამდე ბოლო ერთი კვირის უდიდესი ნაწილი გაატარა ანაზღაურებად სამსახურში და გამოკითხვის მომენტისათვის არ არის დათხოვილი სამსახურიდან. პიროვნება მიეკუთვნება უმუშევრის კატეგორიას, თუ: დროებით დათხოვილია სამსახურიდან, სამსახურს ეძებს ან მოელის სამსახურის დაწყებას გარკვეული თარიღიდან. პიროვნება, რომელიც ამ ორიდან არცერთ კატეგორიას არ

ეკუთვნის, მაგალითად, სტუდენტი, დიასახლისი ან პენსიონერი, არ შედის სამუშაო ძალაში.

უმუშევრობის დონე განისაზღვრება, როგორც უმუშევართა პროცენტული წილი სამუშაო ძალაში.

$$\text{უმუშევრობის დონე} = \frac{\text{უმუშევართა რაოდენობა}}{\text{სამუშაო ძალა}} \times 100$$

სამუშაო ძალისა და უმუშევრობის დონის გამოთვლის აღნიშნული მეთოდოლოგია გამოყენებულია საქართველოში. ჩვენი ქვეყნის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოში უმუშევრობის დონემ 2007 წლის ბოლოსათვის 13,3% შეადგინა, რაც აშკარად არარეალური მონაცემია. მრავალი კერძო ექსპერტის მონაცემთა მიხედვით, უმუშევრობის დონე ოფიციალურს მნიშვნელოვნად აღემატება. თუმცაღა, ბოლო 3 წლის მანძილზე აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში კლების ტენდენციით ხასიათდება.

ეკონომიკაში უმუშევრობის დონის გამოთვლა, ერთი შეხედვით, მარტივად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ეს საკმაოდ რთული საქმეა. მაგალითად, სამუშაო დღის განმავლობაში სრულად დატვირთულ ადამიანს იოლად განვასხვავებთ დაუსაქმებელისაგან, მაგრამ ხშირად საკმაოდ რთულდება უმუშევრის გარჩევა ე.წ. სეზონურად მომუშავესაგან, ან იმ ადამიანისაგან, რომელიც სამუშაო ძალაში არ შედის. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, არასრული სამუშაო დღით დასაქმებულები მთლიანად დასაქმებულთა კატეგორიაში შედიან. უმუშევარი, რომელიც აქტიურად არ იღწვის სამუშაოს მოსაპოვებლად სამუშაო ძალის შემადგენლობიდან გამოსულად ითვლება. ეს გარემოებები, ცხადია, ხელოვნურად ამცირებენ უმუშევრობის დონის მაჩვენებელს. აღნიშნული მაჩვენებელი ხელოვნურად იზრდება პირველ რიგში იმის გამო, რომ ზოგიერთი რესპოდენტი იძლევა ცრუ ინფორმაციას უმუშევრობის კომპენსაციის მიღების მიზნით. მეორეც, ჩრდილოვან ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმული პირები სრული დატვირთვით მუშაობენ,

მაგრამ ფორმალურად უმუშევართა კატეგორიას განეკუთვნებიან - თავიანთ თავს უმუშევარს უწოდებენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მართალია უმუშევრობის დონე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, მაგრამ იგი ყოველთვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ეკონომიკის სიჯანსაღის უშეცდომო ბარომეტრად.

4. უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ოუკენის კანონი

უმუშევრობას საკმაოდ სერიოზული სოციალური შედეგები გააჩნია. სამუშაოს დაკარგვა ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო მოვლენაა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანთა უმრავლესობა საკუთარ შრომით შემოსავლებზე ამყარებს ცხოვრების დონის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ იმედებს. ამასთან, ადამიანები შრომისაგან არა მხოლოდ შემოსავალს, არამედ პიროვნული სრულყოფილების გრძნობასაც იღებენ. სამუშაოს დამკარგავ ადამიანებს, აგრეთვე მათ კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს ცხოვრების დონე საგრძნობლად უუარესდებათ. უმუშევრობას შეუძლია დამღუპველად იმოქმედოს იმათ მორალურ მდგომარეობაზე, ვინც სამუშაო დაკარგა, მათ თავისი თავი ცხოვრებიდან გარიყულად მიაჩნიათ.

უმუშევრობა ერთდროულად კვალიფიკაციის დაკარგვასაც ნიშნავს. თავის პროფესიულ საქმიანობას თუნდაც რამდენიმე თვით (მითუმეტეს, წლობით) მოწყვეტილ ადამიანს საკმაოდ დიდი დრო სჭირდება ადაპტირებისათვის, რათა შრომის მწარმოებლურობის მისთვის ტრადიციულ დონეს მიაღწიოს. ამიტომ დანაკარგები უნდა ვიანგარიშოთ არა მარტო უმუშევრობის პერიოდის მიხედვით, არამედ (ნაწილობრივ) ადაპტირებისათვის საჭირო პერიოდის მიხედვითაც. ეს იმ შემთხვევაში, როცა წარმოების ტექნოლოგიური პროცესები უცვლელია. თუ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სიახლეთა დანერგვასაც გავითვალისწინებთ, მისი კვალიფიკაცია აშკარად ჩამორჩენილი

აღმოჩნდება წარმოების ახალ მოთხოვნებთან შედარებით და მან ხანგრძლივი გადამზადება უნდა გაიაროს.

უმუშევრობის ერთ-ერთი ნაკლია გადასახადების გადიდება, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოგროვდეს უმუშევართათვის შემწეობის მისაცემი სახსრები. უმუშევრობის დონის შემცირება რომ მოხერხდებოდეს, ეს ფული პენსიებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, გზებსა და სხვა საჭიროებებს მოხმარდებოდა, ანდა გადასახადების შემცირების შესაძლებლობა გაჩნდებოდა.

უმუშევრობა (მითუმეტეს, თუ მას ქრონიკული ხასიათი აქვს) ფრიად ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის დამნაშავეობისათვის. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, დამნაშავეთა უდიდესი უმრავლესობა უმუშევართა რიგებიდანაა და ბევრს მრუდე გზისკენ, ალბათ, სწორედ ამ ფაქტორმა უბიძგა. ასეთი დასკვნის სისწორეს დღეისათვის საქართველოში არსებული მდგომარეობაც ადასტურებს.

უმუშევრობით გამოწვეულ ნეგატიურ ეკონომიკურ შედეგებს შორის აღსანიშნავია:

1. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრული გამოყენება. უმუშევრობის მთავარი საზღაური გამოუშვებელი პროდუქციაა, როდესაც ეკონომიკას არ შეუძლია საკმარისი რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნა იმათთვის, ვისაც მუშაობა სურს და შეუძლია. ამის შედეგად საქონლისა და მომსახურების წარმოების პოტენციალი სამუდამოდ იკარგება. ეკონომისტები ამ უწარმოებელ პროდუქციას მთლიანი შიდა პროდუქტის დანაკარგს (ჩამორჩენას) უწოდებენ. ეს დანაკარგი პროდუქციის ის მოცულობაა, რომლითაც ფაქტიური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ნაკლებია პოტენციურზე. პოტენციური მშპ განისაზღვრება ეკონომიკური ზრდის ნორმალური ტემპების საფუძველზე, უმუშევრობის ბუნებრივი დონის გათვალისწინებით.

მაკროეკონომიკის ცნობილმა მკვლევარმა არტურ ოუკენმა მათემატიკურად გამოხატა თანაფარდობა უმუშევრობის დონესა და მშპ-ის ჩამორჩენას შორის, ეს თანაფარდობა, რომელიც **ოუკენის კანონის** სახელწოდებითაა ცნობილი, გვიჩვენებს, რომ თუ უმუშევრობის ფაქტობრივი დონე მეტია ბუნებრივზე 1%-ით,

მაშინ რეალური მშპ-ის ჩამორჩენა პოტენციური მშპ-ისაგან 2,5%-ს შეადგენს. ამ კანონის საფუძველზე შეიძლება გამოვიანგარიშოთ უმუშევრობის ნებისმიერ დონესთან დაკავშირებული პროდუქციის აბსოლუტური დანაკარგები. მისი გამოყენებით დადგენილია, რომ აშშ-ში 1983 წელს მშპ-ის მოცულობის ჩამორჩენა 8,75%-ს უდრიდა. სხვა სიტყვებით, თუ აღნიშნულ წელს უზრუნველყოფილი იქნებოდა უმუშევრობის დონე სრული დასაქმების პირობებში, მშპ-ი ფაქტობრივთან შედარებით 8,75%-ით მეტი აღმოჩნდებოდა. ფულად გამოსახულებაში ეს უდრის 290 მლრდ დოლარის პროდუქციას. ყოველივე ეს გამოიწვია იმან, რომ არ იყო უზრუნველყოფილი უმუშევრობის ბუნებრივი დონე.

აღსანიშნავია ის, რომ მშპ-ის ფაქტობრივმა მოცულობამ ზოგჯერ შესაძლოა გადააჭარბოს პოტენციურ მოცულობას. ასე მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც უმუშევრობის დონე 2%-ზე ნაკლები იყო. ეს მოხდა იმის გამო, რომ წარმოებაში ჩაება მუშათა დამატებითი რაოდენობა, კაპიტალურ მოწყობილობას იყენებდნენ დადგენილი ნორმატივების გადაჭარბებით, ზეგანაკვეთური მუშაობა და შემთავსებლობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ა.შ. ასევე მოხდა 60-ანი წლების ბოლოს, ვიეტნამის ომთან დაკავშირებით და 1973 წლის ეკონომიკური ბუმის დროს. ასე რომ, ზოგჯერ შესაძლებელია პოტენციური მშპ-ის გადაჭარბება, მაგრამ ამ მდგომარეობის დიდი ხნით გაგრძელება არ შეიძლება.

2. შემოსავლის შემცირება. უმუშევრობა მკვეთრად ამცირებს არა მარტო თვით უმუშევრის შემოსავალს (რამდენადაც უმუშევრობისათვის დახმარება გაცილებით ნაკლებია ხელფასზე), არამედ სახელმწიფოს შემოსავალსაც (რამდენადაც სახელმწიფოს მიერ იბეგრება მომუშავის შემოსავალი და არა უმუშევრის მიერ მიზერული ოდენობით მიღებული დახმარება).

3. მიგრაციის დონის ამაღლება. უმუშევრობა შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციისა და სამშობლოდან შორს გადახვეწის დიდად ხელშემწყობი ფაქტორია. მნიშვნელოვანწილად ამან განაპირობა ის, რომ 90-ან წლებში საქართველოდან მო-

სახლეობის მიგრაციამ თითქმის მილიონს მიაღწია, რომლის გარკვეული ნაწილი უკან საცხოვრებლად არც მობრუნებულა.

4. რესურსების სოლიდური დანაკარგები. უმუშევრობით გამოწვეულ დანაკარგებზე მსჯელობისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისეთი მნიშვნელოვანი მომენტებიც, როგორიცაა: კაპიტალისა და ტვინის (მეცნიერთა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა კადრების) გადინება ქვეყნიდან, დანაზოგებისა და მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნილების შემცირება, ინვესტიციური მოთხოვნის შემცირება, მიწოდების შეკვეცა, წარმოების დაცემა და ა.შ.

უმუშევრობა, როგორც მაკროეკონომიკური არასტაბილურობის გამოვლინება, საბოლოო ანგარიშით, რა თქმა უნდა, ნეგატიური გამოელენაა, მაგრამ ცალკეული დადებითი მომენტები მის შედეგებშიც შეინიშნება. მხედველობაში გვაქვს ის, რომ:

– უმუშევრობა ნიშნავს დაუსაქმებელი (თანაც, ძირითადად კვალიფიციური და გამოცდილი) სამუშაო ძალის რეზერვის არსებობას, რომელიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, წარმოების ზრდის გარანტს წარმოადგენს.

– ფრიქციული უმუშევრობის შედეგად, როდესაც ხდება მუშაკთა დაბალანაზღაურებადი და ნაკლებადპროდუქტიული სამუშაოდან მაღალანაზღაურებად და პროდუქტიულ სამუშაოზე გადასვლა, ერთის მხრივ იზრდება მათი შემოსავალი და კეთილდღეობა, ხოლო მეორეს მხრივ, ფართოვდება მაღალპროდუქტიული, პრიორიტეტული პროდუქციის წარმოების მასშტაბები.

– უმუშევრობის არსებობა ზრდის პროფკავშირების აქტიურობას უმუშევართა ინტერესების დასაცავად, რომელსაც მომდევნო ეტაპზე დასაქმებასთან ერთად, ხშირად თან სდევს ხელფასების მომატება და მეწარმეობრივი საქმიანობის სტიმულირების გაძლიერება.

უმუშევრები ერთი-მეორის კონკურენტები არიან, ამიტომ ცდილობენ დამქირავებლებს უფრო სრულყოფილი სამუშაო ძალა შესთავაზონ და ინტენსიურად იმაღლებენ პროფესიონალიზმს, ხოლო სამუშაოს მიღების შემდეგ კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

აღნიშნული მიზეზების გამო, ზომიერ (შრომისუნარიანთა დაახლოებით 3-დან 6%-მდე ოდენობით) უმუშევრობას საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელ თანამგზავრად მიიჩნევენ.

5. დასაქმების კლასიკური და ქეინსური თეორიები. სეის კანონი

კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში მოცემულია მტკიცება, რომ სრული დასაქმება საბაზრო ეკონომიკის ნორმაა, ხოლო ყველაზე საუკეთესო ეკონომიკური პოლიტიკაა Laissez faire-ს (სახელმწიფოს ჩაურევლობის) პოლიტიკა. ქეინსური თეორიის თანახმად წმინდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია უმუშევრობა და, თუ ჩვენ გვინდა თავიდან ავიცილოთ რესურსების დანაკარგები, აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკა.

იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა Laissez faire-ს უზრუნველყოს და შეინარჩუნოს ერთობლივი მოთხოვნის საკმარისი დონე, რათა განახორციელოს წარმოება სრული დასაქმების პირობებში?

მოცემულ კითხვაზე პასუხი დროთა განმავლობაში იცვლება. „დიდ დეპრესიამდე" XIX და XX საუკუნის მრავალი ცნობილი ეკონომისტი, რომლებსაც კლასიკოსებს[1] უწოდებენ, ვარაუდობდა, რომ საბაზრო ეკონომიკას შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკაში რესურსების სრული გამოყენება. ამტკიცებდნენ, რომ ხანდახან შესაძლოა წარმოიშვას არანორმალური გარემოებები, ისეთები, როგორიცაა ომები, პოლიტიკური გადატრიალებები, გვალვა, საბირჟო კრახი, ოქროს ციებ-ცხელება და ა.შ., რომლებიც ეკონომიკას სრული დასაქმებიდან სხვა გზით წაიყვანს. ამასთან, აღნიშნავდნენ, რომ საბაზრო სისტემის დამახასიათებელი თვითრეგულირების შესაძლებლობები ავტომატუ-

[1] დავიდ რიკარდო, ჯონ სტიუარდ მილი, ალფრედ მარშალი, ა. პიგუ და სხვ.

რად სწრაფად აღადგენს სრული დასაქმების დროის წარმოების დონეს ეკონომიკაში.

დასაქმების კლასიკური თეორიის საფუძველია ორი ძირითადი ცნება. ჯერ ერთი, მტკიცება, რომ სიტუაცია, რომლის დროსაც დანახარჯთა დონე არასაკმარისი იქნება სრული დასაქმების პირობებში წარმოებული საქონლის შესასყიდად, საეჭვოა შესაძლებელი იყოს. მეორე, თუ საერთო ხარჯების დონე არასაკმარისი აღმოჩნდება, საკმაოდ სწრაფად ჩაირთვება ისეთი ბერკეტები და მარეგულირებლები, როგორიცაა ფასი, ხელფასი (მათ შორის სარგებლის განაკვეთი), რის შედეგაც საერთო ხარჯების შემცირება არ გამოიწვევს წარმოების რეალური მოცულობის, დასაქმებისა და რეალური შემოსავლების შემცირებას.

დანახარჯების არასაკმაო დონის შესაძლებლობის უარყოფა კლასიკური თეორიის მიერ ნაწილობრივ სეის კანონს ეჯრდნობა. **სეის კანონი** შემდეგში მდგომარეობს: თვით საქონელთა წარმოების პროცესი ქმნის შემოსავალს, რომელიც წარმოებულ საქონელთა ღირებულების ტოლია. ეს ნიშნავს, რომ პროდუქციის ნებისმიერი მოცულობის წარმოება ავტომატურად უზრუნველყოფს შემოსავალს, რომელიც აუცილებელია ბაზარზე მთელი პროდუქციის შესასყიდად. პროდუქციის ნებისმიერი მოცულობის წარმოებით მიღებული შემოსავალი დახარჯვის შემთხვევაში, საკმარისი უნდა იყოს ადექვატური საერთო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი ბაზრის სტრუქტურის შესაბამისობის პირობებში ყველა ბაზარი იწმინდება პროდუქციისაგან.


სეის კანონი იმის გარანტიას იძლევა, რომ მოხმარების დანახარჯები საკმარისი იქნება პროდუქციის წარმატებული რეალიზებისათვის. სეის კანონს გარკვეული ნაკლოვანება ახასიათებს. მართალია პროდუქციის წარმოება უზრუნველყოფს ფულადი შემოსავლის შესაბამის ოდენობას, მაგრამ შემოსავლის მიმღებთა მიერ მისი მთლიანად დახარჯვის გარანტია არ არსებობს. შემოსავლის რაღაც ნაწილი შეიძლება დაზოგილ იქნას და ამიტომ ასახვა ვერ ჰპოვოს მოთხოვნაში. დანაზოგები იწვევენ დარღვევებს და ამით ძირს უთხრიან სეის კანონს.

ამავე დროს ეკონომისტი-კლასიკოსები ამტკიცებენ, რომ დანაზოგები სინამდვილეში არ იწვევს მოთხოვნის უკმარისობას, ვინაიდან ყოველი დაზოგილი დოლარი ინვესტირებული იქნება მეწარმეთა მიერ. ინვესტირება თითქოსდა ხდება სამომხმარებლო ხარჯების ნებისმიერი უკმარისობის კომპენსირებისათვის. ფირმები არ ფიქრობენ მთელი თავიანთი პროდუქციის მომხმარებლებზე რეალიზებას, არამედ მის მნიშვნელოვან ნაწილს აწარმოებენ წარმოების საშუალებათა სახით ერთმანეთზე მისაყიდად.

ეკონომისტი-კლასიკოსები ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმის დროს არსებობს ერთობ სპეციფიკური ბაზარი-ფულის ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს დანაზოგთა და ინვესტიციების ტოლობას და აქედან გამომდინარე სრულ დასაქმებას. სხვა თანაბარ პირობებში საოჯახო მეურნეობები ჩვეულებრივ ამჯობინებენ მოიხმარონ და არა დაზოგონ. საქონელთა და მომსახურების მოხმარება ადამიანურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გამოუყენებელი დოლარები კი არა. აქედან კეთდება დასკვნა იმის თაობაზე, რომ მომხმარებლები დაზოგავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ სარგებლის განაკვეთს გადაუხდიან მომჭირნეობის საზღაურად. რაც უფრო მაღალია სარგებლის განაკვეთი, მით უფრო მეტი დოლარი დაიზოგება და საოჯახო მეურნეობათა დანაზოგების მრუდი (დოლარების მიწოდება) აღმავალი იქნება (მრუდი S იხ. ნახ. 5.2). ვინ გადაიხდის დანაზოგთა გამოყენების საზღაურს? არავინ, თუ არა ინვესტორები საწარმოთა მესაკუთრეები, რომლებიც ცდილობენ მოძებნონ (მოთხოვნას აყენებენ) ფულადი კაპიტალი, ან წარმოებრივ მოწყობილობათა პარკი თავიანთ საწარმოთა განახლებისა და გაფართოებისათვის. რამდენადაც სარგებლის ნორმა გავლენას ახდენს მეწარმე-მოსესხეთა დანახარჯებზე, ეს უკანასკნელნი უფრო ხალისით ისესხებენ და დააბანდებენ დაბალი და არა მაღალი განაკვეთის პირობებში. ეს ნიშნავს, რომ მეწარმეთა ინვესტიციების მრუდი (დოლარებზე მოთხოვნა) დაღმავალი იქნება (I მრუდი ნახაზზე).

დასაქმების კლასიკური თეორიის მიხედვით ფულის ბაზარი, სადაც დანაზოგების მფლობელები დოლარებს სთავაზო-

ბენ, ხოლო ინვესტორები ამ დოლარებზე მოთხოვნას აყენებენ, წონასწორობით ფასს აწესებს გამოყენებაზე - სარგებლის წონასწორობით განაკვეთზე, რომლის დროსაც დაზოგილი დოლარების რაოდენობა ინვესტირებული დოლარების ტოლია. დანაზოგები, როგორც კლასიკოსები აღნიშნავენ, ფაქტობრივად არ იწვევს დარღვევებს (შემო საველები - დანახარჯების ნაკადში), ვინაიდან ფულის ბაზარი, ანუ, უფრო სწორად სარგებლის განაკვეთი ხელს უწყობს იმას, რომ ყოველი დაზოგილი დოლარი ინვესტორთა ხელში მოხვედეს და და-



ნახ. 5.2. სარგებლის განაკვეთისა და დანაზოგთა და ინვესტიციების წონასწორობა

იხარჯოს წარმოებრივ მოწყობილობაზე. ამიტომ მომჭირნეობის გაძლიერება სოციალური შეფიქრიანების საბაბს არ წარმოადგენს, ვინაიდან იგი დანაზოგების მიწოდების მრუდს გადააადგილებს მარჯვნივ. თუმცა დანაზოგები მომენტალურად გადააჭარბებენ ინვესტიციებს და შესაძლოა, დროებითი უმუშევრობა გამოიწვიონ, მაგრამ დანაზოგთა სიჭარბე გამოიწვევს სარგებლის განაკვეთის შემცირებას ახალ წონასწორობით უფრო დაბალ დონემდე. სარგებლის ეს უფრო დაბალი განაკვეთი კი გამოიწვევს დანახარჯების ზრდას ინვესტიციებში, მანამ სანამ

ისინი დანაზოგებს არ გაუტოლდებიან, ამასთან სრული დასაქმების შენარჩუნებით.

ამრიგად, სარგებლის განაკვეთის შეცვლა უზრუნველყოფს სეის კანონის მოქმედებას მნიშვნელოვანი დანაზოგების მქონე ეკონომიკაშიც კი.

ქეინსური ეკონომიკური თეორია. დასაქმების კლასიკური თეორიის დებულებებს მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა ერთი არსებითი ფაქტი ხანგრძლივი უმუშევრობისა და ინფლაციის განმეორებადი პერიოდები. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთმა ეკონომისტმა დასაქმების კლასიკური კონცეფციის თეორიული პოსტულატებისა და ფუძემდებლური პრინციპების კრიტიკა იწყო.

1936 წელს ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ ქეინსმა დასაქმების დონის ახალი ახსნა წამოაყენა კაპიტალისტურ ეკონომიკაში. თავის ნაშრომში დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია, ქეინსი თავს დაესხა კლასიკური თეორიის საფუძვლებს, რითაც უდიდესი რევოლუცია მოახდინა ეკონომიკურ აზროვნებაში მაკროეკონომიკურ საკითხებზე. ქეინსი დასაქმების თანამედროვე თეორიის მამამთავარია.

დასაქმების ქეინსური თეორია მკვეთრად განსხვავდება კლასიკური მიდგომისაგან. ამ თეორიის მკაცრი დასკვნა ისაა, რომ კაპიტალიზმის დროს უბრალოდ არ არსებობს არავითარი მექანიზმი, რომელიც სრული დასაქმების გარანტიას იძლევა. ამტკიცებენ, რომ ეკონომიკა შეიძლება დაბალანსებულიც იყოს - ე.ი. შეიძლება წარმოების საერთო მოცულობის წონასწორობას მიაღწიოს უმუშევრობის მნიშვნელოვანი დონისა და არსებითი ინფლაციის პირობებში. სრული დასაქმება უფრო შემთხვევითია, ვიდრე კანონზომიერი. კაპიტალიზმი არაა თვითრეგულირებადი სისტემა, რომელსაც შეუძლია უსაზღვრო აყვავება; არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კაპიტალიზმი თავისთავად ვითარდება. უფრო მეტიც, არ შეიძლება ეკონომიკური შერყევები მხოლოდ საგარეო ფაქტორებს დავუკავშიროთ, ისეთებს, როგორიცაა გვალვები, ომები და სხვა ანომალიები. პირიქით, უმუშევრობისა და ინფლაციის მიზეზები მნიშვნელოვანწილად

ზოგიერთ ეკონომიკურ, კერძოდ, დანაზოგებისა და ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებაში სრული სინქრონულობის არარსებობაში იმალება. გარდა ამისა, პროდუქციის ფასები და ხელფასები შემცირების ტენდენციას ინარჩუნებენ. ფასებისა და ხელფასის მნიშვნელოვან შემცირებას წინ უძღვის საშინაო ფაქტორები, რომელთაც საგარეოსთან დამატებით თავიანთი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის არასტაბილურობაში. ქეინსელები თავიანთ მოსაზრებას იმითაც განამტკიცებენ, რომ უარყოფენ თვით იმ მექანიზმს, რომელსაც კლასიკური პლატფორმა ემყარება სარგებლის განაკვეთის და ფასებისა და ხელფასის თანაფარდობის ავტომატურ რეგულირებას.

საკონტროლო კითხვები

1. რა იწვევს უმუშევრობას და რით გამოიხატება მისი არსი?
2. მოკლევადიანი პერიოდის მოვლენაა უმუშევრობა თუ გრძელვადიანის?
3. რომელია უმუშევრობის ძირითადი სახეები? უმუშევრობას აქვს თუ არა რაიმე დადებითი მხარე?
4. რატომაა სამუშაოს ძიებით გამოწვეული უმუშევრობა გარდაუვალი? როგორ შეუძლია მთავრობას ამ უმუშევრობის ხანგრძლივობის შემცირება?
5. რომელ სამ კატეგორიად ჰყოფს მოსახლეობას შრომის სტატისტიკის ბიურო? როგორ გამოითვლის სამუშაო ძალას, უმუშევრობის დონესა და სამუშაო ძალის ხვედრით წონას ზრდასრულ მოსახლეობაში?
6. რა განსხვავებაა უმუშევრობის ფაქტიურ და ბუნებრივ დონეს შორის? როგორ მოქმედებენ პროფკავშირები უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე?
7. როგორია მეპ-ის ჩამორჩენის შედეგები? ახსენით ოუკენის კანონი. როგორია უმუშევრობის გარეშე ეკონომიკური შედეგები?
8. რა ძირითადი განსხვავება არსებობს დასაქმების კლასიკურ და ქეინსურ თეორიებს შორის?

ტესტები

1. მიუთითეთ ქვემოთ ჩამოთვლილი მშრომელები რას განიცდიან გრძელვადიან უმუშევრობას თუ მოკლევადიანს. ახსენით თქვენი პასუხები.

ა. მუშა, რომელიც იზოლირებულ რაიონში მდებარე საწარმოდან დაითხოვეს;

ბ. საფოსტო დილიჟანსის მეეტლე, რომელიც დაითხოვეს რკინიგზის მხრიდან კონკურენციის გამო;

გ. პატარა სასაუზმის მზარეული, რომელიც იმის გამო დაითხოვეს, რომ ქუჩის მეორე მხარეს ახალი რესტორანი გაიხსნა;

დ. გამოცდილი შემდუღებელი მცირე განათლებით, რომელიც იმის გამო დაითხოვეს, რომ კომპანიამ ავტომატური შემდუღებელი აპარატი შეიძინა.

2. რომელი მტკიცება არ არის ჭეშმარიტი:

ა. ადამიანი ითვლება უმუშევრად თუ უკანასკნელი კვირის მანძილზე არ უმუშავია;

ბ. მიმდინარე პერიოდში დაუსაქმებელი ადამიანი არ ითვლება უმუშევრად, თუ ის იმედოვნებს, რომ 30 დღის განმავლობაში მიიღებს სამუშაოს;

გ. თუ ადამიანი გასულ კვირას არ მუშაობდა კლიმატური პირობების გაუარესების გამო, ის ითვლება დროებით უმუშევრად;

დ. როცა უმუშევარი უარს ამბობს სამუშაოს ძიებაზე, ის აღარ ითვლება უმუშევრად.

3. როდესაც ადამიანი სამუშაო ძალის შემადგენლობიდან უმუშევართა რიგებში ინაცვლებს, მაშინ უმუშევრობის ფაქტიური დონე:

ა. იზრდება;

ბ. მცირდება;

გ. უცვლელი რჩება.

4. თქვენი აზრით, მშრომელთა დაქირავებაში ვის აქვს მეტი საბაზრო ძალაუფლება:

ა. პატარა ქალაქებში არსებულ ფირმებს;

ბ. დიდ ქალაქებში არსებულ ფირმებს;

გ. 50 წლის წინ არსებულ ფირმებს;

დ. ამჟამად არსებულ ფირმებს.

5. აღრიცხული უმუშევრობა შეიძლება იყოს ფაქტიურ უმუშევრობაზე ნაკლები, თუკი:

ა. აღრიცხული უმუშევრობა არ მოიცავს ფრიქციულ უმუშევრობას;

ბ. აღრიცხული უმუშევრობა არ მოიცავს მოზარდთა უმუშევრობას;

გ. ზოგიერთმა უმუშევარმა შეწყვიტა სამუშაოს ძებნა;

დ. ზოგიერთი უმუშევარი სეზონურად არ ეძებს სამუშაოს.

6. უმუშევრობა მოსალოდნელია გაიზარდოს მაშინ, როდესაც...

ა. ცნობილია, რომ უახლოეს მომავალში გაიზრდება მინიმალური ხელფასი;

ბ. შემოღებულია უმუშევრობის საეალდებულო დაზღვევა;

გ. დასაქმებულები დროებით დაითხოვეს კლიმატური პირობების გაუარესების გამო;

დ. რეალური ხელფასი აღემატება წონასწორულ ხელფასს.

სავარჯიშოები

1. შეუძლია თუ არ კომპანიას საკუთარი მოგების გაზრდა ხელფასების მომატების საშუალებით? დაასაბუთეთ თქვენი პასუხები.

2. გამოიყენეთ შემდეგი მონაცემები, რათა გაიანგარიშოთ: ა) სამუშაო ძალის სიდიდე; ბ) უმუშევრობის ფაქტიური დონე. დავუშვათ, X რაიონის მთელი მოსახლეობა შეადგენს 500 კაცს.

120 კაცი - ბავშვებია 16 წლამდე და ადამიანები ფსიქიატრიულ საავადმყოფოებსა და გამოსასწორებელ დაწესებულებებში; 150 კაცი გამოსულია სამუშაო ძალის შემადგენლობიდან; უმუშევრები შეადგენენ 23 კაცს; მუშები, რომლებიც დასაქმებულნი არიან არასრული სამუშაო დღით და ეძებენ სამუშაოს - 10 კაცი.

3. დავუშვათ, რომ რომელიღაც X ქვეყნის ეკონომიკაში ფრიქციული უმუშევრობის დონე შეადგენს: ა) 4%-ს; ბ) 3,5%-ს; ხოლო სტრუქტურულისა – ა) 2,8%-ს; ბ) 4,5%-ს. ფაქტიური მშპ თავისი პოტენციური დონისგან ჩამორჩება ა) 12,5%-ით; ბ) 10%-ით. გამოთვალეთ ფაქტიური უმუშევრობის დონე ორივე ა და ბ შემთხვევებისათვის.

4. დავუშვათ, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე გასულ წელს შეადგენდა 5%-ს, ხოლო ფაქტიური დონე – 9%-ს. განსაზღვრეთ პროდუქციის რა მოცულობა დაიკარგა უმუშევრობის გამო, თუ კი ნომინალური მშპ-ს მოცულობა იმავე წელს 500 მლრდ ლარის ტოლი იყო.

5. უმუშევრობის რომელ სახეს აქვს ადგილი შემდეგ შემთხვევებში:
ა. სამუშაოდან გათავისუფლება ბავშვების მოვლის გამო;
ბ. სამუშაოდან გათავისუფლება ჭარბწარმოების კრიზისის პირობებში;
გ. სამუშაოდან გათავისუფლება სწავლის დაწყების გამო;
დ. მაღაროელთა სამუშაოდან გათავისუფლება ენერგიის ალტერნატიული წყაროების განვითარების შედეგად.

თემა VI. ინფლაცია

1. ინფლაციის არსი და მიზეზები

მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ინფლაცია. ტერმინი „ინფლაცია" ლათინური წარმოშობისაა და წარმოდგება სიტყვა – inflatio -საგან, რაც გაბერვას ნიშნავს. ინფლაცია არის მიმოქცევის არხებში ჭარბი ქაღალდის ფულისა და დაუხურდავებელი ბანკნოტების დაგროვება, რაც იწვევს მათ გაუფასურებასა და ფასების საერთო დონის ზრდას. ინფლაციის პერიოდში ყველა საქონელსა და მომსახურებაზე ერთდროულად არ იზრდება ფასები. ინფლაციის საკმაოდ სწრაფი ზრდის დროსაც კი ზოგიერთ საქონელზე ფასი შეიძლება სტაბილური დარჩეს, ხოლო ზოგიერთზე შემცირდეს კიდეც. ინფლაციის დროს თავს იჩენს ფასების ძალზე არათანაბარი ზრდის ტენდენცია. იგი ხან ძალზე ნახტომისებურად მატულობს, ხან თანაბარი ტემპებით, ხან კი საერთოდ არ იზრდება.

თვით ფასების ზრდაც ყოველთვის როდი გამოხატავს ინფლაციურ პროცესს: როგორც ვიცით, ფასების ზრდა დაკავშირებულია სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის მიწოდებაზე გადამეტებასთან. მაგრამ ცალკეულ საქონლურ ბაზარზე ასეთი დისპროპორციით გაპირობებული მაღალი ფასები ჯერ კიდევ არაა ინფლაცია. ინფლაციურ ხასიათს იგი ღებულობს მაშინ, როცა დისპროპორცია მოთხოვნის სასარგებლოდ ხანგრძლივი და საყოველთაო ხასიათის მატარებელია და მთელი ქვეყნის მასშტაბით მატულობს ფასების საერთო დონე. სხვა სიტყვებით, ინფლაციური პროცესი იწყება მაშინ, როცა ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას შორის ნათლად გამოიკვეთება დისბალანსი.

ინფლაციის მიზეზები. ინფლაციის განმსაზღვრელი ძირითადი მიზეზებია:

1) **სახელმწიფოს შემოსავალსა და ხარჯებს შორის დისპროპორცია, ანუ დაუბალანსებლობა, რომელიც გამოიხატება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტში.** ამ დეფიციტის დასაფარავად

სახელმწიფო მიმართავს ფულის გაძლიერებულ ემისიას, რაც საჭიროებასთან შედარებით მის მკვეთრად გაზრდასა და გაუფასურებას იწვევს;

2) **ეკონომიკის მილიტარიზაციასთან დაკავშირებით უზარმაზარი ინვესტიციების დაფარვა ხდება ფულის ემისიით.** სამხედრო ასიგნებების გადიდება ქმნის დამატებით მსყიდველობითუნარიან მოთხოვნას, რაც აპირობებს ფულადი მასის ზრდას შესაბამისი საქონლური მასით დაფარვის გარეშე;

3) **დისპროპორცია ფულად და საქონლურ მასას შორის, ფულადი მასის დაუსაქონლება.** ფულად და საქონლურ მასას შორის დისბალანსი შეიძლება გამოიწვიოს, გადახდისუნარიან მოთხოვნილებასთან შედარებით, მოხმარების საგნების წარმოების ჩამორჩენამაც;

4) **„იმპორტული" ინფლაცია.** იგულისხმება ისეთი საქონლის იმპორტი, რომელზეც ძალიან მაღალი ფასებია დაწესებული (შემოტანის აუცილებლობას აპირობებს ქვეყნის შიგნით მოცემული საქონლის მწვავე დეფიციტი). ცხადია, ეს პროცესი გავლენას ახდენს სხვა სახეობის საქონლის ფასების ზრდაზეც;

5) **ინფლაციის მოლოდინი.** ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: ჯერ ერთი, მომხმარებლები ყიდულობენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქონელს და მომსახურებას მაღალ ფასებში და ვინაიდან კარგავენ იმედს მათ შემცირებაზე, იძენენ საქონელს მიმდინარე მოთხოვნებთან შედარებით მეტი ოდენობით; მეორე, პარალელურად იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის, რაც განხორციელების შემთხვევაში ხელს შეუწყობს მიმდინარე სამომხმარებლო მოთხოვნის გაფართოებას; მესამე, მწარმოებლები თავიანთ პროდუქციაზე აწესებენ სულ უფრო მაღალ ფასებს იმ მოტივით, რომ უახლოეს ხანში მოსალოდნელია ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის კიდევ უფრო გაძვირება. ამაევე მიზეზით ისინი აფართოებენ წარმოების რესურსების შეძენას. ყოველივე ამის შედეგად ფასები იზრდება არა მარტო ადრე დაუკმაყოფილებელი მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნის დონემდე, არამედ მოსალოდნელ ოფიციალურ სიდიდემდეც;

6) **ბაზარზე ისეთი საქონლის მნიშვნელოვანი ოდენობით მიწოდება, რომელზეც მოთხოვნა არ არის.** ეს გარემოება ფარულად იწვევს ფულის გაუფასურებას.

ინფლაციური პროცესების დაჩქარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საომალტო, ენერგეტიკული და სანედლეულო კრიზისი, სასურსათო პრობლემის მკვეთრად გამწვავება და სხვა.

ინფლაციის მიზეზების უმრავლესობა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში შეინიშნება. თუმცა ამ პროცესის სხვადასხვა ფაქტორთა კომბინაცია დამოკიდებულია ამა თუ იმ პერიოდში არსებულ კონკრეტულ ეკონომიკურ პირობებზე.

2. სამომხმარებლო ფასების ინდექსი

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ცხოვრების ღირებულების ცვლილებებზე დაკვირვებისათვის გამოიყენება. როდესაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი იზრდება, ტიპიურმა ოჯახმა მეტი ფული უნდა დახარჯოს ცხოვრების იმავე დონის შესანარჩუნებლად. ეკონომისტები ტერმინ **„ინფლაციას"** იყენებენ იმ სიტუაციის აღსაწერად, როდესაც **ფასების საერთო დონე იზრდება.** ინფლაციის დონე ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილებაა წინა წელთან შედარებით. როგორც მომდევნო თავებში ვნახავთ, ინფლაცია მაკროეკონომიკური მოვლენებიდან ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი და მაკროეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველი ძირითადი მოვლენაა. ამ თავში ვაჩვენებთ როგორ განსაზღვრავენ ეკონომისტები ინფლაციის დონეს სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოყენებით.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) ტიპიური მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულების მაჩვენებელია. სტატისტიკის დეპარტამენტი ყოველთვიურად ითვლის და აქვეყნებს სამომხმარებლო ფასების ინდექსს. ამ თავში ვიმსჯელებთ იმის შესახებ, თუ როგორ გამოითვლება სამომხმარებლო ფასების ინდექსი და რა პრობლემები

ჩნდება ამ გამოთვლების დროს. ვიმსჯელებთ აგრეთვე იმის შესახებ, რამდენად განსხვავებულია სამომხმარებლო ფასების ინდექსი მშპ დეფლატორისაგან, ფასების საერთო დონის კიდევ ერთი მაჩვენებლისაგან, რომელიც II თავში შევისწავლეთ.

როგორ გამოითვლება სფი. სტატისტიკურის დეპარტამენტი სამომხმარებლო ფასების ინდექსსა და ინფლაციის დონეს განსაზღვრავს, იყენებს მონაცემებს ათასობით სახეობის საქონლისა და მომსახურების ფასების შესახებ. ამ სტატისტიკის სტრუქტურის გასაგებად განვიხილოთ მარტივი ეკონომიკა, რომელშიც მომხმარებლები მხოლოდ ორ საქონელს – პურსა და შაქარს ყიდულობენ. № 6.1 ცხრილში სტატისტიკის დეპარტამენტის გამოთვლების პირველი ხუთი საფეხურია ნაჩვენები.

ცხრილი № 6.1

სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და ინფლაციის დონის გამოთვლა

საფეხური1: მომხმარებლის გამოკითხვა სამომხმარებლო კალათის დაფიქსირების მიზნით

4 პური, 2 შაქარი

საფეხური 2: თითოეული საქონლის ფასის დადგენა თითოეულ წელს

წელი	პურის ფასი	შაქრის ფასი
2005	1 ლარი	2 ლარი
2006	2 ლარი	3 ლარი
2007	3 ლარი	4 ლარი

საფეხური 3: სამომხმარებლო კალათის ღირებულების გამოთვლა თითოეული წლისათვის

2005	(1 × 4 პურზე) + (2×2 შაქარზე) = 8 ლარი
2006	(2 ×4 პურზე) + (3 ×2 შაქარზე) = 14 ლარი
2007	(3 ×4 პურზე) + (4 ×2 შაქარზე) = 20 ლარი

საფეხური 4. საბაზო წლის (2001) არჩევა და თითოეული წლისთვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოთვლა

2005	(8 ლ. /8 ლ.) × 100=100
2006	(14/8) × 100=175
2007	(20/8) × 100=250

საფეხური5: სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეშვეობით წინა წლის ინფლაციის დონის გამოთვლა

2006	(175–100)/100 × 100=75%
2007	(250–175)/175 × 100=43%

1. **კალათის დაფიქსირება.** სამომხმარებლო კალათის ფასების გამოთვლის პირველი საფეხურია იმის განსაზღვრა, რომელი ფასებია ყველაზე მნიშვნელოვანი ტიპიური მომხმარებლისათვის. თუ ტიპიური მომხმარებლები პურს უფრო მეტი რაოდენობით ყიდულობს, შაქარს, მაშინ პურის ფასი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შაქრისა, და ამიტომ მეტი წონა ექნება ცხოვრების ღირებულების გამოთვლისას. სტატისტიკის დეპარტამენტი ამ წონებს მომხმარებელთა გამოკითხვით და საქონლისა და მომსახურების იმ კალათის მოძებნით ადგენს, რომელსაც ტიპიური მომხმარებელი 4 პურისა და 2 შაქრისაგან შემდგარ კალათს ყიდულობს.

2. **ფასების დადგენა.** სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოთვლის მეორე საფეხურია კალათის შემადგენელი თითოეული საქონლისა და მომსახურების ფასების დადგენა დროის თითოეული პერიოდისთვის. ცხრილში ნაჩვენებია პურისა და შაქრის ფასები სამი სხვადასხვა წლისათვის.

3. **კალათის ღირებულების გამოთვლა.** მესამე საფეხურია ფასების მონაცემების გამოყენება სხვადასხვა დროის საქონლისა და მომსახურების კალათის ღირებულების გამოსათვლელად. ცხრილში ეს გამოთვლებია ნაჩვენები თითოეული წლისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ გამოთვლებში მხოლოდ ფასები იცვლება. საქონლისა და მომსახურების კალათის (4 პური და 2 შაქარი) უცვლელად დატოვებით ვაკეთებთ ფასების ცვლილების

ეფექტის იზოლაციას სხვა რაოდენობრივი ცვლილებებისაგან, რომლებიც, შესაძლოა, ამავე დროს მოხდეს.

4. საბაზო წლის არჩევა და ინდექსის გამოთვლა. მეოთხე საფეხურია რომელიმე წლის საბაზო წლად არჩევა. ინდექსის გამოსათვლელად საქონლისა და მომსახურების კალათის ფასი თითოეულ წელს იყოფა კალათის ფასზე საბაზო წელს და შემდეგ ეს შეფარდება 100-ზე მრავლდება. მიღებული რიცხვი სამომხმარებლო ფასების ინდექსია.

5. ინფლაციის დონის გამოთვლა. მეხუთე და უკანასკნელი საფეხურია სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოყენება **ინფლაციის დონის გამოთვლისათვის, რომელიც ფასების ინდექსის პროცენტულ ცვლილებას წარმოადგენს წინა პერიოდთან შედარებით.** ჩვენს მაგალითში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 75%-ით გაიზარდა 2005 წლიდან 2006 წლამდე და 43%-ით — 2006 წლიდან 2007 წლამდე. ამბობენ, რომ 2006 წელს ინფლაციის დონეა 75%, 2007 წელს კი — 43%.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მაგალითი პირობითია და რეალური სამყაროს გამარტივებული მოდელია, ის მაინც გვიჩვენებს, როგორ ითვლის სტატისტიკის დეპარტამენტი სამომხმარებლო ფასების ინდექსსა და ინფლაციის დონეს.

„70-ის სიდიდის წესი" ინფლაციის სხვანაირი გაზომვის საშუალებას იძლევა. მისი საშუალებით შეიძლება სწრაფად გავიანგარიშოთ ფასების დონის გაორმაგებისთვის აუცილებელი წლების რაოდენობა. საჭიროა მხოლოდ 70-ის გაყოფა ინფლაციის ყოველწლიურ დონეზე:

$$\text{ინფლაციის დონის გაორმაგებისათვის საჭირო წლების რაოდენობა} = \frac{70}{\text{ინფლაციის საშუალო წლიური დონე (\%)}}$$

მაგალითად ინფლაციის ყოველწლიური 8%-იანი დონის პირობებში ფასების დონე გაორმაგდება დაახლოებით 9 წლის შემდეგ (70 8). უნდა აღინიშნოს, რომ „70-ის სიდიდის წესი" ჩვეულებრივ გამოიყენება მაშინ, როდესაც, მაგალითად, საჭი-

როა მშპ-ს ან თქვენი პირადი დანაზოგების გასაორმაგებლად აუცილებელი დროის დადგენა.

მშპ დეფლატორი და სამომხმარებლო ფასების ინდექსი

II თავში გავეცანით არსებული ფასების საერთო დონის კიდევ ერთ მაჩვენებელს – მშპ დეფლატორს. მშპ დეფლატორი ნომინალური მშპ-სა და რეალური მშპ-ს ფარდობაა. ვინაიდან ნომინალური მშპ მიმდინარე ფასებად შეფასებული პროდუქციის მიმდინარე რაოდენობაა, ხოლო რეალური მშპ საბაზო წლის ფასებში შეფასებული პროდუქციის მიმდინარე რაოდენობა, ამიტომ მშპ-დეფლატორი ფასების მიმდინარე დონეს ასახავს საბაზო წლის ფასების დონესთან შეფარდებით.

ფასების ზრდის ტემპის შესაფასებლად ეკონომისტები აკვირდებიან როგორც მშპ დეფლატორს, ისე სამომხმარებლო ფასების ინდექსს. როგორც წესი, ორივე მაჩვენებელი ერთსა და იმავე შედეგს იძლევა. მაგრამ არსებობს ორი მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც აზრთა სხვადასხვაობის მიზეზია. პირველი განსხვავება ისაა, რომ მშპ დეფლატორი ადგილობრივი წარმოების ყველა საქონლისა და მომსახურების ფასებს ასახავს, ხოლო სამომხმარებლო ფასების ინდექსი – მომხმარებელთა მიერ შეძენილ ყველა საქონელსა და მომსახურებას. მაგ., თვითმფრინავი, რომელსაც „ბოინგი" აწარმოებს და საჰაერო ფლოტი ყიდულობს, ძვირდება. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავი მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილია, მაინც არ შედის საქონლისა და მომსახურების იმ კალათაში, რომელსაც ტიპიური მომხმარებელი ყიდულობს.

ამიტომ ფასის ეს ზრდა მხოლოდ მშპ დეფლატორს შეცელის, სამომხმარებლო ფასების ინდექსი კი უცვლელი დარჩება. განვიხილოთ მეორე მაგალითი. ვთქვათ, „ვოლვო" ავტომობილების ფასს ზრდის. ვინაიდან „ვოლვო" შეედეთში იწარმოება, ამიტომ ის შეერთებული შტატების მთლიან შიდა პროდუქტში არ შედის, მაგრამ ამერიკელი მომხმარებლები ამ ავტომობილს ყიდულობენ და შესაბამისად, „ვოლვო" ტიპიური მომხმარებლის კალათის ნაწილია. ასე, რომ იმპორტირებული სამომ-

ხმარებლო საქონლის გაძვირება მოქმედებს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე, მაგრამ არ მოქმედებს მშპ დეფლატორზე.

მეორე და უფრო საყურადღებო განსხვავება მშპ დეფლატორსა და სამომხმარებლო ფასების ინდექსს შორის იმას ეხება, თუ რა წონა ენიჭებათ სხვადასხვა ფასებს ფასების საერთო დონის გამომხატველი ერთი რიცხვის დადგენისას. სამომხმარებლო ფასების ინდექსში საქონლისა და მომსახურების უცვლელი კალათის ფასი შედარებულია საბაზო წელს ამაეე კალათის ფასთან. სტატისტიკის დეპარტამენტი ამ სასაქონლო კალათას ძალზე იშვიათად ცვლის. სამომხმარებლო ფასების ინდექსისაგან განსხვავებით, მშპ დეფლატორში მიმდინარე პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების უცვლელი კალათის ფასი შედარებულია საბაზო წელს ამაეე საქონლისა და მომსახურების ფასთან. ამრიგად, საქონლისა და მომსახურების ის ჯგუფი, რომელიც მშპ დეფლატორის გამოთვლაში გამოიყენება, გარკვეული პერიოდის შემდეგ ავტომატურად იცვლება. ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს მაშინ, როდესაც ყველა ფასი პროპორციულად იცვლება. მაგრამ თუ სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების ფასები სხვადასხვა ტემპით იცვლება, ამა თუ იმ ფასისთვის თაეისი წონის მინიჭების ხერხს დიდი მნიშვნელობა აქვს ინფლაციის საერთო დონისათვის.

3. ეკონომიკური ცვლადების კორექცია ინფლაციის ეფექტების გათვალისწინებით

ეკონომიკის ფასების საერთო დონის განსაზღვრის მიზანია, შესაძლებელი გახადოს თანხების შედარება დროის სხვადასხვა მონაკვეთში. ჩვენ უკვე ვიცით როგორ გამოითვლება ფასების ინდექსები. ახლა ვნახოთ როგორ გამოვიყვანოთ ფასების ინდექსი, რათა დოლარების ადრინდელი რაოდენობა დოლარების დღევანდელ რაოდენობას შევადაროთ.

ფული დროის სხვადასხვა ინტერვალში. ფეხბურთელის ხელფასი 1931 წელს – 80000 დოლარი – დღევანდელი ფეხბურ-

თელის ხელფასზე მეტი იყო თუ ნაკლები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ვიცოდეთ ფასების დონე 1931 წელს და ფასების დღევანდელი დონე. ფეხბურთელთა ხელფასების ზრდა ნაწილობრივ მოთამაშეების კომპენსაციაა ფასების დღევანდელი დონისთვის. ის რომ დღევანდელი მოთამაშეების ხელფასებს შევადაროთ, ის ინფლაციას უნდა დაეუქვემდებაროთ, რათა 1931 წლის თანხები დღევანდელი დოლარებით გამოვხატოთ. **ფასების ინდექსი ინფლაციის კორექციის ზომებს განსაზღვრავს.**

T წლის რიცხვების დღევანდელში გადმოსაყვანად გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

დღევანდელი თანხის რაოდენობა დოლარებში =

$$= \text{თანხის რაოდენობა T წლის დოლარებში} \times \frac{\text{ფასების დღევანდელი}}{\text{ფასების დონე T წე}}$$

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ზომავს ფასების დონის ცვლილებას და, ამდენად, ადგენს ინფლაციის მიხედვით კორექტირების საჭირო ზომებს.

ეს ფორმულა გამოვიყენოთ ფეხბურთელის ხელფასის შემთხვევაში. სტატისტიკის მიხედვით 1931 წელს ფასების ინდექსია 15,2, ხოლო 2005 წელს ფასების ინდექსი– 195. ამგვარად, ფასების საერთო დონე 12,8 ჯერ(195/15,2) გაიზარდა. ეს რიცხვები შეგვიძლია გამოვიყენოთ 2005 წლის დოლარებში ფეხბურთელის ხელფასის გამოსახატად. მივიღებთ:

ხელფასი 2005 წლის დოლარებში = ხელფასი 1931 წლის დოლარ

$$\times \frac{\text{2005 წლის ფასების დონე}}{\text{1931 წლის ფასების დონე}} = 80\,000 \times \frac{195}{15{,}2} = 1\,026\,316$$

როგორც ვხედავთ, ფეხბურთელის ხელფასი 1931 წელს დღევანდელ მილიონ დოლარზე მეტის ექვივალენტურია. ეს ხელფასი ოდნავ ნაკლებია, ვიდრე საშუალო ფეხბურთელის

დღევანდელი ხელფასი, მაგრამ ბევრად ნაკლებია, ვიდრე ფეხბურთის დღევანდელი სუპერვარსკვლავების ხელფასი.

ინდექსაცია. როგორც ვხედავთ ფასების ინდექსები გამოიყენება ინფლაციის შესაბამისად ფულადი კაპიტალის კორექციისათვის დროის სხვადასხვა პერიოდის თანხების შედარებისას. ამ ტიპის კორექცია ეკონომიკაში ხშირად გამოიყენება, როდესაც რაიმე თანხა კანონის ან კონტრაქტის საფუძველზე ინფლაციის კორექციას ექვემდებარება, ამ თანხას ინფლაციის მიხედვით ინდექსირებულს უწოდებენ.

მაგალითად, მრავალი გრძელვადიანი კონტრაქტი ფირმებსა და პროფკავშირებს შორის ითვალისწინებს ხელფასის ნაწილობრივ ან სრულ ინდექსაციას სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით. ასეთ ხელშეკრულებას **ცხოვრების დირებულების კორექცია ეწოდება.** ამ ხელშეკრულების მიხედვით, ხელფასი ავტომატურად იზრდება სამომხმარებლო ფასების ზრდასთან ერთად.

სარგებლის რეალური და ნომინალური განაკვეთები. ინფლაციის მიხედვით ეკონომიკური ცვლადების კორექტირება განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც საქმე სარგებლის განაკვეთების განსაზღვრას ეხება. როდესაც თქვენს მიერ დაზოგილ თანხას საბანკო დეპოზიტზე დებთ, თქვენი დეპოზიტი სარგებელს გაძლევთ. ან პირიქით, როდესაც ბანკისგან სესხს იღებთ თქვენი განათლებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად, ბანკს სარგებელი უნდა გადაუხადოთ. სარგებელი წარსულში განხორციელებული ფულის ტრანსფერის საფასურად მომავალში გადასახდელი თანხაა. ამიტომ სარგებლის განაკვეთი ყოველთვის გულისხმობს დროის სხვადასხვა პერიოდის თანხების ერთმანეთთან შედარებას. სარგებლის განაკვეთების უკეთ გასაგებად უნდა ვიცოდეთ როგორ განვახორციელოთ ინფლაციის ეფექტების კორექცია.

განვიხილოთ ერთი მაგალითი. ვთქვათ, სალი 1 000 დოლარს დებს საბანკო დეპოზიტზე, სადაც ყოველწლიურად 10% სარგებელს იღებს. ერთი წლის შემდეგ სალის 100 დოლარით მეტი დაუგროვდა. შემდეგ სალი საბანკო ანგარიშიდან ხსნის 1

100 დოლარს. არის თუ არა სალი შარშანდელზე 100 დოლარით უფრო მდიდარი?

პასუხი იმაზეა დამოკიდებული თუ რას ეგულისხმობთ სიტყვა „მდიდარში". სალის 100 დოლარით მეტი აქვს იმ თანხაზე, რაც შარშან ჰქონდა. თანხა 10%-ით გაიზარდა. მაგრამ სინტერესოა რისი ყიდვა შეუძლია ამ თანხით? თუ ფასებიც გაიზარდა, მაშინ წელს ერთი დოლარით უფრო ნაკლების ყიდვა შეიძლება, ვიდრე შარშან. ამგვარად სალის მსყიდველობითი უნარი 10%-ით არ გაზრდილა.

საქმე რომ გაეიმარტივოთ, ვთქვათ, რომ სალი მუსიკის მოყვარულია და მხოლოდ მუსიკალურ ფირფიტებს ყიდულობს. როდესაც სალიმ ბანკში ფული შეიტანა, ფირფიტა ადგილობრივ მუსიკალურ მაღაზიაში 10 დოლარი ღირდა. მისი 1 000 დეპოზიტი 100 ფირფიტას უდრიდა. ერთი წლის შემდეგ, როდესაც მან 10% სარგებელი მიიღო, მისი თანხა 1 100 დოლარს შეადგენდა. რამდენი ფირფიტის ყიდვა შეუძლია ახლა? ეს ცხადია დამოკიდებულია ფირფიტების ფასზე. განვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი:

— **ნულოვანი ინფლაცია.** თუ ფირფიტის ფასი ისევ 10 დოლარია, მაშინ მას 100-ის ნაცვლად 110 ფირფიტის ყიდვა შეუძლია. თანხის რაოდენობის 10%-იანი გაზრდა იწვევს მისი მსიდველობითი უნარის 10%-ით გაზრდას.

— **6%-იანი ინფლაცია.** თუ ფირფიტის ფასი 10 დოლარიდან 10,6-მდე გაიზარდა, მაშინ მას 10-ის ნაცვლად 104 ფირფიტის ყიდვა შეუძლია. ამდენად, მისი მსყიდველობითი უნარი 4%-ით გაიზარდა.

— **10%-იანი ინფლაცია.** თუ ფირფიტის ფასი 10 დოლარიდან 11 დოლარამდე გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი თანხა 1 000 დოლარიდან 1 100 დოლარამდე გაიზარდა, მას მხოლოდ 100 ფირფიტის ყიდვა შეუძლია. ამდენად, მისი მსყიდველობითი უნარი იმავე დონეზეა, რაც გასულ წელს იყო.

— **12%-იანი ინფლაცია.** თუ ფირფიტის ფასი 10 დოლარიდან 11,2-მდე გაიზარდა მას მხოლოდ 98 ფირფიტის ყიდვა შეუძლია. ამდენად, მისი მსყიდველობითი უნარი 2%-ით შემცირდა.

თუ სალი ისეთ ეკონომიკაში ცხოვრობს სადაც დეფლაციაა, ანუ ფასები კლებულობს, მაშინ შესაძლოა სხვა შედეგი მივიღოთ:

– 2%-იანი დეფლაციაა. თუ ფირფიტის ფასი 10 დოლარიდან 9,8-მდე ეცემა, მაშინ მას 100-ის ნაცვლად 112 ფირფიტის ყიდვა შეუძლია. ე. ი. მისი მსყიდველობითი უნარი 12%-ით გაიზარდა.

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია ინფლაციის ტემპი, მით ნაკლებია სალის მსყიდველობითი უნარის ზრდა. თუკი ინფლაციის ტემპი აჭარბებს სარგებლის განაკვეთს მისი მსყიდველობითი უნარი რეალურად იკლებს. და თუკი მას დეფლაციასთან აქვს საქმე, მაშინ მისი მსყიდველობითი უნარი უფრო მეტად იზრდება ვიდრე სარგებლის განაკვეთით იყო გათვალისწინებული.

იმის გასაგებად, თუ რამდენ შემოსავალს მიიღებს პირი შემნახველი ანგარიშებიდან, აუცილებელია როგორც სარგებლის განაკვეთის, ისე ფასების ცვლილების ცოდნა. სარგებლის განაკვეთს, რომელსაც ბანკი იხდის, **სარგებლის ნომინალური განაკვეთი** ეწოდება, ხოლო ინფლაციის მიხედვით კორექტირებულ სარგებლის განაკვეთს – **სარგებლის რეალური განაკვეთი.** დამოკიდებულება სარგებლის რეალურ განაკვეთსა და ინფლაციას შორის შეგვიძლია შემდეგნაირად გამოვხატოთ:

სარგებლის რეალური განაკვეთი =
სარგებლის ნომინალური განაკვეთი – ინფლაციის დონე

სარგებლის რეალური განაკვეთი სარგებლის ნომინალური განაკვეთისა და ინფლაციის დონეს შორის არსებული განსხვავების ტოლია. სარგებლის ნომინალური განაკვეთი იმაზე მეტყველებს, რა სისწრაფით იზრდება თქვენს საბანკო ანგარიშზე დოლარების რაოდენობა დროის გარკვეულ მონაკვეთში. სარგებლის რეალური განაკეთი კი იმაზე მეტყველებს, თუ რა სისწრაფით იზრდება თქვენი საბანკო ანგარიშის მსყიდველობითი უნარი დროის გარკვეულ მონაკვეთში.

4. ინფლაციის გადასახადი. შიშერის ეფექტი

ინფლაციის კლასიკური თეორია. ინფლაციის შესწავლისას მეტად მნიშვნელოვანია ფულის რაოდენობრივი თეორიის გაცნობა. ამ თეორიას ხშირად კლასიკური ეწოდება, რადგან მისი წარმოშობა ეკონომიკურ მოაზროვნეთა ადრეულ თაობას ეკუთვნის. დღეს ეკონომისტთა უმრავლესობა ამ თეორიას გრძელვადიან პერიოდში ფასების დონისა და ინფლაციის დონის დეტერმინანტების ასახსნელად იყენებს.

რა განსაზღვრავს ინფლაციის არსებობას და მის დონეს ეკონომიკაში? ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ ფულის რაოდენობრივი თეორიის მეშვეობით, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: როდესაც მთავრობა ძალიან ბევრ ფულს ბეჭდავს, ფასები იზრდება.

ფასების დონე და ფულის ღირებულება. ვთქვათ, აკვირდებით, როგორ იზრდება ნაყინის ფასი დროის გარკვეულ მონაკვეთში ხუთი ცენტიდან ერთ დოლარამდე. რა დასკვნა უნდა გამოიტანოთ იმ ფაქტიდან, რომ ადამიანები მზად არიან, ნაყინში ასეთი დიდი ფასი მისცენ? იქნებ ისინი ნაყინის განსაკუთრებული გემოთი ტკბებიან, მაგრამ ალბათ მიზეზი ეს არ არის. უფრო ის უნდა ვიფარაუდოთ, რომ ნაყინის გემოთი ადამიანის ტკბობა არ შეცვლილა, მაგრამ იმ ფულის ღირებულება, რომელსაც ნაყინის ყიდვისთვის ვიყენებთ, შემცირდა. მართლაც პირველი აზრი, რაც შეიძლება ინფლაციის მსჯელობისას გაგვიჩნდეს, ისაა, რომ ინფლაცია უფრო ფულის ღირებულებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე საქონლის ღირებულებასთან.

ეს აზრი ინფლაციის თეორიისკენ პირველი ნაბიჯის გადადგმაში გვეხმარება. როდესაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი და ფასების დონის სხვა მაჩვენებლები იზრდება, კომენტატორები ხშირად განიხილავენ ცალკეულ ფასებს, რომლებიც ამ ინდექსებს შეადგენს: „უკანასკნელ თვეში სფი 3%-ით გაიზარდა, რაც ყავის ფასის 20 %-იანი ზრდისა და მაზუთის ფასის 30%-იანი ზრდის შედეგია". მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომა გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ის ერთ ძირითად მომენტს არ ითვა-

ლისწინებს: ინფლაცია მთელ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენაა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკაში არსებული გაცვლის საშუალების ღირებულებას შეეხება.

ეკონომიკაში არსებული ფასების საერთო დონეს ორი კუთხით შეგვიძლია შევხედოთ, აქამდე ფასების დონეს განვიხილავდით, როგორც საქონლისა და მომსახურების კალათის ფასს. როდესაც ფასების დონე იზრდება, ადამიანებმა საქონელსა და მომსახურებაში მეტი უნდა გადაიხადონ, მაგრამ ფასების დონე შეგვიძლია განვიხილოთ აგრეთვე, როგორც ფულის ღირებულების მაჩვენებელი. ფასების დონის ზრდა ფულის ღირებულების შემცირებას ნიშნავს, ვინაიდან თქვენი საფულის თითოეულ დოლარს ამჯერად ნაკლები საქონლისა და მომსახურების ყიდვა შეუძლია.

ამას უკეთ გავიგებთ, თუ მას მათემატიკურად გამოვხატავთ. ვთქვათ, P ფასების დონეა, რომელიც გამოხატულია სამომხმარებლო ფასების ინდექსით ან მშპ დეფლატორით. ამ შემთხვევაში P დოლარების იმ რაოდენობას გვაძლევს, რომელიც საქონლისა და მომსახურების კალათის საყიდლადაა საჭირო. ახლა ამ მოსაზრებას საპირისპირო მხრიდან შევხედოთ: საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომლის ყიდვაც $1-ით შეიძლება, 1/P -ს უდრის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ P ფულადი ერთეულებით გამოხატული საქონლისა და მომსახურების ფასია, 1/P იქნება ფულის ღირებულება, გამოხატული საქონლისა და მომსახურების ერთეულებით. ამგვარად, როდესაც ფასების საერთო დონე იზრდება, ფულის ღირებულება მცირდება.

რა განსაზღვრავს ფულის ღირებულებას? ეკონომიკაში წამოჭრილი მრავალი კითხვის მსგავსად, ამ კითხვის პასუხიც მიწოდება და მოთხოვნაა. როგორც ბანანების მიწოდება და მოთხოვნა განსაზღვრავს ბანანის ფასს, ისე **ფულის მიწოდება და მოთხოვნა განსაზღვრავს ფულის ღირებულებას** (ამ საკითხს უფრო ფართოდ განვიხილავთ მომდევნო თემებში. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ფულის რაოდენობრივი თეორია ხსნის, თუ როგორ განისაზღვრება ფასების დონე და რატომ იცვლება

ეს დონე დროში). რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა ფულის ღირებულებას განსაზღვრავს, ფულის რაოდენობის ზრდა კი ინფლაციის ძირითადი მიზეზია. როგორც ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი ამბობდა, „ინფლაცია ყველგან და ყოველთვის მონეტარული მოვლენაა“.

ინფლაციის გადასახადი. თუ ინფლაციის ახსნა ასე ადვილია, რატომ განიცდიან ქვეყნები ჰიპერინფლაციას, ანუ რატომ იღებენ ამ ქვეყნების ცენტრალური ბანკები გადაწყვეტილებას ფულის ისეთი რაოდენობის დაბეჭდვის თაობაზე, რომ ფულის ღირებულების მკვეთრი დაცემა გარდაუვალია? პასუხი ის არის, რომ ამ ქვეყნების მთავრობები ფულს დიდი რაოდენობით ბეჭდავენ თავიანთი ხარჯების დაფარვის მიზნით. როდესაც მთავრობას სურს გზების გაყვანა, პოლიციის თანამშრომელთათვის ხელფასის გადახდა, ღარიბებისა და მოხუცების უზრუნველყოფა, მან, პირველ რიგში, საჭირო ფონდები უნდა შექმნას. ჩვეულებრივ, მთავრობა ამას ისეთი გადასახადების აკრეფით ახორციელებს, როგორებიცაა საშემოსავლო გადასახადი და გაყიდვაზე დაწესებული გადასახადი, ან ფულს თავისი ხალხისგან სესხულობს სამთავრობო ობლიგაციების გაყიდვის გზით. მაგრამ მთავრობას თავისი ხარჯების დაფარვა უფრო მარტივადაც შეუძლია – თავისთვის საჭირო ფულის რაოდენობის დაბეჭდვით.

როდესაც მთავრობა ფულის ბეჭდვით თავის შემოსავალს ზრდის, ვამბობთ, რომ იგი **ინფლაციის გადასახადს** აწესებს. თუმცა ინფლაციის გადასახადი სხვა გადასახადებს არ ჰგავს, რადგან არავინ იღებს მთავრობისაგან ამ გადასახადის ქვითარს. ინფლაციის გადასახადი უფრო ცბიერი რამაა. როდესაც მთავრობა ფულს ბეჭდავს, ფასების დონე იზრდება და თქვენს საფულეში შენახული დოლარების ღირებულება მცირდება. ამგვარად, ინფლაციის გადასახადი ისეთი გადასახადია, რომელსაც იხდის ყველა, ვისაც ფული აქვს.

ფიშერის ეფექტი. მონეტარული ნეიტრალიტეტის პრინციპის თანახმად, ფულის რაოდენობის ზრდის ტემპის მატება ინფლაციის დონის ზრდას იწვევს, მაგრამ არც ერთ რეალურ ცვლად-

ზე არ მოქმედებს. ამ პრინციპიდან გამომდინარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა ეხება ფულის რაოდენობის ზემოქმედებას სარგებლის განაკვეთზე. სარგებლის განაკვეთის გაგება ძალიან მნიშვნელოვანია მაკროეკონომისტებისათვის, რადგან ამ ცვლადის ზემოქმედება დანაზოგებსა და ინვესტიციებზე დღევანდელ ეკონომიკას მომავლის ეკონომიკასთან აკავშირებს.

ფულის, ინფლაციისა და სარგებლის განაკვეთების ურთიერთკავშირის გასაგებად გავიხსენოთ, რა განსხვავებაა სარგებლის ნომინალურ განაკვეთსა და სარგებლის რეალურ განაკვეთს შორის. სარგებლის რეალური განაკვეთი სარგებლის ნომინალური განაკვეთისა და ინფლაციის დონის სხვაობის ტოლია. მაგალითად, თუ ბანკში წლიური ნომინალური განაკვეთია 7%, ხოლო ინფლაციის დონე - 3% წელიწადში, მაშინ დეპოზიტების რეალური ღირებულება წელიწადში 4%-ით იზრდება.

ეს ტოლობა სხვაგვარადაც შეგვიძლია დავწეროთ, რათა სარგებლის ნომინალური განაკვეთი სარგებლის რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ჯამის სახით გამოვხატოთ:

სარგებლის ნომინალური განაკვეთი =
სარგებლის რეალური განაკვეთი + ინფლაციის დონე.

სარგებლის ნომინალური განაკვეთის ასე გამოხატვა მოსახერხებელია, ვინაიდან ამ ტოლობის მარჯვენა მხარის ორ შესაკრებზე სხვადასხვა ეკონომიკური ძალა ზემოქმედებს. როგორც ვიცით სარგებლის რეალურ განაკვეთს სასესხო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა განსაზღვრავს.

ვნახოთ, როგორ ზემოქმედებს ფულის მიწოდების ზრდა სარგებლის განაკვეთებზე. გრძელვადიან პერიოდში, როცა ფული ნეიტრალურია, ფულის ზრდის ცვლილებამ სარგებლის რეალურ განაკვეთზე არ უნდა იმოქმედოს, რადგანაც სარგებლის რეალური განაკვეთი რეალური ცვლადია. იმისთვის, რომ სარგებლის რეალური განაკვეთი არ შეიცვალოს, სარგებლის ნომინალური განაკვეთის ცვლილება ზუსტად უნდა ასახავდეს ინფლაციის დონის ცვლილებას. ამგვარად, როდესაც მთავრობა ფულის რაოდენობას სწრაფად ზრდის, იზრდება როგორც ინ-

ფლაციის დონე, ისე სარგებლის ნომინალური განაკვეთი. ინ-ფლაციის დონის ცვლილების შედეგად სარგებლის ნომინალუ-რი განაკვეთის ასეთ ცვლილებას **ფიშერის ეფექტი** ეწოდება ეკონომისტ ირვინგ ფიშერის (1867-1947) პატივსაცემად, რომელ-მაც პირველმა შეისწავლა ეს ეფექტი.

ალბათ შენიშნეთ, რომ ფიშერის ეფექტზე ჩვენი მსჯელობა ისევ გრძელვადიანი პერიოდით იფარგლება. ფიშერის ეფექტი მოკლევადიან პერიოდში არ მოქმედებს, რადგან ინფლაცია ამ დროს მოულოდნელი თითქმის არ არის. სარგებლის ნომინალუ-რი განაკვეთი როგორც სესხის გადასახადი, სესხის გაცემის-თანავე დგინდება. თუ მსესხებელსა და გამსესხებელს ინფლა-ცია სიურპრიზად მოევლინება, მათ მიერ შეთანხმებით დადგე-ნილი სარგებლის ნომინალური განაკვეთი მოსალოდნელი ინ-ფლაციის მიხედვით თვითრეგულირდება. მოსალოდნელი ინ-ფლაცია კი რეალურ ინფლაციასთან ერთად მხოლოდ გრძელ-ვადიან პერიოდში მერყეობს და არა მოკლევადიანში.

5. ინფლაციის ტიპები და სახეები

ეკონომისტები განასხვავებენ ინფლაციის **ორ ტიპს: 1) მოთხოვნის ინფლაციას და 2) წარმოების ხარჯების გადიდე-ბით ან ერთობლივი მიწოდების შემცირებით გამოწვეულ ინ-ფლაციას.**

1. **მოთხოვნის ინფლაცია** ნიშნავს ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევას, რომელიც განპირობებულია, საქონლისა და მომსახურების რეა-ლურ მოცულობასთან შედარებით, მოსახლეობისა და საწარმო-თა ფულადი შემოსავლის უფრო სწრაფი ტემპებით ზრდით. ტრადიციულად, ცვლილებები ფასების დონეში ჭარბი ერთობ-ლივი მოთხოვნით აიხსნება. ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს სახელმწიფოს (სამხედრო და სოციალური) შეკვეთების გაფართოება, წარმოების საშუალებებზე მოთხოვ-ნის გადიდება, შემოსავლის ზრდის კვალობაზე მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ამაღლება და ა.შ. ბევრ შემთხვე-

ეაში სახელმწიფოს არ ძალუძს უპასუხოს ამ ჭარბ მოთხოვნას პროდუქციის შესაბამისი მოცულობის გადიდებით იმიტომ, რომ ყველა არსებული რესურსი მთლიანად გამოყენებულია. ასეთ ვითარებაში ეს ჭარბი მოთხოვნა აპირობებს საქონლის ფასების ზრდას და მოთხოვნის ინფლაციას. მოთხოვნის ინფლაციის არსს ზოგჯერ ერთი ფრაზით ასე გამოხატავენ: „ძალზე ბევრ ფულს სურს ერთობ მცირე რაოდენობის საქონელი". ინფლაციის ეს ტიპი ჩვეულებრივ, წარმოიშობა სრული დასაქმების და წარმოებრივ სიმძლავრეთა სრული დატვირთვის დროს.

ამრიგად, მოთხოვნის ინფლაციას იწვევს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ეკონომიკის მილიტარიზაცია და სამხედრო ხარჯების ზრდა; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და შიდა ვალის ზრდა; ბანკების საკრედიტო ექსპანსია; იმპორტირებული ინფლაცია (აქტიური საგადასახდელო ბალანსის მქონე ქვეყნების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვისას საქონელბრუნვის მოთხოვნის ზეით ეროვნული ვალუტის ემისია); მძიმე მრეწველობაში დიდი მოცულობის ინვესტიციები და სხვ.

2. წარმოების ხარჯების გადიდებით ან ერთობლივი მოწოდების შემცირებით გამოწვეული ინფლაცია. ინფლაცია შეიძლება ასევე წარმოიშვას დანახარჯთა და ბაზარზე მიწოდების ცვლილების შედეგად.

წარმოების ხარჯების ზრდით განპირობებული ინფლაციის თეორია ფასების გადიდებას ისეთი ფაქტორებით ხსნის, რომლებიც იწვევენ **დანახარჯთა გადიდებას პროდუქციის ერთეულზე.** პროდუქციის ერთეულის დანახარჯები – საშუალო დანახარჯებია წარმოების მოცემული მოცულობის პირობებში. ასეთი ხარჯები შეიძლება მივიღოთ წარმოებული პროდუქციის რაოდენობის საერთო ხარჯების გაყოფით პროდუქციის მოცულობაზე, ანუ:

$$\text{პროდუქციის ერთეულის დანახარჯები} = \frac{\text{საერთო დანახარჯები}}{\text{პროდუქციის ერთეულთა რაოდენობა}}$$

პროდუქციის ერთეულზე დანახარჯთა გადიდება ამცირებს მოგებას და პროდუქციის მოცულობას, რომელსაც ფირმები მიაწოდებენ ფასების არსებული დონის პირობებში. ამის შედეგად მცირდება საქონელთა და მომსახურების მიწოდება მთელი ეკონომიკის მასშტაბით. მიწოდების ეს შემცირება, თავის მხრივ ამაღლებს ფასების დონეს. მაშასადამე, ფასებს ადიდებს დანახარჯები და არა მოთხოვნა, როგორც ეს მოთხოვნის ინფლაციის დროსაა.

დანახარჯთა ზრდით განპირობებული ინფლაციის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ნომინალური ხელფასის ზრდა და ნედლეულსა და ენერგიაზე ფასების გადიდება.

ხელფასის მომატებით გამოწვეული ინფლაცია დანახარჯების გადიდებით განპირობებული ინფლაციის სახესხვაობაა. პროფკავშირების მეშვეობით მუშაკები იბრძვიან ხელფასების მომატებისათვის და ბევრ შემთხვევაში აღწევენ კიდეც შედეგს. ხელფასის მომატება ქვეყნის მასშტაბით თუ არ გაწონასწორდება რაიმე საწინააღმდეგო ფაქტორით (მაგ. ერთ საათში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გადიდებით), გაიზრდება დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე. ამის შედეგად მწარმოებლები გარკვეული ზომით შეამცირებენ საქონლის წარმოებასა და მომსახურებას. მოთხოვნის სტაბილურობის პირობებში, მიწოდების ეს შემცირება გამოიწვევს ფასების დონის გადიდებას. რამდენადაც აღნიშნული მოვლენის მიზეზი ნორმალური ხელფასის საგრძნობი ამაღლებაა, ინფლაციის ამ ტიპს ხელფასის მომატებით გამოწვეული ინფლაცია ეწოდება.

დანახარჯთა ინფლაციის მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია **მიწოდების მექანიზმის მოშლით გამოწვეული ინფლაცია**. იგი შედეგია წარმოების ხარჯების ზრდისა, რომელიც დაკავშირებულია ნედლეულსა და ენერგიაზე ფასებისა და დანახარჯთა გაუთვალისწინებელ გადიდებასთან.

ინფლაციის ტიპები ერთიმეორისაგან ძნელი განსასხვავებელია, რამდენადაც ისინი მჭიდროდ ურთიერთზემოქმედებენ. მაგალითად, ხელფასი შეიძლება წარმოგვიდგეს, ერთი მხრივ, მოთხოვნის ინფლაციის და, მეორე მხრივ, დანახარჯთა ინფლაციის წყაროდ.

ინფლაციის სახეები. განასხვაებენ **ზომიერ, ჭენებად** და **ჰიპერინფლაციას.** ზომიერი ინფლაციის დროს ფასები ნელა იზრდება (წელიწადში 10%-ზე ნაკლები). ჭენებადი ინფლაციის დროს ფასების ზრდა წლიურად 20-დან 200%-ს აღწევს, ჰიპერინფლაციის დროს კი მიმოქცევაში გაშვებული ფულის რაოდენობა და ფასები ასტრონომიული ტემპებით იზრდება. ფასები და ხელფასი კატასტროფულად შორდება ერთმანეთს. ეცემა საზოგადოების ყველაზე უზრუნველყოფილი ფენების კეთილდღეობის დონეც კი.

ზომიერი ინფლაციის ჯერ ჭენებად და შემდეგ ჰიპერინფლაციამდე გაძლიერება გარდაუვალი არ არის.

ჰიპერინფლაცია მეტად იშვიათი მოვლენაა, რაც არ ითქმის ჭენებად ინფლაციაზე. ეს უკანასკნელი ხანგრძლივი უმუშევრობის პერიოდების მიხედვით ვითარდება. იგი დროდადრო თავს ატყდება განვითარებულ ქვეყნებსაც კი (საფრანგეთი, იტალია, ინგლისი). მაგრამ ისეთი განვითარებული ქვეყნისათვის, როგორიც აშშ-ია, დამახასიათებელია ზომიერი ინფლაცია. სახელმწიფოს ჩარევით იქმნება ინფლაციის შეკავების შესაძლებლობა ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებში.

ჰიპერინფლაცია დამანგრეველად მოქმედებს ეროვნული წარმოების მოცულობასა და დასაქმებაზე. ცხოვრების ღირებულების ზრდის გამო მუშები მოითხოვენ და იღებენ მაღალ ნომინალურ ხელფასს. ფირმათა ადმინისტრაცია თავისი სამუშაო ძალის დანახარჯების კომპენსირებას ფასების მომატებით ახდენს. ვინაიდან ფასების ასეთი მომატების შედეგად ცხოვრების ღირებულება იზრდება, მუშები მოითხოვენ ხელფასის კიდევ მომატებას, რაც თავის მხრივ იწვევს ფასების ახალ ზრდას, საბოლოო შედეგი კი არის ხელფასის და ფასების კუმულაციური საინფლაციო სპირალი. ხელფასისა და ფასების მომატება ერთმანეთს კვებავს და ეს ხელს უწყობს ჭენებადი ინფლაციის ჰიპერინფლაციაში გადასვლას.

გადანაწილების დამანგრეველი შედეგების გარდა ჰიპერინფლაციას შეუძლია დააჩქაროს ეკონომიკური კრახი.

განსაკუთრებულ სიტუაციაში, როცა ფასები მკვეთრად და არათანაბრად იზრდება, ნორმალური ეკონომიკური ურთიერთო-

ბები ინგრევა. საწარმოთა მეპატრონეებმა არ იციან, რა ფასი დაადონ პროდუქციას, ხოლო მომხმარებლებმა არ იციან, რა ფასი გადაიხადონ. ნედლეულის მიმწოდებლებს სურთ მიიღონ რეალური საქონელი, ნაცვლად სწრაფად გაუფასურებული ფულისა. კრედიტორები ცდილობენ თავიდან მოიცილონ მოვალეები, რათა დაბრუნებული ვალი იაფი ფულით არ მიიღონ. ფული ფაქტობრივად ფასს კარგავს. წარმოება და გაცვლა თანდათან ძნელდება, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება დადგეს ეკონომიკური, სოციალური და ადეილად შესაძლებელია, პოლიტიკური ქაოსიც. ჰიპერინფლაცია აჩქარებს ფინანსურ კრახს, დეპრესიას და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არეულობას.

ჰიპერინფლაცია მეტწილად მოსალოდნელია ომისა და ომისშემდგომ პერიოდში.

როგორც ზომიერი, ისე ჭენებადი და ჰიპერინფლაცია განეკუთვნება ე. წ. **ღია ინფლაციას** და თავს იჩენს ბაზრებზე, სადაც მოქმედებს თავისუფალი ფასები. მისგან განსხვავებით, **ფარული (ჩახშობილი) ინფლაციის** დროს, რომელიც წარმოიქმნება მკაცრად რეგულირებადი ან ფიქსირებული ფასების მქონე ეკონომიკაში, ფასების ზრდა შეიძლება არც კი იყოს შესამჩნევი. ამ დროს ფულის გაუფასურება გამოხატულებას პოულობს მწვავე დეფიციტსა და გრძელ რიგებში. საქონლის იშვიათობის გამო, დიდი ძალისხმევის გარეშე ვერ ხერხდება /ფულით მისი შეძენა.

ფასების არათანაბარზომიერი ზრდის პირობებში ღია ინფლაცია, მართალია, იწვევს საბაზრო მექანიზმის დეფორმირებას, მაგრამ არ სპობს მას. სულ სხვა ვითარება იქმნება ჩახშობილი ინფლაციის არსებობისას. ფასების ზრდით შეწუხებული სახელმწიფო ებმება მასთან ბრძოლაში და აწესებს მკაცრ ადმინისტრაციულ კონტროლს ფასებსა და შემოსავალზე, ე. ი. ყინავს მათ განსაზღვრულ დონეზე. დიდი ცდის მიუხედავად ასეთი ღონისძიებები რადიკალურ შედეგს ვერ უზრუნველყოფს.

6. ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

ზომიერ ინფლაციას მძიმე ეკონომიკური შედეგები არ მოსდევს, მაშინ, როცა ჭენებადი და, განსაკუთრებით, ჰიპერინფლაცია იწვევს მთელი ეროვნული მეურნეობის ქაოსს. ინფლაციის ნეგატიური გაელენა ყველაზე ნათლად სოციალურ სფეროში აისახება.

ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ფულადი შემოსავლის გაუფასურება. მხედველობაში გვაქვს მსყიდველობითუნარიანობის შემცირება, რაც რეალური შემოსავლის დაცემას იწვევს. თუ ოჯახის ნომინალური ფულადი შემოსავალი შეადგენდა, ეთქვათ 100 ლარს და ამით შეეძლო ოჯახს 100 კგ შაქრის შეძენა, ორჯერ გაუფასურების შემდეგ, იმავე თანხით მხოლოდ 50 კგ შაქრის შეძენა შეუძლია, ე.ი. რეალური შემოსავალი ორჯერ შემცირდება. ასეთი პროცესი წარმოიქმნება მაშინ, როცა ნომინალური შემოსავალი სტაბილურია ან, ინფლაციის ტემპებთან შედარებით, უფრო ნელა იზრდება.

ადამიანები, რომლებიც არაფიქსირებული შემოსავლებით ცხოვრობენ, შეიძლება მოგებული დარჩნენ ინფლაციისაგან. ასეთი ოჯახების ნომინალურმა შემოსავლებმა შეიძლება გაასწრონ ფასების დონეს ან ცხოვრების დონეს, რის შედეგადაც მათი რეალური შემოსავლები გაიზრდება. მრეწველობის განვითარებად დარგებში მომუშავე მუშებმა, რომლებსაც მძლავრი პროფკავშირები ჰყავთ, შეიძლება იმას მიაღწიონ, რომ მათი ხელფასი თან სდევდეს ინფლაციას ან უსწრებდეს მას.

მეორე მხრივ, ინფლაციისაგან იჩაგრება ზოგიერთი დაქირავებული მუშაც. ისინი, ვინც მრეწველობის არარენტაბელურ დარგებში მუშაობს და ძლიერ და ბრძოლისუნარიან პროფკავშირთა მხარდაჭერას მოკლებულნი არიან, შეიძლება ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როცა ფასების დონის ზრდა გაასწრებს მათი შემოსავლების გადიდებას.

ინფლაციისაგან მოგება შეიძლება მიიღონ ფირმის ხელმძღვანელებმა და მოგებათა სხვა მიმღებებმა. თუ მზა პროდუქ-

ციის ფასები უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე რესურსების, მაშინ ფირმის ფულადი შემოსულობანი უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე დანახარჯები. ამიტომ, ზოგიერთი შემოსავალი მოგების სახით გაასწრებს ინფლაციის მზარდ ტალღას.

2. შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილება. ეს შემდეგნაირად ხდება: ვთქვათ ერთმა მოქალაქემ მეორეს ასესხა 1000 ლარი, რომლითაც მოცემულ მომენტში შეეძლო 1000 ლიტრი ღვინის ყიდვა. ერთი წლის შემდეგ, ინფლაციის შედეგად, ორჯერ გაუფასურდა ფული და ვალში დაბრუნებული 1000 ლარით მხოლოდ 500 ლიტრი ღვინის ყიდვა შეძლო. წააგო მევალემ და მოიგო მოვალემ, რადგანაც ვალი გაუფასურებული ფულით გადაიხადა. ასე ხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა სხვა ანგარიშსწორების დროსაც, თუ ხელშეკრულებაში წინასწარ არაა გათვალისწინებული ინფლაციის შედეგად ფულის მოსალოდნელი გაუფასურება.

ამრიგად, რაც უფრო მოულოდნელად და სწრაფად გაიზრდება ფასები, მით უფრო სასარგებლოა ცალკეული მეურნეობრივი აგენტებისათვის და საზარალო – სხვებისათვის. ამის კვალობაზე ხდება შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილება იმათგან, ვინც ხანგრძლივი ვადით იძლევა კრედიტს, იმათ ხელში ვინც ღებულობს ამ კრედიტს და განსაზღერული ვადის გასვლის შემდეგ გაუფასურებული სახით უბრუნებს კრედიტორს.

ინფლაციის დროს დიდი უპირატესობა ენიჭება უძრავ ქონებას, განსაკუთრებით ძვირფასეულობას. ამიტომ ყველა ცდილობს ფულის მატერიალიზაციას, უძრავ ქონებაზე გადაცვლას და ასეთი ქონების მფლობელები ესოდენ ხელსაყრელი მომენტის გამოყენებით იოლად მდიდრდებიან;

3. გრძელვადიანი გარიგებებისადმი ინტერესის შენელება. ბუნებრივია, საბაზრო ეკონომიკის სუბიექტთა შორის გარიგება რაც უფრო ხანგრძლივია, მით უფრო მეტია რისკი და ინფლაციის საშიშროება, ამიტომ ინვესტორები ცდილობენ მისგან თავის დაღწევას და ხელშეკრულების მოკლე ვადით შემოფარგვლას. თუმცა ეს, ბევრი სხვა თვალსაზრისით, შეიძლება ხელს არ აძლევდეს ინვესტორს. ასეთ შემთხვევაში ცდილობენ

განახორციელონ ისეთი ინვესტიციები, რომელთა რენტაბელობის დონე უზრუნველყოფს არა მარტო ნორმალური მოგების მიღებას, არამედ მოსალოდნელი ინფლაციით გამოწვეული ზარალის კომპენსირებასაც;

4. ფულადი დანაზოგების გაუფასურება. ფასების გადიდებით „შაეი დღისათვის გადადებულ დანაზოგთა რეალური ღირებულება ანუ მსყიდველობითი უნარი მცირდება, მიუხედავად იმისა ბანკებში იქნება იგი მოთავსებული თუ სკივრებში შენახული, ან კიდევ, იქნება ფირმების თუ კერძო პირების საკუთრება. ინფლაციის დროს მცირდება ბანკის ვადიანი ანაბრების, სადაზღვეო პოლისების, ყოველწლიური რენტის და ფიქსირებული ღირებულების სხვა აქტივების რეალური ღირებულება, რომლებიც ოდესღაც საკმარისი იყო გაუთვალისწინებელი გარემოებებისათვის თავის გასართმევად ან პენსიაზე მშვიდად გასვლის უზრუნველსაყოფად.

რა თქმა უნდა, დანაზოგთა ყველა ფორმას მოაქვს სარგებელი, მაგრამ მიუხედავად ამისა დანაზოგის ღირებულება დაეცემა, თუ ინფლაციის დონე გადააჭარბებს სარგებლის განაკვეთს. მაგ., ოჯახმა კომერციულ ბანკში დააბანდა 1000 დოლარი, ანუ იყიდა 1000 დოლარიანი ობლიგაცია 6%-იანი განაკვეთით. მაგრამ თუ ინფლაცია მიაღწევს 13%-ს, მაშინ წლის ბოლოს ამ 1000 დოლარის ღირებულება ანუ მსყიდველობითი უნარი დაეცემა 938 დოლარამდე, ანუ მეანაბრე მიიღებს 1060 დოლარს (1000+60 დოლ. სარგებლის სახით), მაგრამ ამ 1060 დოლარის რეალური ღირებულება შეადგენს მხოლოდ 938 (1060:1,13) დოლარს.

5. ფულადი სახსრების ფარული კონფისკაცია. ინფლაცია ფირმებისა და მოსახლეობის ხელში არსებული ფულადი სახსრების ფარულ კონფისკაციას ახდენს გადასახადების მეშვეობით. ბაზარზე ინფლაციის ნომინალური ზრდის შედეგად, ფიზიკური და იურიდიული პირები ექცევიან გადასახადის გადამხდელთა უფრო მაღალ ჯგუფში, რითაც სახელმწიფოს ხელში გადანაწილდება მათი არა მარტო მოგება, არამედ მიმდინარე მოხმარებისათვის განკუთვნილი შემოსავლის ნაწილიც.

7. ანტიინფლაციური ეკონომიკური პოლიტიკა

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა ინფლაციურია თავისი ხასიათით, რამდენადაც მისი განმსაზღვრელი ფაქტორები ქრონიკულ ხასიათს ატარებს და დამატებით თუნდაც მინიმალური ხელშემწყობი პირობების წარმოქმნაც საკმარისია იმისათვის, რომ მან მთელი სიმწვავით გამოავლინოს თავისი დამანგრეველი ძალა. ეს გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ინფლაციის მთლიანად ლიკვიდირების ამოცანის დასმა არარეალურია. მაქსიმუმი, რაც ამ მიმართულებით ღონისძიებათა კომპლექსის გონიერულმა განხორციელებამ შეიძლება მოგვცეს, ესაა მის ზომიერ ფარგლებში მოქცევა, გამანადგურებელი გაველენის თავიდან აცილება.

ცნობილია ანტიინფლაციური პოლიტიკის ორი ვარიანტი: **ინფლაციური პროცესებისადმი ადაპტირება და აშკარა ანტიინფლაციურ ღონისძიებათა განხორციელება.**

ადაპტაციური პოლიტიკა. მისი არსი ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკის სუბიექტები (საოჯახო მეურნეობები, ფირმები, სახელმწიფო) თავიანთ მოქმედებაში წინასწარვე ითვალისწინებენ ინფლაციის ნეგატიურ შედეგებს. მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია ინფლაციით გამოწვეული დანაკარგების კომპენსაციის ორი მეთოდი: სარგებლის განაკვეთის სისტემატური ინდექსაცია, ანუ კორექტირება, ინფლაციის ტემპების გათვალისწინებით და ინვესტიციის პირველი საწყისი თანხის ინდექსაცია, რომლის კოეფიციენტიც ასევე ინფლაციის ტემპებით განისაზღვრება.

საოჯახო მეურნეობები ინფლაციისადმი ადაპტირებას ცდილობენ შემოსავლის დამატებითი წყაროების გამოძებნით, ფულადი სახსრების საქონლურ ფასეულობებში სწრაფი მატერიალიზაციით, კონტრაქტების დადებისას ხელფასების ინფლაციური კორექტირებით და ა.შ.

ინფლაციის პირობებში ფირმებიც ცელიან თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკას. ეს გამოიხატება, მაგალითად, იმაში, რომ ისინი ხელს ჰკიდებენ მხოლოდ მოკლევადიანი პროექტების რეალიზაციას, რათა სწრაფად დაიბრუნონ დაბანდებული თანხე-

ბი. გარდა ამისა, ცდილობენ საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნაკლებობა შეივსონ აქციებისა და ობლიგაციების გამოშვების საფუძველზე, გარეშე წყაროების გამოყენებით, ბანკში ანგარიშებზე შეინახონ რაც შეიძლება მცირე ოდენობის თანხები, მოგების დიდი ნაწილი მოახმარონ წარმოების განვითარება–გაფართოებას და ა.შ.

აშკარა ანტიინფლაციური პოლიტიკა. იგი მოიცავს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ და გატარებულ გრძელვადიან და მოკლევადიან ღონისძიებათა კომპლექსს. **გრძელვადიანი ანტიინფლაციური პოლიტიკა** მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა:

– სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, არა ფულის ემისიის გაძლიერებით, არამედ გადასახადების გადიდებით და სახელმწიფო ხარჯების შემცირებით;

– ფულის მიმოქცევის რეგულირება, კერძოდ, ფულის მასის ყოველწლიურ მატებაზე მკაცრი ლიმიტების დაწესება, რაც ხელს შეუწყობს ინფლაციის დონის კონტროლს;

– ინფლაციაზე გარე ფაქტორების გაელენის შესუსტება. იგულისხმება, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, მთავრობის მიერ უცხოური კრედიტებისა და სესხების აღებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება.

მოკლევადიანი ანტიინფლაციური პოლიტიკა მიმართულია ძირითადად ინფლაციის ტემპების დროებით შემცირებისაკენ. მაგალითად, სოლიდურ შედეგს იძლევა, ერთობლივი მოთხოვნის გაუდიდებლად, ერთობლივი მიწოდების გაფართოება.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის ინფლაცია?
2. როგორ გამოითვლება ინფლაციის დონე?
3. დაასახელეთ ინფლაციის მიზეზები.
4. დაახასიათეთ ინფლაციის ტიპები.

5. რა განსხვავებაა ზომიერ, ჭენებად და ჰიპერინფლაციას შორის?
6. რა არის ინფლაციის გადასახადი?
7. რაში მდგომარეობს ფიშერის ეფექტი?
8. რაში გამოიხატება ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები?
9. შეიძლება თუ არა ინფლაციის თავიდან აცილება?

ტესტები

1. ინფლაციის დონის ამაღლებისას:
ა. ფულის ღირებულება იზრდება;
ბ. ფულის ღირებულება უცვლელი რჩება;
გ. ფულის ღირებულება მცირდება;
დ. ყველა პასუხი მცდარია.

2. 6%-ანი ინფლაციის პირობებში ვინ დაზარალდება ყველაზე ნაკლებად:
ა. სტუდენტი, რომლის სტიპენდიაც მუდმივია სასწავლო წლის მანძილზე;
ბ. ვადიანი ანაბრის მქონე პირი 5%-ანი სარგებლის განაკვეთით;
გ. ვადიანი ანაბრის მქონე პირი 7%-ანი სარგებლის განაკვეთით;
დ. ის მუშაკი, რომლის ხელფასი ინდექსაციას ექვემდებარება.

3. ადამიანთა რომელი ჯგუფები ისარგებლებენ ფასების ზრდით?
ა. ფიქსირებული შემოსავლების მქონე ადამიანები;
ბ. ობლიგაციების მფლობელები;
გ. მსესხებლები;
დ. სესხის გამცემები.

4. ფულის მსყიდველობითი უნარი....
ა. იზრდება ინფლაციის პერიოდში;
ბ. მცირდება ინფლაციის პერიოდსი;
გ. მცირდება დეფლაციის პერიოდში;
დ. არ განიცდის ინფლაციის ან დეფლაციის ზემოქმედებას.

5. როდესაც მოთხოვნის ზრდა წინ უსწრებს წარმოების მიერ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების უნარს, მაშინ....
ა. ფასები მოიმატებს;
ბ. იარსებებს დანახარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაცია;
გ. იარსებებს საქონლისა და მომსახურების ჭარბი მიწოდება;
დ. იარსებებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა.

სავარჯიშოები

1. ცხრილში მოცემულია ფასების ინდექსები წლების მიხედვით:

წელი	ფასების ინდექსი	ინფლაციის დონე (%)
1	100,0	
2	112,0	
3	123,0	
4	129,0	

ა. გამოთვალეთ ინფლაციის დონე ყოველი წლისათვის;
ბ. „70 სიდიდის წესის" გამოყენებით განსაზღვრეთ წლების რაოდენობა (მნიშვნელად გამოვიყენოთ ა)პუნქტში მიღებული ტემპები), რომელიც აუცილებელია ფასების დონის გაორმაგებისათვის.
გ. განსაზღვრეთ რეალური შემოსავლის პროცენტული ცვლილება, თუ ნომინალური შემოსავალი მეორე წელს პირველ წელთან შედარებით გაიზარდა 15%-ით და მესამე წელს მეორესთან შედარებით 7%-ით.

დ. თუ ნომინალური შემოსავალი მეორე და მესამე წელს იყო 25000 დოლარი, როგორი იქნება რეალური შემოსავლის აბსოლუტური სიდიდე ამ წლებში.

2. როგორ შეიცვლება რეალური შემოსავლის სიდიდე, თუ:
ა. ნომინალური შემოსავალი გაიზარდა 10%-ით, ხოლო ფასების დონე გაიზარდა 7%-ით.
ბ. ნომინალური შემოსავალი ტოლია 30 ათასი დოლარის, ხოლო ფასების ინდექსმა ამ წელს შეადგინა 106%.

3. ეკონომიკაში იწარმოება 2 საქონელი X და Y. მომხმარებლები თავიანთი შემოსავლის ნახევარს ხარჯავენ X საქონლის შესაძენად, მეორე ნახევარს – Y საქონლის შესაძენად. ერთი წლის შემდეგ X საქონელზე ფასები გაიზარდა 5%-ით, ხოლო Y საქონელზე – 15%-ით. გამოთვალეთ სამომხმარებლო საქონლის ფასების ინდექსი (წინა წლის ფასების ინდექსი = 100).

4. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ 1970 წელს 0,15 დოლარი ღირდა, ხოლო 1990 წელს – 0,40 დოლარი. ქარხნის მუშის საშუალო ხელფასი 1970 წელს საათში 3,35 დოლარს შეადგენდა, ხოლო 1990 წელს – საათში 10,82 დოლარს.
ა. რამდენი პროცენტით გაიზარდა გაზეთის ფასი?
ბ. რამდენი პროცენტით გაიზარდა ხელფასი?
გ. თითოეულ წელს რამდენ წუთს უნდა იმუშაოს მუშამ, რომ გაზეთის საყიდლად საკმარისი თანხა მიიღოს?
დ. მუშების მსყიდველობითი უნარი გაიზარდა თუ შემცირდა, გაზეთების ყიდვიდან გამომდინარე?

5. დავუშვათ, მსესხებელი და გამსესხებელი შეთანხმდნენ სესხის სარგებლის ნომინალური განაკვეთის თაობაზე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინფლაცია იმაზე მეტია, რასაც ისინი ვარაუდობდნენ.
ა. ამ სესხის სარგებლის რეალური განაკვეთი მოსალოდნელზე უფრო მეტია თუ ნაკლები?

ბ. კარგავს თუ იგებს გამსესხებელი მოულოდნელად მაღალი ინფლაციის შედეგად? მსესხებელი?

გ. 1970-იან წლებში ინფლაცია იმაზე ბევრად მაღალი იყო, რასაც ხალხი მოელოდა.

დ. როგორ იმოქმედა ამან იმ ბინათმფლობელებზე, ვინც გირაოს მუდმივ განაკვეთს ინარჩუნებდა 60-იანი წლების განმავლობაში? როგორ იმოქმედა ბანკებზე, რომლებიც სესხებს გასცემდნენ?

6. დავუშვათ, ინფლაციის დონე ქვეყანაში აწრაფად იზრდება. რა მოუვა ფულის მფლობელების ინფლაციის გადასახადს? რატომ არ ექვემდებარება შემნახველ ანგარიშებზე შენახული ფული ინფლაციის გადასახადის ცვლილებებს? შეიძლება თუ არა, ამ ანგარიშების მფლობელები ინფლაციის დონის ზრდის შედეგად დაზარალდნენ?

7. გადასახადის განაკვეთი 40%-ია. გამოთვალეთ სარგებლის რეალური განაკვეთი გადასახადამდე და გადასახადის გადახდის შემდგომ შემდეგი შემთხვევებისათვის:

ა. ნომინალური განაკვეთი 10%-ია, ხოლო ინფლაცია – 5%;

ბ. ნომინალური განაკვეთი 6%-ია, ხოლო ინფლაცია – 2%;

გ. ნომინალური განაკვეთი 4%-ია, ხოლო ინფლაცია – 1%.

8. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან რომელია ჭეშმარიტი და რომელი – მცდარი?

ა. „ინფლაცია მსესხებლებს აზარალებს და გამსესხებლებს ეხმარება, რადგან მსესხებლები იძულებულნი არიან, სარგებლის უფრო დიდი განაკვეთი გადაიხადონ“;

ბ. „თუ ფასები ისე იცვლება, რომ ფასების საერთო დონე უცვლელი რჩება, არავის ეკონომიკური მდგომარეობა არ უმჯობესდება და არ უარესდება“;

გ. „ინფლაცია არ ამცირებს მშრომელთა უმრავლესობის მსყიდველობით უნარს“.

თემა VII. ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება

ეკონომიკური აქტივობა მუდმივად იცვლება. საქონლისა და მომსახურების წარმოება იზრდება. სამუშაო ძალის, კაპიტალის მარაგის ზრდისა და ტექნოლოგიის განვითარების გამო ეკონომიკას დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტის წარმოება შეუძლია. ეს ზრდა თითოეული ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლების საშუალებას იძლევა.


თუმცა, სხვადასხვა წლებში წარმოების ნორმალური ზრდა ფერხდება. ზოგჯერ ფირმებს არ შესწევთ უნარი, მთლიანად გაასაღონ თავიანთი საქონელი და მომსახურება, რომლის შეთავაზებაც შეუძლიათ, ასე რომ ისინი წარმოებას ამცირებენ. ფირმები ითხოვენ პერსონალს, იზრდება უმუშევრობა და ჩერდება ქარხნები. იმის გამო, რომ ეკონომიკა ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას აწარმოებს, მცირდება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი და შემოსავლის სხვა მაჩვენებლები. შემოსავლების შემცირებისა და უმუშევრობის ზრდის ამგვარ პერიოდს **რეცესია** ეწოდება, თუკი ის შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო თუ პერიოდი უფრო მკაცრია, მას **დეპრესია** ეწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტთა შორის ჯერ კიდევ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაკეთდეს მოკლევადიანი პერიოდის ანალიზი, ეკონომისტების უმრავლესობა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელს იყენებს. ჩვენს უპირველეს ამოცანას შეადგენს, ვისწავლოთ ამ მოდელის გამოყენება სხვადასხვა მოვლენისა და პოლიტიკის ეკონომიკაზე მოკლევადიანი გავლენის ანალიზისათვის.

1. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი

მოკლევადიანი ეკონომიკის ჩვენეული მოდელი ძირითადად ორ ცვლადს ემყარება. პირველი ცვლადი არის ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობა, რომელიც რეალური მშპ-ს მიხედვით იზომება. მეორე ცვლადი არის ფასების საერთო დონე სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) ან მშპ დეფლატორის მიხედვით.

გახსოვთ, რომ ცალკეული საქონლის ბაზარს საბაზრო მოთხოვნის მრუდისა და მიწოდების მრუდის მეშვეობით განვიხილავდით. ასევე გავაანალიზებთ რყევებს მთლიან ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელის გამოყენებით. ეს მოდელი წარმოდგენილია ნახაზზე 7.1.



ნახ. 7.1 ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება

ვერტიკალურ ღერძზე მოცემულია ფასების საერთო დონე ეკონომიკაში, ჰორიზონტალურ ღერძზე – საქონლისა და მომსახურების საერთო რაოდენობა. **ერთობლივი მოთხოვნის მრუ-**

დი ასახავს საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობას, რომლის შესყიდვაც სურთ საოჯახო მეურნეობებს, ფირმებსა თუ მთავრობას ფასების თითოეულ დონეზე. **ერთობლივი მიწოდების მრუდი** წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობას, რომლის წარმოებასა და გაყიდვას ფირმები ირჩევენ ფასების თითოეულ დონეზე. ამ მოდელის შესაბამისად, ფასების დონე და პროდუქციის რაოდენობა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების სრულ გაწონასწორებამდე იცვლება.


ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი სრულიად განსხვავდება საბაზრო მოთხოვნისა და საბაზრო მიწოდების მოდელისაგან. როდესაც განვიხილავთ მოთხოვნასა და მიწოდებას კონკრეტულ ბაზარზე, მყიდველებისა და გამყიდველების ქცევა დამოკიდებულია რესურსების უნარზე, გადაინაცვლონ ერთი ბაზრიდან მეორეზე. ეს **მიკროეკონომიკური** ჩანაცვლება შეუძლებელი ხდება მაშინ, როდესაც მთლიანი ეკონომიკის ანალიზს ვაკეთებთ. გარდა ამისა, სიდიდე, რომლის ახსნასაც ჩვენი მოდელი ცდილობს – რეალური მშპ – ისეთ სიდიდეებს შეიცავს, რომლებიც გამოხატავენ წარმოებას ეკონომიკის ყველა ბაზარზე. იმის გასაგებად, თუ რატომაა ერთობლივი მოთხოვნის მრუდი კლებადი, ხოლო ერთობლივი მიწოდების მრუდი – ზრდადი, **მაკროეკონომიკური** თეორია უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი შემდეგი ამოცანა სწორედ ამ თეორიის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს.

2. ერთობლივი მოთხოვნა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები

ერთობლივი მოთხოვნა გვიჩვენებს საქონელთა და მომსახურების სხვადასხვა მოცულობას ანუ ეროვნული წარმოების რეალურ მოცულობას, რომელთა შესაძენად მზად არიან მომხმარებლები, ფირმები და მთავრობა ფასების ნებისმიერი შესაძლო დონის შემთხვევაში. სხვა თანაბარ პირობებში, რაც დაბალია ფასების დონე, ეროვნული წარმოების რეალური მოცუ-

ლობის მეტი წილის შეძენას მოისურვებენ მომხმარებლები ქვეყნის შიგნით, ფირმები და მთავრობა, ასევე უცხოელი მყიდველები და პირიქით. ამგვარად, დამოკიდებულება ფასების დონესა და ეროვნული წარმოების მოთხოვნილ რეალურ მოცულობას შორის უკუპროპორციულია (ნახ. 7.2).

როგორც ნახაზიდან ჩანს ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაიხრება ქვემოთ და მარჯვნივ ანუ ისევე როგორც ცალკეულ საქონელზე მოთხოვნის მრუდი. საბაზრო მოთხოვნის მრუდის გადახრის მიზეზი ისაა, რომ როდესაც ცალკეულ საქონელზე ფასი ეცემა, მომხმარებლის ფულადი (მუდმივი) შემოსავალი მას საშუალებას აძლევს შეიძინოს საქონელთა მეტი რაოდენობა (შემოსავლის ეფექტი). როცა ფასი ეცემა, მომხმარებელი მზადაა შეიძინოს მეტი რაოდენობის მოცემული საქონელი, რადგან იგი შედარებით იაფი ხდება (ჩანაცვლების ეფექტი).



ნახ. 7.2. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი

ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ტრაექტორია არ შეიძლება აიხსნას ჩანაცვლების ეფექტითა და შემოსავლებით, ეს სხვა ფაქტორებით აიხსნება.

რა უდევს საფუძვლად, ერთი მხრივ, ფასების დონესა და მეორე მხრივ, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის უკუდამოკიდებულებას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გავიხსენოთ, რომ მშპ (Y) მოხმარების (C), ინვესტიციების (I), სახელმწიფო შესყიდვებისა (G) და წმინდა ექსპორტის (NX) ჯამია: **Y = C + I + G + NX**

ამ ოთხი კომპონენტიდან თითოეული საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივ მოთხოვნას მიეკუთვნება. სახელმწიფო შესყიდვები მუდმივ სიდიდედ განიხილება, რამდენადაც მას მთავრობის პოლიტიკა განსაზღვრავს, მაგრამ დანარჩენი სამი კომპონენტი – მოხმარება, ინვესტიციები და წმინდა ექსპორტი – დამოკიდებულია ეკონომიკურ პირობებზე, კერძოდ კი, ფასების დონეზე. იმისათვის, რომ გავიგოთ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კლებადობის მიზეზი, უნდა გამოვიკვლიოთ, რა გავლენას ახდენს ფასების დონე საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობაზე, რომელზეც არის მოთხოვნა მოხმარებისათვის, ინვესტირებისა და წმინდა ექსპორტისათვის.

ფასების დონე და მოხმარება: სიმდიდრის ეფექტი. წარმოიდგინეთ ფული, რომელიც საფულეში და საბანკო ანგარიშზე გაქვთ. ამ ფულის ნომინალური ღირებულება მუდმივია: ერთი ლარი ყოველთვის ერთი ლარია. რეალური ღირებულება კი იცვლება. თუ შოკოლადის ფილა ერთი ლარი ღირს, მაშინ ერთი ლარი ერთი შოკოლადის ფილა ღირს. თუ შოკოლადის ფილის ფასი 50 თეთრამდე დაეცემა, მაშინ ერთი ლარი ორი შოკოლადის ფილა ეღირება. ასე რომ, როდესაც ფასები ეცემა, ლარის ღირებულება იზრდება, რადგან მისი მეშვეობით უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების ყიდვა შეიძლება.

ეს ანალიზი გვიჩვენებს იმის პირველ მიზეზს, თუ რატომ არის მოთხოვნის მრუდი კლებადი. ფასების დონის შემცირების გამო მომხმარებელი თავს უფრო შეძლებულად გრძნობს, რაც, თავის მხრივ, უფრო მეტის დახარჯვისაკენ უბიძგებს. მომხმარებლის დანახარჯების ზრდა საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას ნიშნავს. პირიქით, ფასების დონის ზრდა იწვევს ფულის რეალური ღირებულების კლებას, რაც თავის

მხრივ ამცირებს სიმდიდრეს, სამომხმარებლო ხარჯებს და საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნას.

ფასების დონე და ინვესტირება: სარგებლის განაკვეთის ეფექტი. ფასების დონე ფულზე მოთხოვნის რაოდენობის ერთერთი დეტერმინანტია. რაც უფრო დაბალია ფასების დონე, მით ნაკლები ფული სჭირდება ოჯახს იმ საქონლისა და მომსახურების საყიდლად, რომლის შეძენაც მას სურს. როცა ფასების დონე მცირდება, ოჯახი თავისი ნაღდი ფულის შემცირებას მისი ნაწილის გასესხებით ცდილობს. მაგალითად, შეუძლია ზედმეტი ფული სარგებლიანი ობლიგაციების შესყიდვისათვის გამოიყენოს, ანდა სარგებლიან ანგარიშზე მოათავსოს. ასეთ დროს ბანკი ამ ფონდებს ახალი სესხებისთვის გამოიყენებს. ორივე შემთხვევაში, როდესაც ოჯახი თავისი ფულის კონვერტირებას სარგებლიან ფასიან ქაღალდებში ცდილობს, ეს სარგებლის განაკვეთის შემცირებას იწვევს.

თავის მხრივ, სარგებლის დაბალი განაკვეთი ხელს უწყობს როგორც სესხის აღებას ფირმების მიერ, რომელთაც ახალ ქარხნებსა და მოწყობილობებში ფულის დაბანდება სურთ, ისე საოჯახო მეურნეობების მიერ, რომელთაც ფული ახალი სახლების ასაშენებლად სჭირდებათ (სარგებლის შედარებით დაბალი განაკვეთი შეიძლება სამომხმარებლო ხარჯების სტიმულატორად მოგვევლინოს, განსაკუთრებით ისეთი ხანგრძლივი მოხმარების საგნებისა, როგორიცაა მანქანა, რომელსაც ხშირად კრედიტით შეიძენენ). ამდენად, სარგებლის დაბალი განაკვეთი ზრდის საქონლისა და მომსახურების მოთხოვნის რაოდენობას.

ეს მოთხოვნის მრუდის კლებადობის მეორე მიზეზია: ფასების დონის შემცირება ამცირებს სარგებლის განაკვეთს, ხელს უწყობს საინვესტიციო ხარჯების ზრდას და, ამდენად, ზრდის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობას. საპირისპიროდ, ფასების მაღალი დონე ზრდის სარგებლის განაკვეთს, ამცირებს საინვესტიციო დანახარჯებს და საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობას.

ფასების დონე და წმინდა ექსპორტი: საგალუტო კურსის ეფექტი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფასების დაბალი დონე

ქვეყანაში სარგებლის განაკვეთს ამცირებს, ამიტომ ინვესტორთა ნაწილი უფრო მაღალ მოგებას ფულის უცხოეთში დაბანდებაში ხედავს. მაგალითად, როდესაც აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციების სარგებლის განაკვეთი მცირდება, ურთიერთფონდს შეუძლია გაყიდოს აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციები, რომ გერმანიის სახელმწიფო ობლიგაციები იყიდოს. როდესაც ურთიერთფონდი ფასიანი ქაღალდების ოკეანის მიღმა გადატანას ცდილობს, ამით ზრდის დოლარების მიწოდებას უცხოური ვალუტის ბაზარზე.

დოლარის მიწოდების ზრდა იწვევს დოლარის ღირებულების შემცირებას ევროს მიმართ, რაც ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას – უცხოური და ადგილობრივი საქონლის შედარებითი ფასის ცვლილებას – იწვევს. რადგან დოლარი უფრო ნაკლებ უცხოურ ვალუტას ყიდულობს, უცხოური საქონელი ადგილობრივთან შედარებით ძვირდება.

ფარდობითი ფასების ამგვარი ცვლილება ადგილობრივ და უცხოურ ხარჯებზე ახდენს გავლენას. რადგან უცხოური საქონელი უფრო ძვირია, ვიდრე ამერიკული, ამერიკელები უფრო ნაკლებს ყიდულობენ სხვა ქვეყნებში, უცხოელები კი მეტს ვაჭრობენ ამერიკაში. ეს ზრდის აშშ-ს საქონლისა და მომსახურების ექსპორტს და ამცირებს აშშ-ს საქონლისა და მომსახურების იმპორტს. იზრდება წმინდა ექსპორტიც, რომელიც ექსპორტისა და იმპორტის სხვაობის ტოლია. ამდენად, დოლარის რეალური გაცვლითი კურსის შემცირება იწვევს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას.

ეს უკვე ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კლებადობის მესამე მიზეზს ხსნის: როდესაც შეერთებულ შტატებში ფასების დონის შემცირება სარგებლის განაკვეთის შემცირებას იწვევს, მცირდება რეალური სავალუტო კურსიც, რაც ხელს უწყობს აშშ-ს წმინდა ექსპორტს და შესაბამისად ზრდის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობას. პირიქით, როდესაც აშშ-ში ფასების საერთო დონე იზრდება და სარგებლის განაკვეთის მატებას იწვევს, დოლარის რეალური ღირებულება იზრდება, რაც აშშ-ს წმინდა ექსპორტს და საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნას ამცირებს.

ამგვარად, ფასების საერთო დონის შემცირების დროს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობის გაზრდის სამი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული მიზეზი არსებობს:


1. მომხმარებელი თავს უფრო შეძლებულად გრძნობს, რაც ზრდის მოთხოვნას სამომხმარებლო საქონელზე;
2. მცირდება სარგებლის განაკვეთი, რაც ზრდის მოთხოვნას საინვესტიციო საქონელზე;
3. მცირდება სავალუტო კურსი, რაც ზრდის მოთხოვნას წმინდა ექსპორტზე.

ეს სამი ეფექტი საწინააღმდეგო მიმართულებითაც მოქმედებს: როდესაც ფასების დონე იზრდება, სიმდიდრის შემცირების გამო კლებულობს სამომხმარებლო დანახარჯები, სარგებლის გაზრდილი განაკვეთი ამცირებს საინვესტიციო დანახარჯებს, ვალუტის ღირებულების გაზრდა კი – წმინდა ექსპორტს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი (როგორც მოთხოვნის ყველა მრუდი) აგებულია დაშვებით „სხვა თანაბარ პირობებში“, კერძოდ, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კლებადობის ჩვენს მიერ შემოთავაზებული სამი ახსნა გულისხმობს, რომ ფულის მიწოდება უცვლელია. როგორც ვნახავთ, ფულის რაოდენობის შეცვლა ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას იწვევს.

3. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილების ფაქტორები

ფასების დონის გადიდება სხვა თანაბარ პირობებში წარმოების რეალურ მოცულობაზე მოთხოვნის შემცირებას იწვევს და პირიქით, ფასების დონის შემცირება წარმოების მოცულობის გადიდებას იწვევს. ეს მოძრაობაა ერთი წერტილიდან მეორეში ერთობლივი მოთხოვნის სტაბილურ მრუდზე. მაგრამ თუ პირობები იცვლება, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაინაცვლებს. ამ პირობებს **ერთობლივი მოთხოვნის არაფასისმიერი ფაქტორები** ეწოდება.



ნახ. 7.3 ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები

ერთობლივი მოთხოვნის გადიდება ნახაზზე ნაჩვენებია AD_1-დან AD_2-ს მიმართულებით მრუდის გადაადგილებით, ხოლო შემცირების დროს – AD_1 მრუდი AD_3-ის მიმართულებით გადაადგილდება. პირველ შემთხვევაში გადაადგილება გვიჩვენებს, რომ ფასების სხვადასხვა დონეთა პირობებში საქონლის და მომსახურების სასურველი მოცულობა იზრდება, ხოლო მეორე შემთხვევაში, ადამიანები პროდუქტის ნაკლებ რაოდენობას იყიდიან ვიდრე ფასების სხვა დონის შემთხვევაში.

ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კლებადობა იმაზე მიუთითებს, რომ ფასების დონის შემცირება საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის საერთო რაოდენობას ზრდის. თუმცა მოთხოვნის რაოდენობაზე ფასების დონის გარდა ბევრი სხვა ფაქტორიც ახდენს გავლენას. როდესაც ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთი მაინც იცვლება, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება.

არსებობს ბევრი შესაძლო შემთხვევა, როდესაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება. მოვიყვანთ რამდენიმეს:

მოხმარების ცვლილებით გამოწვეული გადაადგილებები. დავუშვათ საპენსიო ასაკის მოსახლეობამ მოულოდნელად უფ-

რო მეტი ფულის დაზოგვა დაიწყო, რის შედეგადაც შემცირდა მათი მიმდინარე სამომხმარებლო ხარჯები. რადგან ფასების თითოეული დონისათვის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობა შემცირდა, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარცხნივ გადაადგილდება. ახლა წარმოიდგინეთ, რომ აქციათა ბაზრების ბუმი ადამიანებს ამდიდრებს, რის გამოც ისინი დაზოგვას დიდი გულისყურით აღარ ეპყრობიან და მეტს ხარჯავენ. სამომხმარებლო დანახარჯების ზრდა ნებისმიერ მოცემულ ფასად იწვევს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდას, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაინაცვლებს.

ამდენად, ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ამა თუ იმ მოცემულ ფასად ადამიანების მოხმარების დონეს ცვლის, იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას. ერთ-ერთი ცვლადი, რომელსაც ამ შედეგის გამოწვევა შეუძლია, არის დაბეგვრის დონე. როდესაც მთავრობა ამცირებს გადასახადებს, ის ადამიანებს მეტის დახარჯვისაკენ უბიძგებს, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. როდესაც მთავრობა გადასახადებს ზრდის, ადამიანები ნაკლებს ხარჯავენ, რაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარცხნივ გადაანაცვლებს.

ინვესტიციების ცვლილებით გამოწვეული გადაადგილებები. ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ცვლის ინვესტირების დონეს, იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებასაც. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ კომპიუტერული ინდუსტრია კომპიუტერების უფრო განვითარებულ მოდელს აწარმოებს, რის გამოც მრავალი ფირმა გადაწყვეტს ინვესტირებას ახალ კომპიუტერულ სისტემებში. რადგან ნებისმიერ მოცემულ ფასად საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობა გაიზრდება, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. საპირისპიროდ, თუ ფირმების მოლოდინი ბიზნესის მომავლისადმი პესიმისტურია, მაშინ ისინი საინვესტიციო ხარჯებს შეამცირებენ, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარცხნივ გადაადგილდება.

ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებაზე შეიძლება საგადასახადო პოლიტიკამაც იმოქმედოს. ინვესტირების საგადასახადო შეღავათი (გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნება იმ ფირმისათვის, რომელიც ინვესტირებას ახორციელებს), სარგებლის მოცემული განაკვეთის ფასად, ზრდის მოთხოვნას იმ საინვესტიციო საქონელზე, რომელიც ფირმას სჭირდება. ეს კი ერთობლივი მიწოდების მრუდს მარჯვნივ გადააადგილებს. ინვესტირების საგადასახადო შეღავათის გაუქმება, პირიქით, გამოიწვევს ინვესტირების შემცირებას, ანუ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილებას.

მეორე ცვლადი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ინვესტიციებსა და ერთობლივ მოთხოვნაზე, არის ფულის მიწოდება. ფულის მიწოდების გაზრდა მოკლევადიან პერიოდში ამცირებს სარგებლის განაკვეთს. ეს ფულის იაფად სესხების საშუალებას იძლევა, რის გამოც ინვესტირება იზრდება და ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაინაცვლებს. საპირისპიროდ, როდესაც ფულის მიწოდება მცირდება, მოკლევადიან პერიოდში სარგებლის განაკვეთი იზრდება, ფულის სესხება ძვირდება, რაც ამცირებს ინვესტირების სტიმულს და ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარცხნივ გადააადგილებს.

სახელმწიფო შესყიდვების ცვლილებით გამოწვეული გადაადგილებები. ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე პირდაპირ ზემოქმედებას პოლიტიკოსები სახელმწიფო შესყიდვების გზით ახდენენ. მაგალითად, დავუშვათ, რომ მთავრობამ იარაღის ახალი სისტემების შესყიდვის შემცირება გადაწყვიტა. რადგან ფასების თითოეული მოცემული დონისათვის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობა შემცირდა, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარცხნივ გადაადგილდება. საწინააღმდეგოდ, თუ მთავრობა ახალი გზების მშენებლობას დაიწყებს, ეს ნებისმიერ მოცემულ ფასად ზრდის მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე, რაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ გადააადგილებს.

წმინდა ექსპორტის ცვლილებით გამოწვეული გადაადგილებები. ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ფასების მოცემული დონისათვის ცვლის წმინდა ექსპორტს, გაელენას ახდენს ერთობ-

ლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებაზეც. მაგალითად, როდესაც ევროპაში რეცესიაა, ის ამერიკისაგან ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას ყიდულობს. ეს ამცირებს აშშ-ს წმინდა ექსპორტს ფასების ნებისმიერი დონისათვის და ამერიკის ეკონომიკის ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარცხნივ გადააადგილებს. როდესაც ევროპა რეცესიიდან გამოვა, ის აშშ-ს საქონლის შეძენას დაიწყებს და ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაინაცვლებს.

წმინდა ექსპორტი ხანდახან საერთაშორისო სპეკულაციებით გამოწვეული სავალუტო კურსების მერყეობის გამოც იცვლება. მაგალითად, დავუშვათ, რომ აშშ-ს ეკონომიკის სიძლიერეში დარწმუნებული სპეკულანტები თავიანთი კაპიტალის ნაწილის აშშ-ში გადატანას ფიქრობენ. ამის გამო სავალუტო ბაზრებზე ისინი აშშ დოლარს შეგნებულად ჭარბად შეაფასებენ. დოლარის ღირებულების ეს ცვლილება უცხოურთან შედარებით ამერიკულ საქონელს აძვირებს, რაც იწვევს წმინდა ექსპორტის შემცირებას და ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილებას. საწინააღმდეგოდ, სპეკულაცია, რომელიც იწვევს დოლარის ღირებულების შემცირებას, სტიმულს აძლევს აშშ-ს ექსპორტის ზრდას და ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ გადაანაცვლებს.


4. ერთობლივი მიწოდების მრუდი

ერთობლივი მიწოდების მრუდი ასახავს საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობას, რომელსაც ფირმები აწარმოებენ და ყიდიან ფასების თითოეულ დონეზე. კავშირი ფასების დონესა და მიწოდების რაოდენობას შორის დამოკიდებულია დროის ინტერვალზე. **გრძელვადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია**, მაშინ, როცა **მოკლევადიან პერიოდში ეს მრუდი ზრდადია**. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ მოკლევადიანი პერიოდის რყევები, უნდა განვიხილოთ როგორც გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი, ისე მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი.

ერთობლივი მიწოდების მრუდი გრძელვადიან პერიოდში. რა განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობას გრძელვადიან პერიოდში? გრძელვადიან პერიოდში საქონლისა და მომსახურების მიწოდება დამოკიდებულია კაპიტალისა და შრომის მიწოდებასა და იმ საწარმოო ტექნოლოგიაზე, რომელიც გამოიყენება კაპიტალისა და შრომის საქონლად და მომსახურებად გადაქცევისათვის. როგორც ვიცით, ფასების საერთო დონე ფულის მიწოდების საერთო რაოდენობით განისაზღვრება. თუ ორი ეკონომიკა ერთნაირია და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთში ფულის მიწოდება ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე მეორეში, მაშინ წარმოების მოცულობა ორივე ეკონომიკაში ერთნაირი იქნება, თუმცა იმ ეკონომიკის ფასების დონე ორჯერ მეტი იქნება, რომელიც მიმოქცევაში ფულის მეტ რაოდენობას უშვებს.

რადგან ფასების დონე რეალური მშპ-ს ამ გრძელვადიანი პერიოდის დეტერმინანტებზე გაელენას არ ახდენს, გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, როგორც ეს ნაჩვენებია 7.4 ნახაზზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გრძელვადიან პერიოდში კაპიტალი, შრომა და ტექნოლოგია განსაზღვრავს ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობას, ხოლო მიწოდების რაოდენობა, ფასების დონის მიუხედავად, უცვლელი რჩება.

კლასიკური მაკროეკონომიკური თეორია დაფუძნებულია იმ დაშვებაზე, რომ რეალური ცვლადები არ არის დამოკიდებული ნომინალურ ცვლადებზე. გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი ამ მოსაზრებას სრულიად შეესაბამება, რადგანაც მასში ნაგულისხმევია, რომ წარმოების მოცულობა (რეალური ცვლადი) არ არის დამოკიდებული ფასების დონეზე (ნომინალური ცვლადი). ეკონომისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს პრინციპი ხორციელდება, როდესაც განვიხილავთ ეკონომიკას მრავალწლიანი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ არ სრულდება მაშინ, როდესაც ვსწავლობთ ყოველწლიურ ცვლილებებს. ამგვარად, ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში.



ნახ. 7.4 გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი

5. გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილების ფაქტორები

კლასიკური მაკროეკონომიკური თეორია გრძელვადიან პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობის პროგნოზირებასთან ერთად გვიხსნის, როგორია გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის მდებარეობა. გრძელვადიანი პერიოდის წარმოების დონეს ზოგჯერ პოტენციური წარმოება ან სრული დასაქმების შესაბამისი წარმოება ეწოდება. უფრო ზუსტად კი მას **წარმოების ბუნებრივ დონეს** ვუწოდებთ, რადგან წარმოების ეს მოცულობა შეესაბამება იმ დროს, როდესაც დასაქმება მის ბუნებრივ, ანუ ნორმალურ დონეზეა. წარმოების ბუნებრივი დონე კი ეს ის დონეა, რომლისკენაც ეკონომიკა მიისწრაფვის გრძელვადიან პერიოდში.

ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს წარმოების ბუნებრივ დონეზე, გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდს გადააადგილებს. იმის გამო, რომ წარმოება კლასიკურ მოდელში შრომაზე, კაპიტალზე, ბუნებრივ რე-

სურსებსა და ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული, ის გადაადგილებები, რომელსაც ერთობლივი მიწოდების მრუდი განიცდის, შეგვიძლია კატეგორიებად დავყოთ.

შრომის ცვლილებებით გამოწვეული გადაადგილებები. წარმოიდგინეთ, რომ ეკონომიკა იმიგრაციის ზრდას განიცდის. მომუშავეთა რიცხოვნობის ზრდის გამო მოიმატებს საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობაც. შედეგად კი გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. და პირიქით, როდესაც ეკონომიკა სამუშაო ძალის გადინებას განიცდის, ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება.

გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის პოზიცია დამოკიდებულია უმუშევრობის ბუნებრივ დონეზეც. შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც უმუშევრობის ბუნებრივ დონეს შეეხება, ერთობლივი მიწოდების მრუდსაც გადააადგილებს. მაგალითად, თუ მთავრობა მნიშვნელოვნად გაზრდის მინიმალურ ხელფასს, უმუშევრობის ბუნებრივი დონე გაიზრდება და ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა შემცირდება. შედეგად გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება. თუ პირიქით მოხდა და უმუშევრობის დაზღვევის სისტემის რეფორმამ უმუშევრებს სამუშაოს პოვნისკენ უბიძგა, უმუშევრობის ბუნებრივი დონე შემცირდება, გაიზრდება მწარმოებლურობა და ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება.

კაპიტალის ცვლილებით გამოწვეული გადაადგილებები. ეკონომიკაში არსებული კაპიტალის მარაგის ზრდა მწარმოებლურობისა და, აქედან გამომდინარე, საქონლისა და მომსახურების რაოდენობის ზრდას იწვევს. შედეგად გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. კაპიტალის შემცირება კი, პირიქით, ამცირებს მწარმოებლურობას, წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობას და საბოლოოდ გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდს მარცხნივ გადაანაცვლებს.

დააკვირდით, რომ ამ ლოგიკით არა მხოლოდ ფიზიკური კაპიტალის, მაგალითად, მანქანებისა და ქარხნების, არამედ ადამიანური კაპიტალის, მაგალითად, კოლეჯის ხარისხის, გაჯლენის შეფასება შეგვიძლია. ორივე ტიპის კაპიტალის ზრდა ეკონომიკას საშუალებას მისცემს, უფრო მეტი საქონელი და მომსახურება აწარმოოს, რის გამოც გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება.

ბუნებრივი რესურსების ცვლილებით გამოწვეული გადაადგილებები. ეკონომიკის მწარმოებლურობა დამოკიდებულია მის ბუნებრივ რესურსებზე, რაშიც სხვებთან ერთად შედის მიწა, მინერალები და ამინდი. ახალი მინერალური საბადოს აღმოჩენა გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდს მარჯვნივ გადააადგილებს. ამინდის ცვლილება ხშირად ართულებს მოსავლის მოწევას და გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდს მარცხნივ გადააადგილებს.

მრავალი ქვეყანა მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსებს სხვა ქვეყნებისაგან ყიდულობს, ანუ მათ იმპორტს აწარმოებს. ამ რესურსების მისაწვდომობის ცვლილებამაც შეიძლება გადააადგილოს გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი.

ტექნოლოგიური ცვლილებით გამოწვეული გადაადგილებები. იმის მთავარი მიზეზი, რომ დღეს ეკონომიკის მწარმოებლურობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ადრე, ალბათ ტექნოლოგიების განვითარებაა. მაგალითად, კომპიუტერის დანერგვამ სამუშაო ძალის, კაპიტალის და ბუნებრივი რესურსების იმავე რაოდენობის გამოყენებით უფრო მეტი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა მოგვცა. რადგან კომპიუტერის გამოყენება სწრაფად გავრცელდა ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, ამ მოვლენამ გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადააადგილა.

არსებობს მრავალი მოვლენა, რომელიც, შეიძლება საკუთრივ ტექნოლოგიას არ ეხებოდეს, მაგრამ მათი გავლენა ტექნოლოგიის ცვლილების ეფექტს უტოლდებოდეს. მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას იგივე შედეგი მოჰყვა, რაც ახალი ტექნოლოგიის დანერგვას, რადგან მან ქვეყნებს მაღალმწარმოებლურ დარგებში სპეციალიზაციის შესაძლებლობა


მისცა. ცხადია, ამ მოვლენებმაც გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადააადგილა. და პირიქით, თუ მთავრობა მომუშავეთა უსაფრთხოების ან გარემოს დაცვის მიზნით ფირმების წარმოების რომელიმე მეთოდის რეგულირებას დაიწყებს, შედეგად გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება.

ამრიგად, გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი კლასიკური ეკონომიკური მოდელის აღწერის ახალი საშუალებაა. ნებისმიერი პოლიტიკა თუ მოვლენა, რომელიც რეალური მშპ-ს ზრდას იწვევს, ახლა შეიძლება საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობის ზრდისა და გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადაადგილების ფაქტორად ჩავთვალოთ. ნებისმიერი პოლიტიკა ან მოვლენა, რომელიც რეალური მშპ-ს შემცირებას იწვევს, შეიძლება ჩაითვალოს საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობის კლებისა და გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილების ფაქტორად.

6. ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში

მთავარი განსხვავება გრძელვადიანი და მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკას შორის არის ერთობლივი მიწოდების მრუდის ქცევა. გრძელვადიანი პერიოდისათვის იგი ვერტიკალურია, რადგან ფასების საერთო დონე გავლენას არ ახდენს ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობაზე. ამის საპირისპიროდ, მოკლევადიან პერიოდში ფასების დონე გავლენას ახდენს წარმოების მოცულობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ 1-2 წლის განმავლობაში ფასების საერთო დონის მატება იწვევს საქონლისა და მომსახურების მიწოდების ზრდას. ფასების დონის დაწევა კი ამცირებს მიწოდებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობას. შედეგად, მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი ზრდადია, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე 7.5.

რატომ ახდენს ფასების დონის ცვლილება გაელენას გამოშვების მოცულობაზე მოკლევადიან პერიოდში? მაკროეკონომისტები მიწოდების მრუდის ზრდადობას სამი განსხვავებული თეორიით ხსნიან, თუმცა თითოეული მათგანის მიხედვით, ის, რომ მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდება განსხვავებულ ქცევას ავლენს, ბაზრის არასრულყოფილების მიზეზია. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიების დეტალები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვა ვდება, მათ ერთი საერთო აქვთ: **მიწოდება გრძელვადიანი ან ბუნებრივი დონისაგან მაშინ გადაიხრება, როდესაც ეკონომიკაში ფასების რეალური დონე ფასების მოსალოდნელი დონისაგან განსხვავდება.** სხვანაირად, როდესაც ფასების დონე იმაზე მეტია, ვიდრე ადამიანები მოელოდნენ, წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაც სცდება თავის ბუნებრივ დონეს. ხოლო როდესაც ფასების დონე მოსალოდნელზე დაბალია, წარმოებაც კლებულობს.



ნახ. 7.5 მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი

ხისტი ხელფასების თეორია. მოკლეევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობას ხსნის ფიქსირებული ხელფასების თეორია. ერთობლივი მიწოდების სამი მიდგომიდან

ის ყველაზე უფრო მარტივია, რის გამოც ამ თემაში მასზე გავაკეთებთ აქცენტს.

აღნიშნული თეორიის თანახმად, მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი იმიტომ იზრდება, რომ ნომინალური ხელფასები ვერ ასწრებს ცვალებად ეკონომიკურ პირობებთან შეთავსებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოკლევადიან პერიოდში ხელფასები ნელა იზრდება, ანუ ხისტია. ეს, გარკვეულწილად, მშრომელებსა და ფირმებს შორის დადებული გრძელვადიანი ხელშეკრულებების ბრალიცაა, რადგან ამ დროს ნომინალური ხელფასი ხანდახან სამწლიანი პერიოდითაც კი ფიქსირდება. ამასთან, ხელფასების სიხისტე შეიძლება აიხსნას სოციალური ნორმებით და სამართლიანობის გავრცელებული გაგებით, რაც გავლენას ახდენს ხელფასების დაწესებასა და დროში მათ ცვლილებაზე.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ იწვევს ხისტი ნომინალური ხელფასი ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდას, უბრალო მაგალითი განვიხილოთ. დავუშვათ, ერთი წლის წინ ფირმა ელოდა, რომ მისი პროდუქტის ფასი $100 იქნებოდა და ამ ვარაუდზე დაყრდნობით მუშებს ხელშეკრულება საათში $20-ზე გაუფორმა. რეალურად კი ფასების დონე $95-ზე გაჩერდა. იმის გამო, რომ ფასი მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდა, ფირმა სწორედ 5 პროცენტით ნაკლებს მიიღებს გაყიდული საქონლის ყოველი ერთეულიდან. შრომაზე დანახარჯები კი კვლავინდებურად ხისტი – საათში $20 – იქნება. წარმოება ნაკლებმომგებიანია, ფირმაც ნაკლებ მომუშავეს დაიქირავებს და ბაზარზე საქონლის მიწოდებას შეამცირებს. დროთა განმავლობაში მომუშავეთა ხელშეკრულებებს ვადა გაუვა და ფირმა შეძლებს, უფრო დაბალი ხელფასი გადაუხადოს დაქირავებულებს (სავარაუდოდ ისინიც დათანხმდებიან, რადგან ფასები უფრო დაბალი იქნება). საბოლოოდ დასაქმება და წარმოების მოცულობა გრძელვადიანი პერიოდის ტენდენციაზე ნაკლები იქნება.

იმავე ლოგიკით, თუ ფასების დონე 105-მდე აიწევს, ხელფასი კი კვლავინდებურად $20 იქნება, ფირმის შემოსავლები გაიზრდება, შრომის დანახარჯები კი – არა. შედეგად ის მეტ მუ-

შაკს დაიქირავებს და ბაზარზე საქონლის მიწოდებას გაზრდის. საბოლოოდ, გაზრდილი ფასების საკომპენსაციოდ მომუშავეები უფრო მაღალ ნომინალურ ხელფასს მოითხოვენ, თუმცა ამასობაში ფირმა შეძლებს ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენებას, რის გამოც დასაქმება და წარმოება გრძელვადიან ტენდენციას გადააჭარბებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ხისტი ხელფასების თეორიის მიხედვით, მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი იმიტომ არის ზრდადი, რომ ნომინალური ხელფასი ფასების მოსალოდნელი დონის გათვალისწინებით დგინდება, და თუ ფასების რეალური დონე მოსალოდნელისაგან განსხვავებული აღმოჩნდა, ხელფასების სწრაფი კორექტირება შეუძლებელია. ხელფასების სიხისტის პირობებში ფირმების გამოშვება ბუნებრივ დონეზე ნაკლებია, როდესაც ფასების არსებული დონე მოსალოდნელზე დაბალია და პირიქით, ბუნებრივზე მეტია, თუ რეალური ფასების დონე მოსალოდნელზე მაღალია.

ხისტი ფასების თეორია. ზოგიერთი ეკონომისტი მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობის მეორე ახსნას ემხრობა. ეს თეორია ხისტი ფასების თეორიის სახელითაა ცნობილი. როგორც ვნახეთ, ხისტი ხელფასების თეორია ფასების ცვლილებაზე ნელ რეაგირებას ეფუძნება. ხისტი ფასების თეორიის მიხედვით კი, ცალკეული საქონლისა და მომსახურების ფასიც ასევე ნელა რეაგირებს ეკონომიკური პირობების ცვლილებაზე. ფასების ამგვარი სიხისტე ნაწილობრივ იმიტომ წარმოიქმნება, რომ ფასების ცვლილებებს ე.წ. **მენიუს დანახარჯები** ახლავს. ისინი მოიცავს კატალოგების გამოცემისა და გავრცელების ხარჯებსა და დროს, რომელიც საჭიროა ფასების ეტიკეტების შესაცვლელად. ამ დანახარჯების შედეგად, ხელფასების მსგავსად, მოკლევადიან პერიოდში შეიძლება ფასები ხისტი იყოს.

ხისტი ფასების ერთობლივი მიწოდების მრუდის დახრილობაზე გავლენის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი. დაეუშვათ, ფირმები თავიანთ ფასებს ეკონომიკის მოსალოდნელი მდგომარეობის მიხედვით აწესებენ. თუ, მაგალითად, ფასების გამოცხადების შემდეგ მოულოდნელად ეკონომიკაში ფულის

მიწოდება შემცირდა, ეს გრძელვადიანი პერიოდის ფასების საერთო დონეს შეამცირებს. მართალია. ზოგ ფირმას შეუძლია ეკონომიკური პირობების მოულოდნელ ცვილილებაზე სწრაფი რეაგირება და ფასების შემცირება, მაგრამ ზოგს – არა, რადგან ეს საწარმოს დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. შედეგად მათი საქონელი საბაზრო ფასებზე უფრო ძვირი ეღირება. შესაბამისად დაიკლებს საქონლის რეალიზაციაც. გაყიდვის შემცირება, თავის მხრივ, წარმოებისა და დასაქმების შეკვეცას გამოიწვევს. სხვაგვარად რომ ეთქვათ, იმის გამო, რომ ყველა ფასი ერთნაირად სწრაფად არ რეაგირებს ეკონომიკური პირობების ცვლილებაზე, ფასების მოულოდნელი ვარდნა ზოგ ფირმას მაღალი ფასების შენარჩუნებას აიძულებს, რაც პროდუქციის გაყიდვის მოცულობას და საბოლოოდ, საქონლისა და მომსახურების გამოშვებას ამცირებს.

იგივე სიტუაცია იქნება მაშინაც, როცა ფულის მიწოდება და ფასების დონე მოულოდნელად მოიმატებს. იმ დროს, როდესაც ზოგი ფირმა დაუყონებლივ გაზრდის ფასს შეცვლილი ეკონომიკური პირობების შესაბამისად, სხვების ფასები სასურველზე დაბალ დონეზე დარჩება. ეს კი მიიზიდავს მყიდველებს, რის გამოც ფირმა გაზრდის წარმოებისა და დასაქმების მოცულობას. ამრიგად, იმ დროს, როდესაც ნელა რეაგირებადი ფირმები მოძველებული ფასებით მუშაობენ, ფასებისა და წარმოების დონეს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება ყალიბდება, რაც იწვევს მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობას.

მცდარი შეხედულებების თეორია. მესამე თეორია, რომელიც მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობას ეხება, გახლავთ მცდარი შეხედულებების თეორია. ამ თეორიის თანახმად, ფასების დონის ცვლილებებმა დროებით, შეიძლება, შეცდომაში შეიყვანოს მიმწოდებლები იმ კონკრეტულ ბაზრებზე არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომლებზეც ისინი საქონელს ყიდიან. ამ მოკლევადიანი მცდარი შეხედულების შედეგად მიმწოდებლები რეაგირებენ ფასების დონის ცვლილებაზე, რაც, თავის მხრივ, მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობას იწვევს.

იმისათვის, რომ ვნახოთ, როგორ ხდება ეს, განვიხილოთ მაგალითი, როდესაც ფასების საერთო დონე უფრო დაბლა დაეცა, ვიდრე მიმწოდებლები ელოდნენ. როდესაც ისინი ხედავენ, რომ მათი საქონლის გასაყიდი ფასები დაეცა, შეიძლება, შეცდნენ და იფიქრონ, რომ შეფარდებითი ფასები დაეცა. ეს იმას ნიშნავს, რომ, მწარმოებლების აზრით, მათი საქონლის ფასი ეკონომიკაში არსებულ სხვა საქონელთა ფასებთან შედარებით დაეცა. მაგალითად, ხორბლის მწარმოებელმა ფერმერებმა, შეიძლება, ხორბალზე ფასების ვარდნა გაცილებით უფრო ადრე შენიშნონ, ვიდრე ყველა იმ საქონლის გაიაფება, რომლებსაც ისინი, როგორც მომხმარებლები, ისე ყიდულობენ. მათ შეიძლება დაასკვნან, რომ ხორბლის წარმოებაში მოგების კლება დროებითია და ამას მიწოდების შემცირებით უპასუხონ. ასევე, მომუშავეებმა შეიძლება საკუთარი ნომინალური ხელფასის შემცირება უფრო ადრე შენიშნონ, ვიდრე გაიაზრებენ, რომ მოხმარებული საქონლის ფასებიც მცირდება. მათაც, შესაძლოა გადაწყვიტონ, რომ შრომის ანაზღაურების კლება დროებითია და ამიტომ შრომის მიწოდება შეამცირონ. ორივე შემთხვევაში ფასების დონის კლება წარმოშობს არასწორ შეხედულებას შეფარდებით ფასებთან დაკავშირებით. ეს კი მიმწოდებელს აიძულებს, ფასების დაბალ დონეს საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობის შემცირებით უპასუხოს.

ასეთი მცდარი შეხედულებები წარმოიქმნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ფასების დონე მოსალოდნელზე უფრო მაღალია. მიმწოდებლებმა, შეიძლება შენიშნონ, რომ მათი საქონლის ფასები გაიზარდა და დაასკვნან, რომ მათი საქონლის ფარდობითი ფასი იზრდება. ისინი გადაწყვეტენ, რომ წარმოებისათვის ხელსაყრელი დრო დადგა. ვიდრე ისინი საკუთარ შეცდომას აღმოაჩენენ, მიმწოდებლები გაზრდილ ფასს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ზრდით უპასუხებენ. ეს კი იწვევს მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობას.

ამრიგად, არსებობს მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობის სამი განსხვავებული თეორია: ხისტი ხელფასების, ხისტი ფასებისა და ფარდობით ფასებზე

მცდარი შეხედულებების თეორიები. რომელი მათგანია ყველაზე ზუსტი, ამაზე ეკონომისტები ჯერ არ შეთანხმებულან, მით უმეტეს, რომ სავსებით შესაძლებელია, სამივე მათგანი შეიცავდეს სიმართლის ელემენტებს. თუმცა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი მათ შორის მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება. სამივე თეორია აღიარებს, რომ წარმოება მაშინ გადაიხრება თავისი ბუნებრივი დონიდან, როდესაც ფასების საერთო დონე მოსალოდნელს არ ემთხვევა. მათემატიკურად ეს შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

მიწოდების რაოდენობა = წარმოების ბუნებრივი დონე
+ a (მიმდინარე ფასები – მოსალოდნელი ფასები)

სადაც a არის რიცხვი, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად რეაგირებს გამოშვება ფასების მოულოდნელ ცვლილებებზე.

დააკვირდით, რომ სამივე თეორიის მიხედვით, მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების ცვლილების საფუძველი დროებითია. იმის მიუხედავად, თუ რა იწვევს მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობას: ხისტი ფასები, ხისტი ხელფასები თუ მცდარი შეხედულებები, ეს პირობები მუდმივი არ არის. დროთა განმავლობაში ნომინალური ხელფასები ისევე, როგორც ფასები, რეგულირდება, მცდარი შეხედულებებით გამოწვეული შეცდომები კი გამოაშკარავდება და გამოსწორდება. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გრძელვადიან პერიოდში ფასები და ხელფასები მოქნილია, ადამიანები კი სწორად აფასებენ მომხდარ მოვლენებს. ამრიგად, მოკლევადიანი პერიოდის ზრდადი ერთობლივი მიწოდების მრუდის სამივე თეორია შესაბამისობაშია გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის ვერტიკალურობასთან.

7. მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილების ფაქტორები

მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი გვიჩვენებს საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობას, რომელიც ფასების მოცემული დონის პირობებში ბაზარს მოკლევადიან პერიოდში მიეწოდება. ეს მრუდი გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის მსგავსია, თუმცა ვერტიკალურის ნაცვლად ზრდადობით ხასიათდება. ამის მიზეზია ხისტი ფასები, ხისტი ხელფასები და მცდარი შეხედულებები. ამრიგად, როდესაც მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილების მიზეზებს განვიხილავთ, უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის ფაქტორი, რომლებიც გაულევნას ახდენს გრძელვადიანი პერიოდის მიწოდების მრუდის გადაადგილებაზე და დავამატოთ კიდევ ერთი ახალი ცვლადი – ფასების მოსალოდნელი დონე, რომლის გამოც წარმოიქმნება ხისტი ფასები, ხისტი ხელფასები და მცდარი შეხედულებები შეფარდებით ფასებზე.

დავიწყოთ იმით, რაც ვიცით გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის შესახებ. როგორც ვნახეთ, მის გადაადგილებებს იწვევს **შრომის, კაპიტალის, ბუნებრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების ცვლილებები. ოგივე ცვლადები მოქმედებს მოკლევადინი პერიოდის მიწოდების მრუდზეც**. მაგალითად, როდესაც ეკონომიკაში იზრდება ძირითადი კაპიტალის მარაგი, იმატებს მწარმოებლურობაც და ეკონომიკას მეტი საქონლისა და მომსახურების წარმოება შეუძლია. ამის გამო როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. როდესაც მინიმალური ხელფასის ზრდა უმუშევრობის ბუნებრივ დონეს ზრდის, ეკონომიკას ნაკლები დასაქმებული მომუშავე ჰყავს და შესაბამისად, ნაკლები საქონელი და მომსახურება იწარმოება. ამ შემთხვევაში ორივე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდების ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება.

ახალი მნიშვნელოვანი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის მდებარეობაზე, გახლავთ ფასების დონე, რომელსაც ადამიანები მოელიან, ანუ **ფასების მოსალოდნელი დონე**. როგორც ვნახეთ, მოკლევადიან პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა დამოკიდებულია ხისტ ფასებზე, ხისტ ხელფასებზე და მცდარ შეხედულებებზე. ეს სამი ფაქტორი კი დამოკიდებულია ფასების მოსალოდნელ დონეზე. ამრიგად, როდესაც ადამიანების მოლოდინი ფასების დონის შესახებ იცვლება, მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება.

უფრო რომ დაეაკონკრეტოთ, განვიხილოთ ერთობლივი მიწოდების სპეციფიკური თეორია – ხისტი ხელფასების თეორია. ამ თეორიის მიხედვით, როდესაც მომუშაეები და ფირმები მაღალ ფასებს მოელიან, ისინი სავარაუდოდ მაღალ ნომინალურ ხელფასზე თანხმდებიან. მაღალი ხელფასები ფირმის დანახარჯებს ზრდის, რაც ფასების რეალური დონის პირობებში იწვევს ფირმების მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების შეკვეცას. ამრიგად, როდესაც მოსალოდნელი ფასების დონე იზრდება, ხელფასები უფრო მაღალია, დანახარჯები იზრდება და ფირმები ფასების ნებისმიერი მოცემული დონისათვის მიწოდებას ამცირებენ. ასე რომ, მოკლევადიანი პერიოდის ერთობლიეი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება. საპირისპიროდ, როდესაც მოსალოდნელი ფასების დონე კლებულობს, ხელფასები უფრო დაბალია, დანახარჯები მცირდება, ფირმები ფასების ნებისმიერი დონისათვის წარმოებას ზრდიან და მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება.

ამგვარი ლოგიკა გამოიყენება მიწოდების ზრდადი მრუდის დანარჩენი ორი თეორიისთვისაც. საერთო დასკვნა ასეთია: ფასების მოსალოდნელი დონის ზრდა იწვევს ფირმების მიერ საქონლისა და მომსახურების მიწოდების შემცირებას და მოკლევადიანი პერიოდის ერთობლიეი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილებას. ფასების მოსალოდნელი კლება კი იწვევს ფირმების მიერ საქონლისა და მომსახურების მიწოდების გაზ-


რდას და მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მოლოდინი და მისი გაელვნა მიწოდების მრუდის პოზიციაზე მთავარ როლს თამაშობს ეკონომიკის მოკლევადიანი პერიოდიდან გრძელვადიან პერიოდზე ტრანსფორმაციის ახსნაში. მოკლევადიან პერიოდში მოლოდინი უცვლელია და ეკონომიკა ერთობლივი მოთხოვნისა და მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილში იმყოფება. გრძელვადიან პერიოდში, თუკი ადამიანები დაინახავენ, რომ ფასების დონე მოსალოდნელისაგან განსხვავდება, მათი მოლოდინი შესაბამისად იცვლება და მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება. ეს ცვლილებები კი ეკონომიკას უკვე ერთობლივი მოთხოვნისა და გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილში გადააადგილებს.

8. ეკონომიკური რყევების მიზეზები

ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი არის ძირითადი საშუალება მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური რყევების ანალიზისთვის.

7.6 ნახაზზე ნაჩვენებია ეკონომიკის მდგომარეობა გრძელვადიანი წონასწორობის დროს. წონასწორობის მდგომარეობაში წარმოების მოცულობა და ფასების დონე განისაზღვრება ერთობლივი მოთხოვნის მრუდისა და გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაკვეთით, რომელიც ნახაზზე A წერტილითაა აღნიშნული. ამ წერტილში წარმოება თავის ბუნებრივ დონეზე დგას. მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდიც გაიელის ამ წერტილს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ წარმოდგენები, ხელფასები და ფასები მთლიანად შეესაბამება გრძელვადიან წონასწორობას. ეს ნიშნავს იმას, რომ როდესაც ეკონომიკა გრძელვადიან წონასწორობაშია, წარმოდგენების, ხელფასების და ფასების დარეგულირება მხოლოდ იმგვარად უნდა მოხდეს, რომ ერთობლივი მოთხოვნისა


და მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაკვეთის წერტილი ერთობლივი მოთხოვნისა და გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილს დაემთხვეს.



ნახ. 7.6 გრძელვადიანი პერიოდის წონასწორობა

ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილების შედეგები. წარმოიდგინეთ, რომ ეკონომიკას პესიმიზმის ტალღამ გადაუარა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სკანდალი მთავრობაში, კატასტროფა აქციათა ბაზარზე ან ომი სხვა ქვეყნებს შორის. ამის გამო ბევრი ადამიანი კარგავს მომავლის რწმენას და გეგმებს შეცვლის: საოჯახო მეურნეობები ხარჯებს ამცირებენ და უმნიშვნელოვანესი ნივთების შეძენაზე თავს იკავებენ, ფირმები კი აღარ შეიძენენ ახალ მოწყობილობებს. ასეთი შემთხვევა საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივ მოთხოვნას ამცირებს. ეს ნიშნავს, რომ თითოეულ დონეზე საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს ნაკლები რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა სურთ. როგორც ეს 7.7 ნახაზიდან ჩანს ერთობ-

ლიეი მოთხოვნის მრუდი ასეთ ვითარებაში მარცხნივ AD_1-დან AD_2-მდე გადაადგილება.



ნახ. 7.7. ერთობლიეი მოთხოვნის შემცირება

მოცემული ნახაზის მიხედვით შეგვიძლია განვიხილოთ ერთობლიეი მოთხოვნის შემცირების შედეგები. მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკა მოძრაობს მოკლევადიანი პერიოდის ერთობლიეი მიწოდების საწყის AS_1 მრუდზე A წერტილიდან B წერტილამდე. ამ დროს წარმოება მცირდება Y_1-დან Y_2-მდე, ხოლო ფასების დონე – P_1-დან P_2-მდე. წარმოების მოცულობის შემცირება მიუთითებს, რომ ეკონომიკა რეცესიის მდგომარეობაშია. ფირმები გასაღების და წარმოების შემცირებას დასაქმების შემცირებით უპასუხებენ. ამგვარად პესიმიზმი, რომელიც ერთობლიეი მოთხოვნის ცვლილებებს იწვევს, გარკვეულწილად საკუთარ თავს აზიანებს: მომავლის პესიმისტურ ხედვას მიეყავართ შემოსავლის შემცირებისა და უმუშევრობის ზრდისაკენ.

რა უნდა გაკეთდეს ამგვარი რეცესიის დროს? ერთ-ერთი შესაძლებლობა ერთობლიეი მოთხოვნის გაზრდაა. სახელმწიფოს ხარჯების ან ფულის მიწოდების გაზრდა გამოიწვევს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობის ზრდას

და ამის გამო ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ გადაადგილებს. თუ პოლიტიკოსები სწრაფად და ზუსტად იმოქმედებენ შეძლებენ ერთობლივი მოთხოვნის საწყისი ცვლილების კომპენსირებას ერთობლივი მოთხოვნის მრუდის AD_1 პოზიციაზე, ხოლო ეკონომიკის – A წერტილში დაბრუნებას.


რეცესია პოლიტიკოსების მხრიდან რაიმე ქმედების გარეშეც ბოლოს საკუთარ თავს ამოწურავს. დროთა განმავლობაში ადამიანები გამოასწორებენ არასწორ წარმოდგენებს, დაარეგულირებენ ხისტ ხელფასებს და ხისტ ფასებს, რომლებიც იწვევენ ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობას მოკლევადიან პერიოდში. კერძოდ, როცა ფასების მოსალოდნელი დონე მცირდება, ადამიანის წარმოდგენები, ხელფასები და ფასები რეგულირდება და მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება AS_1-დან AS_2 -მდე, როგორც ეს 7.7 ნახაზზეა ნაჩვენები. გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკა აღწევს C წერტილს, სადაც ერთობლივი მოთხოვნის ახალი მრუდი(AD_2) გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდს გადაკვეთს.

გრძელვადიანი პერიოდის ახალ წონასწორობის C წერტილში წარმოება თავის ბუნებრივ დონეს უბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ პესიმიზმის ტალღამ ერთობლივი მოთხოვნა შეამცირა, ფასების დონე მაინც საკმარისად შემცირდა იმისათვის, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებები გააწონასწოროს.

ამგვარად, გრძელვადიან პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები სრულიად აისახება ფასების დონეზე და არა წარმოების დონეზე ანუ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილების შედეგი გრძელვადიან პერიოდში ნომინალური ცვლილებაა (მცირდება ფასების დონე) და არა რეალური ცვლილება (წარმოების მოცულობა უცვლელია). ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ამგვარი გადაადგილება შესაძლებელია ორი მიმართულებით გამოვიყენოთ: 1. მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები საქონლის და მომსახურების წარმოების ცვლილებებს იწვევს; 2. გრძელვადიან პერი-

ოდში ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები გავლენას ახდენს ფასების საერთო დონეზე, მაგრამ არა წარმოების მოცულობაზე.

ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილების შედეგები. წარმოვიდგინოთ ეკონომიკა გრძელვადიანი პერიოდის წონასწორობაში. უეცრად ზოგი ფირმა იწყებს საწარმოო დანახარჯების გაზრდას, მაგ., ცუდმა ამინდმა შეიძლება გაანადგუროს მოსავლის ნაწილი და გაზარდოს კვების პროდუქტების წარმოების დანახარჯები ან ომმა შეიძლება დააბრკოლოს პირველადი ნავთობის გადაზიდვა ამით გაიზრდება ნავთობპროდუქტების წარმოების დანახარჯები. განვიხილოთ როგორია საწარმოო დანახარჯების ამგვარი ზრდის მაკროეკონომიკური შედეგი. ფირმებს ნაკლები რაოდენობის საქონლისა და მომსახურების მიწოდება სურთ. ამგვარად, როგორც ნაჩვენებია ნახაზზე 7.8, მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება AS_1 – დან AS_2 –კენ.



ნახ. 7.8. ერთობლივი მიწოდების მრუდის უარყოფითი გადაადგილება

ნახაზზე შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილების შედეგებს. მოკლევა-

დიან პერიოდში ეკონომიკა მოძრაობს ერთობლივი მოთხოვნის არსებული მრუდის გასწვრივ A წერტილიდან B წერტილისაკენ. წარმოების მოცულობა მცირდება Y_1-დან Y_2-მდე, ხოლო ფასების დონე იზრდება P_1-დან P_2-მდე. ვინაიდან ეკონომიკაში ადგილი აქვს როგორც სტაგნაციას (წარმოების დაქვეითებას), ასევე ინფლაციას (ფასების ზრდას), ასეთ შემთხვევას ზოგჯერ **სტაგფლაციასაც** უწოდებენ.


ახლა განვიხილოთ შემდეგი საფეხური – ტრანსფორმაცია მოკლევადიანიდან გრძელვადიან წონასწორობაში. ხისტი ხელფასების თეორიის თანახმად, უმნიშვნელოვანესი საკითხია ის, თუ როგორ გავლენას ახდენს სტაგფლაცია ნომინალურ ხელფასზე. ამ შემთხვევაში ფირმების დანახარჯები კვლავ გაიზრდება და მოკლევადიანი მიწოდების მრუდი კიდევ უფრო მეტად გადაინაცვლებს მარცხნივ, რითაც გააუარესებს სტაგფლაციას. გაზრდილი ფასები, რომლებიც უფრო მაღალი ხელფასებისაკენ უბიძგებენ ეკონომიკას, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად ზრდიან ფასებს, რასაც ხანდახან ფასებისა და ხელფასების სპირალს უწოდებენ.

რაღაც მომენტში ფასებისა და ხელფასების სპირალი შეწყდება. დასაქმებისა და წარმოების დაბალი დონე მომუშავეთა ხელფასებს შეამცირებს, რადგან მაღალი უმუშევრობის პირობებში მშრომელების პოზიცია მოლაპარაკების პროცესში საკმაოდ სუსტია. როდესაც ნომინალური ხელფასი მცირდება, საქონლისა და მომსახურების წარმოება უფრო მომგებიანი ხდება და მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. როდესაც ის ისევ უკან, AS_1-ის მიმართულებით გადაადგილდება, ფასების დონე შემცირდება და წარმოება თავის ბუნებრივ დონეს მიაღწევს. გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკა A წერტილს დაუბრუნდება, სადაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდს კვეთს.

თუმცა წინანდელ წონასწორობაში დაბრუნება გულისხმობს, რომ ამ პროცესში ერთობლივი მოთხოვნა მუდმივია, რაც, შესაძლოა, რეალურ ეკონომიკაში არ მოხდეს. პოლიტიკო-

სებმა, რომლებიც მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას ახორციელებენ, შეიძლება, სცადონ ზოგიერთი იმ შედეგის თავიდან აცილება, რაც მოჰყვება მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილებებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებების გაელენით. ეს შესაძლებლობა წარმოდგენილია 7.9 ნახაზზე.

ასეთ შემთხვევაში პოლიტიკის ცვლილებები იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ AD_1-დან AD_2-მდე, რაც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ერთობლივი მიწოდების ცვლილების წარმოებაზე ზეგავლენა. ეკონომიკა მოძრაობს პირდაპირ A წერტილიდან C წერტილისკენ, წარმოება თავის ბუნებრივ დონეზე რჩება, ხოლო ფასების დონე P_1-დან P_2-მდე იზრდება. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ პოლიტიკოსები ეკონომიკას აჩვევენ ერთობლივი მიწოდების ამ ცვლილებას იმისათვის, რომ მუდმივად მაღალი ფასების პირობებში დასაქმებისა და წარმოების მაღალი დონის შენარჩუნება მოხერხდეს.



ნახ. 7.9 ერთობლივი მიწოდების მრუდის უარყოფით გადაადგილებასთან შეგუება

შეჯამებისათვის აღვნიშნავთ, რომ ერთობლივი მიწოდების ამგვარი ცვლილებები, შეიძლება, ორი მიმართულებით გამოვიყენოთ:

1. ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სტაგფლაცია – რეცესიისა (წარმოების შემცირების) და ინფლაციის (ფასების ზრდის) კომბინაცია.
2. თუ პოლიტიკოსებს ერთობლივ მოთხოვნაზე ზეგავლენა შეუძლიათ, მაშინ ისინი შეარბილებენ წარმოების მოცულობის შემცირების პრობლემას, მაგრამ ეს მხოლოდ ინფლაციის გაუარესების ხარჯზე მოხდება.

საკონტროლო კითხვები

1. რა განსხვავებაა მაკროეკონომიკისათვის ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების მრუდებს, ერთის მხრივ, და კონკრეტული საქონლისათვის საბაზრო მოთხოვნისა და მიწოდების მრუდებს შორის, მეორეს მხრივ? ამ ორ შემთხვევაში მრუდები ერთი და იგივეს ასახავენ თუ არა? პასუხი ახსენით.
2. ააგეთ ერთობლივი მოთხოვნის მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდებისა და გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების გრაფიკი.ყურადღება მიაქციეთ, რომ ღერძებს სწორი სახელები დაარქვათ.
3. ჩამოთვალეთ და განმარტეთ სამი მიზეზი, თუ რატომ არის ერთობლივი მოთხოვნის მრუდი კლებადი
4. რამ შეიძლება გამოიწვიოს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილება? გამოიყენეთ ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების მოდელი, რათა თვალი გაადევნოთ ამგვარი ცვლილებების შედეგებს.

ტესტები

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან უფრო ზუსტად რომელი აღწერს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს? ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გვიჩვენებს რომ:

ა. ფასების დონის გადიდებისას დანახარჯების დონე ეცემა.

ბ. ფასების საშუალო დონის ნებისმიერი შემცირებისას პროდუქციის ფაქტიური გამოშვების დონე ასევე დაეცემა;

გ. ფასების ყოველ დონეზე არსებობს თანაბარ ზომიერი პროდუქციის ფაქტიური გამოშვების სხვადასხვა დონე.

დ. ფასების საშუალო დონის ნებისმიერი გადიდებისას პროდუქციის ფაქტიური გამოშვების დონეც იზრდება.

2. ერთობლივი მიწოდების მრუდი გვიჩვენებს რომ:

ა. ფასების საერთო დონის გადიდებისას პროდუქციის ფაქტიური გამოშვების დონეც იზრდება;

ბ. ფასების საერთო დონის ზრდისას პროდუქციის ფაქტიური გამოშვების დონე მცირდება;

გ. ყველა მწარმოებელს შეუძლია მეტი პროდუქციის გაყიდვა მხოლოდ დაბალი საშუალო ფასით;

დ. ფასების საშუალო დონის შემცირებისას პროდუქციის გამოშვება დიდდება;

3. ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე ნებისმიერი და ყოველი წერტილი:

ა. მიღწევადია ეკონომიკისათვის;

ბ. გვიჩვენებს მოთხოვნას პროდუქციის გამოშვების კონკრეტული დონისათვის ფასების კონკრეტულ დონეზე.

გ. გვიჩვენებს, რომ პროდუქციის ფაქტიური გამოშვება გაიზრდება მხოლოდ ფასების საშუალო დონის ამაღლებისას;

დ. მიიღება ეკონომიკაში წარმოებულ საქონელთა საბაზრო მოთხოვნის ყველა მრუდის შეჯამებით.

4. თუ დავუშვებთ, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდი არის ვერტიკალური და თავდაპირველად გვაქვს წონასწორული ფა-

სების დონე და გამოშვება, მაშინ ნომინალური ფულის მასის გადიდება ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადანაცვლებას იწვევს. ერთობლივი ფულის მასის ცვლილებაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით რომელია სწორი:

ა. ფულის ძალიან დიდი რაოდენობა საქონლის ძალიან მცირე რაოდენობასთან ერთად იწვევს ფასების ზრდას.

ბ. საქონელზე მოთხოვნის სიჭარბე წარმოიშვება და ფასები ეცემა.

გ. ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება საპროცენტო განაკვეთის ზრდას და ინვესტიციური დანახარჯების შემცირებას იწვევს

დ. ფულის მასის ცვლილების გრძელვადიანი ეფექტი არის საპროცენტო განაკვეთის აწევა.

5. ფისკალური და ფულადი პოლიტიკის ცვლილება:

ა. იწვევს ფასების წონასწორული დონის ირგვლივ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მობრუნებას;

ბ. იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადანაცვლებას ზევით ან ქვევით.

გ. არ მოქმედებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე.

დ. არც ერთი ზემოთქმული არ სრულდება.

სავარჯიშოები

1. წარმოიდგინეთ რომ ეკონომიკა რეცესიის მდგომარეობაშია ერთობლივი მოთხოვნის შემცირების გამო.

ა. გამოიყენეთ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების გრაფიკი და აღწერეთ ეკონომიკის მდგომარეობა მიმდინარე პერიოდში.

ბ. თუ რეალური მშპ გასულ წელთან შედარებით 1%-ით დაბალია, როგორ შეესაბამება უმუშევრობის დონე შარშანდელს (გაიხსენეთ ოუკენის კანონი).

გ. „საწარმოო სიმძლავრეების ათვისება" კაპიტალის მარაგების გამოყენების ინტენსივობის მაჩვენებელია. რეცესიის დროს საწარმოო სიმძლავრის ათვისება მეტია თუ ნაკლებია მისი გრძელვადიანი პერიოდის საშუალო მაჩვენებლებზე? ახსენით

2. წარმოიდგინეთ რომ ეკონომიკა ამჟამად იმყოფება რეცესიის მდგომარეობაში. თუ პოლიტიკოსები არავითარ ზომებს არ მიმართავენ როგორ განვითარდება ეკონომიკა დროთა განმავლობაში? განმარტეთ ეს სიტყვიერად და ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების დიაგრამის დახმარებით.

3. გამოარკვიეთ ქვემოთჩამოთვლილი მოვლენები ცვლიან მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდს, ერთობლივი მოთხოვნის მრუდს, ორივეს თუ არც ერთს.

ა. საოჯახო მეურნეობებმა გადაწყვიტეს თავიანთი შემოსავლის უფრო დიდი ნაწილის დაზოგვა;

ბ. აჭარის ფორთოხლის პლანტაციები ხანგრძლივმა ყინვებმა დააზარალა;

გ. შობადობის დონე მკვეთრად გაიზარდა წინა წელთან შედარებით;

4. განმარტეთ, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული მოვლენის გავლენით გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდება გაიზრდება, შემცირდება თუ უცვლელი დარჩება:

ა. ამერიკის შეერთებულ შტატებში იწყება იმიგრაციის ტალღა;

ბ. ამერიკის საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირი თავის ახალ კონტრაქტში ხელფასის მოულოდნელად მაღალ ზრდას იღებს;

გ. „ინტელი" ახალ და უფრო ძლიერ კომპიუტერულ ჩიპს ქმნის;

დ. ძლიერი ქარიშხალი აზიანებს აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქარხნებს.

5. ახსენით, რატომ არის ჩამოთვლილი განცხადებები მცდარი:

ა. გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ვერტიკალურია, რადგან გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივ მიწოდებაზე ეკონომიკური ძალები არ მოქმედებს;

ბ. თუ ფირმები ყოველდღე შეცვლიან თავიანთ ფასებს, მაშინ მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი ჰორიზონტალური იქნება;

გ. როდესაც ეკონომიკა რეცესიაში შედის, გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება.

6. გამოარკვიეთ, რაზე მოახდენს გავლენას ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენები: მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდზე, ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე, ორივეზე თუ არც ერთზე.

ა. საოჯახო მეურნეობებმა თავიანთი შემოსავლიდან უფრო დიდი ნაწილის დაზოგვა გადაწყვიტეს;

ბ. ფლორიდის ფორთოხლის პლანტაციები ხანგრძლივმა ყინვებმა დააზარალა;

გ უცხოეთში მუშაობის შესაძლებლობის წარმოშობის გამო მრავალმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა.

თემა VIII. უმუშევრობასა და ინფლაციას შორის ურთიერთკავშირი

ინფლაცია და დასაქმება ეკონომიკის ფუნქციონირების განმსაზღვრელი ორი მაჩვენებელია, რომელთაც ყველაზე მეტი ყურადღება ეთმობა. ეკონომისტები მოუთმენლად ელიან შრომის სტატისტიკის ბიუროს ყოველთვიური ანგარიშის გამოქვეყნებას. ზოგიერთი ეკონომისტი აჯამებს ინფლაციის დონესა და უმუშევრობის დონეს, რის შედეგადაც იღებს უმწეობის ინდექსს, რომელიც ეკონომიკის სიჯანსაღის ხარისხს ასახავს.

როგორაა ეკონომიკის მდგომარეობის ამსახველი ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთთან დაკავშირებული? ჩვენთვის ცნობილია გრძელვადიან პერიოდში უმუშევრობისა და ინფლაციის დეტერმინანტების შესახებ. ვიცით, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე დამოკიდებულია შრომის ბაზრის მრავალ მახასიათებელზე, მათ შორის, მინიმალური ხელფასის კანონებზე, პროფკავშირთა საბაზრო ძალაუფლებაზე, ეფექტიანი ხელფასების როლსა და სამუშაოს ძიების ეფექტურობაზე. ინფლაციის დონე კი ძირითადად დამოკიდებულია ფულის რაოდენობის ზრდაზე, რასაც ცენტრალური ბანკი აკონტროლებს. ასე რომ, გრძელვადიან პერიოდში ინფლაცია და უმუშევრობა ერთმანეთთან არაფრითაა დაკავშირებული.

მოკლევადიან პერიოდში მდგომარეობა საპირისპიროა. საზოგადოება მოკლევადიან პერიოდში ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე დგას. ამ თავში ამ ალტერნატივას უფრო დაწვრილებით შევისწავლით და გაეაანალიზებთ რა პრობლემებს უქმნის იგი პოლიტიკოსებს.

1. ფილიპსის მრუდი

ქეინსური თვალსაზრისით, ერთობლივი დანახარჯი შეადგენს ეროვნული წარმოებისა და დასაქმების განსაზღვრის საფუძველს. უმარტივესი ქეინსური მოდელი გვიჩვენებს, რომ


ეკონომიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ან უმუშევრობის ზრდას, რომელიც განპირობებულია წარმოების დაქვეითებით, ანდა, ინფლაციის ტემპის მატებას, რომელიც გამოწვეულია წარმოების აღმავლობით, მაგრამ ერთდროულად არ შეიძლება უმუშევრობისა და ინფლაციის ზრდა.

1958 წელს ინგლისელმა ეკონომისტმა ა. ფილიპსმა ბრიტანულ ჟურნალ „ეკონომიკაში“ გამოაქვეყნა სტატია „დამოკიდებულება უმუშევრობასა და ფულადი სარგოს ცვლილების დონეს შორის დიდ ბრიტანეთში 1861-1957“, რომელმაც მას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. ამ სტატიაში ფილიპსმა აჩვენა უარყოფითი კორელაცია უმუშევრობის დონესა და ინფლაციის დონეს შორის. კერძოდ, ფილიპსმა აჩვენა, რომ იმ წლებში, როდესაც უმუშევრობის დონე დაბალი იყო, ინფლაციის მაჩვენებელი იმატებდა, ხოლო უმუშევრობის დონის სიჭარბის წლებში ინფლაცია დაბალი იყო. ფილიპსმა დაასკვნა, რომ ორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლადი – ინფლაცია და უმუშევრობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რასაც ეკონომისტები მანამდე ვერ აცნობიერებდნენ.

იმის მიუხედავად, რომ ფილიპსის აღმოჩენა დიდი ბრიტანეთის მონაცემებს ეყრდნობოდა, მეცნიერებმა ეს აღმოჩენა თითქმის მაშინვე განაერცეს სხვა ქვეყნებზე. ფილიპსის სტატიის გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ ეკონომისტებმა პოლ სამუელსონმა და რობერტ სოლოუმ ამერიკულ პრესაში გამოაქვეყნეს სტატია „ანტიინფლაციური პოლიტიკის ანალიზი“, რომელშიც აჩვენეს მსგავსი დამოკიდებულება ინფლაციასა და უმუშევრობას შორის შეერთებული შტატების მონაცემებზე დაყრდნობით. ამ ეკონომისტების აზრით, ეს კორელაცია იმის გამო ჩნდება, რომ დაბალი უმუშევრობა მაღალ ერთობლივ მოთხოვნასთანაა დაკავშირებული, ხოლო მაღალი მოთხოვნა ეკონომიკაში ხელფასებისა და ფასების საერთო დონის ზრდას იწვევს. უარყოფით დამოკიდებულებას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის სამუელსონმა და სოლოუმ **ფილიპსის მრუდი** უწოდეს.

ფილიპსის მრუდი პოლიტიკოსებს ყველა შესაძლო ეკონომიკურ შედეგს უჩვენებს. ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენის მოხდენის მიზნით, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის

ცვლილებით, პოლიტიკოსებს ამ მრუდის ნებისმიერი წერტილის არჩევა შეუძლიათ. A წერტილი მაღალ უმუშევრობას და დაბალ ინფლაციას აღნიშნავს, B წერტილი – დაბალ უმუშევრობასა და მაღალ ინფლაციას. შეიძლება, პოლიტიკოსებს როგორც ინფლაციის, ისე უმუშევრობის დაბალი დონის მიღება სურდეთ, მაგრამ ისტორიული მონაცემები, რომლებსაც ფილიპსის მრუდი გვიჩვენებს, იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი კომბინაციის მიღწევა შეუძლებელია.



ნახ. 8.1 ფილიპსის მრუდი

ფილიპსის მრუდი ასახავს უარყოფით კავშირს ინფლაციის დონესა და უმუშევრობის დონეს შორის. A წერტილში ინფლაცია დაბალია, უმუშევრობა კი მაღალი. B წერტილში ინფლაცია მაღალია, უმუშევრობა კი - დაბალი

როგორ შეიძლება აიხსნას ფილიპსის მრუდი? რა იწვევს თვალნათლივ უკუკავშირს სრულ დასაქმებასა და ფასების დონეს შორის? ძირითადად არსებობს ორი ურთიერთშემაესებელი არგუმენტი, რომელიც განმარტავს, თუ ინფლაცია რატომ უნდა უსწრებდეს სრული დასაქმების მიღწევას. პირველი არგუმენტი დაკავშირებულია შრომის ბაზრის დაუბალანსებლობასთან. საქმე ის არის, რომ ეკონომიკა რაც უფრო უახლოვდება სრული დასაქმების მდგომარეობას, მით უფრო აღმოცენდება სტრუქტურული პრობლემები შრომის ბაზარზე. აქ მთავარი მო-

მენტი ის არის, რომ შრომის ბაზარი შეიცავს დიდი რაოდენობით ინდივიდუალურ შრომის ბაზრებს, რომლებსაც აქვთ სეგმენტური ხასიათი და ერთიმეორისაგან განსხვავდებიან როგორც დასაქმების სტრუქტურით, ასევე გეოგრაფიულად. ამის გამო, ეკონომიკის ზრდის კვალობაზე სრული დასაქმება ერთდროულად არ მიიღწევა ყოველ ცალკეულ ბაზარზე. მაშინ როცა, ერთი სპეციალობისათვის ცალკეულ გეოგრაფიულ რეგიონში მიიღწევა სრული დასაქმება და შეიძლება ამ სპეციალობის დეფიციტიც წარმოიშვას, ერთდროულად შეიძლება უმუშევრობა შენარჩუნებული იქნას სხვა სპეციალობებზე და სხვა გეოგრაფიულ რეგიონში. ეს შეუსაბამობა იმას ნიშნავს, რომ ზრდად ეკონომიკაში (უმუშევრობის ბუნებრივი დონის პირობებში) შეიძლება ქვეყნის ზოგიერთ რაიონში მოთხოვნა შრომის ზოგიერთ სახეზე დაუკმაყოფილებელი აღმოჩნდეს და, ბუნებრივია, წარმოიშვას ხელფასის ზრდის ხელსაყრელი პირობები. თავის მხრივ, ხელფასის ზრდადი დონე გულისხმობს ხარჯების ზრდას და იწვევს პროდუქციაზე ფასების მატებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მთლიანობაში ეკონომიკა კვლავ ფუნქციონირებს არასრული დასაქმების პირობებში. რა განაპირობებს ასეთი სიტუაციის ჩამოყალიბებას? უმუშევარ ადამიანებს რატომ არ შეუძლიათ გახდნენ სასურველი სპეციალობის (რომლებზეც მაღალი მოთხოვნაა) მუშები? საქმე ის არის, რომ შრომის ბაზარს მაშინვე არ შეუძლია ახალ მოთხოვნაზე რეაგირება, რამდენადაც ახალი პროფესიების ათვისება მოითხოვს მნიშვნელოვან დროით დანახარჯსა თუ ფინანსურ რესურსებს. საქმეს ართულებს ვაკანტურ ადგილებზე არასრული ინფორმაცია, ასევე, ერთი რეგიონიდან მეორეში გადაადგილების ხელოვნური შეზღუდვა (რასობრივი და სქესობრივი დისკრიმინაცია, ქვოტები ლიცენზიების მიღებაზე, სასწავლო ადგილების რაოდენობაზე პროფკავშირის მიერ დაწესებული შეზღუდვები და სხვ.).

მეორე არგუმენტს მიეკუთვნება ბაზარზე ბატონობა. მონოპოლიებსა და პროფკავშირებს აქვთ მნიშვნელოვანი მონოპოლიური, ანუ, საბაზრო ხელისუფლება ხელფასისა და ფასების მომატებაზე. ამ ძალაუფლების რეალიზაცია განსაკუთრებით

გაადვილებულია იმის კვალობაზე, რაც უფრო უახლოვდება ეკონომიკა სრული დასაქმების მდგომარეობას. საქმე ის არის, რომ ამ სიტუაციაში სულ უფრო იგრძნობა კვალიფიციური მუშაკების დეფიციტი, ხოლო პროფკავშირები უფრო აგრესიული ხდებიან ხელფასის მომატების მოთხოვნისას. მეწარმეები იძულებულნი არიან დაეთანხმონ ხელფასის მომატების მოთხოვნას, რადგან, ერთის მხრივ, იმ სიტუაციაში, როცა საქმიანი აქტიურობა მომგებიანი ხდება, ძალზე არასასურველია მუშათა გაფიცვები. მეორეს მხრივ, მონოპოლიურ ხელისუფლებას შეუძლია ხელფასის ზრდის ხარჯები გადააკისროს მომხმარებელს საქონელზე უფრო მაღალი ფასის გზით. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგი იქნება ზრდადი ფასების დონე დამატებითი ერთობლივი მოთხოვნის უქონლობის პირობებში.


2. ერთობლივი მოთხოვნა, ერთობლივი მიწოდება და ფილიპსის მრუდი

ფილიპსის მრუდი ინფლაციისა და უმუშევრობის იმ კომბინაციებს გვიჩვენებს, რომლებიც მოკლევადიან პერიოდში ჩნდება, როდესაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება იწვევს ეკონომიკის გადაადგილებას მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გასწვრივ. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ რაც მეტია საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნა, მით მეტია ეკონომიკაში პროდუქციის წარმოების მოცულობა და ფასების საერთო დონე. პროდუქციის მოცულობის ზრდა უმუშევრობის დონის შემცირებას ნიშნავს. ამრიგად, ერთობლივი მოთხოვნის გადაადგილება ინფლაციასა და უმუშევრობას მოკლევადიან პერიოდში სხვადასხვა მიმართულებით უბიძგებს.

იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილად დავინახოთ როგორ ხდება ეს, განვიხილოთ ერთი მაგალითი. წარმოვიდგინოთ, რომ 2010 წელს ფასების დონე (გამოხატული, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების ინდექსით) 100-ის ტოლია. 8.2 ნახაზზე ნაჩვენებია ორი შესაძლო შედეგი, რომლებიც შეიძლება 2011

წელს მივიღოთ. ერთ შედეგს ვიღებთ მაშინ, როდესაც ერთობლივი მოთხოვნა მაღალია, ხოლო მეორეს – როდესაც ერთობლივი მოთხოვნა დაბალია. ა) ნახაზზე ეს ორი შედეგი ნაჩვენებია ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელის მეშვეობით, ბ) ნახაზზე კი შედეგები ასახულია ფილიპსის მრუდზე.

ა) ნახაზზე ვხედავთ პროდუქციის მოცულობასა და ფასების დონეს 2011 წლისათვის. თუ საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნა შედარებით დაბალია, ეკონომიკა A წერტილში იმყოფება. პროდუქციის მოცულობაა 7500, ხოლო ფასების დონე – 102. მაგრამ, თუ ერთობლივი მოთხოვნა შედარებით მაღალია, ეკონომიკა B წერტილშია, სადაც პროდუქციის მოცულობაა 8000, ფასების დონე კი – 106. ამგვარად, ერთობლივი მოთხოვნის ზრდა იწვევს ეკონომიკის გადასვლას ისეთ წონასწორობაში, სადაც პროდუქციის რაოდენობაცა და ფასების დონეც მეტია.



ნახ.8.2 ფილიპსის მრუდის კავშირი ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების მოდელთან

ბ) ნახაზზე ვხედავთ, რას ნიშნავს ეს ორი შესაძლო შედეგი უმუშევრობისა და ინფლაციისათვის. რადგან ფირმებს სა-

ქონლისა და მომსახურების რაოდენობის გაზრდისათვის მშრომელთა მეტი რაოდენობა სჭირდებათ, უმუშევრობა B წერტილში უფრო ნაკლებია, ვიდრე A წერტილში. ამ მაგალითში, როდესაც პროდუქციის მოცულობა 7500-დან 8000-მდე იზრდება, უმუშევრობა 7-დან 4%-მდე მცირდება. ამასთანავე, იმის გამო, რომ ფასების დონე B წერტილში მეტია, ვიდრე A წერტილში, ინფლაციის დონეც იზრდება. კერძოდ, რადგან 2010 წელს ფასების დონე 100-ის ტოლი იყო, A წერტილში ინფლაციის დონეა 2%, ხოლო B წერტილში – 6%.

ამრიგად, ფულის მიწოდების ზრდას, სამთავრობო ხარჯების ზრდას, ანდა გადასახადების შემცირებას შეუძლია გამოიწვიოს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილება და ფილიპსის მრუდის გასწვრივ ეკონომიკის გადაადგილება იმ წერტილში, სადაც უმუშევრობა ნაკლებია, ინფლაცია კი – მეტი. ხოლო, ფულის მიწოდების შემცირება, სამთავრობო ხარჯების შემცირება, ანდა გადასახადების ზრდა ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარცხნივ გადაადგილებს და ეკონომიკა ფილიპსის მრუდის გასწვრივ იმ წერტილში გადაინაცვლებს, სადაც ინფლაცია ნაკლებია, უმუშევრობა კი – მეტი. ამ თვალსაზრისით, ფილიპსის მრუდი ინფლაციისა და უმუშევრობის ყველა კომბინაციის დანახვის საშუალებას იძლევა.

3. ფილიპსის მრუდი გრძელვადიან პერიოდში


იცვლება თუ არა ინფლაციისა და უმუშევრობის ყველა შესაძლო კომბინაცია დროში? არის თუ არა ფილიპსის კლებადი მრუდი სტაბილური გრძელვადიან პერიოდში? ეს კითხვები 1970-ან წლებში წამოიჭრა, როდესაც მდგომარეობა არსებითად შეიცვალა: ინფლაციისა და უმუშევრობის თანაარსებობა გახდა მუდმივი მოვლენა და გადაიქცა მთავარ ეკონომიკურ პრობლემად. კერძოდ, აშშ-ში ორჯერ წარმოიშვა **სტაგფლაცია**, ანუ წარმოების დაქვეითება და ფასების ერთდროული ზრდა: 1973-1975 და 1978-1980 წლებში.

70-ან წლების დასაწყისში ეკონომისტებმა მილტონ ფრიდმანმა და ედმუნდ ფელპსმა უარყვეს ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის არსებობა გრძელვადიან პერიოდში. ისინი ეყრდნობოდნენ მაკროეკონომიკის კლასიკურ პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ფულის რაოდენობის ზრდა ინფლაციის ძირითადი დეტერმინანტია. მაგრამ კლასიკური თეორია იმასაც ამბობს, რომ ფულის რაოდენობის ზრდა რეალურ ცვლადებზე არ მოქმედებს, ის მხოლოდ ყველა ფასსა და ნომინალურ შემოსავალს ცვლის პროპორციულად. კერძოდ, ფულის რაოდენობის ზრდა არ მოქმედებს იმ ფაქტორებზე, რომლებიც ეკონომიკაში არსებული უმუშევრობის დონეს განსაზღვრავს – პროფკავშირების საბაზრო ძალაუფლებაზე, ეფექტიანი ხელფასების როლსა თუ სამუშაოს ძიების პროცესზე.

მ. ფრიდმანისა და ე. ფელპსის აზრით, არ არსებობს იმის ფიქრის საფუძველი, რომ ინფლაციის დონე გრძელვადიან პერიოდში უმუშევრობის დონესთანაა დაკავშირებული. მთავრობას მხოლოდ იმის გაკეთება შეუძლია, რომ გააკონტროლოს ნაღდი ფულისა და საბანკო რეზერვების რაოდენობა. ამ კონტროლის გამოყენებით მას შეუძლია ერთ დონეზე შეინარჩუნოს ნომინალური ცვლადების მნიშვნელობები: სავალუტო კურსი, ფასების დონე, ეროვნული შემოსავლის ნომინალური დონე თუ ფულის რაოდენობა ნებისმიერი განმარტებით. ანდა, შეცვალოს ნომინალური სიდიდეები: ინფლაციისა თუ დეფლაციის დონე, ნომინალური ეროვნული შემოსავლის ზრდისა თუ შემცირების დონე, ფულის რაოდენობის ზრდის დონე. მაგრამ ხელისუფლებას არ შეუძლია ნომინალური ცვლადების მნიშვნელობების კონტროლის გამოყენება რეალური სიდიდეების – სარგებლის რეალური განაკვეთის, უმუშევრობის დონის, რეალური ეროვნული შემოსავლის დონის შენარჩუნებისათვის.

აქედან მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება ფილიპსის მრუდთან დაკავშირებით. კერძოდ, აქედან გამომდინარეობს, რომ მონეტარული პოლიტიკის ავტორებს საქმე აქვთ ფილიპსის გრძელვადიანი პერიოდის ვერტიკალურ მრუდთან, როგორც ეს 8.3 ნახაზზეა ნაჩვენები. თუ მთავრობა ფულის მიწოდებას ნელა ზრდის, მაშინ ინფლაციის დონე დაბალია და


ეკონომიკა A წერტილშია. თუ ფულის მიწოდება სწრაფად იზრდება, მაშინ ინფლაციის დონე მაღალია და ეკონომიკა B წერტილში იმყოფება. ორივე შემთხვევაში უმუშევრობის დონე თავისი ნორმალური დონისკენ მიიწევს, რომელსაც **უმუშევრობის ბუნებრივი დონე** ეწოდება. ფილიპსის გრძელვადიანი პერიოდის ვერტიკალური მრუდი გვიჩვენებს, რომ გრძელვადიან პერიოდში უმუშევრობა არ არის დამოკიდებული ფულის მასის ზრდასა და ინფლაციაზე.



ნახ. 8.3 ფილიპსის გრძელვადიანი პერიოდის მრუდი

8.4 ნახაზზე ჩანს, რომ გრძელვადიანი პერიოდის ფილიპსის ვერტიკალური მრუდი და გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური მრუდი ერთი მეორის ორი მხარეა. ა) ნახაზზე, ფულის მიწოდების ზრდა ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ AD_1-დან AD_2-მდე. ამ გადაადგილების შედეგად გრძელვადიანი პერიოდის წონასწორობა A წერტილიდან B წერტილში გადაინაცვლებს. ფასების დონე P_1 –დან P_2-მდე იზრდება, მაგრამ, რადგან ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, პროდუქციის მოცულობა უცვლელი რჩება. ბ) ნახაზზე ფულის მიწოდების უფრო სწრაფი ზრდა ინფლაციის დონის ზრდას იწვევს A წერტილიდან B წერტილში ეკონომიკის გადაადგილებით. მაგრამ, რადგან ფი-

ლიპსის მრუდი ვერტიკალურია, უმუშევრობის დონე ორივე წერტილში ერთი და იგივეა.



ნახ. 8.4 ფილიპსის გრძელვადიანი პერიოდის მრუდის კავშირი ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების მოდელთან

ა) ნახაზზე ნაჩვენებია ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების მოდელი ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური მრუდით. როდესაც მასტიმულირებელი მონეტარული პოლიტიკა ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ, AD_1-დან AD2-მდე, გადაადგილებს, წონასწორობა A წერტილიდან B წერტილში გადაადგილდება. ფასების დონე P_1-დან P_2-მდე იზრდება, ხოლო პროდუქციის მოცულობა უცვლელი რჩება.

ბ) ნახაზზე ნაჩვენებია ფილიპსის გრძელვადიანი პერიოდის მრუდი, რომელიც ვერტიკალურია და უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე გადის. მასტიმულირებელ მონეტარულ პოლიტიკას ეკონომიკა დაბალი ინფლაციიდან (A წერტილი) მაღალ ინფლაციაზე (B წერტილი) გადაჰყავს, უმუშევრობის დონის ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

ამგვარად, გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური მრუდიცა და ფილიპსის გრძელვადიანი პერიოდის ვერტიკალური მრუდიც იმაზე მეტყველებს, რომ მონეტარული პოლიტიკა გავლენას ახდენს ნომინალურ ცვლადებზე (ფასების დონესა და ინფლაციის დონეზე), მაგრამ ვერ ზემოქმედებს რეალურ ცვლადებზე (პროდუქციის მოცულობასა და

უმუშევრობაზე). იმის მიუხედავად, თუ რა პოლიტიკას მიმართავს მთავრობა, გრძელვადიან პერიოდში პროდუქციის მოცულობა და უმუშევრობა თავიანთ ბუნებრივ დონეზე რჩება.

მართალია მონეტარულ პოლიტიკას არ შეუძლია უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე ზემოქმედება, მაგრამ არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სახეობები, რომელთაც ეს შეუძლიათ. უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირებისათვის ეკონომისტებმა ისეთი პოლიტიკა უნდა შეიმუშაონ, რომელიც შრომის ბაზრის ფუნქციონირებას აუმჯობესებს. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ ცვლის უმუშევრობის ბუნებრივ დონეს შრომის ბაზრის ესა თუ ის პოლიტიკა: მინიმალური ხელფასის კანონები, კოლექტიური მოლაპარაკების კანონები, უმუშევრობის დაზღვევა, სასწავლო პროგრამები და სხვ. ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ცვლილება, რომელიც უმუშევრობის ბუნებრივ დონეს ამცირებს, ფილიპსის გრძელვადიანი პერიოდის მრუდს მარცხნივ გადაადგილებს. ამასთან, რადგან უმუშევრობის შემცირება იმას ნიშნავს, რომ საქონელსა და მომსახურებას მშრომელთა მეტი რაოდენობა აწარმოებს, საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობა ფასების თითოეულ დონეზე გაიზრდება და გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. ეკონომიკაში ნაკლები უმუშევრობა და მეტი პროდუქცია იქნება ფულის ზრდისა და ინფლაციის თითოეულ დონეზე.

4. ფილიპსის მრუდის გადაადგილების მიზეზები

მ. ფრიდმანი და ე. ფელპსი დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მონაცემებზე დაყრდნობით შეეცადნენ მაკროეკონომიკის კლასიკური თეორიისა და ფილიპსის მრუდის კლებადობის ერთმანეთთან შეთანაწყობას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ უარყოფითი კავშირი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის მხოლოდ მოკლევადიან პერიოდშია და პოლიტიკოსებს მისი გამოყენება გრძელვადიანი პერიოდისათვის არ შეუძლიათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკოსებს შეუძლიათ განახორციელონ ექსპანსი-

ური მონეტარული პოლიტიკა გარკვეული ხნით უმუშევრობის შემცირებისათვის, მაგრამ საბოლოოდ უმუშევრობა ისევ თავის ბუნებრივ დონეს დაუბრუნდება, განხორციელებული ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა კი ინფლაციას გაზრდის.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი ზრდადია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფასების დონის ზრდა ფირმების მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობის ზრდას იწვევს. მაგალითად, ერთობლივი მიწოდების ხისტი ხელფასების თეორიის თანახმად, ნომინალური ხელფასები წინასწარ განისაზღვრება ფასების დონის ზრდის იმ სიდიდით, რომელსაც ფირმები და მშრომელები მოელიან. როდესაც ფასები მოსალოდნელზე მაღალია, ფირმებს წარმოებისა და დასაქმების გაფართოების სტიმული უჩნდებათ; როდესაც ფასები მოსალოდნელზე დაბალია, ფირმები ამცირებენ წარმოებასა და დასაქმებას. თუმცა, რადგან ფასების მოსალოდნელი დონე და ხელფასი საბოლოოდ ერთმანეთს შეეწყობა, ფასების რეალურ დონესა და მიწოდების რაოდენობას შორის დადებითი კავშირი მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შეიძლება ვიხილოთ.

ისევე, როგორც ერთობლივი მიწოდების მრუდი მხოლოდ მოკლევადიან პერიოდშია ზრდადი, ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივაც მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში არსებობს. და ისევე, როგორც გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი, ფილიპსის გრძელვადიანი პერიოდის მრუდიც ვერტიკალურია. ასე რომ, მოლოდინი ძალიან მნიშვნელოვანია მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებს შორის კავშირის გასაგებად.

მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის ასახსნელად ფრიდმანმა და ფელპსმა შემოიღეს ახალი ცვლადი: **ინფლაციური მოლოდინი**. იგი გვიჩვენებს, რამდენად მოსალოდნელია ადამიანების აზრით, ფასების საერთო დონის ცვლილება. ინფლაციური მოლოდინი ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის პოზიციას განსაზღვრავს. როდესაც ფულის მიწოდება იცვლება, ერთობლივი

მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება და ეკონომიკა მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მოცემული მრუდის გასწვრივ მოძრაობს. ამიტომ, მოკლევადიან პერიოდში მონეტარული ცვლილება პროდუქციის მოცულობის, ფასების, უმუშევრობისა და ინფლაციის მოულოდნელ რყევებს იწვევს.

მთავრობის უნარი, ფულის მიწოდების ზრდით მოულოდნელი ინფლაცია შექმნას, მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში არსებობს. გრძელვადიან პერიოდში ადამიანები, როგორც წესი, ინფლაციის იმ დონეს მოელიან, რომლის შექმნასაც მთავრობა ირჩევს. რადგან წარმოდგენები, ხელფასები და ფასები თანდათან ინფლაციის დონესთან შესაბამისობაში მოდის, გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია. ამ შემთხვევაში ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები, მაგალითად ისინი, რომლებიც ფულის მიწოდების ცვლილებებითაა გამოწვეული, გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაზე. ამგვარად, უმუშევრობა გრძელვადიან პერიოდში თავის ბუნებრივ დონეს უბრუნდება.

ზემოაღნიშნული ანალიზის შედეგები შეგვიძლია შემდეგი ტოლობით განვაზოგადოთ:

უმუშევრობის დონე = უმუშევრობის ბუნებრივი დონე − **a** (რეალური ინფლაცია − მოსალოდნელი ინფლაცია)

ეს ტოლობა უმუშევრობის დონეს უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან, რეალურ ინფლაციასთან და ინფლაციურ მოლოდინთან აკავშირებს. მოკლევადიან პერიოდში ინფლაციური მოლოდინი უკვე მოცემულია. ამიტომ, რეალური ინფლაციის ზრდა უმუშევრობის შემცირებასთანაა დაკავშირებული. (ის, თუ რამდენად რეაგირებს უმუშევრობა გაუთვალისწინებელ ინფლაციაზე, განისაზღვრება **a** ცვლადის სიდიდით, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის დახრილობაზე). მაგრამ, გრძელვადიან პერიოდში ადამიანები, როგორც წესი, ინფლაციის იმ დონეს მოელიან, რომელსაც მთავრობა შექმნის. ამგვარად, რეალური ინ-


ფლაცია ინფლაციური მოლოდინის ტოლია, ხოლო უმუშევრობა თავის ბუნებრივ დონეზეა.

ამ განტოლების მიხედვით, მოკლევადიან პერიოდში არ არსებობს სტაბილური ფილიპსის მრუდი. მოკლევადიანი პერიოდის ფილიპსის მრუდი ინფლაციის კონკრეტულ მოსალოდნელ დონეს ასახავს (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თუ განტოლებას გრაფიკულად ასახავთ, დაინახავთ, რომ კლებადი მოკლევადიანი ფილიპსის მრუდი გრძელვადიანი პერიოდის ფილიპსის მრუდს მოსალოდნელი ინფლაციის წერტილში გადაკვეთს). როდესაც მოსალოდნელი ინფლაცია იცვლება, მაშინ მოკლევადიანი პერიოდის ფილიპსის მრუდი გადაინაცვლებს.

ფილიპსის მრუდის გამოყენება პოლიტიკოსების მიერ საკმაოდ სახიფათოა და დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ამის ნათელსაყოფად წარმოვიდგინოთ ისეთი ეკონომიკა, სადაც უმუშევრობა თავის ბუნებრივ დონეზეა და ინფლაციაც და ინფლაციური მოლოდინიც დაბალია, როგორც ეს 8.5 ნახაზზე A წერტილითაა ნაჩვენები. ახლა კი დავუშვათ, რომ პოლიტიკოსებს სურთ, ისარგებლონ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივით და მონეტარული ან ფისკალური პოლიტიკით ერთობლივი მოთხოვნა გაზარდონ. მოკლევადიან პერიოდში, როდესაც ინფლაციური მოლოდინი ცნობილია, ეკონომიკა A წერტილიდან B წერტილში გადადის. უმუშევრობა ბუნებრივ დონეზე დაბლა ეცემა, ინფლაცია კი ინფლაციურ მოლოდინზე მეტად იზრდება. როდესაც ეკონომიკა A წერტილიდან B წერტილში გადაინაცვლებს, პოლიტიკოსებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ მათ სამუდამოდ მიაღწიეს დაბალ უმუშევრობას ინფლაციის ხარჯზე, და რომ ამ არჩევანის გაკეთება ნამდვილად ღირდა.

თუმცა ეს სიტუაცია დიდხანს არ გაგრძელდება. დროთა განმავლობაში ადამიანები შეეგუებიან მაღალ ინფლაციას და მათი ინფლაციის მოლოდინიც კიდევ უფრო გაიზრდება. ეს უკანასკნელი კი ფირმებსა და მშრომელებს ხელფასების დადგენისას ინფლაციის ამ მოლოდინის გათვალისწინებისაკენ უბიძგებს. შედეგად, მოკლევადიანი ფილიპსის მრუდი მარჯვნივ გადაინაცვლებს, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები. ეკონომიკა C

წერტილში გადადის, სადაც ინფლაცია უფრო მეტია, ვიდრე A წერტილში, უმუშევრობა კი იმავე დონეზეა.




ნახ. 8.5 ინფლაციური მოლოდინის ზემოქმედება მოკლევადიანი პერიოდის ფილიპსის მრუდის გადაადგილებაზე

რაც მეტია ინფლაციის მოსალოდნელი დონე, მით მეტია მოკლევადიანი პერიოდის ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. წერილში ინფლაციური მოლოდინიცა და რეალური ინფლაციაც დაბალია, უმუშევრობა კი თავის ბუნებრივ დონეზეა. თუ მთავრობის საფინანსო სისტემა მასტიმულირებელ მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს, ეკონომიკა მოკლევადიან პერიოდში **A** წერტილიდან **B** წერტილში გადაინაცვლებს. **B** წერტილში ინფლაციური მოლოდინი ისევ დაბალია, მაგრამ რეალური ინფლაცია მაღალია. უმუშევრობის დონე ბუნებრივ დონეზე დაბალია. გრძელვადიან პერიოდში ინფლაციური მოლოდინი იზრდება და ეკონომიკა **C** წერტილში გადაინაცვლებს. ამ წერტილში ინფლაციური მოლოდინიცა და რეალური ინფლაციაც მაღალია, უმუშევრობა კი ისევ თავის ბუნებრივ დონეზეა.

ამგვარად, პოლიტიკოსები მართლაც დგანან ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე, მაგრამ ეს ალტერნატივა დროებითია. გრძელვადიან პერიოდში კი ერთობლივი მოთხოვნის უფრო სწრაფი გაზრდა ინფლაციის გაცილებით მაღალ დონეს გამოიწვევს უმუშევრობის შემცირების გარეშე. ფილიპსის მოკლევადიანი პერიოდის მრუდის გადაადგილების მეორე მნიშვნელოვან მიზეზს **ერთობლივი მიწოდების შოკი** წარმოადგენს. 1974 წელს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (OPEC) ორგანიზაციის წევრების მოგების

გაზრდის მიზნით თავისი საბაზრო ძალაუფლების გაზრდა გადაწყვიტა. OPEC-ის ქვეყნებმა, საუდის არაბეთმა, ქუვეითმა, ერაყმა და სხვებმა, შეამცირეს მოპოვებული და მსოფლიო ბაზრებზე გასაყიდი ნედლი ნავთობის რაოდენობა. მიწოდების ასეთმა შემცირებამ რამდენიმე წელიწადში ნავთობის ფასის თითქმის გაორმაგება გამოიწვია.



ნახ. 8.6 ერთობლივი მიწოდების არასასურველი შოკი

ა) ნახაზზე ნაჩვენებია ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების მოდელი. როდესაც ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება AS_1-დან AS_2-მდე, წონასწორობა A წერტილიდან B წერტილში გადაინაცვლებს. წარმოების მოცულობა Y_1-დან Y_2-მდე მცირდება, ფასების დონე კი P_1-დან P_2-მდე იზრდება. ბ) ნახაზზე ნაჩვენებია მოკლევადიანი პერიოდის ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილება იწვევს ეკონომიკის გადაადგილებას იმ წერტილიდან, სადაც უმუშევრობაცა და ინფლაციაც დაბალია (A წერტილი), იმ წერტილში, სადაც უმუშევრობაცა და ინფლაციაც მაღალია (B წერტილი). ფილიპსის მოკლევადიანი პერიოდის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ C_1-დან C_2-მდე. რთულდება ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის.

ნავთობის ფასის ზრდა მსოფლიო ბაზარზე მიწოდების შოკის მაგალითია. მიწოდების შოკი პირდაპირ გაელენას ახდენს ფირმების წარმოების დანახარჯებსა და ფასებზე, რომელსაც

ისინი აწესებენ. ის გადაადგილებს ერთობლივი მიწოდების მრუდს და შედეგად – ფილიპსის მრუდსაც. მაგალითად, როდესაც ნავთობის ფასის ზრდა იწვევს ბენზინის, ნავთის, საბურავებისა და სხვა მრავალი პროდუქტის წარმოების დანახარჯების გაზრდას, ის ამცირებს საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობას ფასების თითოეული დონის დროს. როგორც 8.6 ა) ნახაზზე ვხედავთ, მიწოდების ეს შემცირება ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ, AS_1-დან AS_2-მდე გადაადგილებას იწვევს. ფასების დონე P_1-დან P_2-მდე იზრდება, პროდუქციის მოცულობა კი Y_1-დან Y_2-მდე მცირდება. ასეთ შედეგს **სტაგფლაცია** ეწოდება.

ერთობლივი მიწოდების მრუდის ეს გადაადგილება დაკავშირებულია ფილიპსის მოკლევადიანი პერიოდის მრუდის ასეთსავე გადაადგილებასთან, რომელიც 8.6 ბ) ნახაზზეა ნაჩვენები. რადგან წარმოების შემცირების შედეგად ფირმებს მშრომელთა ნაკლები რაოდენობა სჭირდებათ, ამიტომ დასაქმება მცირდება და უმუშევრობა იზრდება. რადგან ფასების დონე იზრდება, მატულობს ინფლაციის დონეც. ამგვარად, ერთობლივი მიწოდების მრუდის ეს გადაადგილება უმუშევრობისა და ინფლაციის ზრდას იწვევს. ეს მოკლევადიანი ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის გადაადგილდება მარჯვნივ PC_1-დან PC_2-მდე.

ერთობლივი მიწოდების მრუდის ასეთი გადაადგილების პირობებში პოლიტიკოსები რთული არჩევანის წინაშე დგანან. თუ ინფლაციის შემცირების მიზნით ერთობლივ მოთხოვნას შეამცირებენ, უმუშევრობა კიდევ უფრო გაიზრდება. თუ უმუშევრობის შემცირების მიზნით ერთობლივ მოთხოვნას გაზრდიან, ინფლაცია გაიზრდება. სხაგვარად რომ ვთქვათ, ამჯერად ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის უფრო რთულია, ვიდრე ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილებამდე იყო: ან ინფლაციის დონე იზრდება უმუშევრობის მოცემული დონის პირობებში, ან უმუშევრობის დონე იზრდება ინფლაციის მოცემული დონის პირობებში, ან გვაქვს უმუშევრობისა და ინფლაციის ერთობლივი ზრდის რაიმე კომბინაცია.

პოლიტიკოსებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, დროებითია ფილიპსის მრუდის ეს არასასურველი გადაადგილება თუ მუდმივი. ეს კი იმაზეა დამოკიდებული, როგორ ცვლიან ადამიანები თავიანთ მოლოდინს ინფლაციასთან დაკავშირებით. თუ ისინი ამ მოვლენას დროებითად აფასებენ, მაშინ ინფლაციური მოლოდინი არ იცვლება და ფილიპსის მრუდი მალევე უბრუნდება თავის საწყის პოზიციას. მაგრამ, თუ ადამიანები ამ შოკს მაღალი ინფლაციის ახალი ეპოქის დასაწყისად თვლიან, მაშინ ინფლაციური მოლოდინი იზრდება და ფილიპსის მრუდი თავის ახალ, ნაკლებად სასურველ პოზიციაზე რჩება.

5. ინფლაციის შემცირების პოლიტიკის დანახარჯები

ინფლაციის დონის შესამცირებლად მთავრობამ შემზღუდველი მონეტარული პოლიტიკა უნდა განახორციელოს. 8.7 ნახაზზე ასეთი გადაწყვეტილების ზოგიერთი შედეგია ნაჩვენები. როდესაც მთავრობა ფულის ზრდას ანელებს, ამით ერთობლივ მოთხოვნას ამცირებს. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება, თავის მხრივ, ამცირებს ფირმების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობას, ეს შემცირება კი დასაქმების დაცემას იწვევს. ამ ნახაზზე ეკონომიკა თავდაპირველად A წერტილში იმყოფება, შემდეგ კი ფილიპსის მოკლევადიანი პერიოდის მრუდის გასწვრივ გადაადგილდება B წერტილში, სადაც ინფლაცია ნაკლებია, ხოლო უმუშევრობა – მეტი. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც ადამიანები გააცნობიერებენ რომ, ფასების ზრდა შენელდა, ინფლაციური მოლოდინი შემცირდება, უმუშევრობა კი თავის ბუნებრივ დონეს დაუბრუნდება.

ამგვარად, თუ ეკონომიკამ ინფლაცია უნდა შეამციროს, მაღალი უმუშევრობისა და პროდუქციის მცირე მოცულობის პერიოდი უნდა გაიაროს. 8.7 ნახაზზე ეს დანაკარგები გამოხატულია B წერტილით, რომელსაც ეკონომიკა A წერტილიდან C წერტილისკენ მოძრაობისას გაივლის. ამ დანაკარგების სიდიდე დამოკიდებულია ფილიპსის მრუდის დახრილობაზე და აგრეთ-


ვე იმაზე, თუ რამდენად სწრაფად იცვლება ინფლაციასთან დაკავშირებული მოლოდინი ახალი მონეტარული პოლიტიკის შესაბამისად.

მრავალი გამოკვლევა ჩატარდა ინფლაციისა და უმუშევრობის მონაცემების შესწავლისა და ამის შედეგად ანტიინფლაციური პოლიტიკის დანახარჯების დადგენის მიზნით. ამ გამოკვლევათა შედეგები ხშირად შეჯამებულია სიდიდით, რომელსაც **„მსხვერპლის" ნორმა** ეწოდება. მსხვერპლის ნორმა ინფლაციის 1 პროცენტით შემცირების შედეგად დაკარგული წლიური პროდუქციის პროცენტული წილია. გამოთვლების შედეგად მიღებული „მსხვერპლის" საშუალო ნორმა 5-ის ტოლია. ე.ი. ინფლაციის ერთ პროცენტიან შემცირებას წლიური პროდუქციის 5 პროცენტი უნდა შეეწიროს მსხვერპლად.

იმ დროს, როდესაც ცალკეული ეკონომისტები ინფლაციის შემცირების შედეგებს განიხილავდნენ, ეკონომიკის პროფესორთა ერთი ჯგუფი სათაოში ჩაუდგა ინტელექტუალურ რევოლუციას, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებდა „მსხვერპლის" ნორმის სამართლიანობას. ამ ჯგუფში შედიოდნენ ცნობილი ეკონომისტები რობერტ ლუკასი, თომას სარჯენტი და რობერტ ბარო. მათი რევოლუცია ემყარებოდა ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის ახლებურ მიდგომას, რომელსაც **რაციონალური მოლოდინი** ეწოდება. რაციონალური მოლოდინის თეორიის თანახმად, სამომავლო პროგნოზების კეთებისას ადამიანები ოპტიმალურად იყენებენ მთელ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ.

ამ ახალ მიდგომას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაკროეკონომიკის მრავალი სფეროსათვის, მაგრამ ყველაზე ფასეული ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივისათვის იყო. როგორც ჯერ კიდევ ფრიდმანი და ფელპსი თვლიდნენ, ინფლაციური მოლოდინი მნიშვნელოვანი ცვლადია, რომლითაც აიხსნება ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის არსებობა მოკლევადიან პერიოდში და ასეთი ალტერნატივის არარსებობა გრძელვადიან პერიოდში. ის, თუ რამდენად სწრაფად გაუჩინარდება მოკლევადიანი პერიოდის ეს ალტერნატივა, იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად იცვლება მოლოდი-

ნი. რაციონალური მოლოდინის მომხრეები ფრიდმანისა და ფელპსის ანალიზზე დაყრდნობით ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება ინფლაციასთან დაკავშირებულ მოლოდინსაც შესაბამისად ცვლის. ინფლაციისა და უმუშევრობის იმ გამოკვლევებში, რომელთა მთავარი მიზანიც „მსხვერპლის“ ნორმის დადგენა იყო, არ იყო გათვალისწინებული მოლოდინზე პოლიტიკის პირდაპირი ზემოქმედება. ამის გამო, ამტკიცებდნენ რაციონალური მოლოდინის თეორიის მომხრეები, ამ გამოთვლების შედეგად მიღებული „მსხვერპლის“ ნორმა პოლიტიკის წარმართვისთვის საკმარისად სანდო არ არის.



ნახ. 8.7 ანტიინფლაციური მონეტარული პოლიტიკა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში

როდესაც მთავრობის საფინანსო სისტემა შემზღუდველ მონეტარულ პოლიტიკას ატარებს ინფლაციის შესამცირებლად, ეკონომიკა მოკლევადიანი პერიოდის ფილიპსის მრუდის გასწვრივ A-დან B წერტილში მოძრაობს. დროთა განმავლობაში ინფლაციის მოსალოდნელი დონე იკლებს და მოკლევადიანი პერიოდის ფილიპსის მრუდი ქვემოთ გადაინაცვლებს. როდესაც ეკონომიკა C წერტილს მიაღწევს, უმუშევრობა თავის ბუნებრივ დონეს უბრუნდება.

„რაციონალური მოლოდინის“ ალტერნატიული შეხედულების თანახმად, დღეს ფირმები და მშრომელები სამომავლო ინფლაციის მაღალი დონის მოლოდინში არიან და ამ მოლოდინის პირობებში ახალ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. მიუხედა-

ვად ამისა, ადამიანები მომავალში ინფლაციის მაღალ დონეს ელიან სწორედ იმიტომ, რომ მთავრობის დღევანდელი და მოსალოდნელი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა ასეთი მოლოდინის საფუძველს იძლევა.

სარჯენტის აზრით, „მსხვერპლის ნორმა“ შეიძლება ბევრად ნაკლები იყოს წინა გამოთვლებთან შედარებით. უკიდურეს შემთხვევაში, ეს ნორმა შეიძლება ნულოვანიც კი იყოს. თუ მთავრობა ხალხს ინფლაციის შემცირების პოლიტიკის წარმატებაში დაარწმუნებს, ადამიანები, საკმაოდ რაციონალურად, მაშინვე შეამცირებენ თავიანთ მოლოდინს ინფლაციასთან დაკავშირებით. ფილიპსის მოკლევადიანი პერიოდის მრუდი ქვემოთ გადაადგილდება და ეკონომიკა სწრაფად მიაღწევს ინფლაციის დაბალ დონეს, დროებითი მაღალი უმუშევრობისა და პროდუქციის მოცულობის შემცირების გარეშე.

საკონტროლო კითხვები

1. რას გვიჩვენებს ფილიპსის მრუდი?
2. რა არსებითი განსხვავებაა მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდის ფილიპსის მრუდებს შორის?
3. რა იწვევს ინფლაციისა და უმუშევრობის გადაადგილებას სხვადასხვა მიმართულებით მოკლევადიან პერიოდში?
4. რომელია ფილიპსის მრუდის გადაადგილების ძირითადი მიზეზები?
5. რა არის ინფლაციური მოლოდინი და როგორ მოქმედებს იგი ფილიპსის მრუდზე?
6. რაში მდგომარეობს ე. წ. „მიწოდების შოკის“ არსი და როგორ ზემოქმედებს იგი ფილიპსის მრუდზე?
7. რა გზებით ხდება ინფლაციის შემცირების პოლიტიკის დანახარჯების დაანგარიშება?
8. რა არის ე. წ. „მსხვერპლის ნორმა“?
9. რაზეა დამყარებული უდანახარჯო ანტიინფლაციის შესაძლებლობა?
10. რაში მდგომარეობს რაციონალური მოლოდინის არსი?

11. როგორ იმოქმედა რაციონალური მოლოდინის თეორიის წარმატებით განხორციელებამ აშშ-ს ეკონომიკაზე გასული საუკუნის ბოლოს?

ტესტები

1. გრძელვადიან პერიოდში მასტიმულირებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების შედეგად:
ა. ერთობლივი მოთხოვნა მცირდება;
ბ. ფილიპსის მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება;
გ. ერთობლივი მიწოდება იზრდება;
დ. ფასების დონე იზრდება.

2. რაციონალური მოლოდინის არსებობის პირობებში:
ა. ფილიპსის მოკლევადიანი პერიოდის მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება;
ბ. წარმოებული პროდუქციის მოცულობა შემცირდება;
გ. ინფლაციის დონე შემცირდება;
დ. უმუშევრობის დონე გაიზრდება.

3. ე. წ. „მსხვერპლის ნორმა“ გვიჩვენებს ურთიერთდამოკიდებულების არსებობას:
ა. ინფლაციასა და უმუშევრობას შორის;
ბ. ინფლაციასა და დაკარგული პროდუქციის რაოდენობას შორის;
გ. უმუშევრობის ზრდასა და ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას შორის;
დ. ინფლაციის ზრდასა და ერთობლივი მოთხოვნის ზრდას შორის.

სავარჯიშოები

1. ვთქვათ, გვალვა ნათესებს ანადგურებს და კვების პროდუქტების ფასის ზრდას იწვევს. როგორ შეიცვლება მოკლევადიანი პერიოდის ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის? ახსენით.

2. აჩვენეთ ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენების ზემოქმედება ფილიპსის მოკლევადიანი პერიოდისა და გრძელვადიანი პერიოდის მრუდებზე. პასუხი დაასაბუთეთ ეკონომიკური მსჯელობით.

ა. უმუშევრობის ბუნებრივი დონის ზრდა;
ბ. იმპორტირებული ნავთობის ფასის შემცირება;
გ. სამთავრობო ხარჯების ზრდა;
დ. ინფლაციური მოლოდინის შემცირება.

3. დაეუშვათ, ნავთობის ფასი კატასტროფულად ეცემა (როგორც ეს 1986 და 1998 წელს მოხდა)

ა. გამოსახეთ ეს ცვლილება ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების დიაგრამებისა და ფილიპსის მრუდის მეშვეობით. რა მოუვა ინფლაციასა და უმუშევრობას?
ბ. ნიშნავს თუ არა ამ მოვლენის გავლენა იმას, რომ აღარ არის უკუკავშირი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის? რატომ?

4. ვთქვათ, მთავრობის საფინანსო სისტემა აცხადებს, რომ განახორციელებს შემზღუდველ მონეტარულ პოლიტიკას ინფლაციის დონის შემცირების მიზნით. დაასუსტებს თუ გააძლიერებს მოსალოდნელ რეცესიას ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენები?

ა. შრომითი ხელშეკრულებები მცირე ვადით იდება;
ბ. თითქმის არავის სჯერა, რომ საფინანსო სისტემა ინფლაციის შემცირებას შეძლებს;
გ. ინფლაციური მოლოდინი სწრაფად ეგუება რეალურ ინფლაციას.

თემა IX. ფულადი სისტემა

1. ფულის როლი, მისი მნიშვნელობა და ფუნქციები

„მხოლოდ ფულს მოჰყავს მოძრაობაში ყველაფერი ჩვენს სამყაროში" – გვასწავლის ძველი რომაული სიბრძნე. ეს აზრი შეიძლება სადაოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ალბათ ვერავინ უარყოფს ფულის უდიდეს მნიშვნელობას ეკონომიკისათვის. ფული – ეს განუყოფელი ნაწილია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების. იგი ერთ-ერთია იმ ფაქტორთაგან, რომლებიც განსაზღვრავენ არამარტო ცალკეული ადამიანის ან ოჯახის კეთილდღეობას, არამედ ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის „ჯანმრთელობას", აყვავებას და განვითარების დონეს.

რა არის ფული? ამ კითხვაზე პასუხები განსხვავებულია.

ჩვეულებრივი ადამიანური თვალსაზრისით, ტერმინი ფული გულისხმობს სიმდიდრეს. ეკონომისტების აზრით ფული ეკონომიკაში არსებული აქტივების სიმრავლეა, რომელთაც ადამიანები რეგულარულად იყენებენ სხვა ადამიანებისაგან საქონლისა და მომსახურების შესაძენად. და კიდევ, ფული – ისაა, რასაც იგი აკეთებს, ყველაფერი ის, რაც ფულის ფუნქციებს ასრულებს, ფულია.

ფულს ეკონომიკაში სამი ფუნქცია აქვს:

1. გაცვლის საშუალების;
2. ღირებულების საზომის;
3. დაგროვების საშუალების.

გაცვლის საშუალება ისაა, რომ ფული გამოიყენება საქონლისა და მომსახურების ყიდვის და გაყიდვის დროს. იგი, როგორც გაცვლის საშუალება საზოგადოებას თავიდან აცილებს ბარტერული გაცვლის ბევრ უხერხულობას, აიოლებს და მოხერხებულს ხდის საქონელთა გაცვლას, საზოგადოებას საშუალებას აძლევს ისარგებლოს გეოგრაფიული სპეციალიზაციისა და ადამიანთა შორის შრომის დანაწილების შედეგით.

ფული ასევე გამოდის **ღირებულების საზომად**. ამ ფუნქციას ადამიანები ფასების განსაზღვრისა და ვალის აღრიცხვი-

სათვის იყენებენ. საზოგადოება მოხერხებულად თელის ფულადი ერთეულის გამოყენებას მასშტაბის სახით, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი პროდუქტის ფასი გამოისახოს ფულადი ერთეულით (მაგ.: პერანგი ღირს 20 ლარი, ხაჭაპური – 0,50 ლარი). ფულის ასეთი გამოყენება გარიგების მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს ადვილად შეუდარონ ერთმანეთს სხვადასხვა საქონელთა და რესურსების შეფარდებითი ღირებულებები. მსგავსი შედარებები აადვილებს რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას.

ფული გამოიყენება **დაგროვების საშუალებად**. რამდენადაც ფული ყველაზე უფრო ლიკვიდურია – ე. ი. ისეთი ქონებაა, რომლის დახარჯვა ყველაზე ადვილია – იგი სიმდიდრის შენახვის ძალზე მოსახერხებელი ფორმაა (ლიკვიდურობა – დაუბრკოლებელი გაცვლისუნარიანობა).

ფულის ფლობას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ მოაქვს ფულადი შემოსავალი, რომელიც მიიღება სიმდიდრის შენახვის დროს, მაგალითად, უძრავი ქონების (საკუთრების) ან ფასიანი ქაღალდების (აქციები, ობლიგაციები და ა.შ.) ფორმით. მაგრამ ფულს ის უპირატესობა გააჩნია, რომ იგი შეიძლება დაუბრკოლებლად იქნას გამოყენებული ფირმის ან საოჯახო მეურნეობის მიერ ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

2. ფულის მიწოდება, ფულადი აგრეგატები

არც ეკონომისტთა, არც სახელმწიფო თანამდებობის პირთა შორის არ არსებობს ერთიანი შეხედულება იმაზე, თუ რა ცალკეული ელემენტებისაგან შედგება ფულის მიწოდება ეკონომიკაში. ჩვეულებრივად, ფულის მიწოდების ქვეშ გულისხმობენ **ფულის მასას** მიმოქცევაში, ე.ი. ნაღდ და უნაღდო, სარეალიზაციო და საგადასახდელო საშუალებათა ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების ბრუნვას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ფულის მასის სტრუქტურაში გამოყოფენ აქტიურ და პასიურ ნაწილს. აქტიურს განეკუთვნება

ფულადი საშუალებები, რომლებიც რეალურად ემსახურება მიმოქცევის სფეროს, ხოლო პასიურს – ფულის დაგროვება და ნაშთები ანგარიშზე, რაც წარმოადგენს პოტენციურ საანგარიშსწორებო საშუალებებს.

ფულის მიწოდების დასახასიათებლად გამოიყენება სხვადასხვა განმაზოგადებელი მაჩვენებელი, ე.წ. ფულადი აგრეგატები.

ცნობილია შემდეგი ფულადი აგრეგატები:

1. **აგრეგატი M-1** – „ფული გარიგებისათვის" – მასში შედის ფულის მასის ყველაზე ლიკვიდური კატეგორიები, ესენია: ნაღდი ფული (ლითონის და ქაღალდის ფული), რომელიც მიმოიქცევა ბანკების გარეთ, სამგზავრო ჩეკები, ანაბრები მოთხოვნამდე და სხვა საჩეკო დეპოზიტები (ე.ი. ანაბრები კომერციულ ბანკებში, სხვადასხვა შემნახველ სალაროებსა და დაწესებულებებში, რომლებზეც შესაძლებელია ჩეკის გამოწერა).
2. **აგრეგატი M-2** – უფრო ფართო კატეგორიაა, რომელიც M-1-თან ერთად შეიცავს შედარებით ნაკლებლიკვიდურ კომპონენტებსაც, როგორიცაა მოკლევადიანი დეპოზიტები (არასაჩეკო შემნახველი და წვრილი ვადიანი დეპოზიტები) და ურთიერთფონდის აქციები. ე.ი.

M-2= M-1+მოკლევადიანი დეპოზიტები (ანაბრები $100 000-ზე ნაკლები თანხის ოდენობით), ურთიერთფონდის აქციები;

განმარტებისათვის: არასაჩეკო შემნახველ ანგარიშზე რიცხულ თანხაზე მფლობელი იღებს სარგებელს; თანხის გამოტანა შეიძლება ნებისმიერ დროს, მაგრამ მფლობელს არა აქვს ჩეკით სარგებლობის უფლება. რაც შეეხება **ვადიან ანაბრებს**, მათი მფლობელი იღებს სარგებელს, მაგრამ თანხის გამოტანა შეიძლება უდანაკარგოდ, მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

3. **აგრეგატი M-3** – კიდევ უფრო ნაკლებლიკვიდურ კომპონენტებს შეიცავს, მას სხვანაირად ეწოდება „ფული ფართო გაგებით". მასში შედის M-2–ს პლუს მსხვილი ვადიანი ანაბრები ($100 000-ის ღირებულების და მეტი), აგრეთვე სხვა გრძელვა-

დიანი ანაბრები, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები, სერთიფიკატები) და საბიუჯეტო, საზოგადოებრივი, კერძო ორგანიზაციების ანგარიშზე არსებული თანხები, ბიუჯეტის სახსრები, კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრები.

ეს მესამე აგრეგატი წინა ორისაგან იმით განსხვავდება, რომ მასში ჩართულია „კვაზი-ფულიც", რომელიც რთული დასახურდავებელია ნაღდ ფულზე და ძნელად გამოსაყენებელია გარიგებისათვის, ამიტომ M-3 და ნაწილობრივ M-2 აგრეგატებს უწოდებენ „თითქმის ფულს".

სახელმწიფოს ფულადი პოლიტიკის ორიენტაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფულადი აგრეგატების გამოთვლა-გამოყენებას. საერთოდ ეკონომისტთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს M-1 ფულის მარტივ განმარტებას, რადგან იგი მოიცავს ყველაფერს რაც პირდაპირ და უშუალოდ გამოიყენება მიმოქცევის საშუალების სახით. ამიტომ შემდგომ განხილვა-ანალიზში ვისარგებლებთ M1 ფულის ვიწრო განმარტებით.

უნდა აიღნიშნოს, რომ მიუხედავად იმისა რომ ადამიანები მრავალი შენაძენისათვის ფულის გადახდისას იყენებენ საკრედიტო ბარათებს, ისინი არ არის შეტანილი ფულის მასის არც ერთ საზომში. ამის მიზეზი ისაა, რომ სინამდვილეში საკრედიტო ბარათები ფული კი არაა, არამედ იმ კომერციულ ბანკში ან სხვა ფინანსურ დაწესებულებაში მოკლევადიანი სესხის მიღების საშუალებაა, ვინც ბარათი გასცა. საკრედიტო ბარათი გადახდის საშუალება კი არაა, გადახდის გაადვილების საშუალებაა. იგი გამიზნულია იმისათვის, რომ გადავადებული იქნეს ანაზღაურება რაიმე დროით. იგი საშუალებას იძლევა ნაკლები ნაღდი ფული და საჩეკო ანგარიშები ვიქონიოთ გარიგებათა დასადებად.

საკრედიტო ბარათი სრულიად განსხვავდება სადებეტო ბარათისაგან, რომლის მეშვეობით მფლობელს ავტომატურად გამოაქვს თანხა საბანკო ანგარიშიდან საქონლის შეძენისას ფულის გადახდის მიზნით. სადებეტო ბარათის მფლობელს არ შეუძლია შეძენილი საქონლის ღირებულების გადახდა გადაავადოს. ამის ნაცვლად სადებეტო ბარათი მფლობელს საშუალე-

ბას აძლევს, დაუყოვნებლივ მოხსნას თანხა საბანკო ანგარიშიდან., ამიტომ ანგარიშები, რომლებიც სადებეტო ბარათებს უზრუნველყოფენ გათვალისწინებულია ფულის მასის საზომებში.

3. ფულის მიწოდების საშუალები და კონტროლი

ფულის მიწოდების ძირითადი კომპონენტები – ქაღალდის ფული და საჩეკო დეპოზიტები – ვალის ანუ გადახდის დაპირებას წარმოადგენენ

ქაღალდის ფული – ცენტრალური ეროვნული ბანკის მიმოქცევაში მყოფი ვალის ვალდებულებაა, ხოლო საჩეკო დეპოზიტები – კომერციული ბანკების ან შემნახველი დაწესებულებების ვალის ვალდებულებებია.

ქაღალდის ნაღდ ფულს და საჩეკო დეპოზიტებს ნამდვილი ღირებულება არ გააჩნიათ. ისინი მხოლოდ ქაღალდის ნაფლეთი ან საბუღალტრო ჩანაწერია. ამასთან, მეოცე საუკუნის II ნახევრიდან ქაღალდის ფულის სიმტკიცეს (მსყიდველობითუნარიანობას) ქვეყანაში ოქროს მარაგის სიდიდეს არ უკავშირებენ, ოქრომ შეწყვიტა ფულის ფუნქციის შესრულება, ე. ი. მოხდა დემონეტიზაცია, საქონლის ღირებულება არც ერთ ქვეყანაში არ იზომება ოქროთი. ამიტომ თუ ნაღდ ფულს და საჩეკო დეპოზიტებს არ გააჩნიათ შინაგანი თვისება, თუ ისინი არ ემყარებიან ოქროს და სხვა ძვირფას ლითონებს, მაშ რა ანიჭებთ მათ ღირებულებას და რატომ წარმოადგენენ ისინი ფულს?

ამ კითხვის პასუხი სამ მომენტს მოიცავს:

1. მისაღებობა. ნაღდი ფული და საჩეკო დეპოზიტები ფულია, იმ უბრალო მიზეზით, რომ მათ ადამიანები ფულის სახით ღებულობენ, მიიღებიან მიმოქცევის საშუალების სახით. ყოველი ადამიანი ფულს ღებულობს რაიმეს სანაცვლოდ, რამდენადაც იგი დარწმუნებულია, რომ ნებისმიერ მომენტში შეუძლია გაცვალოს რეალურ დოვლათსა და მომსახურებაზე.

2. გადახდის კანონიერი საშუალება.

ქაღალდის ფულის მისაღებობა ნაწილობრივ კანონზეა დამყარებული. სახელმწიფომ ქაღალდის ფული გამოაცხადა გა-

დახდის საშუალებად. ეს ნიშნავს, რომ ქაღალდის ფული მიღებული უნდა იქნას ვალის გადახდის დროს. ეკონომიკაში ქაღალდის ფული დეკრეტული ფულია. აქ „დეკრეტული" ბრძანებულებითა თუ დეკრეტით დაკანონებულს ნიშნავს, და დეკრეტული ფული სწორედ მთავრობის დეკრეტის გამო იხმარება, როგორც ფული.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქაღალდის ფულის „გაცვლაში ფართოდ აღიარების ფაქტი" გაცილებით მნიშვნელოვანია ქაღალდის ამ ნაგლეჯებისათვის ფულის ფუნქციის მინიჭებისათვის, ვიდრე სახელმწიფო დეკრეტი გადახდის კანონიერი საშუალების შესახებ, რადგან სახელმწიფოს ჩეკები არ გამოუცხადებია გადახდის კანონიერ საშუალებად, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი წარმატებით ემსახურებიან საქონელთა, მომსახურებისა და რესურსების გაცვლის მნიშვნელოვან მოცულობას, იმიტომ რომ მათ აღიარებენ.

3. შედარებითი იშვიათობა.

უფრო ფუნდამენტურ დონეზე ფულის ღირებულება არსებითად მოთხოვნა-მოწოდების ფენომენია, ანუ ფულის ღირებულება განისაზღვრება მათი იშვიათობით, მათ სარგებლობასთან შედარებით.

ფულის სარგებლიანობა, ცხადია, საქონელსა და მომსახურებაზე გაცვლის მის უნიკალურ უნარში მდგომარეობს როგორც ახლა, ისე მომავალში.

ფულის რეალური ღირებულება ანუ მსყიდველობითი უნარი — საქონელთა და მომსახურების ის რაოდენობაა, რომელიც შეიძლება შეძენილი იქნას ფულის ერთი ერთეულით. ცხადია, რომ საქონელთა და მომსახურების რაოდენობა, რომელიც ფულის ერთეულით შეძინება, ფასების დონის უკუპროპორციულად იცვლება. ე.ი. არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება ფასების საერთო დონესა და ფულის ერთეულის (ლარის) ღირებულებას შორის. რაც უფრო მაღალია ფასები, მით მეტი ლარი არის საჭირო მოცემული რაოდენობის საქონლის შესაძენად და პირიქით, ფასების შემცირება გაზრდის ლარის მსყიდველობით უნარს, რამდენადაც ახლა ნაკლები ლარი დაგჭირდებათ მოცემული რაოდენობის საქონლის შესაძენად.

იმის ახსნას, თუ როგორ განისაზღვრება ფასების დონე და რატომ იცვლება ეს დონე დროში, **ფულის რაოდენობრივი** თეორია ეწოდება.

რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა ფულის ღირებულებას განსაზღვრავს, ფულის რაოდენობის ზრდა კი ინფლაციის ძირითადი მიზეზია. როგორც ეკონომისტი მილთონ ფრიდმანი ამბობდა, „ინფლაცია ყველგან და ყოველთვის მონეტარული მოვლენაა“.

ამრიგად, ფულის ღირებულება ანუ „მსყიდველობითი უნარი“ განისაზღვრება ფულის მიწოდებით, რომელსაც მართავს და აკონტროლებს სახელმწიფოს ცენტრალური ეროვნული ბანკი. ამ უკანასკნელმა უნდა დაარეგულიროს ფულის მიმოქცევა, შესაძლებელ მინიმუმამდე უნდა შეზღუდოს ფულის ნიშნების როგორც მიწოდება, ისე მოთხოვნა. მიმოქცევაში ფულის ის რაოდენობა უნდა შეინარჩუნოს, რომელიც საჭიროა საქმიანი აქტიურობის განსაზღვრული მოცულობის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს სრულ დასაქმებას, ფასების დონის სტაბილურობას და ეკონომიკური ზრდის ჯანსაღ ტემპებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ქაღალდის ფულის ფაქტიური რაოდენობა გადააჭარბებს მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობას, დაეცემა მისი მსყიდველობითი უნარი, ღირებულება და იგი ვეღარ შეასრულებს მიმოქცევის საშუალების ფუნქციას.

ამრიგად, ქაღალდის ფულის მთავარი საყრდენია სახელმწიფოს მიერ ფულის ღირებულების შედარებითი სტაბილურობის შენარჩუნება, რაც ითვალისწინებს: 1) შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის გატარებას და 2) ფულის მიწოდების ეფექტიან კონტროლს.


4. ფულზე მოთხოვნა

ფულის ღირებულებას განსაზღვრავს ფულის მიწოდება და მოთხოვნა. ფულზე მოთხოვნა გამომდინარეობს მისი ორი ფუნქციიდან – როგორც გაცვლის საშუალება და დაგროვების საშუალება. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია ყიდვა-გაყიდვის გა-

რიგებებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნაზე (ტრანსაქციური მოთხოვნა), ხოლო მეორე შემთხვევაში – სხვადასხვა ფინანსური აქტივების (ობლიგაციების, აქციების) შესაძენად საჭირო ფულზე მოთხოვნაზე.

ამრიგად, ფულზე საერთო მოთხოვნა შედგება გარიგებებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნის და ფულზე აქტივების მხრივ მოთხოვნისაგან.

I გარიგებებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნა (D_1). ადამიანებს ფული სჭირდებათ როგორც მიმოქცევის საშუალება, ე.ი. საქონელთა და მომსახურების შესაძენად, საწარმოებს ფული სჭირდებათ შრომის, ნედლეულის, ენერგიის და ა. შ. ასანაზღაურებლად. ყველა ამ მიზნისათვის საჭირო ფულს, უბრალოდ გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნა ეწოდება.



ნახ. 9.1 ფულზე მოთხოვნა გარიგებისათვის

გარიგებათა დასადებად საჭირო ფულის რაოდენობა ძირითადად განისაზღვრება საერთო ფულადი მდგომარეობით ან ნომინალური მშპ-ით. რაც მეტია მიმოქცევაში არსებული საქონლისა და მომსახურების საერთო ფულადი ღირებულება, მით მეტი ფულია საჭირო გარიგებათა დასადებად. ამრიგად, გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნა იცვლება ნომინალური მშპ-ის პროპორციულად.

სიმარტივისათვის ვვარაუდობთ, რომ გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნა არ არის სარგებლის განაკვეთის სიდიდეზე დამოკიდებული, ამიტომ გრაფიკულად მოთხოვნის მრუდი გამოისახება ვერტიკალური წრფის სახით (იხ. ნახაზი 9.1.):

ამრიგად, გარიგებათა დასადებად ადამიანებს სჭირდებათ ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი. რაც უფრო მეტი ფული გამოიყენება ამ მიზნით, მით უფრო მეტი ფულია მიმოქცევაში. კავშირი ფულად მასასა და გარიგებათა მთლიან მოცულობას შორის გამოხატულებას პოულობს ფულის რაოდენობრივი თეორიის განტოლებაში: $MV=PY$, სადაც M – არის ფულის მიწოდება (მასა); P - ფასების საშუალო დონე; Y - წარმოების რეალური მოცულობა.

ეს ტოლობა აკავშირებს ფულის რაოდენობას (M) პროდუქციის ნომინალურ ღირებულებასთან (PXY). რაოდენობრივი განტოლება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკაში ფულის რაოდენობის ზრდა ამ სამი ცვლადიდან ერთ-ერთში უნდა აისახოს: ან ფასების დონემ უნდა აიწიოს, ან პროდუქციის რაოდენობა გაიზარდოს, ან ფულის ბრუნვის სიჩქარე შემცირდეს (თუმცა მრავალი შემთხვევიდან ირკვევა, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარე შედარებით სტაბილურია).

ვთქვათ, გარიგებისათვის საჭირო თითოეული ლარი საშუალოდ 3-ჯერ გამოიყენება წელიწადში, ე.ი. $V=3$; ხოლო ნომინალური მშპ უდრის 300 მლრდ. ლარს. ($PXY=300$ მლრდ. ლ.). ე.ი. ადამიანებს აღნიშნული მშპ-ს შესაძენად დასჭირდებათ 100 მლრდ. ლარი.

$$M = \frac{P \times Y}{V} = \frac{300}{3} = 100 \text{ მლრდ. ლ.}$$

II. ფულზე მოთხოვნა აქტივების მხრივ (D_a). მიზეზი, რის გამოც ფულს ინახავენ, მისი როგორც დაზოგვის საშუალების ფუნქციიდან გამომდინარეობს, ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი საფინანსო აქტივები სხვადასხვა ფორმით – აქციების, ობლიგა-

ციების ან M1 ფულის სახით ჰქონდეთ. მაშასადამე, არსებობს ფულზე მოთხოვნა აქტივების მხრიდან.

ფინანსური აქტივების სხვადასხვა ფორმით ფლობას თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია. სიმარტივისათვის შევადაროთ ფორმები ფულისა და ობლიგაციების სახით.

ფულის ფლობის უპირატესობას წარმოადგენს მისი ლიკვიდობა, ე.ი. ფულის გამოყენება დაუყოვნებლად შეიძლება პროდუქტთა შესაძენად. როგორც აქტივების ფლობის ფორმა, ფული განსაკუთრებით მიმზიდველია, როდესაც მოსალოდნელია საქონელზე, მომსახურებაზე, ასევე საფინანსო აქტივებზე ფასების დაცემა.


როდესაც ობლიგაციებზე ფასები ეცემა, მისი მფლობელი ზარალს განიცდის იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციები უნდა გაყიდოს გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ. ობლიგაციების ფლობასთან შედარებით, ფულის, როგორც აქტივების სახით ფლობის ნაკლოვანებები ისაა, რომ მას არ მოაქვს შემოსავალი სარგებლის სახით, ან არ იძლევა ისეთ სარგებელს, როგორც ობლიგაციები ან უვადო დეპოზიტები. თუ საჩეკო დეპოზიტები მინიმალურ სიდიდეს არ მიაღწევენ, მათ არ მოაქვთ სარგებელი. საჩეკო დეპოზიტების სარგებელი, რომელიც აჭარბებს დადგენილ მინიმუმს, იმაზე ნაკლებია, რასაც იხდიან ობლიგაციებიდან და სხვადასხვა უვადო ანაბრებიდან.

ამ ინფორმაციის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოთ, თუ რამდენი ფინანსური აქტივი ეიქონიოთ ობლიგაციის სახით და რამდენი ფულის სახით. გადაწყვეტილება პირველ ყოვლისა დამოკიდებულია სარგებლის განაკვეთზე. კერძოდ, ფულზე მოთხოვნა აქტივების მხრივ იცვლება სარგებლის განაკვეთის უკუპროპორციულად.

როდესაც ფულის, როგორც აქტივების ფლობის სარგებლის განაკვეთი დაბალია, ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ უფრო მეტი რაოდენობის ფულის ფლობას აქტივების სახით. ხოლო როდესაც სარგებლის განაკვეთი მაღალია, მაშინ აქტივების რაოდენობა ფულის ფორმით მცირდება.

უკუდამოკიდებულება სარგებლის განაკვეთსა და ფულის ოდენობას შორის, რომელიც ადამიანებს უნდა ჰქონდეთ აქტი-

ვების სახით, გრაფიკულად Da წრფის სახით გამოისახება (იხ. ნახ. 9.2.).




ნახ. 9.2 ფულზე მოთხოვნა აქტივების მხრივ

ამრიგად, სარგებლის განაკვეთი ნაღდი ფულის ფლობის ალტერნატიული დანახარჯია, ანუ როდესაც თქვენ სიმდიდრეს ნაღდი ფულის სახით ინახავთ, ამ ფულით სარგებლიანი ობლიგაციის ყიდვის ნააცვლად, ამ საარგებელს ჰკარგავთ. მაგ.: თუ ობლიგაციას მოაქვს 10%-იანი შემოსავალი, მაშინ 100 ლარის ფლობა ნაღდი ფულის ან სარგებლის არ მქონე საჩეკო ანაბრის სახით თქვენ დაგიჯდებათ 10 ლარი წლიური შემოსავლის დაკარგვა.

სარგებლის განაკვეთის ზრდა ნაღდი ფულის ფლობის ალტერნატიული დანახარჯის ზრდასა და, აქედან გამომდინარე, ფულზე მოთხოვნის რაოდენობის შემცირებას იწვევს. ამგვარად, როგორც ნაჩვენებია ნახაზზე, ფულზე მოთხოვნის მრუდი კლებადია.

III. ფულზე საერთო მოთხოვნა (D_m). ფულზე საერთო D_m მოთხოვნა შეიძლება განისაზღვროს ფულზე აქტივების მხრივ მოთხოვნის წრფის გადაადგილებით ჰორიზონტალურ ღერძზე

გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნის ტოლი სიდიდით. ე.ი. $D_m = D_t + D_s$



ნახ. 93. ფულზე საერთო მოთხოვნა


მიღებული დაღმავალი წრფე აღნიშნავს ფულის საერთო რაოდენობას, რომელიც ადამიანებს სურთ ჰქონდეთ გარიგებისათვის და აქტივების სახით, სარგებლის განაკვეთის ყოველი შესაძლო სიდიდის პირობებში. ფულზე საერთო მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას იწვევს ნომინაალური მშპ -ს ცვლილება.

კერძოდ, თუ ნომინალური მშპ გაიზრდება, ადამიანებს მოუნდებათ უფრო მეტი ფული გარიგებისათვის, ეს კი ფულზე საერთო მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ გადააადგილებს. მაგ. თუ ნომინალური მშპ გაიზრდება 300-დან 450 მლრდ. ლარამდე და ძალაშია ვარაუდი, რომ გარიგებისათვის საჭირო თითოეული ლარი საშუალოდ 3-ჯერ იხარჯება (ბრუნავს) წელიწადში, მაშინ გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნის წრფე გადაადგილდება 100-დან 150 მლრდ. ლარამდე. ამის შედეგად ფულზე საერთო მოთხოვნის მრუდი, სარგებლის განაკვეთის ყოველი შესაძლო სიდიდის პირობებში, გადაადგილდება 50 მლრდით მარჯვნივ წინა შემთხვევასთან შედარებით და პირიქით, ნო-

მინალური მშპ-ის დაცემა გამოიწვევს ფულზე საერთო მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას მარცხნივ.

5. ფულის ბაზარი

იმისათვის, რომ აღვწეროთ ფულის ბაზარი, უნდა გავაერთიანოთ ფულზე მოთხოვნა და მიწოდება და განვსაზღვროთ სარგებლის წონასწორობითი განაკვეთი.



ნახ. 9.4. ფულის ბაზარი

ნახაზზე 9.4 მოცემულია ფულზე მოთხოვნის და მოწოდების ტიპიური მრუდები. მიწოდების მრუდს S_m -ს აქვს ვერტიკალური ფორმა იმ დაშვებით, რომ ცენტრალური ბანკი ეკონომიკას ამაგრებს ფულის რაღაც განსაზღვრული (ფიქსირებული) მოცულობით, ისეთით როგორიცაა M-1. ისევე როგორც პროდუქტების და რესურსების ბაზარზე, აქაც ფულზე მოთხოვნისა და ფულის მიწოდების მრუდთა გადაკვეთა განსაზღვრავს წონასწორობის ფასს. „ფასი" – სარგებლის წონასწორობითი განაკვეთია, ე.ი. ფულის გამოყენებისათვის გადახდილი ფასია.

რა უზრუნველყოფს ცენტრალური ბანკის მიერ მიწოდებული ფულისა და ადამიანების მიერ მოთხოვნილი ფულის რაოდენობის წონასწორობას? ამ კითხვის პასუხი დამოკიდებულია დროის იმ მონაკვეთის ხანგრძლივობაზე, რომელსაც განვიხილავთ. მოკლევადიან პერიოდში ძირითად როლს ასრულებს სარგებლის განაკვეთი, ხოლო გრძელვადიან პერიოდში პასუხი ბევრად უფრო მარტივია. კერძოდ, გრძელვადიან პერიოდში ფასების საერთო დონე თვითრეგულირდება მანამ, სანამ ფულზე მოთხოვნა ფულის მიწოდებას არ გაუტოლდება.

განვიხილოთ მოკლევადიან პერიოდში წონასწორობის აღდგენა.

ფულის მიწოდების შემცირება ქმნის ფულის დროებით უკმარისობას ფულის ბაზარზე. ადამიანები და ორგანიზაციები ცდილობენ მეტი ფულის მიღებას ობლიგაციების გაყიდვის გზით. ამიტომ ობლიგაციების მიწოდება გაიზრდება, რაც შეამცირებს ობლიგაციების ფასს და გაზრდის სარგებლის განაკვეთს. სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთის პირობებში ფულის რაოდენობა, რომელიც ადამიანებს სურთ ხელზე ჰქონდეთ, შემცირდება. მაშასადამე, მიწოდებული და საჭირო ფულის რაოდენობა ხელახლა გაუტოლდება ერთმანეთს სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთის პირობებში.

ფულის მიწოდების გადიდება ქმნის მის დროებით სიჭარბეს, რის შედეგადაც იზრდება მოთხოვნა ობლიგაციებზე და მათი ფასი მაღლა იწევს სარგებლის განაკვეთი ეცემა და ფულის ბაზარზე წონასწორობა აღდგება.

განვიხილოთ მაგალითი: ობლიგაცია, რომელიც 1000 ლარი ნომინალური ღირებულებით იყიდება, სარგებლის წლიური 50 ლარი მუდმივი პროცენტული გადასახდელის პირობებში იძლევა 5%-იანი სარგებლის განაკვეთს.

$$\text{ე. ი.} \quad \frac{50}{1000} \times 100 = 5\%$$

მაგრამ, დავუშვათ, რომ ამ ობლიგაციის ფასი მისი მიწოდების გადიდების გამო დაეცა 667 ლარამდე. ობლიგაციის

მყიდველებისთვის სარგებლის განაკვეთი წლიური 50 ლარი ახლა შეადგენს 7,5%-ს.

$$\frac{50}{667} \times 100 = 7{,}5\%$$

რამდენადაც ყველა მოსესხემ კონკურენტულ ბრძოლაში კრედიტორებს უნდა შესთავაზოს სარგებლის ისეთი განაკვეთი, რაც ახლოსაა ობლიგაციების მიერ მოტანილთან, ხდება სარგებლის განაკვეთის ზრდა, ნახაზზე 9.4. სარგებლის განაკვეთი იზრდება 5%-დან ფულადი მიწოდების 200 მლრდ. ლარის პირობებში, 7,5%–მდე, მაშინ, როცა ფულის მიწოდება 200 მლრდ ლარია. ფულის ბაზარი დაუბრუნდება წონასწორობას.

შედეგი: **ობლიგაციებზე ფასების შემცირება ადიდებს სარგებლის განაკვეთს.**

ახლა განვიხილოთ პირიქით, ვთქვათ გაიზარდა ფულის მიწოდება 200 მლრდ-დან 250 მლრდ. ლარამდე. ეს გამოიწვევს ფულის სიჭარბეს 50 მლრდ. ლარის ოდენობით. სარგებლის თავდაპირველი 5%-იანი განაკვეთის პირობებში, ადამიანები შეეცდებიან ფულის თავიდან მოცილებას და შეიძენენ მეტი რაოდენობის ობლიგაციებს. მაგრამ ერთის მიერ ფულის დახარჯვა, ნიშნავს სხვების მიერ შეძენას. ამიტომ ობლიგაციების შეძენის კოლექტიური მცდელობა ზრდის მათზე მოთხოვნას და მაღლა სწევს ობლიგაციების ფასს. ახლა ობლიგაციებზე 50 ლარიანი სარგებლის გადასახდელი (თუ ობლიგაციის ფასი გაიზარდა და გახდა 2000 ლარი) ობლიგაციის მყიდველს მხოლოდ 2,5%-ის ოდენობის სარგებლის განაკვეთს აძლევს. ე.ი.

$$\frac{50}{2000} \times 100 = 2{,}5\%$$

მოცემულ შემთხვევაში სარგებლის განაკვეთი დაეცემა წონასწორობის ახალ 2,5%-იან დონემდე. რადგან ფულის შენახვის ფარული ხარჯები ახლა უფრო ნაკლები გახდა – ლიკვიდობა გაიაფდა, – მომხმარებლები და საწარმოები ზრდიან ნაღდი ფულისა და საჩეკო დეპოზიტების რაოდენობას და მზად არიან ხელზე შეინარჩუნონ 200-დან 250 მლრდ. ლარამდე ფული. ასეთ შემთხვევაში წონასწორობა ფულის ბაზარზე კელავ აღსდგება:

როგორც საჭირო ისე მიწოდებული ფულის რაოდენობა უდრის 250 მლრდ. ლარს სარგებლის 2,5%-იან განაკვეთის პირობებში.

საკონტროლო კითხვები:

1. განმარტეთ ფულის არსი, მისი მნიშვნელობა;
2. რა ძირითად ფუნქციებს ასრულებს ფული?
3. რას ნიშნავს ლიკვიდურობა?
4. ახსენით, როგორ მოქმედებს ფასების დონის ზრდა ფულის რეალურ ღირებულებაზე.
5. განმარტეთ ფულის მასა და მისი სტრუქტურა.
6. რომელი ფულადი აგრეგატები ახასიათებენ ფულის მიწოდებას?
7. რა ანიჭებთ ქაღალდის ფულს და საჩეკო დეპოზიტებს ღირებულებას, რატომ წარმოადგენენ ისინი ფულს?
8. განმარტეთ ფულზე საერთო მოთხოვნა.
9. რას წარმოადგენს ფულის რაოდენობრივი თეორიის განტოლება?
10. როგორ მიიღწევა ფულის ბაზარზე წონასწორობა?

ტესტები

1. იმისათვის, რომ საქონელი აღიარონ ფულად, მას უნდა ჰქონდეს შემდეგი თვისებები:

ა. საყოველთაო აღიარება;
ბ. დაყოფადობა;
გ. ტრანსპორტირებისათვის მოხერხებულობა;
დ. შესანახად ვარგისი, ისე რომ არ დაკარგოს თავისი ღირებულება;
ე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

1. ბანკნოტების რეალურ ღირებულებას დღეისათვის განსაზღვრავს:

ა. ქაღალდის ღირებულება, რომელზეც ის არის დაბეჭდილი;
ბ. ოქროს ფასი;
გ. ბანკნოტის დამზადებაზე გაწეული შრომის დანახარჯი;
დ. საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელთა შეძენაც ამ ბანკნოტით შეიძლება.

2. M-1 ფულად აგრეგატში შედის:
ა. ლითონის და ქაღალდის ნაღდი ფული და საჩეკო ანაბრები;
ბ. ლითონის და ქაღალდის ნაღდი ფული და ვადიანი ანაბრები;
გ. ლითონის და ქაღალდის ნაღდი ფული და ყველა საბანკო დეპოზიტები;
დ. მთელი ფული და „თითქმის ფული".

3. ფული გვემსახურება, როგორც
ა. მიმოქცევის (გაცვლის) საშუალება;
ბ. დაგროვების საშუალება
გ. ღირებულების საზომი;
დ. ყველა ჩამოთვლილი პასუხი სწორია.

4. ფულზე მოთხოვნა გარიგებისათვის იცვლება შემდეგი სახით:
ა. იზრდება საპროცენტო განაკვეთის ზრდისას;
ბ. იზრდება საპროცენტო განაკვეთის შემცირებისას.
გ. მცირდება ნომინალური მშპ-ს ზრდისას.
დ. მცირდება ნომინალური მშპ-ს მოცულობის შემცირებისას.

5. ჩამოთვლილიდან რომელი არ შეიძლება მივაკუთვნოთ „თითქმის ფულს"?
ა. არასაჩეკო შემნახველი ანგარიშები;
ბ. მსხვილი ვადიანი ანაბრები;
გ. საკრედიტო ბარათები;
დ. მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
ე. წვრილი ვადიანი ანაბრები (დეპოზიტები).

6. თუ გარიგებისათვის საჭირო ფული წელიწადში საშუალოდ 5 ბრუნს აკეთებს, მაშინ ფულის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია მიმოქცევისათვის:

ა. 5-ჯერ მეტია ნომინალური მშპ-ს მოცულობაზე;

ბ. შეადგენს ნომინალური მშპ-ს 20%-ს;

გ. ტოლია შეფარდების: 5 ნომინალური მშპ-ს მოცულობა;

დ. ტოლია შეფარდების: 20% /5.

7. ქვემოთ მოყვანილი მტკიცებებიდან, რომელი ახასიათებს ყველაზე უკეთესად ფულის რაოდენობრივ თეორიას:

ა. ფასების დონის დინამიკა განისაზღვრება ფულის მასის ნომინალური მოცულობის დინამიკით;

ბ. ნომინალური ფულადი მასის ზრდა ამცირებს ფასების დონეს;

გ. ფასების დონის დინამიკა ძირითადად განისაზღვრება რეალური ფულადი მასის დინამიკით;

დ. ნომინალური ფულადი მასის შემცირება ამაღლებს ფასების დონეს.

სავარჯიშოები

1. ცხრილში მოცემული მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ:

ა) M-1 ბ) M-2 გ) M-3

	მლრდ. ლარი
წვრილი ვადიანი ანაბრები	1630
მსხვილი ვადიანი ანაბრები	645
საჩეკო ანაბრები	448
უჩეკო შემნახველი ანგარიშები	300
ნაღდი ფული	170

2. ობლიგაციების წლიური სარგებელი შეადგენს 100 ლარს. ცხრილში მოცემულია მონაცემები ობლიგაციების ფასებისა და საპროცენტო განაკვეთების შესახებ. შეავსეთ ცხრილი:

სარგებლის განაკვეთი %	ობლიგაციის ფასი (ლარი)	სარგებლის განაკვეთი %	ობლიგაციის ფასი (ლარი)
1	–	–	2000
2	–	10	–
–	2500	12,5	–

3. ა. დაეუშვათ, რომ გარიგებისათვის განსაზღვრული თითოეული ლარი ბრუნავს წელიწადში 4-ჯერ და მიმართულია საბოლოო პროდუქტის (მშპ-ს) ყიდვისათვის. ნომინალური მშპ-ს მოცულობა შეადგენს 2000 მლრდ. ლარს. განსაზღვრეთ გარიგებისათვის საჭირო ფულის რაოდენობა.

ბ. ცხრილში მოცემულია ფულზე მოთხოვნის სიდიდე აქტივების მხრიდან სხვადასხვა სარგებლის განაკვეთის დროს. გამოიყენეთ ა) – პუნქტში მიღებული პასუხი და განსაზღვრეთ ფულზე საერთო მოთხოვნის სიდიდე.

სარგებლის განაკვეთი (%)	ფულზე მოთხოვნა მლრდ. ლ.	
	აქტივების მხრივ	საერთო მოთხოვნა
16	20	
14	40	
12	60	
10	80	
8	100	
6	120	
4	140	

გ. ფულის მიწოდება უდრის 580 მლრდ. ლარს. განსაზღვრეთ სარგებლის წონასწორული განაკვეთი;

დ. განსაზღვრეთ წონასწორული სარგებლის განაკვეთი, თუ ფულის მიწოდება გაიზარდა 600 მლრდ. ლარამდე; შემცირდა 540 მლრდ. ლარამდე.

თემა X. ბანკები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

1. კრედიტის არსი და საბანკო სისტემის სტრუქტურა

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია განვითარებული საკრედიტო ურთიერთობათა სისტემის გარეშე. საერთაშორისო სტანდარტებით ფუნქციონირებადი საკრედიტო სისტემა აჩქარებს საწარმოო ძალების განვითარებას, მაგრამ თავის მხრივ საკრედიტო ურთიერთობების ხასიათს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის საწარმოო ძალებისა და ეკონომიკური ზრდის დონე.

კრედიტი (ლათ. **credit** – ნდობა) – ისტორიული კატეგორიაა. იგი უძველეს დროში არსებობდა მევახშეობის ფორმით და სამომხმარებლო ხასიათს ატარებდა. ამ სისტემამ, უკვე სასესხო კაპიტალისა და კრედიტის სახით განვითარების უმაღლეს დონეს კაპიტალიზმის პირობებში მიაღწია და დღეისათვის იგი თითოეული ქვეყნის ეკონომიკური სისტემის აუცილებელ ელემენტად ითვლება. კრედიტი არის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ან საქონლის გაცემა ვალად განსაზღვრული ვადით ფიქსირებული პროცენტის საფასურად.

კრედიტის აუცილებლობას განაპირობებს: 1. წარმოებაში კაპიტალური დაბანდებების, მსხვილი ინვესტირების საჭიროება 2. საბრუნავი კაპიტალის შეძენისათვის საკუთარი სახსრების უკმარისობა, 3. მზა პროდუქციის რეალიზაციიდან ფულის მიღებამდე ხელფასის გაცემის აუცილებლობა და ა. შ.

კრედიტის წყაროა ბანკებსა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში აკუმულირებული დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებები: საამორტიზაციო ფონდი, ფირმის მოგების ნაწილი, მოსახლეობის დანაზოგები (დეპოზიტები) სახელმწიფო ბიუჯეტის დროებით თავისუფალი სახსრები და ა.შ.

დაკრედიტების ძირითადი პრინციპებია: ვადიანობა, დაბრუნებადობა (სესხის სარგებლობა განსაზღვრული ვადით, რომლის შემდეგ ფული ბანკში უნდა დაბრუნდეს), უზრუნველყოფა-

დობა (კრედიტის დროულად დაბრუნების გარანტიის არსებობა), ანაზღაურებადობა (კრედიტით სარგებლობისათვის იხდიან გარკვეულ პროცენტს) საკრედიტო ურთიერთობები მრავალფეროვანია და შესაბამისად არსებობს კრედიტის სხვადასხვა ფორმები, რომელთაგან ძირითადია: კომერციული, საბანკო, მეურნეობათაშორისი, სამომხმარებლო, იპოთეკური, სასოფლო-სამეურნეო, საერთაშორისო, საექსპორტო და სხვა. ხანგრძლივობის მიხედვით განასხვაებენ გრძელვადიან და მოკლევადიან კრედიტს.

ფულადი საშუალებების მობილიზაციას და მათ ტრანსფორმაციას სასესხო კაპიტალად უზრუნველყოფს საბანკო სისტემა, რომელიც თანამედროვე პირობებში მოიცავს საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების სამ ძირითად ჯგუფს: ესენია:

– ცენტრალური ბანკი;

– კომერციული ბანკი;

– სპეციალიზირებული საკრედიტო საფინანსო დაწესებულებები (საინვესტიციო ბანკები, შემნახველი დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები, საპენიო ფონდები, საინვესტიციო კომპანიები)

ბანკი (იტალ. „Banco" ადგილი, სადაც ფულის სესხება შეიძლება) ახდენს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციას (პასიური ოპერაციები) და გასცემს კრედიტის სახით დროებითი სარგებლობისათვის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე (აქტიური ოპერაციები).

დეპონენტის დაინტერესების მიზნით ბანკი მას უხდის გარკვეულ პროცენტს (სარგებელს) შეტანილ ანაბარზე, კრედიტის გაცემისას კი დებიტორს (ვინც სესხს იღებს) გაცილებით მაღალ პროცენტს ახდევინებს. ამ პროცენტებს შორის სხვაობა შეადგენს საბანკო მოგებას.

საბანკო მოგებისაგან უნდა განვასხვაოთ ბანკის წმინდა მოგება ანუ ბანკის მთლიან მოგებას გამოკლებული საბანკო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები.

საბანკო მოგების ნორმა გამოითვლება წმინდა მოგების შეფარდებით ბანკის საკუთარ კაპიტალთან.

ბანკები აქტიურად მონაწილეობენ კლავწარმოებაში ნებისმიერ სტადიაზე. მათი რესურსები შედგება საკუთარი, მოზიდული და ემიტირებული სახსრებისაგან.

ბანკის საკუთარ სახსრებს მიეკუთვნება აქციონირებული და სარეზერვო კაპიტალი, აგრეთვე გაუნაწილებელი მოგება. მათი წილი ბანკის რესურსებში 10%-მდეა.

მოზიდული სახსრებია – ანაბრები (დეპოზიტები), რომლებიც პასიური ოპერაციებით აკუმულირდება.

ემიტირებული სახსრებია – ამ ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები.

ბანკები ძირითად ფუნქციებთან ერთად ახორციელებენ მრავალ ბალანსგარეშე ოპერაციებსაც. მათ შორის აღსანიშნავია: ფასეულობათა შენახვა, სატრასტო მომსახურება, ვალუტის გაცვლა, აკრედიტივით მომსახურება, საბროკერო საქმიანობა და სხვ.

საბანკო სისტემაში ყველაზე ეფექტიანი მისი ორიარუსიანი სტრუქტურაა. პირველი იარუსი უკავია ცენტრალურ ბანკს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურას, ხოლო მეორე–არასახელმწიფო (კომერციულ) ბანკებს. განვიხილოთ მათი როლი და ფუნქციები.

2. ცენტრალური ბანკი

ცენტრალური ბანკი – „ბანკების ბანკია". იგი სახელმწიფო სტრუქტურაა და გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით მინიჭებული აქვს საგანგებო ფუნქციების შესრულება, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ბანკნოტების ემისია (ბეჭდვა);
- ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირება;
- სხვა საკრედიტო დაწესებულებების საკასო რეზერვების აკუმულაცია და შენახვა;
- სახელმწიფოს ოქრო-სავალუტო რეზერვების შენახვა;

- კომერციული ბანკების დაკრედიტება;
- საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელება;
- საკრედიტო დაწესებულებათა საქმიანობის კონტროლი.

დროის გარკვეულ მომენტში ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობას ანუ ფულის მიწოდებას, როგორც წესი, სახელმწიფო არეგულირებს. კერძოდ, კი ფულის მიწოდების რეგულირების ფუნქცია ძირითადად ცენტრალურ ბანკს აკისრია. ამ მიზნით იგი იყენებს სხვადასხვა რეგულატორებს:

1. ერთ-ერთი მთავარი რეგულატორია დისკონტის განაკვეთი. დისკონტის განაკვეთი არის პროცენტი (სარგებელი) იმ კრედიტებზე, რომელსაც ცენტრალური ბანკი აძლევს სხვა ბანკს.

ინფლაციური პროცესებისას ცენტრალური ბანკი ზრდის დისკონტის განაკვეთს. ამ გზით მცირდება ფულზე მოთხოვნა და შედარებით ნელა იზრდება მიმოქცევაში ფულის მასა. მართალია იგი უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე, მაგრამ სახელმწიფოს მოქნილი საგადასახადო პოლიტიკით შესაძლებელია თანმხლები ნეგატიური ეფექტების დაძლევა.

უმუშევრობის დროს დისკონტის განაკვეთს ამცირებენ.

2. ცენტრალური ბანკის მეორე რეგულატორია სარეზერვო მოთხოვნები ანუ სავალდებულო რეზერვების ნორმა. მასში იგულისხმება კომერციული ბანკების ფულადი თანხა, რომლის სესხად გაცემის უფლებაც მათ არა აქვთ და ვალდებულნი არიან თავიანთ ანგარიშზე იქონიონ ცენტრალურ ბანკში. ე.ი. რეზერვების ნორმა (R) – ესაა პროცენტული მაჩვენებელი დეპოზიტების იმ ნაწილისა, რომელსაც ბანკი რეზერვების სახით ინახავს. იგი არის შეფარდება კომერციული ბანკების რეზერვების სიდიდისა და ანაბრების მიხედვით გაცემულ ვალდებულებებს შორის:

$$\text{სარეზერვო ნორმა (R)} = \frac{\text{კომერციული ბანკის სავალდებულო რეზერვები}}{\text{კომერციული ბანკის ვალდებულებები მოთხოვნამდე ანაბრების მიხედვით}} \times 100$$

თუ საჭიროა ფულის მიწოდების შემცირება, ცენტრალური ბანკი სავალდებულო რეზერვების ნორმას ზრდის და პირიქით, თუ საჭიროა მიმოქცევაში ფულის მიწოდების გადიდება, რეზერვის ნორმას ამცირებს, რაც საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკებს თავიანთი სახსრების დროებით გაყინული ნაწილი კრედიტად გადააქციონ.

3. ფულის მასის კონტროლის ერთ-ერთი ძირითადი რეგულატორია – ოპერაციები ღია ბაზარზე – ანუ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებათა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები.

ცენტრალურ ბანკს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებები. თუ მას სჭირდება მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაზრდა, ამ შემთხვევაში იგი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შეისყიდის სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს იმათგან, ვინც ისინი შეიძინა მთავრობისაგან. ფული, რომელსაც ცენტრალური ბანკი გადაუხდის ობლიგაციის ყოფილ მფლობელს, მაშინვე მოხვდება მიმოქცევაში. ე.ი. მიმოქცევაში ფულის მასა გაიზრდება. თუ საჭიროა მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის შენელება (ინფლაციის დროს), მაშინ ცენტრალური ბანკი აწყებს მის განკარგულებაში არსებული სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვას. ობლიგაციები გადადის კერძო მფლობელთა ხელში, ხოლო ასეთი ოპერაციის საფუძველზე ამოღებული ფული მიმოქცეიდან გადადის ცენტრალური ბანკის რეზერვში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბანკი სრულყოფილად ვერ აკონტროლებს ფულის მასის მოძრაობას, რადგან მიმოქცევაში ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებულ ფულთან ერთად მუდმივად არის კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული საბანკო ჩეკები, რის გამოც მისი შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია.

3. კომერციული ბანკები და მათი როლი ფულის მიწოდებაში

კომერციული ბანკები – უნივერსალური ხასიათის საკრედიტო დაწესებულებებია. ისინი არამარტო იღებენ მოსახლეობისა და საწარმოებისაგან ანაბრებს და გასცემენ მათზე კრედიტს, არამედ ეწევიან კლიენტების ფინანსურ მომსახურებასაც.

კომერციული ბანკების ძირითადი ოპერაციები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად. ესენია:

1. **პასიური** ოპერაციები, რაც დაკავშირებულია სახსრების მოზიდვასთან;
2. **აქტიური** ოპერაციები, რაც დაკავშირებულია სახსრების განთავსებასთან;
3. **საკომისიო-საშუამავლო და ნდობითი ოპერაციები,** რაც დაკავშირებულია საშუამავლო ნდობით საქმიანობასთან.

კომერციული ბანკების სისტემაში ფართოდ გაერცელდა მომსახურების ისეთი სახეები, როგორიცაა ლიზინგი და ფაქტორინგი.

სალიზინგო მომსახურებისას ბანკი ყიდულობს სხვადასხვა სახეობის ძირითად კაპიტალს და გრძელვადიანი არენდით გადასცემს არენდატორებს.

საფაქტორინგო მომსახურებისას ბანკი შეიძენს კლიენტის დებიტორულ დავალიანებას, რათა შემდეგში გადაახდევინოს იგი მოვალეს.

კომერციული ბანკის საბალანსო ანგარიში – ეს აქტივებისა და კომერციული ბანკისადმი მოთხოვნების ჩამონათვალია, რაც მის ფინანსურ მდგომარეობას ასახავს დროის რაღაც კონკრეტულ მონაკვეთში.

საბალანსო ანგარიშში შეტანილი მოთხოვნები ორ ჯგუფად იყოფა: ფირმათა მესაკუთრეების მიერ მისი აქტივებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რასაც საკუთარი კაპიტალი ეწოდება, და არამესაკუთრეთა მოთხოვნები, რომელსაც ვალდებულებები ეწოდება. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საბალანსო ანგარიში წონასწორობაში იმყოფება, ე.ი.

აქტივები = ვალდებულებებს + საკუთარი კაპიტალი, ანუ
აქტივი = პასივი

როგორც აღვნიშნეთ, ფულის მიწოდების სიდიდეს ცენტრალურ ბანკთან ერთად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კომერციულ ბანკთა სისტემაც. ვინაიდან ანაბრები მოთხოვნამდე ბანკებში ინახება, მათ ქცევას შეუძლია შეცვალოს ეკონომიკაში არსებული ანაბრების რაოდენობა, და, აქედან გამომდინარე, ფულის მიწოდებაც. განვიხილოთ, თუ როგორ და რა გაელენას ახდენენ კომერციული ბანკები ფულის მიწოდებაზე.

იმის სანახავად, თუ როგორ ზემოქმედებენ ბანკები ფულის მიწოდებაზე, წარმოვიდგინოთ მარტივი ეკონომიკა, სადაც ნაღდი ფულის მთლიანი რაოდენობა 100 ლარია, ე.ი. ფულის მიწოდება 100 ლარის ტოლია. ახლა დავუშვათ ვიღაცამ კომერციული ბანკი გახსნა – ბანკი, რომელიც მხოლოდ დეპოზიტური ინსტიტუტია. ე.ი. ბანკი დეპოზიტებს იღებს, მაგრამ სესხს არ გასცემს.

დეპოზიტებს, რომელსაც ბანკი იღებს, მაგრამ სესხად არ გასცემს, რეზერვი ეწოდება. რადგან ამ წარმოსახვით ეკონომიკაში, ყველა დეპოზიტი რეზერვის სახით ინახება, ამიტომ ამ სისტემას 100 პროცენტიანი რეზერვის საბანკო სისტემა ეწოდება.

პირველი A – ბანკის ფინანსური პოზიცია შეიძლება გამოვსახოთ T – ანგარიშის მეშვეობით:

A – ბანკი

აქტივები	პასივები, ლარებში
რეზერვები 100,0	დეპოზიტები 100,0

T – ანგარიშის მარცხენა მხარეს მოცემულია 100 ლარის ტოლი ბანკის აქტივები (რეზერვები, რომელსაც ბანკი საცავში ინახავს), ხოლო მარჯვენა მხარეს – 100 ლარის ტოლი ბანკის ვალდებულებები. აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთის ტოლია. განვიხილოთ ფულის მიწოდება. როგორც აღვნიშნეთ, ეროვნული ბანკის გახსნამდე ფულის მიწოდება იყო 100 ლარი ნაღდი ფულის სახით, რომელიც საზოგადოების ხელში იყო.

მას შემდეგ კი, რაც ბანკი გაიხსნა და ადამიანებმა თავიანთი ნაღდი ფული დეპოზიტზე დადეს, ფულის მიწოდებაა 100 ლარი „მოთხოვნამდე ანგარიშის" სახით (ხელზე ნაღდი ფული აღარ რჩება, ვინაიდან მთელი ფული ბანკის საცავში ინახება). ამრიგად, ბანკის თითოეული დეპოზიტი ნაღდი ფულის რაოდენობას ამცირებს და ამავე სიდიდით ზრდის „მოთხოვნამდე ანაბრების" სიდიდეს, რის შედეგადაც ფულის მთლიანი მიწოდება ეკონომიკაში უცვლელი რჩება. ამგვარად, თუ ბანკები რეზერვში ინახავენ ყველა დეპოზიტს, ეს ფულის მიწოდებაზე გაელენას არ ახდენს.

საგარაუდოა, რომ თუ A – ბანკი გადახედავს 100%-იანი რეზერვების პოლიტიკას, მიხვდება, რომ მთელი ფულის უქმად ყოფნა ბანკის საცავებში სულაც არ არის რაციონალური და უმჯობესია ეს ფული გამოიყენოს სესხების გასაცემად. რა თქმა უნდა, ბანკმა რეზერვების გარკვეული ნაწილი უნდა შეინარჩუნოს იმისათვის, რომ მეანაბრეთა მიერ ფულის აღების სურვილის შემთხვევაში შეძლოს მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება (ან საბანკო პანიკის შემთხვევაში). ე.ი. A კომერციულ ბანკს საშუალება ეძლევა რეზერვში თავის დეპოზიტის მხოლოდ ნაწილი შეინახოს. ამგვარად, A ბანკი გადავა ახალ სისტემაზე, რომელსაც ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა ეწოდება.

ვთქვათ, A ბანკი გადაწყვეტს, შეინახოს დეპოზიტების 10%, დანარჩენი კი გაასესხოს. ეს 10% რეზერვების ნორმას წარმოადგენს, ე.ი. რეზერვების ნორმა პროცენტული მაჩვენებელია დეპოზიტების იმ ნაწილისა, რომელსაც ბანკი რეზერვის სახით ინახავს.

ახლა A ბანკის T - ანგარიში ასეთია:

A – ბანკი

აქტივები	პასივები, ლარებში
რეზერვები 10,0 სესხი 90,0	დეპოზიტები 100,0

ბანკის მიერ სესხის გაცემის დაწყებამდე, ფულის რაოდენობა საბანკო ანგარიშზე შეადგენდა 100 ლარს. მაგრამ, როდესაც A ბანკი შეუდგა სესხის გაცემას, ფულის მიწოდება გაიზარდა. მართალია, მანაბრეებს კელავინდებურად 100 ლარი აქვთ ანგარიშზე, მაგრამ ამჯერად სესხის ამღებთ ხელზე 90 ლარი აქვთ ნაღდი ფულის სახით, რაც ფულის მიწოდების ნამატს ქმნის: ახლა ეკონომიკაში შესაძლებელია 190 ლარის ღირებულების ტრანსაქციათა განხორციელება. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ **როდესაც ბანკები რეზერვში დეპოზიტების მხოლოდ ნაწილს ინახავენ, დანარჩენს კი კრედიტის სახით გასცემენ, ამით ისინი დამატებით ფულს ქმნიან.**

უნდა აღვნიშნოთ, რომ A ბანკიდან აღებული სესხი დებიტორს ნაღდ ფულს, და ამით საქონლისა და მომსახურების ყიდვის უნარს სძენს; მაგრამ სამაგიეროდ, ის ამის შედეგად საკუთარ ვალებს ზრდის, ასე, რომ სესხი მას არ ამდიდრებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა ბანკი ფულად აქტივს ქმნის, ის შესაბამის ვალდებულებებსაც ქმნის თავის მსესხებლებისათვის. ფულის შექმნის ამ პროცესის ბოლოს, ეკონომიკა უფრო ლიკვიდურია იმ აზრით, რომ იზრდება გაცვლის საშუალებების რაოდენობა, თუმცა ამით ეკონომიკა უფრო მდიდარი არ ხდება.

ფულადი მულტიპლიკატორი. ფულის შექმნა მხოლოდ A ბანკის საქმიანობით არ ამოიწურება. დავუშვათ A–ს დებიტორი მისგან სესხად აღებულ 90 ლარს რაიმე ნივთის საყიდლად იყენებს, შემდეგ კი ამ ფულს ეკონომიკაში ამოქმედებული მეორე კომერციული B ბანკის დეპოზიტზე ინახავს. B ბანკის T ანგარიშს ექნება შემდეგი სახე:

B – ბანკი

აქტივები, ლარებში	პასივები, ლარებში
რეზერვები 9,0 სესხი 81,0	დეპოზიტები 90,0

დეპოზიტური ანგარიშის გახსნის შემდეგ ამ ბანკის ვალდებულებაა 90 ლარი. თუ B –ს რეზერვის ნორმაც 10%-ის ტოლია, ბანკი 9 ლარის აქტივებს რეზერვში შეინახავს და 81 ლარს გაასესხებს. ამ გზით B ბანკი დამატებით ფულს – 81 ლარს შექმნის. ვთქვათ, შემდეგ დაარსდა მესამე კომერციული ბანკიც (C) და ეს 81 ლარი საბოლოოდ აღმოჩნდა მის დეპოზიტზე, რომლის რეზერვის ნორმაა აგრეთვე 10%. მაშინ C – ბანკი რეზერვში შეინახავს 8,10 ლარს, ხოლო 72 ლარს გაასესხებს. C– ბანკის T–ანგარიშს ექნება შემდეგი სახე:

C – ბანკი

აქტივები, ლარებში	პასიევები, ლარებში
რეზერვები 8,1 სესხი 72,9	დეპოზიტები 81,0

ეს პროცესი გრძელდება. ყოველთვის, როცა ფული დეპოზიტზე ინახება და ბანკი სესხს გასცემს, მეტი ფული იქმნება.

რამდენი ფული შეიქმნება საბოლოო ამ ეკონომიკაში? ანუ როგორი იქნება ფულის პოტენციური მიწოდება? შევკრიბოთ:

საწყისი დეპოზიტი = 100,0

A – ბანკის სესხები

B– ბანკის სესხები

C – ბანკის სესხები

- [= 0,9 × 100,0 ლ.] = 90,0
- [= 0,9 × 90,0 ლ.] = 81,0
- [= 0,9 × 81,0 ლ.] = 72,9

ფულის მთლიანი მიწოდება = 1000,0 ლ.

როგორც ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ ფულის შექმნის ეს პროცესი უსასრულოდ გრძელდება, შექმნილი ფულის რაოდენობა უსასრულო არ არის. მოცემული რიცხვების უსასრულო მწკრივის შეკრებით ვნახავთ, რომ რეზერვების 100 ლარს შეუძლია 1000 ლარის შექმნა. თუ კარგად დავაკვირდებით მიღებულ შედეგს, ვნახავთ, რომ იგი წარმოადგენს საწყისი დეპოზიტისა (100 ლარი) და სარეზერვო ნორმის (0,1) განაყოფს.

რადგან სარეზერვო ნორმა შეუძლებელია იყოს 1-ზე მეტი, შექმნილი საბოლოო თანხა მეტი იქნება საწყის თანხაზე.

ამრიგად, რიცხვს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება ფულის პოტენციური მიწოდება, ანუ ფულის შექმნის პოტენციალი საწყისი დეპოზიტის თანხას, ეწოდება **ფულადი მულტიპლიკატორი.**

ფულადი მულტიპლიკატორი რეზერვის ნორმის შებრუნებული რიცხვია. თუ R არის რეზერვის ნორმა ეკონომიკაში არსებული ყველა ბანკისათვის, მაშინ რეზერვების თითოეული ლარი ქმნის 1/R ლარს. ჩვენს მაგალითში R =10% ე.ი. $\frac{1}{10}$-ს, ამიტომ ფულადი მულტიპლიკატორი $m = \frac{1}{R} = 1 : \frac{1}{10} = 10$

უნდა აღვნიშნოთ, რომ განხილულ სიტუაციაში რეალობა მრავალმხრივ გამარტივებულია უმთავრეს კანონზომიერებათა წარმოჩენის მიზნით. სინამდვილეში, ბანკები ქმნიან არა მარტო საკუთარ რეზერვებს, არამედ ცენტრალური ბანკის მოთხოვნით – სავალდებულო, მინიმალურად აუცილებელ რეზერვებსაც, რომელიც ინახება ცენტრალური ბანკის სეიფებში და მას კომერციული ბანკის სასარგებლოდ არანაირი პროცენტი არ დაერიცხება. მეორე მხრივ, კრედიტების მოცულობა თვით იმ სუბიექტებზეცაა დამოკიდებული, ვისი გადასაწყვეტიცაა მათი მიღება-არმიღების საკითხი, ე.ი. – არასაბანკო სექტორის ქცევაზე. ყოველივე ეს კი მკვეთრად ართულებს რეალური ფულადი მულტიპლიკატორის გამოთვლის წესს.

4. ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკა

ტერმინით „ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკა" ახასიათებენ სახელმწიფოს (ცენტრალური ბანკის) მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ფულადი მასისა და საპროცენტო განაკვეთის

ცვლილებათა გზით ეკონომიკის კონიუნქტურაზე მასტაბილიზებელი ზემოქმედებისაკენ.

ცენტრალური ბანკი პასუხს აგებს ეკონომიკაში ფასების დონის სტაბილურობასა და ფულის მიწოდების კონტროლზე. ე.ი. წარმართავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რისთვისაც იყენებს თავის ძირითად ინსტრუმენტებს:

1) ოპერაციები ღია ბაზარზე ანუ ფასიანი ქაღალდების ყიდვა–გაყიდვა;
2) დისკონტის განაკვეთის რეგულირება;
3) მინიმალური სარეზერვო ნორმის ცვლილება;
4) სავალუტო ოპერაციები.

იმის მიხედვით, თუ ქვეყანაში მაკროეკონომიკური არასტაბილურობის რომელი ასპექტია, ცენტრალური ბანკი ატარებს „იაფი" ან „ძვირი" ფულის პოლიტიკას. თუ მშპ-ს წონასწორულ სიდიდეს თან სდევს უმუშევრობა და საწარმოო სიმძლავრეების აუთვისებლობა, მაშინ ცენტრალური ბანკი იყენებს „იაფი" ფულის პოლიტიკას. იგი ითვალისწინებს:

– ცენტრალური ბანკი შეიძენს ფასიან ქაღალდებს – ობლიგაციებს კომერციული ბანკებისაგან და მოსახლეობისაგან. ეს შეძენა გაზრდის კომერციული ბანკების რეზერვებს შეძენილი ობლიგაციების მთელი თანხით და გაადიდებს მიმდინარე ანგარიშებს. შესაბამისად გაიზრდება კომერციული ბანკების დაკრედიტების უნარი.

– შეამცირებს მინიმალურ სარეზერვო ნორმას, რაც ავტომატურად გადაიყვანს სავალდებულო რეზერვებს ჭარბ რეზერვებში და გაზრდის ფულადი მულტიპლიკატორის სიდიდეს. ეს კი გაზრდის ბანკების შესაძლებლობებს შექმნან ახალი ფული დაკრედიტების გზით.

(ჭარბი რეზერვი = ფაქტიური რეზერვები – სავალდებულო რეზერვები)

– შეამცირებს დისკონტის განაკვეთს, რაც სტიმულს მისცემს კომერციულ ბანკებს გაადიდონ თავიანთი რეზერვები ცენტრალური ბანკისაგან სესხების საშუალებით. კომერციული ბანკების კრედიტები, რომლებიც ამ ახალ რეზერვებს ეყრდნობა, ადიდებს ფულის მიწოდებას.

ახლა, ვთქვათ ეკონომიკაში შეინიშნებოდა **ინფლაცია**. ე.ი. საჭიროა ფულის მიწოდების შეზღუდვა. ამისათვის ცენტრალური ბანკი მიმართავს **„ძვირი"** ფულის პოლიტიკას, რომლის მიზანია ფულის მიწოდების შეზღუდვა, რათა შემცირდეს დაანახარჯები და შეჩერებული იქნას საინფლაციო დაწოლა. იგი ითვალისწინებს შემდეგს:

– ცენტრალური ბანკი ყიდის სახელმწიფო ობლიგაციებს ღია ბაზარზე, კომერციული ბანკების რეზერვების შესაკვეცად. (რატომ ყიდულობენ კომერციული ბანკები და მოსახლეობა ობლიგაციებს? – როდესაც სახელმწიფო ცენტრალური ბანკი გადაწყვეტს სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვას, ბაზარზე მათი დამატებითი მიწოდება შეამცირებს ობლიგაციის ფასს და გაზრდის მათ სარგებლის განაკვეთებს, ამით ობლიგაციები მიმზიდველი შენაძენი გახდება ბანკებისა და მოსახლეობისათვის).

– ცენტრალური ბანკი გაზრდის სარეზერვო ნორმის სიდიდეს, რაც ავტომატურად ათავისუფლებს კომერციულ ბანკებს ჭარბი რეზერვებისაგან და აშცირებს ფულადი მულტიპლიკატორის როლს.

– უნდა გაიზარდოს დისკონტის განაკვეთი, რაც ამცირებს კომერციული ბანკების ინტერესს გაზარდოს თავისი რეზერვები ცენტრალური ბანკებისაგან სესხების მეშვეობით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სავალუტო ოპერაციები. ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებაზე გაელენას ახდენს ასევე უცხოური სავალუტო აქტივების ყიდვაგაყიდვის გზით. ეს აქტივები შეიძლება იყოს როგორც უშუალოდ უცხოური ვალუტა, ისე ამა თუ იმ ქვეყნის სხვა ფინანსური აქტივები.

სავალუტო ოპერაციების როლი საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში არსებითია, რადგან მას ხშირად ესაჭიროება ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე ლარის კურსის შესანარჩუნებლად.

ახლა განვიხილოთ, როგორ აისახება ფულის მიწოდების ცვლილება საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. ამ მიზნით,

დავუშვათ, რომ ქვეყნის ცენტრალური ბანკი ზუსტად ახერხებს ეკონომიკაში ფულის მიწოდების სიდიდის დაფიქსირებას სასურველ დონეზე. მონეტარული პოლიტიკის გავლენა პროდუქციის აგრეგირებულ ბაზარზე ორ ეტაპად დავყოთ და დავახასიათოთ ტერმინებით: პირველი რაუნდის ეფექტი და მეორე რაუნდის ეფექტი.

პირველი რაუნდის ეფექტის არსი მდგომარეობს შემდეგში: ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების ზრდა ამცირებს სარგებლის განაკვეთს ფულის ბაზარზე („იაფი ფულის პოლიტიკა"); შედეგად იზრდება ინვესტიციებზე მოთხოვნის სიდიდე, რაც ავტომატურად ნიშნავს აგრეგირებული მოთხოვნის (AD) ზრდას; ეს კი წონასწორული რეალური მშპ-ს ზრდას იწვევს. ე.ი. პირველი რაუნდის ეფექტის საბოლოო შედეგია რეალური მშპ-ს ზრდა, რაც საფუძველი ხდება ე.წ. **მეორე რაუნდის** ამოქმედებისა, რომელიც შემდეგ ცვლილებათა თანმიმდევრობას მოიცავს: წონასწორული რეალური მშპ-ს ზრდა იწვევს ფულზე მოთხოვნის ზრდას, რაც გაზრდის სარგებლის განაკვეთსაც. მაღალი სარგებლის განაკვეთი შეამცირებს ინვესტირების მაშტაბებს, ეს კი დაგეგმილი აგრეგირებული ხარჯების შემცირებას ნიშნავს. ერთობლივ მოთხოვნის (AD) მრუდი გადაადგილდება მარცხნივ და პროდუქციის ბაზარზე წონასწორობის დონე დაიწევს. ამრიგად, მონეტარული პოლიტიკის მეორე რაუნდის ეფექტი მოქმედებს პირველი რაუნდის ეფექტის საპირისპირო მიმართულებით. თუმცა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს მეორე რაუნდის ეფექტი უფრო სუსტია, ვიდრე პირველი რაუნდისა. ამიტომ ორივე რაუნდის შედეგი შესაბამისობაშია ამ პოლიტიკის გამტარებელი ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობის ჩანაფიქრთან.

5. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობა

თანამედროვე საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობა დიდი კამათის საგანია.

ეკონომისტთა უმეტესობა საკრედიტო-ფულად პოლიტიკას განიხილავს ეროვნული, მასტაბილიზებელი პოლიტიკის განუყრელი ნაწილის სახით. მის სასარგებლოდ შეიძლება მოვიტანოთ რამდენიმე კონკრეტული მოსაზრება:

სისწრაფე და მოქნილობა. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. ცენტრალური ეროვნული ბანკი ყოველდღე ღებულობს გადაწყვეტილებებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ და ამით ზემოქმედებს ფულის მიწოდებაზე და სარგებლის განაკეთზე.

პოლიტიკური ზეწოლისაგან ოზოლირება. ცენტრალური ბანკისათვის უფრო ადვილია პოლიტიკურად არაპოპულარული ღონისძიებების გატარება, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის ხანგრძლივ პერსპექტივაში. ამასთან პოლიტიკური თვალსაზრისით, საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა უფრო რბილი და კონსერვატიულია, ვიდრე ფისკალური პოლიტიკა.

მონეტარიზმი. თუმცა ეკონომისტთა უმრავლესობა, როგორც ფისკალურ, ისე საკრედიტო-ფულად პოლიტიკას, სტაბილიზაციის ქმედით ინსტრუმენრად მიიჩნევს, არსებობს ავტორიტეტულ ეკონომისტთა ჯგუფი – **მონეტარისტები**, რომლებიც თელიან, რომ **ფულის მიწოდების შეცვლა** – ეკონომიკურ აქტიურობის დონის განსაზღვრის **საკვანძო ფაქტორია** და ფისკალური პოლიტიკა შედარებით არაეფექტიანია.

ამასთან, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ფულად- საკრედიტო პოლიტიკის მიმართულება გადატანილი იქნა სარგებლის განაკვეთების სტაბილიზაციიდან **ფულის მიწოდების კონტროლზე**. ამის შემდეგ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა უფრო პრაგმატული გახდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა აწყდება რიგ შეზღუდვებს და პრობლემებს, რომლებიც ფულის მიწოდების კონტროლისას წარმოიქმნება.

– პირველი პრობლემა ისაა, რომ ცენტრალური ბანკი ვერ აკონტროლებს იმ ფულის რაოდენობას, რომელსაც საოჯახო მეურნეობები დეპოზიტების სახით ბანკებში ინახავენ. რაც მეტ ფულს შეინახავს დეპოზიტზე საოჯახო მეურნეობა, მით მეტია ბანკის რეზერვი და მით მეტი ფულის შექმნა შეუძლია საბანკო სისტემას. მაგრამ თუ ერთ დღეს ადამიანებმა ნდობა დაკარგეს საბანკო სისტემისადმი და გადაწყვიტეს ბანკიდან ფულის გამოტანა და მეტი ნაღდი ფულის ფლობა, მაშინ საბანკო სისტემა რეზერვებს კარგავს და ნაკლებ ფულს ქმნის. ე.ი. ფულის მიწოდება მცირდება ცენტრალური ბანკის ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

– მეორე პრობლემა ისაა, რომ ცენტრალური ბანკი ვერ აკონტროლებს იმ თანხებს, რომელთაც კომერციული ბანკები სესხად გასცემენ. საერთოდ საბანკო დეპოზიტზე შენახული ფული მეტ ფულს ქმნის მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკი ამ ფულს სესხად გასცემს. მაგრამ ბანკებს შეუძლიათ ცენტრალური ბანკის მიერ მოთხოვნილ დონეზე მეტი, ე.ი. ჭარბი რეზერვები შეინარჩუნონ. რომ გავიგოთ, თუ რატომ ართულებს ჭარბი რეზერვები ფულის მიწოდების კონტროლს, დავუშვათ, რომ ერთ დღეს ბანკირებმა ჩათვალეს, რომ ეკონომიკური გარემო მეტისმეტად სარისკოა და გადაწყვიტეს სესხების შემცირება და რეზერვების გაზრდა. ამ შემთხვევაში კი, საბანკო სისტემა იმაზე ნაკლებ ფულს ქმნის, ვიდრე შეუძლია. ე.ი. ბანკირთა გადაწყვეტილების შედეგად ფულის მიწოდება შემცირდება.

– ფულის მიწოდების კონტროლს მნიშვნელოვნად ართულებენ „საბანკო პანიკის" შემთხვევები.

„საბანკო პანიკას" ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დეპოზიტორებს შორის ეჭვი ჩნდება ბანკის მოსალოდნელი გაკოტრების შესახებ. ამის გამო დეპოზიტორები ბანკებში „გარბიან" საკუთარი დეპოზიტების გამოსატანად. ასე, რომ ბანკები ისე არ უნდა გაიტაცოს კრედიტების გაცემამ, რომ მხედველობიდან გამოეპაროთ საკუთარი ლიკვიდურობის შენარჩუნება. ამასთან არც ისაა გამორიცხული, რომ ბანკის მესვეურებმა ნაკლებად იცოდნენ მაკროეკონომიკა და დროულად ვერ განჭვრიტონ მო-

სალოდნელი კონიუნქტურული ცვლილებანი, რომელთა გაელენა აისახება არასაბანკო სექტორის მხრიდან ფულის მოთხოვნაზე. ამგვარ სიტუაციაში დიდი შეცდომა იქნება ბანკის მიერ თუნდაც ერთი კლიენტის უარით გასტუმრება, რადგან კლიენტთა შორის ბანკის არალიკვიდურობის შესახებ აზრის ფორმირება, სავსებით შესაძლოა, ამ ბანკისათვის საეალალო შედეგით დასრულდეს. კერძოდ, ამ დროს ბანკი იძულებულია კარებები დაკეტოს მანამდე, სანამ სესხების გარკვეულ ნაწილს არ დაიბრუნებს ან ცენტრალური ბანკი მას იმ მოცულობის სესხით არ უზრუნველყოფს, რომელიც ამ უკანასკნელს დეპოზიტორთა დასახმარებლად სჭირდება. ასე, რომ ბანკები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ ფულის მოთხოვნაში უცაბედი და მკვეთრი ცვლილებებისათვის. ამ მიზნით ისინი ცდილობენ გარკვეული რაოდენობის ლიკვიდური სახსრები შეინარჩუნონ.

საშინაო ფულად-საკრედიტო პოლიტიკას მნიშვნელოვნად ართულებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის სახალხო მეურნეობრივი კავშირებიც, კერძოდ, „იაფი" ფულის პოლიტიკა ამცირებს სარგებლის განაკვეთს, რაც იწვევს ქვეყანაში ფინანსური კაპიტალის შემოსვლის და შესაბამისად ქვეყნის ფულად ერთეულზე (ლარზე) მოთხოვნის შემცირებას უცხოურ სავალუტო ბაზარზე. ე.ი. ხდება ფულის ღირებულების გაუფასურება. ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცხოური საქონელი გაძვირდება და პირიქით, სამამულო საქონელი იაფი გახდება უცხოელებისათვის. ამის შედეგად შემცირდება იმპორტი, ხოლო ექსპორტი გაიზრდება, ანუ წმინდა ექსპორტი გაიზრდება ($X_n=E_x-I_m$). თუ ქვეყანაში იმპორტი აჭარბებდა ექსპორტს, ახლა ეს გადიდება გაასწორებს სავაჭრო დეფიციტს და თუ თავიდანვე ექსპორტი ჭარბობდა იმპორტს, მაშინ ქვეყნის სავაჭრო ბალანსს აქტიური სალდო ექნება.

ე.ი. „იაფი" ფულის პოლიტიკა, რომელიც უმუშევრობის შესარბილებლად გამოიყენება ეთავსება სავაჭრო ბალანსის დეფიციტის კორექტირების ამოცანას.

ახლა ეთქვათ ქვეყანას სავაჭრო ბალანსის დიდი დეფიციტი გააჩნია. ინფლაციის შესაზღუდად თუ „ძვირი" ფულის პოლიტიკას მივმართავთ, მაშინ უცხოურ სავალუტო ბაზარზე გა-

იზრდება ქვეყნის ფულად ერთეულზე მოთხოვნა, ე.ი. ფული გამყარდება. ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცხოური საქონელი უფრო იაფი გახდება, ვიდრე სამამულო, ამიტომ იმპორტი გაიზრდება, ექსპორტი შემცირდება, ე.ი. წმინდა ექსპორტი შემცირდება, რაც იწვევს საგაჭრო დეფიციტის ზრდას. ამგვარად, „ძვირი" ფულის პოლიტიკა ეწინააღმდეგება საგაჭრო ბალანსის დეფიციტის კორექტირების ამოცანას, იწვევს აქტიური სალდოს ლიკვიდაციას და ამძიმებს საგაჭრო დეფიციტს.

ამრიგად, განსაზღვრულ გარემოებათა გამო წარმოიშობა კონფლიქტი ანუ ალტერნატივა ქვეყნის შიგნით ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებასა და მის საერთაშორისო ვაჭრობაში წონასწორობის დამყარებას შორის.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის კრედიტი? განმარტეთ მისი ძირითადი პრინციპები.
2. დაახასიათეთ თანამედროვე საკრედიტო სისტემის სტრუქტურა.
3. როგორ გამოითვლება საბანკო მოგება და საბანკო მოგების ნორმა?
4. რა ძირითადი ფუნქციები აქვს ცენტრალურ ბანკს?
5. ჩამოთვალეთ ცენტრალური ბანკის ძირითადი რეგულატორები.
6. როდესაც ცენტრალურ ბანკს ღია ბაზარზე ოპერაციებით ფულის მოწოდების გაზრდა სურს, რა უნდა მოიმოქმედოს?
7. რა არის დისკონტის განაკვეთი? როგორ იცვლება ფულის მოწოდება, როდესაც ცენტრალური ბანკის დისკონტის განაკვეთს ზრდის?
8. რა არის სარეზერვო მოთხოვნები? როგორ იცვლება ფულის მოწოდება, როდესაც ცენტრალური ბანკი სარეზერვო მოთხოვნებს ზრდის?
9. განმარტეთ კომერციული ბანკების ძირითადი ოპერაციები

10. აღწერეთ როგორ ქმნიან ბანკები ფულს.?
11. რას ეწოდება ფულადი მულტიპლიკატორი?
12. რას გულისხმობს „იაფი" ფულის პოლიტიკა? „ძვირი ფულის პოლიტიკა?
13. რომელ პრობლემებს აწყდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფულის მიწოდების კონტროლისას?

ტესტები

1. ფულის მთლიანი მასა ყოველთვის იზრდება, როდესაც კომერციული ბანკები:
   ა. ზრდიან მოსახლეობაზე გაცემული სესხების მოცულობას;
   ბ. ზრდიან თავიანთ ანაბრებს ცენტრალურ ბანკში;
   გ. ზრდიან თავიანთ ვალდებულებებს მოსახლეობისაგან ანაბრების მიღების გზით;
   დ. ყველა პასუხი არასწორია.

2. ცენტრალური ბანკისთვის რთულია ფულის მასის შემცირებისათვის ღონისძიებების განხორციელება, თუ:
ა. ცენტრალურ ბანკს არა აქვს კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვების შემცირების უფლება.
ბ. კომერციული ბანკები ფლობენ მნიშვნელოვანი რაოდენობის ჭარბ რეზერვებს.
გ. პირადი დანაზოგების მოცულობა ძალიან დიდია.
დ. კერძო ფირმები და მოსახლეობა მიისწრაფიან შეიძინონ დამატებით დიდი თანხის სახელმწიფო ობლიგაციები.

3. თუ ცენტრალური ბანკი შეიძენს მოსახლეობისაგან დიდი რაოდენობის სახელმწიფო ფასიან ქაღალდს, მაშინ:
ა. გაიზრდება ცენტრალური ბანკის ვალდებულებები, კომერციული ბანკების რეზერვების ფორმით.
ბ. შემცირდება კომერციული ბანკების მიმდინარე ანგარიშები;
გ. შემცირდება ფულის მასა მოსახლეობის ხელში;

დ. გაიზრდება დისკონტის განაკეთი და ცენტრალური ბანკის სესხების მოცულობა.

4. ტერმინი „ოპერაციები ღია ბაზარზე" ნიშნავს:
ა. კომერციული ბანკების საქმიანობის ფირმებისა და მოსახლეობის დაკრედიტების ხაზით;
ბ. ცენტრალური ბანკის საქმიანობას კომერციული ბანკებისათვის სესხების მიცემისას.
გ. ცენტრალური ბანკის ოპერაციებს, კომერციული ბანკებისათვის მიმდინარე ანგარიშების საერთო მოცულობის გაზრდის ან შემცირებისათვის.
დ. ცენტრალური ბანკის საქმიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ხაზით.

5. ტერმინი „დისკონტის განაკეთი" ნიშნავს:
ა. ფასების დონის შემცირებას ცენტრალური ბანკისათვის, როდესაც ის ყიდულობს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს.
ა. ზეწოლის ხარისხს, რომელსაც ცენტრალური ბანკი უწევს კომერციულ ბანკებს მათ მიერ სესხების გაცემის შემცირების მიზნით
გ. სარგებლის (საპროცენტო) განაკეთს სესხებზე, რომელსაც კომერციული ბანკები იღებენ ცენტრალური ბანკისაგან.
დ. ყველა პასუხი არასწორია.

6. მშპ-ს ჩამოთვლილი ელემენტებიდან, რომლის სიდიდეზე მოქმედებს განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთის დონის ცვლილება?
ა. სამომხმარებლო ხარჯები.
ბ. ინვესტიციები;
გ. სახელმწიფო ხარჯები (შესყიდვები);
დ. ექსპორტი;
ე. იმპორტი.

7. დისკონტის განაკეთის გადიდება ჩვეულებრივ იწვევს:

ა. აქციებზე და ობლიგაციებზე ფასების გადიდებას;
ბ. აქციებზე ფასის გადიდებას და ობლიგაციებზე ფასების შემცირებას;
გ. აქციებზე და ობლიგაციებზე ფასების შემცირებას;
დ. ფასების შემცირებას აქციებზე და ფასების გადიდებას ობლიგაციებზე.

8. თუ ეკონომიკა ხასიათდება უმუშევრობის მაღალი დონით, სტაბილურ ფასებთან ერთად, მაშინ ჩამოთვლილი კომბინაციებიდან, რომლის გატარება გამოიწვევს უმუშევრობის შემცირებას?

ა. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ღია ბაზარზე და გადასახადების გადიდება.
ბ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ღია ბაზარზე და გადასახადების შემცირება.
გ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა ღია ბაზარზე და სახელმწიფო ხარჯების გადიდება;
დ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა ღია ბაზარზე და გადასახადების გადიდება.

სავარჯიშოები

1. ცხრილში მოცემულია კომერციული ბანკის გამარტივებული საბალანსო ანგარიში (დოლარებში).

შეადგინეთ საბალანსო ანგარიშები A, B, C, D ბანკის მიერ ქვემოთ მოყვანილი ოპერაციების განხორციელებისას, ამასთან გაითვალისწინეთ, რომ თავდაპირველი საბალანსო ანგარიში ყოველი ოპერაციის წინაპირობაა.

A. ა) 50 დოლარის ჩეკი (მიღებული ერთ-ერთი მეანაბრისაგან), გაიცა სუბიექტზე, რომელმაც შეიტანა ის სხვა ბანკში.
B. ბ) მეანაბრემ მოხსნა თავისი ანგარიშიდან 50 დოლარი, ნაღდი ფული. ბანკმა აღადგინა თავისი ფულის რაოდენობა

ცენტრალური ბანკიდან მიღებული 50 დოლარის ოდენობით.

C. გ) 60 დოლარზე გაცემული ჩეკი სხვა ბანკის მიერ, მოთავსდა მოცემულ ბანკში.

D. ბანკი ყიდის 100 დოლარის სახელმწიფო ობლიგაციებს ცენტრალურ ბანკზე.

		A	B	C	D
აქტივები:					
ნაღდი ფული	100				
რეზერვები	200				
სესხები	500				
ფასიანი ქაღალდები	200				
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი: ანაბრები მოთხოვნამდე	900				
აქციები	100				

2. X ბანკს აქვს დეპოზიტზე 10 000 დოლარი. სავალდებულო რეზერვების ნორმა შეადგენს 25%-ს. რა რაოდენობის სესხის გაცემა შეუძლია ბანკს? მოცემულ დეპოზიტს (10 000 დოლ.) რამდენი ახალი ფულის შექმნა შეუძლია?

3. მოცემულია კომერციული ბანკის საბალანსო ანგარიში (მლნ. ლარებში):

აქტივები: მლნ. დოლ.		ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	
რეზერვები	30	ანაბრები მოთხოვნამდე	80
სესხები და ფასიანი ქაღალდები	70	აქციები	20

ა. ვთქვათ, სავალდებულო რეზერვების ნორმა შეადგენს 15%. უჩვენეთ, როგორ გამოიყურება საბალანსო ანგარიში, თუ ის გასცემს სესხად მაქსიმალურად შესაძლებელ თანხას.

ბ. ვთქვათ, სავალდებულო რეზერვების ნორმა შეადგენს 20%. უჩვენეთ ბანკის საბალანსო ანგარიში, თუ ის მაქსიმალურად შესაძლებელ თანხას გასცემს სესხად.

4. შეავსეთ ცხრილი:

რეზერვების ნორმა %	ფულადი მულტიპლიკატორი
12 ½	
16 2/3	
20	
25	
30	
33 1/3	

თემა XI. მოხმარება და დანაზოგები

მოხმარების, დანაზოგების და ინვესტიციების მოდელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნულ ეკონომიკაში. ქვეყნებში, სადაც შემოსავლის უმნიშვნელო ნაწილი მოიხმარება და უმეტესი ნაწილი ინვესტირდება, გრძელვადიან პერსპექტივაში ხდება პროდუქციის გამოშვების, შემოსავლების და ხელფასების სწრაფი ზრდა. და პირიქით, ქვეყნებში, სადაც მოიხმარება მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი, პრაქტიკულად არ ხდება ახალი საწარმოების მშენებლობის, ახალი მოწყობილობების შეძენის ინვესტტირება, შეინიშნება შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ზრდის დაბალი ტემპები. მაკროეკონომიკის ენაზე, ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის მოხმარებას თან სდევს ინვესტიციების შემცირება და ნელი ეკონომიკური ზრდა, იმ დროს, როცა ეროვნული შემოსავლის უმნიშვნელო ნაწილის მოხმარება ხელს უწყობს ინვესტიციური აქტიეობის ზრდას და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

მოხმარებასა და ინვესტიციებს შორის ურთიერთკავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოკლევადიან პერიოდშიც, საქმიანი ციკლების განმავლობაში. როცა ეკონომიკური პირობები ბიძგს აძლევენ მოხმარებისა და ინვესტიციების სწრაფ ზრდას, ამას შედეგად მოჰყვება ერთობლივი ხარჯების და ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, რაც თავის მხრივ ზრდის პროდუქციის წარმოების მოცულობას და დასაქმების დონეს მოკლევადიან პერიოდში. როცა მოხმარება მცირდება მაღალი გადასახადების ან მომავლისადმი რწმენის დაკარგვის გამო, მცირდება ერთობლივი ხარჯები და ამან შეიძლება ეკონომიკა რეცესიის მდგომარეობამდე მიიყვანოს.

1. მოხმარებისა და დანაზოგების არსი

მოხმარება ერთობლივ დანახარჯთა ძირითადი კომპონენტია. ამიტომ მნიშვნელოვანია იმ ძირითადი ფაქტორების გაგება, რომლებიც განსაზღვრავენ მოხმარების ხარჯებს. შეიძლება

ასევე გავიხსენოთ, რომ ეკონომისტები პირად დანაზოგებს განსაზღვრავენ, როგორც „იმას, რაც არ დახარჯულა", ან როგორც „გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებული შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც არ მოიხმარება". თუ მოხმარებას აღვნიშნავთ C–თი, დანაზოგებს S–ით, ხოლო გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებულ შემოსავალს (ანუ განკარგვად შემოსავალს) DI –თი, მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას ასეთი სახე ექნება:

$$DI = C + S$$

სხვა სიტყვებით, შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ მოხმარებისა და დანაზოგების ჯამია, მაშასადამე, მოხმარების განმსაზღვრელ ფაქტორთა განხილვისას, ჩვენ იმავდროულად ვსწავლობთ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს დანაზოგებს. მანამ, სანამ მოხმარებასა და დანაზოგებზე მოქმედ ფაქტორებს შევისწავლით, ჩვენ უნდა შევისწავლოთ ინდივიდუალური ხარჯების სტრუქტურა. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ ერთობლივი მოთხოვნის დახასიათებების შესწავლაზე.

მოხმარება არის მშპ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, მაგრამ როგორია თვითონ მოხმარების სტრუქტურა? მათ შორის გამოყოფენ სახლებს, მანქანებს, კვების პროდუქტებს, სამედიცინო მომსახურებას. მაგრამ როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, მოხმარება შედგება:

1. ხანგრძლივი მოხმარების საგნებისაგან;
2. ხანმოკლე მოხმარების საგნებისაგან;
3. მომსახურებისაგან.

რა თქმა უნდა, მოხმარების ეს მუხლები ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ, ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი სტრუქტურა საოჯახო ბიუჯეტის გათვლებში. ისმის კითხვა: რით განსხვავდება სხვადასხვა ოჯახის მოხმარებაზე დანახარჯების სტრუქტურა? რეალურად არ არსებობს ორი ოჯახი, რომელიც ერთნაირად ხარჯავდეს თავის შემოსავალს. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული კანონზომიერება იმაში, თუ როგორ ანაწილებენ ადამიანები თავიანთ შემოსავლებს საკვებ პროდუქტებს, ტანსაცმელსა და სხვა მნიშვნელოვან ნივთებს შორის. ბუნებრივია, რომ და-

ბალი შემოსავლის მქონე ოჯახები იძულებულნი არიან თავიანთი ფული ძირითადად დახარჯონ კვებასა და ბინაზე.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება დანახარჯები კვებაზე. ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა უკეთ იკვებონ. მაგრამ აღმოჩნდება, რომ დროთა განმავლობაში კვებაზე დახარჯული თანხების ხვედრი წილი მცირდება შემოსავლის ზრდის მიუხედავად. მანამ, სანამ ანაზღაურების მაღალი დონე არ მიიღწევა, ტანსაცმელზე გართობასა და ავტომობილებზე დანახარჯი გაიზრდება წმინდა შემოსავლის ზრდის კვალდაკვალ (პროპორციულად). მაღალი შემოსავლების დროს კი ფუფუნების საგნებზე დანახარჯი ყოველთვის იზრდება უფრო დიდი ხარისხით, ვიდრე თვითონ შემოსავლები, და ბოლოს, ოჯახური ბიუჯეტების გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ დანაზოგები ძალიან სწრაფად იზრდება შემოსავლების ზრდასთან ერთად. დანაზოგი არის ყველაზე ძვირფასი ფუფუნების საგანი.

არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სამომხმარებლო დანახარჯთა დონეზე. მაგრამ საღი აზრი და სტატისტიკური მონაცემები გვკარნახობს, რომ ყველაზე მთავარი ფაქტორია შემოსავალი, კერძოდ, შემოსავალი გადასახადის გადახდის შემდეგ, ხოლო რამდენადაც დანაზოგები შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც არ მოიხმარება, შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ ის მთავარი ფაქტორია, რომელიც პირად დანაზოგებსაც განსაზღვრავს.

მაგალითად, 2000 წელს მოხმარებამ შეადგინა 3 მლრდ. ლარი; შემოსავალმა გადასახადების გადახდის შემდეგ–3,5 მლრდ. ლარი. მაშასადამე, დანაზოგებმა 2000 წელს 500 მლრდ. ლარი შეადგინა. რადგან გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავალს მინუს მოხმარება უდრის დანაზოგებს, შევნიშნავთ, რომ დანაზოგებიც გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებული შემოსავლის დონის ცვლილებათა ადექვატურად იცვლებიან. ძალზე დაბალი შემოსავლების წლებში, მაგალითად "დიდი დეპრესიის" ზოგიერთ ყველაზე მძიმე წლებში, მოხმარება აჭარბებდა შემოსავალს გადასახადების გადახდის შემდეგ. საოჯახო მეურნეობათა მოხმარება ფაქტობრივად ჭარბობდა მათ მიმდინარე შემოსავლებს, ანუ, ისინი ვალით ცხოვრობდნენ, და

ადრე დაგროვილს ხარჯავდნენ. ამ დროს ისინი, რა თქმა უნდა, დანაზოგებს არ აკეთებდნენ.

შეეჯამოთ: 1. საოჯახო მეურნეობები მოიხმარებენ გადასახადის გადახდის შემდეგ თავიანთი შემოსავლების უმეტეს ნაწილს და 2. როგორც მოხმარება, ისე დანაზოგები უშუალო დამოკიდებულებაშია შემოსავლის დონესთან.

როგორც ეკონომიკური გამოკვლევები გვიჩვენებენ, მოხმარებასა და დანაზოგებს შორის თანაფარდობის მთავარი ფაქტორია შემოსავლის სიდიდე. ყველაზე ღარიბები არაფერს არ ზოგავენ და თუ რამე ჰქონდათ დაზოგილი, ხარჯავენ. უფრო მეტიც, ისინი იღებენ ვალებს, ყიდიან ქონებას. ეს ადამიანები ხარჯავენ მეტს, ვიდრე გამოიმუშავებენ, ანუ ან ძველ დანაზოგებს ამცირებენ, ან უფრო მეტად ვარდებიან ვალებში.

მდიდარი ადამიანების დანაზოგები უფრო მეტია, ვიდრე ღარიბების, როგორც აბსოლუტურად, ასევე შეფარდებით გამოხატულებაში (პროცენტებით შემოსავალთან). **შეფარდებით მაჩვენებელს, რომელიც გამოხატავს პირადი დანაზოგების წილს პირად განსაკარგავ შემოსავალში, ეწოდება პირადი დაზოგვის ნორმა.**

პირადი დაზოგვის ნორმა = (პირადი დანაზოგები/პირადი განსაკარგავი შემოსავალი) × 100 = S /DI ×100

განვიხილოთ 11.1 ცხრილი, რომელშიც მოცემულია მონაცემები განკარგვად შემოსავალზე, დაზოგვაზე და მოხმარებაზე. (ჰიპოთეზური მონაცემები).

I სვეტში მოცემულია განკარგვადი შემოსავლის სხვადასხვა დონეები. მე-2 სვეტში მოცემულია შემოსავლის სხვადასხვა დონის დროს მოხმარების სიდიდეები, ხოლო მე-3 სვეტში დანაზოგების მოცულობა.

როცა შემოსავლის დონე 370 000 ლარია, მოხმარება აჭარბებს დანაზოგებს და 5 000 ლარი ვალის თანხაა. შემოსავლის 390 000 ლარის დონე (მე-2 სტროფი) „საწყისი შემოსავალია“. ამ დონის პირობებში საოჯახო მეურნეობები თავიანთ შემოსავლებს მთლიანად მოიხმარებენ.

ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში დანაზოგები დადებითი სიდიდეა, რადგან შემოსავალი აჭარბებს მოხმარებას. ვინაიდან შემოსავლის ყოველი ლარი ნაწილდება მოხმარებასა და დანაზოგებზე, მათი სიდიდეები დამოუკიდებელი არ არის მე-2 და

მე-3 სვეტის მაჩვენებლების ჯამი უნდა უდრიდეს 1 სვეტის მაჩვენებლებს.

იმისათვის, რომ ღრმად გავაანალიზოთ, თუ როგორ მოქმედებს მოხმარება ეროვნული წარმოების მოცულობაზე, ჩვენ დაგვჭირდება სხვა ანალიტიკური ინსტრუმენტები. ჩვენი ამოცანაა, ზუსტად გავარკვიოთ, შემოსავლის ყოველი დამატებითი ლარიდან რამდენია მიმართული მოხმარებასა და დანაზოგებზე. ეს ურთიერთკავშირი განისაზღვრება შემდეგი ფუნქციებით:

1. მოხმარების ფუნქციით, რომელიც გამოხატავს კავშირს შემოსავალს და მოხმარებას შორის;
2. დაზოგვის ფუნქციით, რომელიც გვიჩვენებს დანაზოგებსა და შემოსავალს შორის კავშირს.

ცხრილი 11.1

მონაცემები შემოსავლის, მოხმარებისა და დანაზოგების შესახებ

(ჰიპოთეზური მონაცემები; (1)-(3) სვეტებში – მლრდ ლარი.)

წარმოების და შემოსავლის დონე (წეპ=DI)	მოხმარება, C	დანაზოგები, S (1)-(2)	მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება,APC (2)/(1)	დაზოგვისადმი საშუალო მიდრეკილება, APS (3)/(1)	მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება MPC Δ (2)/ Δ (1)	დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება, MPS Δ (3)/ Δ (1)
(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(7)
(1) 370	375	- 5	1,01	- 0,01	0,75	0,25
(2) 390	390	0	1,00	0,00	0,75	0,25
(3) 410	405	5	0,99	0,01	0,75	0,25
(4) 430	420	10	0,98	0,02	0,75	0,25
(5) 450	435	15	0,97	0,03	0,75	0,25
(6) 470	450	20	0,96	0,04	0,75	0,25
(7) 490	465	25	0,95	0,05	0,75	0,25
(8) 510	480	30	0,94	0,06	0,75	0,25
(9) 530	495	35	0,93	0,07	0,75	0,25
(10) 550	510	40	0,93	0,07	0,75	0,25

მოხმარების ფუნქცია არის მაკროეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამოკიდებულება. ის წარმოადგენს კავშირს მოხმარებაზე დანახარჯის დონესა და პირად განსაკარგავ შემოსავალს შორის. ეს ცნება შემოღებული იქნა ჯონ მეინარდ ქეინსის მიერ. „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი, რომლის არსებობაში ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ (ვეყრდნობით რა ადამიანის აპრიორულ მოსაზრებებს, ბუნების შესახებ ცოდნას და გასული წლების გამოცდილებას), მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები, როგორც წესი შემოსავლის ზრდასთან ერთად ზრდიან მოხმარებას, მაგრამ უფრო ნელა, ვიდრე იზრდება შემოსაველები“, ამბობდა ქეინსი. მისი მოსაზრება დამყარებული იყო ჰიპოთეზაზე, რომლის თანახმად შემოსავალსა და მოხმარებას შორის სტაბილური ემპირიული კავშირი არსებობს.

მოხმარებასა და შემოსავალს შორის დამოკიდებულებას მოხმარების ფუნქცია ეწოდება.

ეს ურთიერთკავშირი პირდაპირია, რაც შეიძლება ლოგიკურად ვივარაუდოთ. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ საოჯახო მეურნეობები გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებული მცირე შემოსაველის დიდ ნაწილს ხარჯავენ.


მოხმარების ფუნქცია შეიძლება გრაფიკის სახით გამოვსახოთ (იხ. ნახ. 11.1 ა). განსაკარგავი შემოსავალი (შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ) DI მოთავსებულია ჰორიზონტალურ ღერძზე, ხოლო მოხმარება C – ვერტიკალურზე.

შემოსავალს და მოხმარებას შორის დამოკიდებულება ნახაზზე მოცემულია წერტილებით, რომელთა შეერთება გვაძლევს მოხმარების მრუდს.

ამ ორ გრაფიკზე გამოსახულია ურთიერთკავშირი შემოსავლებსა და მოხმარებას და შემოსაველებსა და დანაზოგებს შორის.

11.1 ა. მოხმარების გრაფიკზე გავავლოთ ბისექტრისა კოორდინატთა სათავიდან. ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ღერძებს ერთი და იგივე მასშტაბი აქვთ. ბისექტრისაზე ნებისმიერი წერტილი ერთი და იგივე მანძილით არის დაშორებული აბსცისათა და ორდინატთა ღერძიდან, ანუ შეგვიძლია ვთქვათ,

რომ ბისექტრისის ნებისმიერ წერტილზე მოხმარება C და განსაკარგავი შემოსავალი DI ერთმანეთის ტოლია.



ნახ. 111 მოხმარებისა (ა) და დანაზოგების (ბ) გრაფიკები

რამდენადაც დანაზოგები (S) შემოსავალს (DI) მინუს მოხმარების (C) ტოლია, დანაზოგების გრაფიკი აიგება მოხმარების მნიშვნელობის ბისექტრისის შესაბამისი მნიშვნელობიდან გამოკლებით. მომხმარებლები მთლიანად მოიხმარენ შემოსავალს, ანუ მოხმარება უდრის შემოსავალს (ხოლო დანაზოგები, შესაბამისად 0-ის ტოლია), როცა შემოსავალი 390 მლრდ. ლარია.

ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ბისექტრისა და განვსაზღვროთ სხვაობა მოხმარებაზე ხარჯებსა და განსაკარგავი შე-

მოსაელის დონეებს შორის. დავადგინოთ მოხმარებაზე დანახარჯები შემოსაელების ტოლია, მათზე მეტია, თუ ნაკლები.

„საწყისი შემოსავალი“ (ანუ წერტილი, რომელიც შეესაბამება სიტუაციას – შემოსავალი სულ ბოლომდე იხარჯება მოხმარებაზე), მოხმარების ფუნქციის გრაფიკზე დაემთხვევა ბისექტრისას. ეს არის მოხმარების გრაფიკის და ბისექტრისის გადაკვეთის წერტილი. ასე, რომ წერტილი, რომელიც შეესაბამება ბისექტრისაზე 390 000 ლარის ტოლ შემოსავალს, არის „საწყისი შემოსავალი“, ამ დროს საშინაო მეურნეობები არც ზოგავენ და არც სესხულობენ.

მოხმარების გრაფიკის და ბისექტრისის გადაკვეთის წერტილის მარჯვნივ მოხმარების ფუნქციის გრაფიკი ბისექტრისის ქვეით მდებარეობს. მრუდის ამ ნაწილის შესაბამის წერტილებში მოხმარება ნაკლებია ვიდრე შემოსავალი. ხოლო მოხმარების გრაფიკის და ბისექტრისის გადაკვეთის წერტილის მარცხნივ მოხმარების ფუნქციის გრაფიკი ბისექტრისის ზევით მდებარეობს. მრუდის ამ ნაწილის შესაბამის წერტილებში მოხმარება მეტია, ვიდრე შემოსავალი.

შემოსაელის ნაწილი, რომელსაც საშინაო მეურნეობები არ მოიხმარენ, შეადგენს დანაზოგებს. სწორედ ბისექტრისა გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ, რამდენს ზოგავს საშინაო მეურნეობა. თუ ჩვენ მოხმარების გრაფიკიდან გავაელებთ ბისექტრისისკენ ვერტიკალს, მაშინ შეგვიძლია გავზომოთ წმინდა დანაზოგები.

ბისექტრისის საშუალებით ჩვენ ვხედავთ, რომ მოხმარების გრაფიკის და ბისექტრისის გადაკვეთის წერტილიდან მარცხნივ საშინაო მეურნეობების დანახარჯები აჭარბებს შემოსავალს. დანახარჯების მეტობა შემოსავალზე „შთანთქავს“ დანაზოგებს, რომელთა სიდიდე წარმოადგენს ვერტიკალურ მანძილს ბისექტრისასა და მოხმარების გრაფიკს შორის.

აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ: ნებისმიერ წერტილში, რომელიც ბისექტრისაზე მდებარეობს, მოხმარება ტოლია შემოსაელის, დანაზოგები უდრის ნულს. თუ მოხმარების გრაფიკი ბისექტრისაზე მაღლა მდებარეობს საოჯახო მეურნეობები თავიანთ დანაზოგებს მოიხმარენ. თუ მოხმარების გრაფიკი ბისექ-

ტრისის ქვევით არის საოჯახო მეურნეობების დანაზოგები დადებითი სიდიდეა. დანაზოგების სიდიდე იზომება მოხმარების გრაფიკსა და ბისექტრისას შორის ვერტიკალით.

დაზოგვის ფუნქცია გვიჩვენებს კავშირს დანაზოგებსა და შემოსავლებს შორის.

დაზოგვის ფუნქცია შეიძლება გრაფიკის სახით გამოვსახოთ. (იხ. ნახ. 11.1 ბ). განსაკარგავი შემოსავალი (შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ) DI მოთავსებულია ჰორიზონტალურ ღერძზე, ხოლო დანაზოგები S ვერტიკალურზე.

შემოსავალს და დანაზოგებს შორის დამოკიდებულება ნახაზზე მოცემულია წერტილებით, რომელთა შეერთება გვაძლევს დანაზოგების მრუდს.

დანაზოგების გრაფიკის შედგენა ძნელი როდია. რამდენადაც შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ მოხმარებისა და დანაზოგების ჯამის ტოლია (DI = C + S) დანაზოგების სიდიდის (სვეტი 3) განსაზღვრისათვის შესაბამისი შემოსავლიდან (სვეტი 1) უნდა გამოირიცხოს მოხმარება (სვეტი 2). მაშასადამე, S = DI – C. შესაბამისად, 11.1 ცხრილის პირველი და მესამე სვეტის სიდიდეები წარმოადგენს მონაცემებს დანაზოგთა გრაფიკის აგებისათვის. თვით გრაფიკი გამოსახულია 11.1 ბ ნახაზზე. ავღნიშნავთ, რომ დანაზოგებსა და შემოსავალს შორის არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუ შემოსავალი მცირეა, დანაზოგების წილი მასში დაბალია, ხოლო თუ შემოსავალი მაღალია, მაშინ მასში დანაზოგების წილიც მაღალია. ანუ შემოსავლების ზრდასთან ერთად მასში მცირდება მოხმარების და იზრდება დანაზოგების წილი.

თუ გავიხსენებთ, რომ ბისექტრისის ყოველი წერტილი არის ის წერტილი, სადაც შემოსავალი მოხმარების ტოლია, ჩვენ დავინახავთ, რომ „ვალებში ცხოვრება“ დადგება DI შედარებით დაბალი სიდიდის, ვთქვათ 370 მლრდ ლარის პირობებში. ამ დროს საოჯახო მეურნეობები მოიხმარენ თავიანთ მიმდინარე შემოსავლებზე მეტს, დანაზოგების შემცირების ან ვალების აღების გზით. წარმოების მოცულობისა და შემოსავლის 370 მლრდ ლარის ოდენობის პირობებში 11.1 ა. გრაფიკზე სი-

დიდე, რომლითაც მოხმარება ბისექტრისაზე მაღლაა, იმ სიდიდის ტოლია, რომლითაც დანაზოგები აბსცისის ღერძზე დაბლაა 11.1 ბ. გრაფიკზე (იხ ნახ. 11.1 ა. და 11.1 ბ.). 5 მლრდ ლარის ტოლ „ვალებში ჩავარდნა“, ხდება 370 000 ლარი შემოსაელის დროს, 390 ათასი ლარი, კი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის „საწყისი შემოსავალი“.

2. დაზოგვისა და მოხმარებისადმი საშუალო და ზღვრული მიდრეკილება

11.1 ცხრილის 4-7 სვეტებში მოტანილია მოხმარებისა და დანაზოგების დამატებითი მახასიათებლები.

ნებისმიერ მოცემულ საერთო შემოსაელის წილს, რომელიც მოხმარებისათვის წარიმართება, **მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილებას (APC - Average propensity to consume)** უწოდებენ, ხოლო საერთო შემოსაელის იმ წილს, რომელიც დაზოგვას ემსახურება, **დაზოგვისადმი საშუალო მიდრეკილებას** უწოდებენ **(APS - Average propensity to save)**, ანუ:

$$APC = \frac{\text{მოხმარება}}{\text{შემოსავალი}} = \frac{C}{DI}, \quad APS = \frac{\text{დანაზოგები}}{\text{შემოსავალი}} = \frac{S}{DI}$$

რამდენადაც შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ ან მოიხმარება ან დაიზოგება, მოხმარებული და დაზოგილი (მოუხმარებელი) ნაწილების ჯამმა უნდა შთანთქას ნებისმიერი დონის შემოსაელის მთელი რაოდენობა. მოკლედ, **APC + APS** = 1. 11.1 ცხრილის მე-4 და მე-5 სვეტებში ეს პირობა დაცულია.

ის, რომ საოჯახო მეურნეობები მოცემული საერთო შემოსაელის განსაზღვრულ ნაწილს მოიხმარენ, ჯერ კიდევ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ისინი მოიხმარენ იმავე ნაწილს შემოსაელის სიდიდის შეცვლის პირობებში. **მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება (MPC - Marjinal propensity to consume)**,

ეს არის მოხმარებაში ნებისმიერი ცვლილებების თანაფარდობა შემოსავლის სიდიდის იმ ცვლილებასთან, რომელმაც მოხმარების ცვლილებები გამოიწვია:

$$MPC = \frac{\text{ცვლილებები მოხმარებაში}}{\text{ცვლილებები შემოსავალში}} = \frac{\Delta C}{\Delta DI}$$

ანალოგიურად: შემოსავლის ნებისმიერი ნამატის (შემცირების) წილს, რომელიც იზოგება, **დაზოგვისადმი ზღვრულ მიდრეკილებას (MPS – Marjinal propensity to save) უწოდებენ.** ეს არის დანაზოგებში ნებისმიერი ცვლილების თანაფარდობა შემოსავლის სიდიდის იმ ცვლილებასთან, რომელმაც დანაზოგების ცვლილება გამოიწვია:

$$MPS = \frac{\text{ცვლილებები დანაზოგებში}}{\text{ცვლილებები შემოსავალში}} = \frac{\Delta S}{\Delta DI}$$

შემოსავლის ნამატი შეიძლება მოხმარებაზე ან დაზოგვაზე წავიდეს. შემოსავლის სიდიდეში ნებისმიერი ცვლილების ის წილი, რომელიც არ მოიხმარება, არსებითად იზოგება. ამიტომ,

MPC+ MPS=1

თანამედროვე მაკროეკონომიკურ თეორიაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი უკავია მომხმარებლის რეაქციას შემოსავლის ცვლილებაზე. მოხმარებისადმი მიდრეკილება (საშუალო მიდრეკილება) ახასიათებს მოხმარების სასურველ დონეს, ხოლო მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება არის დამატებითი მოხმარება, გამოწვეული შემოსავლის დამატებითი ლარით.

3. მოხმარების და დაზოგვის ფაქტორები

შემოსავლის დონე გადასახადების გადახდის შემდეგ საოჯახო მეურნეობათა მოხმარებისა და დანაზოგების სიდიდის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია, ზუსტად ისევე, როგორც ფასი წარმოადგენს ცალკეულ პროდუქტზე მოთხოვნის განსაზ-

ღვრის ძირითად ფაქტორს. გავიხსენოთ, რომ სხვა ფაქტორთა ცვლილებები გარდა ფასისა, ისეთების, როგორიცაა მომხმარებელთა გემოვნება, შემოსავლები და ა.შ. იწვევენ მოცემულ პროდუქტზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას. ანალოგიურად, შემოსავლის გარდა არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც საოჯახო მეურნეობებს ნაკლები ან მეტის მოხმარებისაკენ უბიძგებენ ყოველი მოცემული დონის პირობებში. ამასთან, მოხმარებისა და დაზოგვის გრაფიკების მდებარეობა შეიცვლება. ეს ფაქტორები ჩვენთვის უკვე ნათელია. ჩვენ მათ შესახებ აღვნიშნეთ სხვა კონტექსტში (ერთობლივი მოთხოვნის მრუდის უარყოფითი დახრილობის და ამ მრუდის გადაადგილების მიზეზები). აქ კი გვაინტერესებს, თუ როგორ ზემოქმედებს ეს ფაქტორები მოხმარებისა და შემოსავლის, ასევე დანაზოგებისა და შემოსავლის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

მრავალჯერადი დაკვირვებები და სტატისტიკური გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ქვეყანაში მოხმარების დონის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია განსაკარგავი შემოსავალი.

მოხმარების უმარტივესი თეორია ხარჯების პროგნოზირებისას ითვალისწინებს მხოლოდ მიმდინარე წლის შემოსავალს, მაგრამ გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ადამიანები სამომხმარებლო ხარჯებს გეგმავენ არა მარტო მიმდინარე წლის შემოსავლის, არამედ მომავალ წლებში მოსალოდნელი შემოსავლების მიხედვით.

ეს რომ კარგად გავიგოთ, მოვიყვანოთ მაგალითი: ფერმერის შემოსავალი მაღალია მოსავლის აღების დროს და შედარებით დაბალია წლის ყველა დანარჩენ მონაკვეთში. ფერმერს არ სურს რომ მისი მოხმარება იზრდებოდეს და პიკს აღწევდეს მოსავლის აღების პერიოდში, ხოლო წლის დანარჩენ დროს თითქმის ნულამდე მცირდებოდეს. უფრო სავარაუდოა, რომ ფერმერი გამოათანაბრებს მოხმარებას წლის განმავლობაში, რისთვისაც ის მოსავლის აღების პერიოდში თავის შემოსავლებს დაზოგავს, რომ წლის დანარჩენ პერიოდში დახარჯოს იმაზე მეტი, ვიდრე შემოსავალი ექნება. ფერმერის შემოსავალი ამინდის და ფასების გამო წლიდან წლამდე მერყეობს. ამიტომ ის შემოსავლის ცვლილების გამო ცდილობს გამოათანაბროს

მოხმარება. მოსაელიან წლებში ის ზოგავს, ხოლო მოუსაელიან წლებში ხარჯავს დაზოგილ თანხებს და ინარჩუნებს სტაბილური ცხოერების დონეს.

ამ მარტივი მაგალითით დაერწმუნდით, რომ მოხმარება ყოველ წელს დამოკიდებულია ამ და მომავალ წლებში მოსალოდნელი შემოსაელების საშუალო დონეზე. ეს ძირითადი დებულება პირველად ფორმულირებული იქნა 1950 წ. ნობელის პრემიის ლაურეატის მილტონ ფრიდმანის მიერ. იმ საშუალო შემოსაელის აღსანიშნავად, რომელსაც გრძელვადიან პერსპექტივაში მოელიან საშინაო მეურნეობები, მილტონ ფრიდმანმა გამოიყენა ტერმინი „პერმანენტული შემოსავალი“ თავის ნაშრომში „მოხმარების ფუნქციის თეორია“.

ფრიდმანის მოდელის ამოსავალი პირობა არის ის ფაქტი, რომ საშინაო მეურნეობები ცდილობენ გამოათანაბრონ მოხმარების მოცულობა დროში.

მოხმარების და დაზოგვის სასიცოცხლო ციკლის მოდელიც ამ მოსაზრებას ემყარება. ყოველ მოცემულ მომენტში მოხმარება დამოკიდებულია შემოსავალზე, რომელსაც პიროვნება მოელის მთელი ცხოერების მანძილზე და არა მიმდინარე პერიოდის შემოსავალზე.

სასიცოცხლო ციკლის მოდელის ძირითადი საფუძველი ის არის, რომ ადამიანის სიცოცხლის განმაელობაში შემოსავალი იცელება, ამიტომ დაზოგვის სტრატეგია განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ციკლის ამა თუ იმ სტადიით. სანამ ადამიანები ახალგაზრდები არიან, შემოსავალი არც თუ ისე დიდია, ისინი ვალებს იღებენ, რადგან იციან, რომ მომავალში ბევრს გამოიმუშაებენ. თანდათანობით მათი შემოსავალი იზრდება და მოწიფულობის ასაკში პიკს აღწევს. მაშინ ხდება ახალგაზრდობის ვალების გასტუმრება და სიბერისათვის თანხების დაზოგვა. სიბერეში შემოსავალი ნულოვანია, ამიტომ დანაზოგების ხარჯზე ხდება მოხმარება ე.ი. ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლეში არის დანაზოგების „უარყოფითი“ დინამიკის ორი პერიოდი — ახალგაზრდობა და სიბერე. აქტიური დასაქმების წლებში მათი დანაზოგები მაღალია, რათა სიბერეში უზრუნველყოფილნი იქნენ. მიუახლოვდებიან რა საპენსიო ასაკს, ადამიანები

ნაკლებს ზოგავენ, რადგან უკვე აქვთ საპენსიო შემოსავლების დონე.

განვიხილოთ მოხმარებასა და დანაზოგებზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც შემოსავალთან არ არის დაკავშირებული:

1. სიმდიდრე. ზოგადად, რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტია საოჯახო მეურნეობათა დაგროვილი სიმდიდრე, მით მეტია მოხმარება და ნაკლებია დანაზოგები, მიმდინარე შემოსავლის ნებისმიერი დონის პირობებში. სიმდიდრეში ჩვენ ვგულისხმობთ, როგორც უამრავ ქონებას (სახლი, ავტომანქანა, ტელევიზორი და ხანგრძლივი გამოყენების სხვა საგნები), ისე ფინანსურ სახსრებს (ნაღდი ფული, ანაბრები ანგარიშებზე, აქციები, ობლიგაციები, სადაზღვევო პოლისები, პენსია), რომელიც საოჯახო მეურნეობებს გააჩნია. საოჯახო მეურნეობები თავს იკავებენ მოხმარებისაგან და ზოგავენ სიმდიდრის დასაგროვებლად. სხვა თანაბარ პირობებში, რაც მეტ სიმდიდრეს დააგროვებენ საოჯახო მეურნეობები, დაზოგვის მით უფრო ნაკლები სტიმული ექნებათ დამატებითი სიმდიდრის დასაგროვებლად, სხვანაირად რომ ვთქვათ, სიმდიდრის გადიდება დანაზოგების გრაფიკს გადაადგილებს ქვევით, ხოლო მოხმარებისას – ზევით.

არსებობს მოსაზრება, რომ სიმდიდრე გროდება არა მომავალი მოხმარებისათვის, არამედ ძალაუფლების და პრესტიჟისათვის. ეს სრულიად ეწინააღმდეგება თეორიას: დაზოგე ახალგაზრდობაში, მოიხმარე სიბერეში, რადგან აქ დაზოგვა არ არის დაკავშირებული არც ამ და არც მომავალი თაობის მოხმარებასთან. ქეინსი აღწერდა XIX საუკუნის ინგლისის საზოგადოების მაღალი ფენების ასეთ დანაზოგებს. „დაზოგვის მოვალეობა აუცილებელი მომენტი ხდება, ხოლო ნამცხვრის (ეროვნული სიმდიდრის) ზრდა თაყვანისცემის საგანი. ნამცხვარი იზრდებოდა, მაგრამ გაუგებარია, რატომ? დაზოგვა ხდებოდა ვითომდა სიბერისათვის და ბავშვებისთვის, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიაა – სინამდვილეში ნამცხვრის ღირსება ისაა, რომ ის არც თქვენ გიჭამიათ, არც ბავშვებს“. მაგრამ ასეა თუ ისე, სიმდიდრის ზრდა იწვევს მოხმარების დონის ამაღლებას. ამ მოვლენას **სიმდიდრის ეფექტი** ეწოდება.

როგორც წესი, შემოსავლის ცვლილების ტემპები მაღალი არ არის, ამიტომ სიმდიდრის ეფექტი იშვიათად ცვლის მოხმარების დონეს. მაგრამ ნებისმიერ წესში არსებობს გამონაკლისი. მაგალითად, 1929 წელს გათამაშებული დრამის – საფონდო ბირჟაზე კრიზისის შედეგად მრავალი ოჯახის ფინანსური კეთილდღეობა მნიშვნელოვნად შეირყა სულ რაღაც ერთ ღამეში. ეს ფაქტი მოხმარების დონის შემცირების ფაქტორი გახდა 30-იანი წლების კრიზისულ პერიოდში. ძირითადად კი, საოჯახო მეურნეობათა სიმდიდრის მოცულობა, ცხადია, წლითიწლობით უმნიშვნელოდ იცვლება. სწორედ ამიტომაა, რომ შემოსავლის ცვლილება, ჩვეულებრივ, სერიოზულ ძვრებს არ იწვევს მოხმარებისა და დანაზოგების გრაფიკებში.

2. ფასების დონე. ფასების დონის გადიდება იწვევს მოხმარების გრაფიკის გადაადგილებას ქვევით, ხოლო ფასების დონის შემცირება კი მის გადაადგილებას ზევით. ამ დასკვნას პირდაპირი კავშირი აქვს სიმდიდრის ანალიზთან, როგორც მოხმარების ფაქტორთან, რამდენადაც ფასების დონის მერყეობები ცვლიან სიმდიდრის ზოგიერთი სახეობების რეალურ ღირებულებას, ანუ მსყიდველობით უნარს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფინანსური საშუალებების რეალური ღირებულება, რომელთა ნომინალური ღირებულება ფულით გამოიხატება, ფასების დონის ცვლილების უკუპროპორციული იქნება. ეს არის სიმდიდრის ეფექტი, ანუ რეალური საკასო ნაშთების ეფექტი, რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ წინა თავებიდან. მაგალითად, დავუშვათ, თქვენ გაქვთ 10 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაცია. თუ ფასების დონე გაიზრდება, ვთქვათ, 10%-ით, მაშინ, თქვენი ფინანსური სახსრების რეალური ღირებულება შემცირდება დაახლოებით 10%-ით. რამდენადაც, თქვენი რეალური ფინანსური სიმდიდრე შემცირდა, ნაკლებად იქნებით დაინტერესებული მიმდინარე წლის შემოსავლის მოხმარებით. პირიქით, ფასების დონის შემცირება გაზრდის თქვენს რეალურ ფინანსურ სიმდიდრეს და გაიძულებთ მეტი მოიხმაროთ მიმდინარე შემოსავლიდან.

აქედან გამომდინარეობს ყურადსაღები დასკვნა: 11.1 ნახაზზე, სადაც არ უნდა გავავლოთ (მოვათავსოთ) მოხმარებისა და

დაზოგვის დონის მრუდები, ჩვენ ვთვლით, რომ ფასების დონე მუდმივია. ეს ნიშნავს, რომ მოცემულ გრაფიკზე ორდინატთა ღერძზე მოთავსდება რეალური და არა ნომინალური (ფულადი) შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ.

3. მოლოდინი. საოჯახო მეურნეობათა მოლოდინმა, რომელიც დაკავშირებულია მომავალ ფასებთან, ფულად შემოსავლებთან და საქონელთა არსებობასთან, შეიძლება არსებითი ზეგავლენა მოახდინოს მიმდინარე დანახარჯებსა და დანაზოგებზე. ფასების გადიდებისა და საქონელთა დეფიციტის მოლოდინი მოხმარებაზე მიმდინარე ხარჯების გადიდებას და დანაზოგების შემცირებას იწვევს, რაც გამოიხატება მოხმარების გრაფიკის ზევით, ხოლო დანაზოგების გრაფიკის ქვევით გადაადგილებით. რატომ? იმიტომ, რომ მოსალოდნელი ინფლაცია და საქონელთა მოსალოდნელი დეფიციტი ადამიანებს აიძულებს „იყიდონ მარაგად“ უფრო მომავალი მაღალი ფასებისა და ცარიელი დახლების თავიდან ასაცილებლად. ფულადი შემოსავლების მომავალში გადიდების მოლოდინი თავის მხრივ იწვევს მომხმარებელთა უფრო თავისუფალ მიდგომას თავიანთი მიმდინარე შემოსავლებისადმი. პირიქით, ფასების მოსალოდნელმა დაცემამ, შემოსავლების შემცირების წინასწარგანჭვრეტამ, იმის შეგნებამ, რომ საქონელი უხვად იქნება, შეიძლება მომხმარებლები წააქეზოს, რომ შეამცირონ მოხმარება და გაზარდონ დაზოგვა, იმიტომ, რომ მომხმარებლებისათვის დამახასიათებელია უფრო მაღალი ფასის გადახდისაგან თავის არიდება, ანუ ცხოვრება პრინციპით – „ამის გარეშეც იოლად გავალთ“.

4. სამომხმარებლო დავალიანება. შეიძლება ველოდოთ, რომ სამომხმარებლო დავალიანებათა დონე საოჯახო მეურნეობებში გამოიწვევს მიმდინარე შემოსავლების მომხმარებაზე ან დაზოგვაზე გამოყენების სურვილის ცელილებას. თუ საოჯახო მეურნეობათა დავალიანება ისეთ სიდიდეს მიაღწევს, რომ მათი მიმდინარე შემოსავლების, ვთქვათ, 20 ან 25 პროცენტი გადაირიცხება ადრინდელი განვადებით შეძენილი საქონლის ღირებულების მორიგი შენატანების სახით, მომხმარებლები იძულებული გახდებიან შეამცირონ მიმდინარე მოხმარება დავალიანე-

ბის შესამცირებლად. პირიქით, თუ სამომხმარებლო დავალიანება შედარებით დაბალია, მოხმარების დონე შესაძლოა უჩვეულოდ გაიზარდოს, რაც მათი დავალიანების გადიდებას გამოიწვევს.

5. **გადასახადით დაბეგვრა.** გადასახადები გადაიხდება ნაწილობრივ მოხმარების ხარჯზე და ნაწილობრივ კი დანაზოგების ხარჯზე, ამიტომ გადასახადების ზრდა გადააადგილებს, როგორც მოხმარების, ისე დანაზოგების გრაფიკს ქვევით. პირიქით, შემოსავლების წილი, რომელიც გადასახადების შემცირებით მიიღება, ნაწილობრივ მოიხმარება და ნაწილობრივ იზოგება საოჯახო მეურნეობათა მიერ. ამრიგად, გადასახადების შემცირება გამოიწვევს, როგორც მოხმარების, ისე დანაზოგების გრაფიკის გადაადგილებას ზევით.

მოხმარების პირველი ოთხი ფაქტორის შეცვლით, რომლებიც დაკავშირებული არ არიან შემოსავალთან, მოხმარებისა და დანაზოგების გრაფიკები უთუოდ გადაადგილდებიან საპირისპირო მიმართულებით. თუ საოჯახო მეურნეობები გადაწყვეტენ მეტის მოხმარებას გადასახადის გადახდის შემდეგ მიღებული შემოსავლის ყოველ შესაძლო დონეზე, ეს ნიშნავს, რომ მათ ნაკლების დაზოგვა უნდათ, და — პირიქით. გრაფიკზე ეს შემდეგნაირად გამოიყურება: თუ მოხმარების გრაფიკი გადაადგილდება ზევით, მაშინ დანაზოგების გრაფიკი გადაადგილდება ქვევით, ანალოგიურად მოხმარების მრუდის ქვევით გადაადგილება ნიშნავს დანაზოგების მრუდის გადააგილებას ზევით. როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, გამონაკლისს წარმოადგენს შემოსავალთან დაუკავშირებელი მეხუთე ფაქტორის ზეგავლენა მოხმარებასა და დანაზოგებზე. ეს არის გადასახადით დაბეგვრა. საოჯახო მეურნეობები ნაკლებს მოიხმარენ და დაზოგავენ უფრო მაღალი გადასახადების გადახდის გამო. მაშასადამე, გადასახადების გადიდება ქვევით გადააადგილებს როგორც მოხმარების, ისე დანაზოგების გრაფიკსაც, მაშინ როცა გადასახადების შემცირება ორივე გრაფიკს ზევით გადააადგილებს.

ყველა სკოლის წარმომადგენელ ეკონომისტს ერთიანი მოსაზრება გააჩნია, რომ მოხმარებისა და დანაზოგების გრაფიკები უცვლელია, თუ სახელმწიფო წინასწარ მოფიქრებულ ქმედე-

ბებს არ ღებულობს მათ შესაცელელად. შესაძლოა გადაწყვეტილებაზე – მოიხმარონ თუ დაზოგონ – მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შესაბამისი ჩვევა. გარდა ამისა, იგულისხმება, რომ ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან შემოსავალთან, მრავალფეროვანია და მათი ცვლილებები ხშირ შემთხვევაში საპირისპიროდ მოქმედებენ და ამიტომ ერთმანეთს აწონასწორებენ.

4. მოხმარება საერთო-ეროვნულ დონეზე

აქამდე ჩვენ შევისწავლეთ საოჯახო მეურნეობათა მოხმარებები შემოსავლების სხვადასხვა დონის პირობებში. ახლა შევისწავლოთ მოხმარება ქვეყნის დონეზე. რით არის საინტერესო ეროვნული მოხმარება? მომხმარებელთა ქცევა გადამწყვეტია როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ანალიზისათვის. მოკლევადიან პერიოდში მოხმარება არის ერთობლივი დანახარჯების ძირითადი კომპონენტი. მოხმარების მკვეთრი ცვლილება ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე და, შესაბამისად, ცვლის დასაქმების და წარმოების მოცულობის დონეს.

ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული მოხმარების ტენდენციის ცოდნას. რადგან დანაზოგები არის ქვეყნის ინვესტიციების წყარო, ისინი კი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძველია, ამიტომ მოხმარებისა და დანაზოგების დინამიკა საქმიანი ციკლების და ეკონომიკური ზრდის საუკეთესო ახსნაა. მიუხედავად იმისა, რომ მოხმარების დონე შედარებითი სტაბილურობით ხასიათდება, უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა პირადი დანაზოგების ნორმის მკვეთრი შემცირება, ომის შემდგომ წლებში ეს არცაა გასაკვირი, რადგან მძიმე წლების შემდეგ ხალხი ცდილობს გაჭირვების და მოთმენის კომპენსირებას, რაც მათ ომის დროს ხედათ წილად. შემდეგ ნელ-ნელა ეს მაჩვენებელი სტაბილური ხდება, მაგრამ ეკონომისტები შეშფოთებულები არიან იმით, რომ მშვიდობიან წლებშიც გრძელდება პირადი დანაზოგების ნორმის შემცირება. რადგან ეროვნული

კაპიტალის ფორმირება დამოკიდებულია ეროვნული დანაზოგების ნორმაზე, ხოლო ეროვნული დანაზოგები კი ეს არის კერძო პირების, ფირმების და სახელმწიფო დანაზოგების ჯამი მთელი ქვეყნის მასშტაბით, დანაზოგების ზრდა კი ხელს უწყობს მისი კაპიტალის სწრაფ ზრდას, რაც საბოლოო ჯამში წარმოების მოცულობის ზრდაში აისახება.

საკონტროლო კითხვები

1. როგორ განსაზღვრავენ ეკონომისტები დანაზოგებს?
2. რა აღინიშნება ტერმინით „საწყისი შემოსავალი“?
3. რას ეწოდება მოხმარების ფუნქცია?
4. რას ეწოდება დაგროვების ფუნქცია?
5. რას ეწოდება მოხმარებისა და დაგროვებისადმი ზღვრული მიდრეკილება?
6. ჩამოთვალეთ მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორები. ახსენით, რატომ არის მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორები ასევე დაზოგვაზე მოქმედი ფაქტორები.

ტესტები

1. გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავალი:
ა. მეტია მოხმარების და დანაზოგების ჯამზე;
ბ. ტოლია მოხმარებისა და დანაზოგების ჯამის;
გ. ნაკლებია მოხმარებისა და დანაზოგების ჯამზე.

2. მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება ეს არის:
ა. ერთობლივი მოთხოვნის შეფარდება ერთობლივ დანახარჯებთან;
ბ. შემოსავლის ცვლილებით გამოწვეული ცვლილება დანაზოგებში;
გ. სამომხმარებლო ხარჯების ნამატის შეფარდება განკარგვადი შემოსავლის ნაზრდთან.

3. „საწყისი შემოსავლის“ წერტილი არის ის წერტილი, სადაც:
ა. დანაზოგები ტოლია შემოსავლის;
ბ. შემოსავალი ტოლია მოხმარების;
გ. დანაზოგები ტოლია მოხმარების.

4. ჯონ მეინარდ ქეინსი ამტკიცებს, რომ სამომხმარებლო ხარჯების დონე ქვეყანაში უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია:
ა. მომხმარებელთა საცხოვრებელ ადგილებზე;
ბ. ოჯახის წევრთა ასაკზე;
გ. ფულის მიწოდების ზრდის ტემპზე;
დ. ეროვნული შემოსავლის დონეზე;
ე. განკარგვადი შემოსავლის დონეზე.

5. თუ განკარგვადი შემოსავალი მცირდება, მაშინ ყველა სხვა თანაბარ პირობებში:
ა. იზრდება სამომხმარებლო ხარჯებიც და დანაზოგებიც;
ბ. სამომხმარებლო ხარჯები იზრდება, დანაზოგები კლებულობს;
გ. სამომხმარებლო ხარჯები მცირდება, დანაზოგები იზრდება;
დ. მცირდება როგორც სამომხმარებლო ხარჯები, ასევე დანაზოგები.

სავარჯიშოები

1. გამოიყენეთ I საავარჯიშოს მონაცემები და იანგარიშეთ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების და დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილების ჯამი, როცა განკარგვადი შემოსავალი 400 მლრდ. ლარია.

2. ცხრილში წარმოდგენილია განკარგვადი შემოსავლის და სამომხმარებლო ხარჯების შესახებ (მლრდ. ლარი) მონაცემები:

სამომხმარებლო ხარჯი	განკარგვადი შემოსავალი	დანაზოგები	მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება	დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება
C	DI	S	MPC	MPS
120	100			
200	200			
270	300			
330	400			
380	500			
420	600			

ა. შეავსეთ ცხრილი;
ბ. ააგეთ მოხმარების გრაფიკი;
გ. ააგეთ დაზოგვის გრაფიკი.

თემა XII. ინვესტიციები

ინვესტიციებს მნიშვნელოვანი როლი უკავია მაკროეკონომიკაში. უპირველეს ყოვლისა, ისინი დანახარჯების მუდმივი და მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამიტომ ინვესტიციების მკვეთრ ზრდას ან შემცირებას შეუძლია გამოიწვიოს მკვეთრი ცვლილებები ერთობლივ მოთხოვნაში, ხოლო ეს უკანასკნელი კი გავლენას ახდენს წარმოებასა და დასაქმებაზე. ამის გარდა, ინვესტიციები უზრუნველყოფენ კაპიტალის დაგროვებას. საბოლოო ჯამში, ინვესტიციების ეკონომიკური დასაბუთება გამოიხატება მათი ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდაში და ხელს უწყობს გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდას.

ასე რომ, ინვესტიციები მოკლევადიან პერიოდში წარმოებაზე ზეგავლენას ახდენენ ერთობლივი მოთხოვნის საშუალებით, ხოლო გრძელვადიან პერიოდში – კაპიტალის წარმოქმნის გზით და ამ კაპიტალის წარმოების პოტენციურ მოცულობაზე და ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედების გზით.

1. ინვესტიციების არსი და შაქტორები

ტერმინით „ინვესტიციები“ ან „რეალური ინვესტიციები“ მაკროეკონომიკაში აღნიშნავენ ფულის დაბანდებას რეალური კაპიტალის ფორმირებაში (მოწყობილობები, შენობები და ნაგებობები, სასაქონლო-მატერიალური მარაგები). თუ ფირმა აშენებს ახალ ქარხანას ან ოჯახი სახლს, ადგილი აქვს ფულის ინვესტირებას. ბევრი ადამიანი ინვესტიციად მოიხსენიებს მიწის ნაკვეთის, ფასიანი ქაღალდის ან მათი მსგავსის ყიდვას. ეკონომიკურ ლიტერატურაში ასეთი შესყიდვები განიხილება, როგორც ფინანსური გარიგებები, ან პორტფელური ინვესტიციები, რადგან ისინი დაკავშირებულია ამა თუ იმ საკუთრების ერთი პიროვნებიდან მეორესთან გადასვლასთან: ვიღაც ყიდულობს, ვიღაც ყიდის. ინვესტიციებს კი ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა იქმნება რეალური კაპიტალი.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ორივე მოსაზრებას გარკვეული საფუძველი აქვს. რადგან ერთმანეთისაგან განსხვავდება ინვესტიციების მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური ფორმულირება.

ცალკეული საშინაო მეურნეობისათვის ან ფირმისათვის ინვესტიციად ითვლება ფულის დაბანდება არა მარტო რეალურ კაპიტალში, არამედ ფინანსურ აქტივებშიც (აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები). მაკროეკონომიკური თვალსაზრისით კი, ფინანსური აქტივების ყიდვა სწორედაც რომ არ არის ინვესტიცია, რადგან ისინი მხოლოდ არსებული ფინანსური აქტივების გადანაწილებას ახდენენ სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებს შორის. ამიტომ, **მაკროეკონომიკაში ინვესტიციებად მოისაზრება მხოლოდ ახალი რეალური კაპიტალის შესყიდვა.**

ინვესტიციების დონე არსებით გავლენას ახდენს ეროვნული წარმოების მოცულობაზე და მისი ზრდის ტემპებზე. ახალი საწარმოების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, გზების გაყვანა, ახალი სამუშო ადგილების შექმნა, მთლიანად დამოკიდებულია ინვესტირების პროცესზე.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ინვესტიციების ზემოქმედება საქონლისა და მომსახურების ბაზარზე განსხვავებულია მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში. მოკლევადიან პერიოდში ინვესტიციები ძირითადად ზემოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე. ამ შემთხვევაში ისინი არ ახდენენ ზეგავლენას ერთობლივ მიწოდებაზე. რადგან, მშენებარე ობიექტები სწრაფად არ იძლევიან უკუგებას წარმოების მოცულობის გაზრდის სახით. გრძელვადიან პერიოდში ინვესტიციები ზრდის კაპიტალს, რაც იწვევს საწარმოო შესაძლებლობათა და შესაბამისად წარმოების მოცულობის ზრდას.

ჩვენი ანალიზი ფაქტორების შესახებ ამ შემთხვევაში ეხება მხოლოდ **მთლიან შიდა კერძო ინვესტიციებს** (გავიხსენოთ ერთობლივი დანახარჯების კომპონენტები). მაგრამ საერთო ეროვნული ინვესტიციები მოიცავს, ასევე, უცხოურ ინვესტიციებს, სახელმწიფო ინვესტიციებსა და ადამიანურ კაპიტალში და ცოდნის ამაღლებაში არამატერიალურ ინვესტიციებს.

განვიხილოთ მთლიანი შიდა კერძო ინვესტიციები. ის იყოფა სამ კატეგორიად:

1. საცხოვრებელი ბინების და ნაგებობების მშენებლობა;
2. ქარხნების მშენებლობა და მოწყობილობის შეძენა;
3. სასაქონლო-მატერიალური მარაგების შევსება.

რატომ ახდენენ ფირმები ინვესტირებას? უპირველეს ყოვლისა ისინი ახდენენ კაპიტალურ დაბანდებებს, როცა ფიქრობენ, რომ ეს დაბანდებები მოგებას მოუტანენ, ანუ ინვესტიციებიდან შემოსავალი იქნება მეტი, ვიდრე მასზე დანახარჯები. ამ მარტივი მტკიცებულებიდან შეიძლება გამოვყოთ ინვესტიციების მოცულობის განმსაზღვრელი სამი ფაქტორი: **შემოსავალი, ხარჯები და მოლოდინი.**

შემოსავალი. ფირმებისთვის ინვესტირება ხელსაყრელია, თუ ის იწვევს ფირმის შემოსავლების ზრდას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინვესტიციების მოცულობის განმსაზღვრელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მშპ.** თუ წარმოების პროცესში ფაბრიკები და ქარხნები სრულად არ არის დატვირთული, ფირმები ახალ მშენებლობაში ფულს არ აბანდებენ და ინვესტიციების დონე დაბალია. საერთოდ, ინვესტიციური აქტივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომგებიანია ბიზნესი მოცემულ ეკონომიკურ პირობებში. გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ინვესტიციების მოცულობა ერთობ მგრძნობიარეა საქმიანი აქტივობის რყევების მიმართ.

დანახარჯები. ინვესტიციების დონის განმსაზღვრელი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტორების დანახარჯი. იმის გამო, რომ საინვესტიციო საქონელი ხანგრძლივი მოხმარებისაა, ინვესტორების ხარჯის გაანგარიშება უფრო ძნელია, ვიდრე ნებისმიერი საქონლის წარმოების ხარჯებისა. რადგან ნაყიდი საქონელი მრავალი წლის განმავლობაში მოიხმარება, ჩვენ უნდა გავიანგარიშოთ კაპიტალის მოცულობა **კრედიტის სარგებლის** და ფირმის **მოგების გადასახადის საფუძველზე,** რადგან ორივე კომპონენტი ხარჯის მნიშვნელოვანი ნაწილია.

უპირველეს ყოვლისა, გავითვალისწინოთ, რომ კაპიტალური საქონლის საყიდლად ინვესტორები ხშირად სარგებლობენ კრედიტით (ობლიგაციების ან იპოთეკის ბაზარზე). სესხების

დანახარჯები უტოლდება სარგებლის განაკვეთს ნასესხებ სახსრებზე.

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ინვესტიციებზე ზემოქმედების მიზნით სახელმწიფო ხშირად მიმართავს საბიუჯეტო საგადასახადო სისტემას. მოგებიდან გადასახადი თუ მაღალია, ინვესტორებს ეკარგებათ ეკონომიკის ამ სექტორში ინვესტირების სტიმული, და პირიქით, თუ არსებობს საგადასახადო შეღავათები სექტორში, ინვესტორებს უჩნდებათ სურვილი თავიანთი კაპიტალი ამ წარმოებაში დააბანდონ.

მოლოდინი. ინვესტიციური აქტივობის განმსაზღვრელი შემდეგი ფაქტორია მოგების მოლოდინი და მომავლის რწმენა. ინვესტიციები – ეს უპირველეს ყოვლისა აზარტული თამაშია, რომელიც მომავალი მოვლენების პროგნოზს ეყრდნობა. თუ ინვესტორები ფიქრობენ, რომ ქვეყანაში მდგომარეობა არასტაბილურია, ისინი მის ეკონომიკაში ფულს არ აბანდებენ, და – პირიქით. ეჭვს არ იწვევს გამონათქვამი: „საინვესტიციო გადაწყვეტილებების ბედი ბეწვზე ჰკიდია“. რომ შეამციროონ ინვესტიციებთან დაკავშირებული გაურკვეველობა, მეწარმეები უამრავ დროსა და ენერგიას ხარჯავენ საბაზრო სიტუაციის შესასწავლად.

ინვესტირება ხდება მოგების მიღების მიზნით. რადგან კაპიტალური საქონელი მრავალი წლის განმავლობაში მოიხმარება, **საინვესტიციო გადაწყვეტილებები დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე**: ახალი კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე წარმოებულ საქონელზე მოთხოვნა, სარგებლის განაკვეთი და გადასახადები (რომლებიც ინვესტიციურ ხარჯებზე ზემოქმედებენ), ასევე, ეკონომიკის მდგომარეობის მიმართ ბიზნესის მოლოდინი.

გავიხსენოთ, რომ ინვესტიციები ნიშნავს დანახარჯებს ახალი ქარხნების მშენებლობაზე, ჩარხებსა და მოწყობილობაზე ხანგრძლივი სამსახურის ვადით და ა.შ. რა განსაზღვრავს წმინდა დანახარჯების დონეს ინვესტიციებში? მას განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტორი: 1. წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა, რომლის მიღებასაც ვარაუდობენ მეწარმეები ინვესტიციებიდან; 2. სარგებლის განაკვეთი. ყველაზე უფრო

მეტად კი ინვესტიციების თეორია ერთ უბრალო იდეაზეა დაფუძნებული: ფირმები საინვესტიციო ხარჯებს ზრდიან ყოველთვის, როცა მოგების მოსალოდნელი ნორმა მეტია დანაზოგებიდან მიღებულ პროცენტებზე. ამ დროს მიზანშეწონილია არა ფინანსური აქტივების, არამედ – საინვესტიციო საქონლის ყიდვა.

ინვესტიციებზე დანახარჯების მამოძრავებელი მოტივია მოგების მიღების მოლოდინი. მეწარმეები წარმოების საშუალებებს მხოლოდ მაშინ იძენენ, როცა მოსალოდნელია ასეთ შესყიდვათა მომგებიანობა. განვიხილოთ მარტივი მაგალითი. დავუშვათ, კარადის მწარმოებელი მცირე სახელოსნოს მფლობელი იღებს გადაწყვეტილებას ახალ ჩარხში 1000 ლარის ინვესტირების შესახებ, რომლის სამსახურის ვადა ერთი წელია. ახალი დანადგარი, როგორც წესი, გაზრდის პროდუქციის წარმოებას და ფირმის ამონაგებს. დავუშვათ, რომ წმინდა მოსალოდნელი შემოსავალი (ანუ შემოსავალი საექსპლუატაციო დანახარჯების გარეშე, როგორიცაა ენერგიის, მანქანის, სამუშაო ძალის დანახარჯები, გადასახადები და ა.შ.) 1100 ლარია. სხვა სიტყვებით, საექსპლუატაციო ხარჯების გათვალისწინების შემდეგ დარჩენილი მოსალოდნელი წმინდა შემოსავალი დაფარავს მანქანის ღირებულებას – 1000 ლარს და მოიტანს 100 ლარ მოგებას. ამ მოგების მანქანის ღირებულებასთან შეფარდებით (1000 ლარი) აღმოჩნდება, რომ მანქანის გამოყენებისაგან მოსალოდნელი **წმინდა მოგების ნორმა** 10%-ის ტოლია. თუ მოგების მოსალოდნელი ნორმა (10%) მეტია სარგებლის განაკვეთზე (მაგ. 7%), მაშინ ინვესტირება მომგებიანი იქნება. მაგრამ, თუ სარგებლის განაკვეთი 12% იქნება, მაშინ ინვესტირება არ იქნება მიზანშეწონილი.

ამასთან, იგულისხმება, რომ ლაპარაკია სარგებლის რეალურ და არა ნომინალურ განაკვეთზე.

2. ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი

ინვესტიციებზე მოქმედი ფაქტორების ანალიზისას ყურადღებას იქცევს სარგებლის განაკვეთსა და ინვესტიციებს შორის დამოკიდებულება. ამ კავშირს დიდი მნიშვნელობა აქვს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას. სწორედ სარგებლის განაკვეთის საშუალებით ახდენს სახელმწიფო ზეგავლენას ინვესტიციების დონეზე.

სარგებლის განაკვეთსა და ინვესტიციებს შორის დამოკიდებულება გრაფიკულად გამოისახება **ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდით.**

განვიხილოთ გამარტივებული სიტუაცია, როცა საწარმოებს შეუძლიათ ფულის დაბანდება სხვადასხვა A, B, C, . . . H პროექტებში. ასევე გვაქვს შემდეგი დაშვებები: ა) ამ ინვესტიციებით მიღებული კაპიტალის სამსახურის ვადა ხანგრძლივია, ამიტომ მწყობრიდან გამოსული კაპიტალის აღდგენა იგნორირებულია; ბ) ამ კაპიტალდაბანდებებს ყოველწლიურად მოაქვთ მუდმივი მოგება და გ) არ არის ინფლაცია. კერძოდ, ცხრილში 12.1 მოცემულია თითოეული საინვესტიციო პროექტის მონაცემები.

პირველ რიგში განვიხილოთ პროექტი A. მისი ღირებულება შეადგენს 1 მლნ. ლარს და მისი რეალიზაციით კომპანია მიიღებს მაღალ წლიურ შემოსავალს 1500 ლარს ყოველ დახარჯულ 1000 ლარზე (ე.ი. შემოსავლიანობის განაკვეთი არის 150% წელიწადში). მე-4 და მე-5 სვეტებში მოცემულია ინვესტიციებზე დანახარჯები. ასევე, ვუშვებთ, რომ ინვესტიციები ფინანსდება მხოლოდ სესხებით 10%-იანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით (მე-4 სვეტი) და იგივე 5%-იანი განაკვეთით (მე-5 სვეტი). მაშინ 1000 ლარის სესხების ხარჯი 10%-ის პირობებში არის 100 ლარი, ხოლო 5%-ის პირობებში არის 50 ლარი.

უკანასკნელი ორი სვეტი გვიჩვენებს ყოველი პროექტიდან წლიურ წმინდა მოგებას.

A პროექტი მომგებიანია, როგორც 10%, ისე 5% სარგებლის განაკვეთის დროს.

H პროექტი ორივე საპროცენტო განაკვეთის დროს წამგებიანია და ა.შ.

ცხრილი 12.1

ინვესტიციების მომგებიანობის დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთზე

პროექტი	ჯამური ინვესტიციები პროექტში (მლნ.ლარი)	წლიური ამონაგები პროექტის ყოველ 1000 ლარზე	დანახარჯები პროექტის ყოველ 1000ლარზე 10%-ანი წლიური საპროცენტო განაკვეთის პირობებში	დანახარჯები პროექტის ყოველ 1000 ლარზე 5 %-ანი წლიური საპროცენტო განაკვეთის პირობებში	წლიური საპროცენტო განაკვეთის პირობებში წლიური წმინდა მოგება ყოველ 1000 ლარზე	წლიური საპროცენტო განაკვეთის პირობებში წლიური წმინდა მოგება ყოველ 1000 ლარზე
(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(7)
			(ლარი)	(ლარი)	10% (ლარი)	5% (ლარი)
					(6)=(3)–(4)	(7)=(3)–(5)
A	1	1500	100	50	1400	1450
B	4	220	100	50	120	170
C	10	160	100	50	60	110
D	10	130	100	50	30	80
E	5	110	100	50	10	60
F	15	90	100	50	- 10	40
G	10	60	100	50	- 40	10
H	20	40	100	50	- 60	- 10


შეეაჯამოთ ზემოთთქმული: საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას ფირმები ერთმანეთს უდარებენ ინვესტიციებზე დანახარჯებსა და მათგან მიღებულ შემოსავალს.

სხვაობა წლიურ შემოსავალსა და ინვესტიციებზე დანახარჯს შორის შეადგენს წლიურ წმინდა მოგებას. თუ ეს სხვაობა დადებითია, ინვესტიციები მიზანშეწონილია, თუ უარყოფითი — მაშინ არა.

ყურადღებით შევისწავლოთ ბოლო სეტი – 5%-ის პირობებში წლიური წმინდა მოგება. ეხედავთ, რომ 5%-ის პირობებში ფირმისთვის ხელსაყრელია ყველა 7 პროექტი A –დან G – მდე. ამიტომ ინვესტიციები განხორციელდება 55 მლნ ლარის ტოლი ოდენობით. ე.ი. 5%-ანი სარგებლის განაკვეთის დროს ინვესტიციები ტოლია 55 მლნ. ლარის.

რა მოხდება 10%-ანი საპროცენტო განაკვეთის დროს? ამ დროს მომგებიანია მხოლოდ 5 პროექტი, F და G პროექტები ამოვარდება, ინვესტიციები კი შემცირდება 30 მლნ ლარამდე.

ცხრილი 12.1–ის საფუძველზე აგებულ ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდს აქვს საფეხურების ფორმა. მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს იმ ინვესტიციების ჯამს, რომელიც განხორციელებული იქნება ამა თუ იმ საპროცენტო განაკვეთისას. მისი მნიშვნელობა გამოითვლება იმ ინვესტიციათა დაჯამებით, რომლებიც მომგებიანია თითოეული სარგებლის განაკვეთის დონისათვის. მაგალითად, 5%-იანი სარგებლის განაკვეთის დროს ინვესტიციების სასურველი დონე იქნება M წერტილში, ანუ მაშინ, როცა ინვესტიციები 55 მლნ. ლარია.




ნახ.12.1 ინვესტიციების დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთზე

3. ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილება

ჩვენ ვნახეთ, როგორ მოქმედებს სარგებლის განაკვეთი ინვესტიციების დონეზე, ანუ ძირითადი ფაქტორი, რომელიც ინვესტიციების სიდიდეს განსაზღვრავს, არის ინვესტიციების შემოსავლიანობა. იგი განისაზღვრება ზემოთ აღწერილი წესით (სარგებლის განაკვეთისა და მოგების წმინდა ნორმის საშუალებით), მაგრამ ინვესტიციების მოთხოვნის მრუდზე ზემოქმედებენ სხვა ფაქტორებიც. უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შემოსავალთან დაუკავშირებელი ფაქტორებიდან ერთ-ერთის ან რამოდენიმეს ცვლილება ინვესტიციების მრუდს მდებარეობას შეუცვლის. ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც ინვესტიციების მოსალოდნელი წმინდა შემოსავლიანობის ზრდას გამოიწვევს, ამ მრუდს მარჯვნივ წაანაცვლებს. ხოლო ყველაფერი ის, რაც ინვესტიციების მოსალოდნელი წმინდა შემოსავლიანობის შემცირებას გამოიწვევს, მოცემულ მრუდს მარცხნივ გადააადგილებს. მაგალითად, როგორც 12.2 ა) ნახაზიდან ჩანს, მშპ-ს ზრდა ინვესტიციების მრუდს მარჯვნივ და ზევით გადააადგილებს.

საწარმოთა დაბეგვრის დონის გაზრდა, პირიქით, შეამცირებს ინვესტიციების დონეს და გრაფიკს მარჯვნივ წაანაცვლებს (იხ. ნახ. 12.2 ბ).



ნახ.12.2 ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილება

და ბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია მოლოდინი. მოგების მიღების ოპტიმიზმს შეუძლია ინვესტიციების მრუდი მარჯვნივ გადააადგილოს. საწინააღმდეგო სიტუაციაა, როცა კორუმპირებულ ქვეყანაში საინვესტიციო პესიმიზმი ისადგურებს და ინვესტიციების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება.

ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს ინვესტიციათა ასეთი ცვალებადობა. სწორედ ინვესტიციებია ერთობლივი დანახარჯების ყველაზე უფრო ცვალებადი ფაქტორი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომხმარებლები ცდილობენ დროში გამოათანაბრონ მოხმარება, მაგრამ ინვესტორები ასეთ რამეს იგნორირებას უკეთებენ. საინვესტიციო ხარჯების მაღალი დონე ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის წინ იქნა შემჩნეული. ქეინსი თავის ნაშრომში „საერთო თეორია“, ამტკიცებდა, რომ საინვესტიციო ხარჯების მნიშვნელოვანი რყევები საქმიანი აქტივობის მამოძრავებელი ძალაა. ეხედავთ, რომ ინვესტიციები და მათი დინამიკა არის ყველაზე უფრო განუსაზღვრელი და მთელ რიგ ისეთ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორიცაა ახალი და გამოუცდელი პროდუქციის დანერგვის წარმატებები და ჩავარდნები; საგადასახადო და სარგებლის განაკვეთის ცვლილებები; პოლიტიკოსების აზრი სტაბილიზაციაზე; ამ პრობლემისადმი მათი მიდგომა და სხვა ცვალებადი მოვლენები ეკონომიკურ საქმიანობაში.

ჩვენ გაეცანით მაკროეკონომიკის საბაზისო ცნებებს და შევისწავლეთ ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მოხმარებასა და ინვესტიციებს, ასევე, განვიხილეთ ამ უკანასკნელთა ქცევის თავისებურებები.

შემდგომ თავებში ჩვენ შევისწავლით როგორ იმოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე ინვესტიციების, სახელმწიფო ხარჯებისა და დაბეგვრის დონეების ცვლილებები, აგრეთვე, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის პირობები. ჩვენ ვნახავთ, როგორ შეუძლია სახელმწიფოს ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საშუალებით თავიდან აიცილოს რეცესია და ბუმი. ყველა ამ ანალიზის ცენტრში იქნება მოხმარებისა და ინვესტიციების დინამიკა, რომელიც ჩვენ ახლა შევისწავლეთ.

4. დანაზოგები და ინვესტიციები

ეკონომიკაში დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინატორის როლს, ანუ დაზოგვის მსურველთა რესურსების მსესხებელთა ხელში გადამტანის როლს, ფინანსური ინსტიტუტები (ობლიგაციათა ბაზარი, აქციათა ბაზარი, ბანკები) ასრულებენ.

დანაზოგები და ინვესტიციები მშპ-ს გრძელვადიანი ზრდის მნიშვნელოვანი დეტერმინანტებია.

გავიხსენოთ, რომ მშპ (რომელსაც Y-ით აღნიშნავთ), იყოფა ხარჯების 4 კომპონენტად: მოხმარება (C), ინვესტიციები (I), სახელმწიფო შესყიდვები (G), წმინდა ექსპორტი (NX) შეგვიძლია დავწეროთ:

$$Y = C + I + G + NX$$

ჩვენი ანალიზის სიმარტივისათვის ვუშვებთ, რომ ეკონომიკა, რომელსაც შევისწავლით, ჩაკეტილია. ამიტომ NX = 0-ს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავწეროთ:

$$Y = C + I + G$$

ტოლობის ორივე მხარეს გამოვაკლოთ C და G, მივიღებთ:

$$Y - C - G = I$$

ტოლობის მარცხენა მხარე (Y - C - G) ეკონომიკის მთლიანი შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც მოხმარებისა და სახელმწიფო შესყიდვებისათვის ფულის გადახდის შემდეგ რჩება. ამ თანხას **ეროვნული დანაზოგი**, ან უბრალოდ, **დანაზოგი** ეწოდება და მას S –ით აღნიშნავთ. თუ (Y - C - G) – ის ნაცვლად S ჩავსვამთ, მივიღებთ: S = I. ეს ტოლობა იმაზე მეტყველებს, რომ დანაზოგი ინვესტიციების ტოლია.

ეროვნული დანაზოგის არსის გასაგებად კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ მის განმარტებას. T ცვლადით აღნიშნოთ მთავრობის მიერ ოჯახებიდან ამოღებული გადასახადების მთლიანი თანხისა და მთავრობის მიერ ამავე ოჯახებისათვის გადახდილი ტრანსფერტული გადასახადების მთლიანი თანხის სხვაობა. ამის შემდეგ ეროვნული დანაზოგი შეგვიძლია ორი სახით გამოვხატოთ:

$$S = Y - C - G$$

$$S = (Y - T - C) + (T - G)$$

ეს ერთი და იგივე ტოლობაა, მაგრამ ამავე დროს, ეს ორი ტოლობა ეროვნულ დანაზოგზე მსჯელობის ორ სხვადასხვა გზას გვთავაზობს. კერძოდ, მეორე ტოლობაში ეროვნული დანაზოგი ორადაა გაყოფილი: **კერძო (Y - T- C)** და **საზოგადოებრივ (T - G)** დანაზოგებად.

კერძო დანაზოგი შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც საოჯახო მეურნეობას რჩება გადასახადების გადახდისა და სამომხმარებლო ხარჯების გაღების შემდეგ.

საზოგადოებრივი დანაზოგი საგადასახადო შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც მთავრობას ხარჯების გაღების შემდეგ რჩება.

ახლა ენახოთ, როგორაა ეს იგივეობები დაკავშირებული ფინანსურ ბაზრებთან. ტოლობა S = I, ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე მეტყველებს: მთლიანად ეკონომიკისათვის დანაზოგები ინვესტიციების ტოლი უნდა იყოს. მაგრამ ეს ფაქტი რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას ბადებს: რა მექანიზმები იმალება ამ იგივეობის მიღმა? რა უზრუნველყოფს იმ ადამიანების კოორდინირებას, ვინც დაზოგვას ან ინვესტირებას აპირებს? ამ კითხვების პასუხია ფინანსური სისტემა. ობლიგაციათა ბაზარი, აქციათა ბაზარი, ბანკები და სხვა ფინანსური ბაზრები ტოლობის ორ მხარეს შორის დგანან. ისინი იღებენ ქვეყნის დანაზოგს და მას ქვეყნის ინვესტიტირებისაკენ მიმართავენ.

ტერმინები დანაზოგები და ინვესტიციები ზოგჯერ დამაბნეველია. ადამიანთა უმრავლესობა ამ ტერმინებს დაუფიქრებლად და ხშირად არასწორად იყენებს. მაგრამ მაკროეკონომისტები ამ ტერმინებს ფრთხილად და სიტუაციის შესაბამისად იყენებენ.

განვიხილოთ მაგალითი. ვთქვათ, ნიკა უფრო მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე ხარჯავს, და დაზოგილ თანხას საბანკო დეპოსიტზე დებს, ან ამ თანხით რომელიმე კორპორაციის ობლიგაციასა თუ აქციას ყიდულობს. რადგან ნიკას შემოსავალი მოხმარებაზე მეტია, მას თავისი წვლილი შეაქვს ეროვნულ დანაზოგში. ნიკამ შეიძლება იფიქროს, რომ ფულის ინვესტირე-

ბას ახდენს, მაგრამ ეს ასე არ არის. მაკროეკონომისტი ამას დაზოგვას დაარქმევდა და არა ინვესტირებას.

მაკროეკონომიკის ენაზე ინვესტირება გულისხმობს ახალი კაპიტალის, მაგალითად დანადგარისა თუ შენობის შეძენას. კახას, რომელიც ამას აკეთებს, თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის ინვესტტიციებში. ანალოგიურად, როცა საბა „კოკა-კოლას“ აქციების ნაწილს ყიდის და აქედან მიღებული სახსრებით ახალ ქარხანას აშენებს, მასაც თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის ინვესტიციებში.

მიუხედავად იმისა, რომ დანაზოგები და ინვესტიციები ერთმანეთის ტოლია მთლიანად ეკონომიკისათვის, ეს ასე არ არის ყველა საოჯახო მეურნეობისა თუ ფირმისათვის. ნიკას დანაზოგი შესაძლებელია მისსავე ინვესტიციებზე მეტი იყოს, და ნიკას შეუძლია ჭარბი თანხა ბანკში შეიტანოს. კახას, პირიქით, შესაძლოა თავისი ინვესტიციებისთვის ფული არ ეყოს და ბანკიდან ისესხოს. ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები შესაძლებელს ხდიან ინდივიდუალურ დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის განსხვავებების არსებობას იმით, რომ ერთი პირის დანაზოგს მეორე პირის ინვესტიციისათვის იყენებენ.

ახლა შევეცდებით ავხსნათ, თუ როგორ ახორციელებენ ფინანსური ბაზრები დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინიებას. ამას გარდა, ფინანსური ბაზრების მოდელი გვაძლევს იმ სხვადასხვა სამთავრობო პოლიტიკის ანალიზისათვის საჭირო ინსტრუმენტებს, რომლებიც დანაზოგებსა და ინვესტიციებზე ზემოქმედებენ.


სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ ეკონომიკაში მხოლოდ ერთი ფინანსური ბაზარი არსებობს, რომელსაც სასესხო კაპიტალის ბაზარი ეწოდება. ის, ვინც საკუთარ შემოსავალს ზოგავს, ამ ბაზარზე საკუთარი დანაზოგის დეპოზიტზე შესატანად მიდის, ხოლო ის, ვისაც სესხება სურს, ამ ბაზარზე სესხის ასაღებად მიდის. ამდენად, ტერმინი **„სასესხო ფონდები“** იმ შემოსავალს აღნიშნავს, რომლის შენახვა და გასესხებაც გადაწყვიტეს ამ თანხების მფლობელებმა. ამ ბაზარზე სარგებლის ერთი განაკეთი არსებობს, რომელიც ერთდროულად დანაზოგის უკუგებაცაა და სესხის ღირებულებაც.

სასესხო კაპიტალის ბაზარს, ყველა სხვა სახის ბაზრის მსგავსად, მართავს მიწოდება და მოთხოვნა. ამიტომ სასესხო კაპიტალის ბაზრის მოქმედების გასაგებად ჯერ ამ ბაზრის მიწოდებისა და მოთხოვნის წყაროები უნდა განვიხილოთ.

სასესხო კაპიტალის მიწოდება იმ ადამიანებისაგან მომდინარეობს, ვისაც გარკვეული დამატებითი შემოსავალი აქვს და ამ შემოსავლის დაზოგვა და გასესხება სურს. ეს გასესხება შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი გზით, მაგალითად, საოჯახო მეურნეობის მიერ ფირმის ობლიგაციის ყიდვით, ან არაპირდაპირი გზით, როდესაც საოჯახო მეურნეობა დაპოზიტს დებს ბანკში, რომელიც შემდგომ ამ დეპოზიტს სესხების გასაცემად იყენებს. ორივე შემთხვევაში სასესხო კაპიტალის მიწოდების წყარო დანაზოგებია.

სასესხო კაპიტალზე მოთხოვნას წარადგენენ ის საოჯახო მეურნეობები და ფირმები, რომელთაც ფულის სესხება სურთ ინვესტირების მიზნით. ეს მოთხოვნა იმ ოჯახებს მოიცავს, რომლებიც ახალ სახლებს ყიდულობენ, და იმ ფირმებს, რომლებიც ფულს სესხულობენ ახალი დანადგარების შეძენისა თუ ახალი ქარხნების აშენების მიზნით. ორივე შემთხვევაში სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის წყაროა ინვესტიციები.

სარგებლის განაკვეთი გამოხატავს, ერთი მხრივ, ფასს სესხის ამღების მიერ კრედიტის გამოყენებისთვის, ხოლო, მეორეს მხრივ – გამსესხებლის შემოსავალს. რადგან სარგებლის განაკვეთის ზრდის შედეგად სესხება ძვირდება, ამიტომ სასესხო კაპიტალის მოთხოვნის რაოდენობა მცირდება, მაგრამ რაც მეტია სარგებლის განაკვეთი, მით უფრო მიმზიდველია დაზოგვა. ამიტომ, როდესაც სარგებლის განაკვეთი იზრდება, სასესხო კაპიტალის მიწოდების რაოდენობაც იზრდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის მრუდი კლებადია, ხოლო სასესხო კაპიტალის მიწოდების მრუდი – ზრდადი. 12.3 ნახაზზე ნაჩვენებია სარგებლის განაკვეთი, რომლის დროსაც სასესხო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა წონასწორობაშია. ამ წონასწორობაში



ნახ. 12.3 სასესხო კაპიტალის ბაზარი

სარგებლის განაკვეთი 5 პროცენტის ტოლია, ხოლო სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის რაოდენობაცა და სასესხო კაპიტალის მიწოდების რაოდენობაც 1,2 მილიარდ ლარს შეადგენს. სარგებლის განაკვეთის თვითრეგულირებას საფუძვლად უდევს ყველა ბაზრისათვის დამახასიათებელი მიზეზები. როგორც კი გავაცნობიერებთ, რომ დაზოგვა სასესხო კაპიტალის მიწოდებას ასახავს, ინვესტიციები კი – მოთხოვნას, მაშინვე მივხვდებით, როგორ ახდენს „უხილავი ხელი“ დაზოგვისა და ინვესტირების კოორდინირებას. როდესაც სარგებლის განაკვეთი სასესხო კაპიტალის ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის გაწონასწორებისთვის თვითრეგულირდება, ის ფულის დაზოგვის მსურველთა (სასესხო კაპიტალის მიმწოდებელთა) და ინვესტირების მსურველთა (სასესხო კაპიტალის მომხმარებელთა) კოორდინირებას ახდენს.

როგორც აღვნიშნეთ, დანაზოგები ინვესტიციების ძირითადი წყაროა. მთელი ეკონომიკის მასშტაბით დანაზოგებისა და ინვესტტიციების ერთმანეთისაგან **განსხვავების მიზეზებია:**

1. ინვესტიციები და დანაზოგები სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების მიერ ხორციელდება;
2. ინვესტიციების და დაზოგვის მოტივები განსხვავდება;

3. ინვესტიციები და დანაზოგები განისაზღვრება განსხვავებული ფაქტორებით.

დანაზოგებს აკეთებენ საოჯახო მეურნეობებიც და ფირმებიც (გაუნაწილებელი მოგება). ასევე ინვესტირებას ახდენენ საოჯახო მეურნეობებიც და ფირმებიც. მაგრამ რეალურად ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტები.

საოჯახო მეურნეობების მიერ დაზოგვის მოტივებია:

1. ძვირადღირებული საქონლის შეძენა;
2. მოხუცებულობის პერიოდის უზრუნველყოფა;
3. გაუთვალისწინებელი სიტუაციებიდან დაზღვევა (ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა და ა.შ.)

ფირმების ინვესტიციების მოტივებია:

1. წმინდა მოგების ნორმის მაქსიმიზაცია;
2. რეალური საპროცენტო განაკვეთი – ინვესტირებისათვის საჭირო ფულადი კაპიტალის შეძენის ფასი, რომელიც გაითვალისწინება ინვესტიციების გეგმის შედგენისას.

მოხმარების და დაზოგვის დინამიკის განმსაზღვრელი ფაქტორებია:

1. საოჯახო მეურნეობების შემოსავალი;
2. ოჯახის მიერ დაგროვილი სიმდიდრე;
3. ფასების დონე;
4. ეკონომიკური მოლოდინი;
5. საგადასახადო განაკვეთების დონე.

ინვესტიციების დინამიკის განმსაზღვრელი ფაქტორებია:

1. წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა;
2. რეალური საპროცენტო განაკვეთი;
3. საგადასახადო განაკვეთების დონე;
4. ცვლილებები წარმოების ტექნოლოგიაში;
5. ძირითადი კაპიტალი;
6. ეკონომიკური მოლოდინი;
7. ერთობლივი შემოსავლის დინამიკა.

ჩვენ უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ, რადგანაც დაზოგვისა და ინვესტირების სუბიექტები არსებითად სხვადასხვა

ჯგუფებია და განსხვავებული მოტივები გააჩნიათ, ამიტომ დანაზოგებისა და ინვესტირების სიდიდეები შეიძლება განსხვავდებოდნენ. მაგრამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მეორე მხრივ, დანახარჯები და ინვესტიციები ყოველთვის ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს. დანაზოგებისა და ინვესტიციების ტოლობას შორის ასეთი აშკარა წინააღმდეგობა გადაიჭრება, თუ ჩვენ გავმიჯნავთ **დაგეგმილ ინვესტიციებს** და დანაზოგებს (რომლებიც ტოლი არ უნდა იყვნენ) და **ფაქტობრივ ინვესტიციებს** და დანაზოგებს (რომლებიც ტოლი უნდა იყვნენ). მართლაც **ფაქტობრივი ინვესტიციები მოიცავენ როგორც დაგეგმილ, ისე დაუგეგმავ ინვესტიციებს (ინვესტიციების გაუთვალისწინებელი ცვლილებები საქონლურ-მატერიალურ მარაგებში); გაუთვალისწინებელი ინვესტიციები ფუნქციონირებენ როგორც გამაწონასწორებელი ელემენტები, რომელთაც მუდამ შესაბამისობაში მოჰყავთ დანაზოგებისა და ინვესტიციების ფაქტობრივი სიდიდეები დროის ნებისმიერ პერიოდში.** როცა დანაზოგი სჭარბობს დაგეგმილ ინვესტიციებს, ფაქტობრივი ინვესტიციები და დანაზოგები ერთმანეთის ტოლია საქონლურ-მატერიალური მარაგების გაუთვალისწინებელი ნამატის გამო განიხილება როგორც ფაქტობრივი ინვესტიციების ნაწილი. როცა დაგეგმილი ინვესტიციები სჭარბობს დანაზოგებს, ფაქტობრივი ინვესტიციები დანაზოგების ტოლი იქნება გაუთვალისწინებელი საქონლურ-მატერიალური მარაგის შემცირების გამო, რომლის სიდიდე უნდა გამოვაკლოთ დაგეგმილ ინვესტიციებს ფაქტობრივი ინვესტიციების მისაღებად.

ეს გამიჯვნა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ **სწორედ დაგეგმილი ინვესტიციებისა და დანაზოგების ტოლობა განსაზღვრავს წეპ-ის წონასწორობით დონეს.** ასეთი წონასწორობის ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

1. სხვაობა დანაზოგებსა და დაგეგმილ ინვესტიციებს შორის წარმოშობს განსხვავებას წარმოების გეგმებსა და დანახარჯების გეგმებს შორის მთლიანად ეკონომიკაში;

2. სხვაობა ერთობლივი წარმოების გეგმასა და დანახარჯების გეგმებს შორის იწვევს გაუთვალისწინებელ ინვესტიცი-

ებს ანუ ინვესტიციების შეკვეცას საქონლურ-მატერიალურ მარაგებში;

3. ვიდრე შენარჩუნებული იქნება გაუთვალისწინებელი ინვესტიციების ზრდის ტენდენცია საქონლურ-მატერიალურ მარაგებში, მეწარმეები გადასინჯავენ წარმოების გეგმებს შემცირების მიმართულებით, რის გამოც შემცირდება წეპ. და პირიქით, ვიდრე იარსებებს ინვესტიციების გაუთვალისწინებელი შემცირება საქონლურ-მატერიალურ მარაგებში, ფირმები გადასინჯავენ წარმოების გეგმებს მისი გაფართოების მიმართულებით, რაც წეპ-ის გადიდებას გამოიწვევს. წეპ-ის ცვლილების ორივე სახე მიმართულია წონასწორობის დადგენისაკენ იმ გაგებით, რომ ისინი ამყარებენ ტოლობას დაგეგმილ ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის.

4. მხოლოდ მაშინ, როცა დაგეგმილი ინვესტიციები და დანაზოგები ტოლია, წეპ-ის დონე სტაბილური, ანუ წონასწორობითი იქნება. ე.ი. მხოლოდ იქ, სადაც დაგეგმილი ინვესტიციები დანაზოგების ტოლია, გაუთვალისწინებელ ინვესტიციებს საქონლურ-მატერიალურ მარაგებში ან ამ უკანასკნელის სიდიდის შემცირებას (რაც გამოიწვევდა წეპ-ის ზრდას ან მატებას) ადგილი არ ექნება.

თუკი დაზოგვა ინვესტიციების ძირითადი წყაროა, ხოლო ინვესტიციები კი — ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ რაც უფრო მეტი დაიზოგება, მით უკეთესია. მაგრამ ეკონომიკაში არსებობს ასეთი ცნება „მომჭირნეობის პარადოქსი“. პარადოქსი ისაა, რომ საზოგადოების მცდელობამ მეტის დაზოგვის შესახებ, ფაქტობრივად შეიძლება დანაზოგის იგივე ან ნაკლები დონეც კი გამოიწვიოს.

დაზოგვა, რომელსაც საზოგადოებაში ყოველთვის დიდი პატივისცემით ეპყრობიან, შეიძლება სოციალური ბოროტებაც გახდეს. ინდივიდის თვალსაზრისით დაზოგილი ლარი გამოუმუშავებული ლარია საზოგადოების თვალსაზრისით, დაზოგილი ლარი ჯერ კიდევ დაუხარჯავია, და შესაბამისად, იგი ეკონომიკის შემოსავალს ამცირებს. დანაზოგი შეიძლება სიკეთეს წარმოადგენდეს ინდივიდის თვალსაზრისით, მაგრამ შეიძლება

უბედურებად იქცეს საზოგადოებაზე არასასურველი ზემოქმედების გამო.


თუ პარადოქსი არა, სულ ცოტა კურიოზი მაინცაა ის, რომ საოჯახო მეურნეობებში ჩნდება მეტის დაზოგვის (ნაკლების მოხმარების) მნიშვნელოვანი სტიმულები სწორედ იმ დროს, როცა დანაზოგების ზრდა ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელი და ეკონომიკურად არასასურველია. როცა ეკონომიკა წარმოების დაცემის სტადიაში შედის, ინდივიდს, რომელსაც სამუშაოს დაკარგვის ეშინია, საეჭვოა გართობისათვის ფულის ხარჯვის გაგრძელების სურვილი ჰქონდეს. ამ სცენარში დიდი დანაზოგებისაკენ ლტოლვა წარმოების მოსალოდნელ დაცემას რეალობად აქცევს.

მოხმარებისა და დაზოგვის სიდიდეები შედარებით სტაბილურია იმ პირობებში, როცა სახელმწიფო არ ატარებს სპეციალურ ღონისძიებებს მათ შესაცვლელად, მათ შორის საგადასახადო სისტემის მეშვეობით. ამ სიდიდეების სტაბილურობა დაკავშირებულია იმ მომენტთან, რომ საოჯახო მეურნეობების გადაწყვეტილებებზე „მოიხმარონ“, თუ „დაზოგონ“, ზემოქმედებენ შესაბამისი ტრადიციები. ამასთან ის ფაქტორები, რომლებიც შემოსავალთან არ არიან დაკავშირებული და ზემოქმედებენ მოხმარებასა და დაზოგვაზე, მრავალფეროვანია და მათი ზემოქმედება ხშირად ერთმანეთს აწონასწორებს ან ერთმანეთს აბათილებს.

ამერიკელები თავიანთი დანაზოგების უფრო მცირე ნაწილს აბანდებენ, ვიდრე, მაგალითად, გერმანელები და იაპონელები. მიუხედავად იმისა, რომ დანაზოგებს შორის ასეთი განსხვავების არსებობის მიზეზები ჯერ კიდევ უცნობია, შეერთებული შტატების ბევრ პოლიტიკოსს ამერიკელთა მიერ დაზოგვის ასეთი დაბალი დონე უმთავრეს პრობლემად მიაჩნია. საქმე ის არის, რომ ქვეყნის ცხოვრების დონე დამოკიდებულია ამ ქვეყნის უნარზე, აწარმოოს საქონელი და მომსახურება, ხოლო დანაზოგების სიდიდე ქვეყნის მწარმოებლურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია გრძელვადიან პერიოდში. თუ შეერთებული შტატები რაიმე გზით შეძლებს დანაზოგების რა-

ოდენობის გაზრდას სხვა ქვეყნებში არსებულ დონემდე, მისი მშპ-ს ზრდის ტემპი გაიზრდება და გარკვეული დროის შემდეგ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეც უფრო მაღალი გახდება.

კიდევ ერთი პრინციპი ეკონომიკის პრინციპებიდან ის არის, რომ ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ. ამ პრინციპს ბევრი ეკონომისტი იყენებს იმის დასასაბუთებლად, რომ დაზოგვის დაბალი დონე, თუნდაც ნაწილობრივ, შედეგია ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობისა, რომელიც დაზოგვის სტიმულებს ამცირებს. შეერთებული შტატების მთავრობა გადასახადს კრეფს ყველანაირი შემოსავლიდან, სარგებლისა და დივიდენდების ჩათვლით. სარგებელზე დაწესებული გადასახადი მნიშვნელოვნად ამცირებს მიმდინარე დანაზოგის სამომავლო უკუგებას და დაზოგვის სტიმულსაც ამცირებს.



ნახ.12.4 დაზოგვის სტიმულების ზემოქმედება სასესხო კაპიტალის მიწოდებაზე

ამ პრობლემის გადასაწყვეტად, ბევრი ეკონომისტისა და პოლიტიკოსის აზრით, უნდა შეიცვალოს საგადასახადო კოდექსი, რაც დაზოგვის სტიმულებს გაზრდის. მაგალითად, ერთ-ერთი შემოთავაზება გულისხმობს ზოგიერთი ტიპის ანგარიშების-

თვის, მაგალითად, საპენსიო ანგარიშებისთვის, განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას, რაც ადამიანებს საშუალებას მისცემს, დაბეგვრისაგან დაიცვან დანაზოგების გარკვეული ნაწილი. განვიხილოთ დაზოგვის ასეთი სტიმულის ზეგავლენა სასესხო კაპიტალის ბაზარზე, რაც 12. 4 ნახაზზეა ნაჩვენები.

ამ პოლიტიკას სამ საფეხურად გავაანალიზებთ.

ჯერ ვნახოთ, რომელ მრუდზე იმოქმედებს ასეთი პოლიტიკა. ვინაიდან სარგებლის თითოეული მოცემული განაკვეთისას გადასახადის ცვლილება შეცვლის საოჯახო მეურნეობების დაზოგვის სტიმულებს, ეს პოლიტიკა სასესხო კაპიტალის მიწოდების რაოდენობას შეცვლის. ამიტომ გადაადგილდება სასესხო კაპიტალის მიწოდების მრუდი. ვინაიდან გადასახადის ეს ცვლილება პირდაპირ არ იმოქმედებს იმ თანხაზე, რომლის სესხებაც სურთ მსესხებლებს სარგებლის თითოეული მოცემული განაკვეთისას, სასესხო კაპიტალზე მოთხოვნა უცვლელი დარჩება.

ამის შემდეგ ვნახოთ, რა მიმართულებით გადაადგილდება მიწოდების მრუდი. ვინაიდან ამ პოლიტიკის პირობებში დანაზოგები ნაკლებად დაიბეგრება, ვიდრე მიმდინარე საგადასახადო პოლიტიკის პირობებში, საოჯახო მეურნეობები გაზრდიან საკუთარ დანაზოგებს შემოსავლის უფრო მცირე ნაწილის მოხმარების გზით. ამ დამატებითი დანაზოგებით საოჯახო მეურნეობები თავიანთ საბანკო დეპოზიტებს გაზრდიან ან მეტ ობლიგაციებს იყიდიან, ამიტომ სასესხო კაპიტალის მიწოდება გაიზრდება და მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ, S_1-დან S_2-მდე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.

საბოლოოდ, შეგვიძლია შევადაროთ ძველი და ახალი წონასწორობები. ამ ნახაზზე სასესხო კაპიტალის მიწოდების გაზრდა სარგებლის განაკვეთს 5-დან 4 პროცენტამდე ამცირებს. სარგებლის განაკვეთის შემცირება კი იწვევს სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის რაოდენობის გაზრდას 1,2-დან 1,6 მილიარდ ლარამდე. ესე იგი, მიწოდების მრუდის გადაადგილება იწვევს საბაზრო წონასწორობის გადაადგილებას მოთხოვნის მრუდის გასწვრივ. ვინაიდან სესხების ღირებულება მცირდება, საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს საკმარისი მოტივები უჩ-

ნდებათ უფრო მეტი ინვესტიციების დაფინანსებისთვის. ამრიგად, თუ საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლა დაზოგვის სტიმულებს გაზრდის, შედეგად სარგებლის განაკვეთი შემცირდება, ხოლო ინვესტირების დონე გაიზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ დაზოგვის ზრდის შედეგების ეს ანალიზი ფართოდაა მიღებული ეკონომისტებს შორის, ჯერ კიდევ არ არსებობს თანხმობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის საგადასახადო ცვლილებებია საჭირო. მრავალი ეკონომისტი მხარს უჭერს დაზოგვის გაზრდისაკენ მიმართულ საგადასახადო რეფორმას, რომელიც ხელს შეუწყობდა ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას. მაგრამ არსებობენ ისეთი ეკონომისტებიც, რომლებიც არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ასეთი პოლიტიკა დიდად იმოქმედებს დაზოგვის რაოდენობაზე. ამ სკეპტიკოსებს შემოთავაზებული რეფორმის სამართლიანობაშიც ეპარებათ ეჭვი. ისინი ამტკიცებენ, რომ საგადასახადო ცვლილებებიდან სარგებლობას ძირითადად მდიდრები მიიღებენ, რომელთაც გადასახადების შემცირება ყველაზე ნაკლებად სჭირდებათ.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის ინვესტიციები?
2. ჩამოთვალეთ ინვესტიციების ფაქტორები.
3. რას ასახავს ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი?
4. ახსენით ყველაზე მარტივად როგორ შევაფასოთ საინვესტიციო პროექტი.
5. რა იწვევს ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას?
6. რატომ არის ინვესტიციები ერთობლივი ხარჯების ყველაზე ცვალებადი ელემენტი?
7. განმარტეთ კერძო დანაზოგი, საზოგადოებრივი დანაზოგი, ეროვნული დანაზოგი. როგორაა ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული?
8. რა არის დაზოგვის პარადოქსი?

ტესტები

1. ინვესტიციების მოცულობაზე გაავლენას ახდენს:
ა. საპროცენტო განაკვეთის დონე;
ბ. მეწარმეთა ოპტიმისტური ან პესიმისტური მოლოდინი;
გ. ტექნოლოგიური ცვლილებების დონე;
დ. საწარმოო მოწყობილობის დატვირთვის დონე;
ე. ყველა წინა პასუხი სწორია.

2. თუ რეალური საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, მაშინ:
ა. ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ;
ბ. ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ;
გ. ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი ზევით გადაინაცვლებს;
დ. საინვესტიციო ხარჯები შემცირდება;
ე. ყველა წინა პასუხი არასწორია.

3. ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი არ ასტიმულირებს ინვესტიციებზე მოთხოვნას?
ა. მოწყობილობათა მიმდინარე რემონტზე, ტექნიკურ მომსახურებაზე დანახარჯების ზრდა.
ბ. ტექნიკური პროგრესი.
გ. დარგის პროდუქციაზე მოთხოვნის მოსალოდნელი ზრდა.
დ. საწარმოო სიმძლავრეების შედარებითი უკმარისობა.
ე. მოგების გადასახადის შემცირება.

სავარჯიშოები

1. ახსენით განსხვავება დაზოგვასა და ინვესტირებას შორის მაკროეკონომიკური თვალსაზრისით. ქვემოთ მოყვანილი სიტუაციებიდან, რომელია ინვესტირება? დაზოგვა? ახსენით.
ა. თქვენი ოჯახი ახალ სახლს ყიდულობს.

ბ. თქვენ იყენებთ თქვენს 200 ლარიან ჩეკს და ყიდულობთ კომპანიის აქციას.

გ. თქვენი მეზობელი იღებს 100 ლარს და დებს საბანკო დეპოზიტზე.

დ. ბანკიდან სესხულობთ თანხას და ყიდულობთ ახალ მანქანას, რომელსაც პიცის მიმტანად მუშაობის დროს გამოიყენებთ.

2. დავუშვათ მშპ 8 ტრილიონი ლარია. გადასახადები – 1,5 ტრილიონი, კერძო დანაზოგები – 0,5 ტრილიონი, ხოლო საზოგადოებრივი დანაზოგი – 0,2 ტრილიონი. ამ მონაცემებით გამოიანგარიშეთ მოხმარება, სახელმწიფო შესყიდვები, ეროვნული დანაზოგი და ინვესტიციები დახურული ეკონომიკისათვის.

3. მომგებიანი იქნება თუ არა ინვესტიციები, თუ მათგან წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა შეადგენს 20%-ს, სარგებლის ნომინალური განაკვეთი 22%-ს, ხოლო ინფლაციის ტემპი ეკონომიკაში – 15%-ს?

თემა XIII. ფისკალური პოლიტიკა

1. ფისკალური პოლიტიკის არსი და სახეები

ფისკალური პოლიტიკა არის მაკროეკონომიკის შემადგენელი ნაწილი და გულისხმობს სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების მართვის პოლიტიკას. ფისკალური პოლიტიკის მიზანია ეკონომიკის სტაბილიზაცია (დასაქმების და წარმოების ზრდა, ინფლაციის შეჩერება). ცვლილებები სახელმწიფო შემოსავლებსა და ხარჯებში, როგორც წესი, ხორციელდება უპირატესად საგადასახადო სისტემისა და სახელმწიფო ხარჯების სათანადო სტრუქტურული რეგულირებით.

საგადასახადო კოდექსის ცვლილებანი სახელმწიფო შემოსავლების ცვლილებებს იწვევს, ხოლო საგეგმო პერიოდისათვის მოსალოდნელი სახელმწიფო შემოსავლების წყაროთა და დაგეგმილი ხარჯების მიზანთა ჩამონათვალი სახელმწიფო ბიუჯეტს ქმნის. ამიტომ ფისკალურ პოლიტიკას ხშირად საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკასაც უწოდებენ. სიტყვა ფისკალური უკავშირდება ლათინური წარმოშობის სიტყვას – „Fiscus“ და ნიშნავს სახელმწიფო ხაზინას.

ფისკალური პოლიტიკა მართალია პანაცეა არ არის, მაგრამ ნებისმიერი ეკონომიკური პროგრამის შემადგენელი აუცილებელი ელემენტია და ყველა მთავრობა აუცილებლად ატარებს ფისკალურ პოლიტიკას, იმისგან დამოუკიდებლად, აცნობიერებს თუ არა მას. ამიტომ აუცილებელია რომ ეს პოლიტიკა იყოს კონსტრუქციული და თანმიმდევრული, ანუ წინასწარ განზრახული და ავტომატური.

არსებობს დისკრეტული და ავტომატური ფისკალური პოლიტიკა.

პირველ რიგში განვიხილოთ **დისკრეტული** ანუ **წინასწარ-განზრახული ფისკალური პოლიტიკა.**

1. დისკრეტული ფისკალური პოლიტიკა არის მთავრობის მიერ გადასახადებით და სამთავრობო ხარჯებით შეგნებული მანიპულირება ეროვნული წარმოების რეალური მოცულობისა და და-

საქმების შეცვლის, ინფლაციაზე კონტროლის და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით.

ეკონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფო ატარებს დისკრეტულ ფისკალურ პოლიტიკას, რომელიც ორი სახისაა: **მასტიმულირებელი და შემაჩერებელი.**

დაქვეითების პერიოდში დღის წესრიგში დგება საკითხი **მასტიმულირებელი ფისკალური** პოლიტიკის შესახებ.

მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა მოიცავს:

1. სახელმწიფო ხარჯების ზრდას;
2. გადასახადების შემცირებას ან
3. ორივე პუნქტის შეხამებას.

თუ გიგარაუდებთ, რომ ამოსავალ პუნქტში ადგილი აქვს დაბალანსებულ ბიუჯეტს (შემოსავალი = გასავალს) მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა უნდა მოძრაობდეს სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტისაკენ დაცემის ან დეპრესიის პერიოდში.

თუ ეკონომიკაში ადგილი აქვს ჭარბი მოთხოვნით გამოწვეულ ინფლაციას, ასეთ შემთხვევას შეესაბამება შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა.

შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა მოიცავს:

1. სამთავრობო ხარჯების შემცირებას,
2. გადასახადების ზრდას, ან ორივეს შეხამებას.

შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს სამთავრობო ბიუჯეტის დადებით სალდოზე, თუ კი ეკონომიკის წინაშე დგას ინფლაციაზე კონტროლის პრობლემა.

როგორც აღვნიშნეთ მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის გატარებისას მთავრობა მიმართავს ისეთ ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს ბიუჯეტის ხარჯების გადამეტებას შემოსავალზე, ე.ი. ბიუჯეტის დეფიციტის წარმოქმნას (ან თუ იგი ფისკალური პოლიტიკის გატარებამდეც არსებობდა, –გაღრმავებას).


სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არის ქრონიკული სენი, რომლითაც დაავადებულია საქართველოს ეკონომიკა და იგი ჩვენი მთავრობის თავსატეხს წარმოადგენს. თუმცა ეს სენი პრაქტიკულად ნებისმიერ ქვეყანას შეიძლება შეეყაროს.

სახელმწიფო ბიუჯეტის მოცემული დეფიციტის პირობებში ეკონომიკაზე მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედების მნიშვნელობა დამოკიდებულია დეფიციტის დაფინანსების მეთოდებზე. იმ შემთხვევაში, თუკი მთავრობა მიმართავს მასტიმულირებელ ფისკალურ ღონისძიებებს, ამის საფუძველზე წარმოქმნილი ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა შეუძლია ორი გზით:

1. მოსახლეობისაგან სესხის აღების გზით (მოსახლეობაში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის გზით)

2. ახალი ფულის გამოშვებით.

თუ მთავრობა მოსახლეობისაგან სესხებს იღებს მას არასასიამოვნო სიურპრიზი ელის ფინანსური აქტივების ბაზრის მხრიდან, კერძოდ მცირდება ფინანსური აქტივების მიწოდება, რომელიც საჭიროა საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების მიერ ახალი ინვესტიციების დასაფინანსებლად. იხ. ნახ. 13.1.



ნახ. 13.1. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეფექტი.

მოსახლეობისაგან აღებული სესხების ზრდა ფინანსური აქტივების მიწოდების მრუდს წაანაცვლებს მარცხნივ (S_1 დან S_2-ში). რადგანაც სახელმწიფოს მიერ სესხის აღება ამ შემთხვევაში გულისხმობს სახსრების მოზიდვას საოჯახო მეურნეობის სექტორიდან. ეს სახსრები კი ავტომატურად აკლდება ფი-

ნანსური აქტივების ბაზარს, რაც ამ ბაზარზე ამცირებს მიწოდებას და ზრდის საპროცენტო განაკვეთს. რაც იწვევს ინვესტირების სურვილის შემცირებას კერძო სექტორში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ რომ თუ ბიუჯეტს მთავრობა აფინანსებს მოსახლეობიდან სესხის ზრდის ხარჯზე, ამით იგი იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას ფინანსურ ბაზარზე და კერძო ინვესტიციათა სიდიდის შემცირებას, ამის შედეგად კი მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის ღონისძიებანი ხშირად მხოლოდ ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ აღწევს დასახულ მიზანს, ან შესაძლოა სულაც ანელებდეს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

მთავრობის მიერ მოსახლეობიდან სესხის აღების შედეგად კერძო საინვესტიციო აქტივობის შემცირებას **განდევნის** ან **გამოძევების** ეფექტს უწოდებენ.

ფულის შექმნა. თუ დეფიციტური ბიუჯეტის სახელმწიფო ხარჯები ახალი ფულის გამოშვების ხარჯზე ფინანსდება, კერძო ინვესტიციების განდევნა-ამოგდება შეიძლება თავიდან ავიცილოთ. მთავრობის ხარჯები შეიძლება ისე გავზარდოთ, რომ დამღუპველი ზემოქმედება არ მოვახდინოთ ინვესტიციებზე.

ამრიგად ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ახალი ფულის შექმნა თავისი ხასიათით დეფიციტური ხარჯების დაფინანსების უფრო მასტიმულირებელ საშუალებას წარმოადგენს სესხების გაფართოებასთან შედარებით.

ჭარბი მოთხოვნით გამოწვეული ინფლაცია შემაკავებელ ფისკალურ ქმედებებს საჭიროებს, რომელთაც შეუძლიათ ბიუჯეტური ნამატის (შემოსავლების გადაჭარბება ხარჯებზე) ჩამოყალიბება. მაგრამ ასეთი ნამატის ანტიინფლაციური ეფექტი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს მას მთავრობა.

შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფოს შეუძლია:

1. სესხის დაფარვა

2. მიმოქცევიდან დაუსაქონლებელი ფულადი მასის ამოღება.

1. **სესხის დაფარვა**, თუ მთავრობა მოსახლეობისაგან ადრე აღებული სესხების დაფარვას იწყებს, ბიუჯეტური ნამატის ან-

ტიინფლაციური ზემოქმედება რამდენადმე მცირდება. რადგან მთავრობა ამ ღონისძიებით საგადასახადო შემოსულობების ნაწილს უკან აბრუნებს ფულის ბაზარზე. ეს იწვევს სარგებლის განაკვეთის შემცირებას, რაც სტიმულს აძლევს ინვესტიციებს და მოხმარებას.

2. **მიმოქცევიდან დაუსაქონლებელი ფულადი მასის ამოღება.** მეორეს მხრივ მთავრობას შეუძლია თავისი ბიუჯეტური ნამატის დიდ ანტიინფლაციურ ზემოქმედებას მიაღწიოს ამ ნამატი თანხის უბრალოდ ამოღებით და მათი შემდგომი ნებისმიერი გამოყენების შეჩერებით. შედეგად აღარ იქნება არავითარი შანსი, რომ ნამატის ეს ამოღებული თანხა ინფლაციურ ზემოქმედებას მოახდენს, ნამატის როგორც ასეთის დეფლაციური გავლენის საწინააღმდეგოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიუჯეტის ნამატის მთლიანი ამოღება უფრო შემავსებელი ღონისძიებაა, ვიდრე ამ ნამატის გამოყენება მოსახლეობისაგან აღებული სესხების დასაფარავად.

2. ავტომატური ფისკალური პოლიტიკა. დისკრეტული ფისკალური პოლიტიკის გარდა არსებობს ავტომატური ფისკალური პოლიტიკა, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე და მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის კანონებს ემორჩილება.

ავტომატური სტაბილიზატორები ფისკალური პოლიტიკის ნებისმიერი ღონისძიებებია, რომლებსაც გააჩნიათ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდის (ან მისი დადებითი სალდოს შემცირების) ტენდენცია დაცემის პერიოდში და მისი დადებითი სალდოს გაზრდის (ან ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების) ტენდენცია ინფლაციის პერიოდში, პოლიტიკოსების მიერ ყოველგვარი წინასწარი ზომების მიღების გარეშე.

ავტომატური, ანუ ჩაშენებული სტაბილიზატორების როლს ასრულებენ:

1. საგადასახადო სისტემა. ყველაზე მნიშვნელოვანი ავტომატური სტაბილიზატორია საგადასახადო სისტემა. როდესაც ეკონომიკა რეცესიას განიცდის, მთავრობის მიერ აკრეფილი გადასახადების რაოდენობა ავტომატურად მცირდება, ვინაიდან

თითქმის ყველა გადასახადი მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი, ხელფასის გადასახადი და კორპორაციის საშემოსავლო გადასახადები შესაბამისად დამოკიდებულია საოჯახო მეურნეობების შემოსავლებზე, მშრომელთა ხელფასებზე და ფირმების მოგებაზე. რადგან რეცესიის დროს შემოსავლებიც, ხელფასებიც და მოგებაც მცირდება, ამიტომ მთავრობის საგადასახადო შემოსულობანიც მცირდება. გადასახადების ასეთი ავტომატური შემცირება იწვევს ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური მერყეობის სიდიდის შემცირებას.

ტრანსფერტულ გადასახადებს საწინააღმდეგო მოქმედება ახასიათებთ. უმუშევართა სუბსიდიები, ღარიბთა დახმარებები, ფერმერების სუბსიდიები და ა.შ. მცირდება ეკონომიკური აღმაველობის დროს და იზრდება დაცემის პერიოდში.

2. სამთავრობო ხარჯები. ავტომატური სტაბილიზატორის როლს ასრულებს აგრეთვე სამთაერობო ხარჯებიც. კერძოდ, როდესაც ეკონომიკა რეცესიას განიცდის და მშრომელები სამუშაო ადგილებს კარგავენ, ადამიანთა მეტი რაოდენობა იღებს სარგებლობას უმუშევრობის დაზღვევისაგან, სოციალური უზრუნველყოფისაგან და სხვა სახის სოციალური პროგრამებისაგან. სახელმწიფო ხარჯების ეს ავტომატური ზრდა იწვევს ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას სწორედ იმ დროს, როცა ერთობლივი მოთხოვნა არ არის საკმარისი იმისათვის რომ სრული დასაქმება შეინარჩუნოს. სწორედ იმიტომ უჭერენ ეკონომისტები უმუშევრობის დაზღვევის პროგრამას მხარს, რომ ამ პოლიტიკას ავტომატური სტაბილიზატორის ძალა აქვს.

ეკონომიკურად ისეთ ძლიერ ქვეყანაში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, ავტომატური სტაბილიზატორები ისე ძლიერი არაა, რომ რეცესიების შესაძლებლობა სრულად აღმოფხვრან. ამის მიუხედავად, ამ ავტომატური სტაბილიზატორების გარეშე პროდუქციის მოცულობა და დასაქმება, ალბათ დღეანდელზე უფრო ცვალებადი იქნებოდა.

როდესაც ეკონომიკაში რეცესია იწყება გადასახადები მცირდება, სახელმწიფო ხარჯები იზრდება და მთავრობის ბიუ-

ჯეტი დეფიციტის მიმართულებით მოძრაობს. თუ მთავრობა შეეცდება მუდმივად ბიუჯეტის დაბალანსებას, ის იძულებული იქნებოდა მოეძებნა რეცესიის დროს შემოსავლის გაზრდის და ხარჯების შემცირებისათვის საჭირო გზები. ე.ი.ბიუჯეტის ზუსტი ბალანსის წესი აღმოფხვრიდა ავტომატურ სტაბილიზატორებს, რომელიც დღეს არსებობს გადასახადებისა და ხარჯების სისტემაში.

2. ფისკალური პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა

სამწუხაროდ დიდი განსხვავება არსებობს თეორიულ ფისკალურ პოლიტიკასა და პრაქტიკაში ფისკალურ პოლიტიკას შორის. ამიტომ მიზანშეწონილია ფისკალური პოლიტიკის განხორციელების პროცესში აღმოცენებული პრობლემების განხილვა.

1. მთავარი განსხვავება თეორიულ და პრაქტიკულ ფისკალურ პოლიტიკას შორის არის **დროის ფაქტორი.** დროის მონაკვეთის სწორი შერჩევა ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის ამ პოლიტიკის წარმატების ან მარცხის საწინდარია. ეკონომისტები აღიარებენ, რომ ფისკალურ პოლიტიკას, თეორიულად, შეუძლია ეკონომიკის სტაბილიზაცია, მაგრამ ამის პრაქტიკულ განხორციელებაში ეჭვი ეპარებათ. რადგან პრაქტიკაში რეალურად არსებობს განსხვავება დროში-ეკონომიკური პრობლემების წარმოშობას, მის გააზრებას, სათანადო ღონისძიებების დასახვას, გადაწყვეტილების მიღებას და მათ ცხოვრებაში გატარებას შორის. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფისკალურ პოლიტიკას უფრო ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება შეუძლია, ვიდრე მისი სტაბილიზაცია.

2. **პოლიტიკური პრობლემები.** ფისკალური პოლიტიკა ყალიბდება პოლიტიკურ სფეროში და ეს მნიშვნელოვნად აძნელებს მის გამოყენებას ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის. ეკონომიკური სტაბილურობა მთავრობის ერთადერთი მიზანი არ არის. მთავრობა ჩართულია აგრეთვე საერთო მოხმარების საქონლით და მომსახურებით უზრუნველყოფის და შემოსაელე-

ბის განაწილების ამოცანების გადაწყვეტაში. მაგ. ომის დროს ფასების სტაბილურობის შენარჩუნებასთან შედარებით უფრო პრიორიტეტული მიზანია სამთავრობო ხარჯების ზრდა სამხედრო დანიშნულების საქონელზე რაც იწვევს ინფლაციას.

ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ მთავრობას პოლიტიკურად უფრო მიმზიდველად მიაჩნია ბიუჯეტის დეფიციტი, ხოლო ბიუჯეტური ნამეტები პოლიტიკურ პლანში მტკივნეულად აღიქმება რადგან მეტად პოპულარულია გადასახადების შემცირება, ისევე როგორც სახელმწიფო ხარჯების ზრდა.

ფისკალურ პოლიტიკაში დამატებითი სიძნელეები აღმოცენდება მაშინ, როცა მხედველობაში ვიღებთ იმ გარემოებას, რომ ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის ნაწილია.

საზღვარგარეთ ფესვგადგმული შოკები. დავუშვათ ჩვენი ეკონომიკა არის დაცემის ფაზაში და ჩვენ ვატარებთ მასტიმულირებელ ფისკალურ პოლიტიკას. ვამცირებთ გადასახადებს და ვზრდით სამთავრობო ხარჯებს იმ ზომამდე, რომ გავზარდოთ წმინდა ეროვნული პროდუქტი ინფლაციის გარეშე, ამ დროს ჩვენს საეჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკა მოულოდნელად და ენერგიულად იწყებს ზრდას. ამ ქვეყნებში გაიზრდება დასაქმებაც და შემოსავლებიც. ე.ი, გაიზრდება ჩვენი ქვეყნის საქონლის გაყიდვებიც. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის წმინდა ექსპორტი *NX* იზრდება, შესაბამისად ძალზე სწრაფად იზრდება ერთობლივი მოთხოვნა და ჩვენ ვაწყდებით ინფლაციის პრობლემას. თუ ჩვენ გვეცოდინებოდა, რომ ჩვენი წმინდა ექსპორტი *NX* გაიზრდებოდა და თანაც ასე სწრაფად, უფრო ნაკლებად მასტიმულირებელ ფისკალურ პოლიტიკას გავატარებდით.

წმინდა ექსპორტის ეფექტი. წმინდა ექსპორტის ეფექტი მოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობის მეშვეობით და ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობას საკმაოდ ზრდის.

წმინდა ექსპორტის ეფექტი შეიძლება გავაანალიზოთ ცხრილის სახით მოცემული მოვლენების თანმიმდევრობაში (იხ. ცხრილი 13.1).

ფისკალური პოლიტიკა და წმინდა ექსპორტის ზემოქმედება

მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა	შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა
↓	↓
პრობლემა: დაქვეითება, ნელი ზრდა	პრობლემა: ინფლაცია
↓	↓
მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა	შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა
↓	↓
სარგებლის უფრო მაღალი საშინაო განაკვეთი	სარგებლის უფრო დაბალი საშინაო განაკვეთი
↓	↓
საგარეო მზარდი მოთხოვნა დოლარზე	საგარეო მოთხოვნის დაქვეითება დოლარზე
↓	↓
დოლარის გაძვირება	დოლარის გაუფასურება
↓	↓
წმინდა ექსპორტის NX-ის შემცირება (ერთობლივი მოთხოვნა ეცემა, ნაწილობრივ ეწინააღმდეგება რა მასტიმულირებელ ზემოქმედებას)	წმინდა ექსპორტის NX -ის გადიდება (ერთობლივი მოთხოვნა იზრდება, ნაწილობრივ ეწინააღმდეგება რა შემაკავებელ ფისკალურ პოლიტიკას)

ვიგულისხმოთ, რომ ვატარებთ მასტიმულირებელ ფისკალურ პოლიტიკას, რომელსაც ეკონომიკაში უფრო მაღალი სარგებლის განაკვეთები შემოაქვს. უცხოელები მოინდომებენ თავიანთი კაპიტალის შემოტანას ჩვენს ქვეყანაში, რისთვისაც მათ სჭირდებათ ამ ქვეყნის ვალუტაზე (სავარაუდოდ დოლარებზე) თავიანთი ფულის გადაცვლა. დოლარებზე მოთხოვნა იზრდება — დოლარი ძვირდება.

უცხოელებისათვის ამ ქვეყნიდან გატანილი საქონელი გაძვირდება ამიტომ წმინდა ექსპორტი შემცირდება და შედეგად.

ამ ქვეყნის მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა ნაწილობრივ განეიტრალდება.

ასეთივე თანმიმდევრული ანალიზი შეგიძლიათ ჩაატაროთ შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკის შემთხვევაში.

3. მიწოდებაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა

ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი მაკროეკონომიკური ეფექტი ძირითადად ერთობლივ მოთხოვნაზე აისახება, მაგრამ ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია იმოქმედოს საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობაზეც. ვნახოთ როგორ მოქმედებს გადასახადების ცვლილება ერთობლივ მიწოდებაზე. ცნობილია, რომ გადასახადების გადიდება ამცირებს ერთობლივ მიწოდებას, გადასახადების შემცირება კი იწვევს წარმოების მოცულობის გადიდებას და ფასების შემცირებას.


გადასახადების შემცირება მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი ღონისძიებაა. როდესაც მთავრობა ამცირებს გადასახადებს, მშრომელებს მათ მიერ გამომუშავებული დოლარის მეტი ნაწილი რჩებათ. ამიტომ იზრდება მათი შრომის და საქონლის წარმოების სტიმული. ამის შედეგად იზრდება საქონლის მიწოდების რაოდენობა ფასების თითოეულ დონეზე. ე.ი. ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება.

ე.წ. მიწოდების ეკონომისტების აზრით არ არის აუცილებელი გადასახადების განაკვეთების შემცირებამ გამოიწვიოს საგადასახადო შემოსულობების შემცირება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ პირიქით გაზარდოს საგადასახადო შემოსულობანი.

მაგრამ მაინც ითვლება, რომ გადასახადების ცვლილებების ზეგავლენა ერთობლივ მიწოდებაზე უფრო მცირეა. გადასახადების ცვლილებების მსგავსად სახელმწიფო შესყიდვების ცვლილებასაც შეუძლია ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედება.

მაგ. მთავრობა ზრდის ხარჯებს გზების მოწესრიგებაზე. გზების ხარისხის გაზრდა გამოიწვევს კერძო ფირმების მწარმოებლურობის გაზრდას, ამიტომ იზრდება მიწოდება ფასების თითოეულ დონეზე რის შედეგადაც ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. მაგრამ ერთობლივ მიწოდებაზე ასეთი ზემოქმედება უფრო მნიშვნელოვანია გრძელვადიან და არა მოკლევადიან პერიოდში (გზის გაყვანას დრო სჭირდება).

ლაფერის ეფექტი ეკონომისტთა ერთი ჯგუფი ფისკალურ პოლიტიკაში მთავარი ინსტრუმენტის როლს ანიჭებს გადასახადებს. ამ პრინციპის დამახასიათებელი თვისებაა დაბეგვრის განაკვეთის შემცირება. **მართალია დაბეგვრის ლიბერალიზაცია მოკლევადიან პერსპექტივაში განაპირობებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას, მაგრამ მისი გრძელვადიანი შედეგები სრულიად განსხვავებულია, იგი ზრდის ბიუჯეტში შენატანებს და ამცირებს ბიუჯეტის დეფიციტს. ეს ეფექტი აღმოაჩინა ამერიკელმა ეკონომისტმა არტურ ლაფერმა და ლიტერატურაში იგი ცნობილია ლაფერის ეფექტის სახელით.**



ნახ. 13.2. ლაფერის მრუდი

მიწოდებაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკის მომხრეების ძირითადი მიზანია დაბეგვრის ოპტიმალური განაკვეთების მოძებნა. გადასახადების შემცირება მიჩნეულია იმ საშუალებად, რომელიც ხელს უწყობს ხანგრძლივ ეკონომიკურ ზრდას და ინფლაციასთან ბრძოლას.


საშემოსავლო გადასახადისა და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობებს შორის დამოკიდებულება გამოსახულია 13.2 ნახაზზე.

როგორც ნახაზიდან ჩანს ლაფერმა თეორიულად დაამტკიცა, რომ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი არის 50%. თუ საგადასახადო განაკვეთი გადააჭარბებს 50%-ს, ფირმების ეკონომიკური აქტივობა მცირდება და გადადიან ჩრდილოვან ეკონომიკაში.

განვიხილოთ საგადასახადო კოდექსის ცვლილებათა ზემოქმედება დანაზოგებზე და ინვესტიციებზე.

საგადასახადო კოდექსის ცვლილებათა ზემოქმედება დანაზოგებზე. დანაზოგების სიდიდე ქვეყნის მწარმოებლურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია გრძელვადიან პერიოდში. დაზოგვის სტიმულის გაზრდის მიზნით აშშ-ს კონგრესზე წამოაყენეს წინადადება: დაზოგილი შემოსავალი არ დაიბეგროს მის დახარჯვამდე. განვიხილოთ დაზოგვის ასეთი ზემოქმედება ფინანსური აქტივების ბაზარზე:

როგორც ნახაზიდან ჩანს გადასახადის ცვლილება შეცვლის საოჯახო მეურნეობათა დაზოგვის სტიმულებს, ამიტომ თითოეული საპროცენტო განაკვეთისთვის შეიცვლება ფინანსური აქტივების მიწოდების სიდიდე ე. ი. მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ. ამასთან ფინანსურ აქტივებზე მოთხოვნა უცვლელი რჩება. როცა დანაზოგები ნაკლებად იბეგრება, ვიდრე არსებული საგადასახადო პოლიტიკის დროს, საოჯახო მეურნეობები თავიანთ საბანკო დეპოზიტებს გაზრდიან ან მეტ ობლიგაციებს იყიდიან. ვინაიდან ამ დროს სესხების წონასწორული საპროცენტო განაკვეთი (ფასი) მცირდება, საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს საკმარისი მოტივები უჩნდებათ უფრო მეტი ინვესტიციების დაფინანსებისთვის.




ნახ. 13.3 საგადასახადო კოდექსის ცვლილებათა ზემოქმედება დანაზოგებზე

ამრიგად, თუ საგადასახადო კოდექსის შეცვლა დაზოგვის სტიმულებს გაზრდის, შედეგად საპროცენტო განაკვეთი შემცირდება, ხოლო ინვესტიციების დონე გაიზრდება.

საგადასახადო კოდექსის ცვლილებათა ზემოქმედება ინვესტიციებზე. დავუშვათ, ქვეყნის პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება კანონში გადასახადის შემცირების შესახებ იმ ფირმებისთვის, რომლებიც წარმოების გაფართოების მიზნით ახალი ინვესტიციების განხორციელებას გეგმავენ.

ამგვარი საგადასახადო შეღავათი ზრდის ფირმის სტიმულებს დაკავშირებულს სესხის აღებასა და წარმოებაში მის ინვესტირებასთან, ხოლო საოჯახო მეურნეობების სტიმულებს უცვლელად ტოვებს. ამიტომ აღნიშნული კანონი თითოეული საპროცენტო განაკვეთისთვის გაზრდის ფინანსურ აქტივებზე მოთხოვნის სიდიდეს და შესაბამისად მოთხოვნის მრუდი გადანაცვლდება მარჯვნივ.



ნახ. 13.4. საგადასახადო კოდექსის ცვლილებათა ზემოქმედება ინვესტიციებზე

ამრიგად, თუ საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლა ინვესტირების სტიმულს გაზრდის, შედეგად საპროცენტო განაკვეთიც და დაზოგვის დონეც გაიზრდება.

4. ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორი

ჩვენ შევისწავლეთ ფისკალური ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთობლიეი მოთხოვნის ცვლილებაზე, მაგრამ სასურველი იქნებოდა ეს გავლენა რაოდენობრივად გაგვეზომა, რასაც მოვახერხებთ ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორების საშუალებით.

სახელმწიფო შესყიდვების მულტიპლიკატორი. დაეუშვათ თავდაცვის სამინისტრო აძლევს შეკვეთას საავიაციო ქარხანას 20 მლნ ლარის ღირებულების თვითმფრინავების დამზადებაზე. ცხადია თვითმფრინავებზე მოთხოვნის ზრდა გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას. ამ უკანასკნელის მრუდი წანაცვლდება მარჯვნივ, მაგრამ რა მანძილზე? შეიძლება ვიფიქროთ, რომ 20 მლნ ლარით. თუმცა, როგორც ირკვევა, ეს ასე არ არის, რაც ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტითაა განპირობებული – სა-

ხელმწიფო შესყიდვებს გააჩნია მულტიპლიკაციური ეფექტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი 20 მლნ. ლარით კი არ წანაცვლდება მარჯვნივ, არამედ უფრო მეტით. ერთობლივი მოთხოვნის ნაზრდი, როგორც წესი, ბევრად მეტია მის გამომწვევ მიზეზზე – სახელმწიფო შესყიდვების საწყის ნაზრდზე. სწორედ ამაშია მულტიპლიკატორის ეფექტი.

რიცხვს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სიდიდეს ამ შესყიდვებით გამოწვეული საბოლოო ეფექტი, გამოხატული ერთობლივი მოთხოვნის სიდიდის ჯამური ნაზრდით, **სახელმწიფო შესყიდვების მულტიპლიკატორი ეწოდება.**

სრულიად ასევე, შესაძლებელია და არსებობს **საინვესტიციო მულტიპლიკატორი და წმინდა ექსპორტის მულტიპლიკატორი.**

$$\text{სახელმწიფო შესყიდვის მულტიპლიკატორი} = \frac{\text{ცვლილება ერთობლივ მოთხოვნაში}}{\text{ცვლილება სახელმწიფო შესყიდვებში}}$$

მულტიპლიკატორს აღნიშნავენ M ასოთი და მას გამოითვლიან დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილების ან მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების საფუძველზე. განვმარტოთ ეს ცნებები.

ეკონომიკაში გამომუშავებული ნებისმიერი ლარი შედგება ორი ნაწილისაგან: მოხმარებული ნაწილი და დაზოგილი ნაწილი. ამასთან დაკავშირებით არსებობს ცნებები:

ზღვრული მიდრეკილება მოხმარებისადმი MPC (Marginal Propensity to Consume) და ზღვრული მიდრეკილება დაზოგვისადმი MPS (Marginal Propensity to Save). ესენი არიან რიცხვითი კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებენ ერთი ლარი როგორ ნაწილდება დაგროვებაზე და მოხმარებაზე.

მაგ. თუ **MPC** =3/4, ეს ნიშნავს, რომ 1 ლარის 3/4 ნაწილი მოიხმარება, ხოლო 1/4 იზოგება. (ან ეს იგივეა, რომ ვთქვათ

ამ შემთხვევაში ყოველი 4 ლარიდან 3 მოიხმარება, 1 ლარი დაიზოგება).

ცხადია სამართლიანია ტოლობა:

$$MPC + MPS = 1$$

ახლა შეგვიძლია სახელმწიფო შესყიდვების მულტიპლიკატორი (M სახ. შესყ.) გამოვსახოთ ფორმულით:

$$M_{\text{სახ. შესყ.}} = \frac{1}{MPS} = \frac{1}{1 - MPC}$$

ასევე შეგვიძლია გამოვსახოთ ფორმულით საინვესტიციო მულტიპლიკატორი:

$$M_{\text{საინვესტიციო}} = = \frac{1}{MPS} = \frac{1}{1 - MPC}$$

საგადასახადო მულტიპლიკატორი გადასახადები ფისკალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მათი საშუალებით სახელმწიფო არეგულირებს საბაზრო ეკონომიკას. მაგრამ ასეთი რეგულირება უშუალოდ და პირდაპირ კი არ მიიღწევა, არამედ ირიბად მოსახლეობის მოხმარებისა და დაგროვების საშუალებით.

სახელმწიფო შესყიდვების ზრდის მეშვეობით იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც თავის მხრივ სტიმულს აძლევს წარმოების მოცულობის შემდგომ ზრდას. ხოლო გადასახადების ცვლილება – მათი გაზრდა ან შემცირება – უშუალოდ ზემოქმედებს ერთობლივი დანახარჯების რომელიმე კომპონენტზე, სახელდობრ, მოხმარებაზე. ამიტომ გადასახადების (მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნიათ მულტიპლიკაციური ეფექტი) ზემოქმედება წარმოების წონასწორულ მოცულობაზე ნაკლებია, ვიდრე სახელმწიფო შესყიდვების ზემოქმედება.

ამრიგად, გადასახადების შემცირება ან გაზრდა წარმოების წონასწორულ მოცულობას ზრდის ან ამცირებს საგადასახადო მულტიპლიკატორის სიდიდით.

საგადასახადო მულტიპლიკატორი შემდეგნაირად იანგარიშება:

$$M_{\text{საგადასახადო}} = \frac{MPC}{MPS}$$

თუ სახელმწიფო ხარჯები და გადასახადები იზრდება ერთი და იმავე სიდიდით, მაშინ წონასწორული წმინდა ეროვნული პროდუქტი იზრდება ამავე სიდიდით. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო შესყიდვების და გადასახადების **ერთდროული ზემოქმედების მულტიპლიკატორი ერთის ტოლია,** რადგან წონასწორული წეპ ზუსტად იმდენით იმატებს, რამდენითაც სახელმწიფო შესყიდვები ან გადასახადები. ასეთ მულტიპლიკატორს **დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი** ეწოდება.

საკონტროლო კითხვები

1. განმარტეთ რა არის ფისკალური პოლიტიკა.
2. დაასახელეთ ფისკალური პოლიტიკის სახეები.
3. დაასახელეთ დისკრეტული ფისკალური პოლიტიკის სახეები.
4. დაასახელეთ ფისკალური პოლიტიკის გატარების შედეგად წარმოქმნილი ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყაროები.
5. დაასახელეთ ფისკალური პოლიტიკის გატარების შედეგად წარმოქმნილი ბიუჯეტის ნამეტისაგან თავის დაღწევის ხერხები.
6. რას ეწოდება ავტომატური ფისკალური პოლიტიკა
7. რომელ ავტომატურ სტაბილიზატორებს ცნობს ფისკალური პოლიტიკა?
8. რა არის სახელმწიფო შესყიდვების მულტიპლიკატორი?
9. რა არის, საგადასახადო შემოსულობების მულტიპლიკატორი?
10. რა არის დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი?
11. რას ეწოდება ლაფერის მრუდი?
12. ჩამოთვალეთ და მოკლედ შეაფასეთ ფისკალური პოლიტიკის განხორციელების და გატარების პრობლემები.

ტესტები

1. მკაფიოდ გამოხატული ანტიინფლაციური პოლიტიკა გულისხმობს:

ა. დაბეგვრის დონის ამაღლებას და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას;

ბ. საგადასახადო შემოსულობების და სახელმწიფო ხარჯების შემცირება;

გ. გადასახადების ზრდას და სახელმწიფო ხარჯების უფრო მაღალ დონეს;

დ. გადასახადების შემცირებას და სახელმწიფო ხარჯების უფრო მაღალ დონეს;

ე. გადასახადების და სახელმწიფო ხარჯების დონის შენარჩუნებას.

2. არსებობს მცირე, მაგრამ არსებითი განსხვავება მულტიპლიკატორის ეფექტში სახელმწიფო ხარჯების ზრდისასა მაგ. 10 მლრდ ლარით და ამავე თანხით ინდივიდუალური გადასახადების შემცირებისას. ეს გამოწვეულია იმით, რომ:

ა. სახელმწიფო ხარჯები ზრდის შემოსავლებს საწარმოო საქმიანობიდან, ამით კი ზრდის მოხმარებაზე დანახარჯებს;

ბ. გადასახადების შემცირება 10 მლრდ ლარით უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობაზე, ვიდრე ამავე სიდიდით სახელმწიფო ხარჯების ზრდა;

გ. გადასახადების შემცირება უშუალოდ ზემოქმედებს სამომხმარებლო ხარჯებსა და შემოსავლებზე, ხოლო სახელმწიფო ხარჯების ზრდა მათზე ირიბ ზემოქმედებას ახდენს;

დ. ინდივიდუალური გადასახადების შემცირება 10 მლრდ ლარით არ გამოიწვევს სამომხმარებლო ხარჯების გაზრდას ამავე სიდიდით. ნაწილობრივ გაზრდილი შემოსავლები (როგორც გადასახადების შემცირების შედეგები) დაიზოგება.

ე. ყველა წინა პასუხი არასწორია.

3. სახელმწიფო პოლიტიკას დანახარჯებისა და დაბეგვრის სფეროებში ეწოდება:
ა. ფულის რაოდენობრივ თეორიაზე დამყარებული პოლიტიკა;
ბ. მონეტარული პოლიტიკა;
გ. საქმიანი ციკლი;
დ. ფისკალური პოლიტიკა;
ე. შემოსავლების განაწილების პოლიტიკა.

4. დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორის კონცეფციის თანახმად გადასახადების და სახელმწიფო ხარჯების თანაბარი შემცირება:
ა. არ შეცვლის ეროვნული წარმოების მოცულობის და ეროვნული შემოსავლის დონეს;
ბ. ხელს შეუწყობს კერძო ინვესტიციების გამოდევნას;
გ. გაზრდის ეროვნული შემოსავლის და წარმოების წონასწორულ მოცულობას;
დ. გამოიწვევს ადრე დაბალანსებული ბიუჯეტის სწრაფვას დეფიციტისაკენ;
ე. შეამცირებს ეროვნული შემოსავლის და წარმოების წონასწორულ მოცულობას.

სავარჯიშოები

1. დავუშვათ სახელმწიფო შესყიდვების მულტიპლიკატორი 10-ის ტოლია. მთავრობა გეგმავს წონასწორული წეპ გაზარდოს 50 მლრდ ლარით.
ა. რა სიდიდით უნდა გავზარდოთ სახელმწიფო შესყიდვები, თუ ჩავთვლით, რომ საგადასახადო შემოსულობანი უცვლელია;
ბ. ეს სიდიდე საკმარისი იქნება წონასწორული წეპ დაგეგმილი ზრდისათვის, თუ ადგილი აქვს იმავდროულად საგადასახადო შემოსულობების ზრდას?

2. ქვეყნის ეკონომიკა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:
   ფაქტიური შემოსავლები Y = 4000 ლარი;
   მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება (MPC) = 0,8;
   წონასწორული შემოსავალი Y^*=4200 ლარი.

ა. როგორ უნდა შეიცვალოს სახელმწიფო ხარჯები (ყველა სხვა თანაბარ პირობებში) იმისათვის, რომ ეკონომიკამ მიაღწიოს წონასწორულ დონეს.

ბ. როგორ უნდა შეიცვალოს საგადასახადო შემოსულობები (ყველა სხვა თანაბარ პირობებში) იმისათვის, რომ ეკონომიკამ მიაღწიოს წონასწორულ დონეს.

თემა XIV. ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალი

1. ბიუჯეტის არსი. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გასავლები

სახელმწიფო ბიუჯეტი საფინანსო სისტემის ცენტრალური რგოლია. ტერმინი „ბიუჯეტი“ წარმოშობილია ინგლისური სიტყვისაგან „Budger“, რომელიც ნიშნავს ჩანთას, ტყავის ტომარას. **ბიუჯეტი არის სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების ფინანსური გეგმა, რომელიც დგება განსაზღვრული პერიოდისათვის.** ყველა ნორმალურ ქვეყანაში დამტკიცებულ ბიუჯეტს აქვს კანონის ძალა.

ბიუჯეტის ძირითადი ფუნქციებია:

– ეროვნული შემოსავლების განაწილება;

– სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის გატარება.

საქართველოში საბიუჯეტო სისტემა მოიცავს:

– საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;

– ავტონომიური რესპუბლიკების (აფხაზეთის და აჭარის) ბიუჯეტებს;

– ტერიტორიული ერთეულების (ქალაქების, რაიონების და ა.შ.) ბიუჯეტებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს ცენტრალური ბიუჯეტისა და სახელმწიფო სპეციალური ფონდების სახსრებს. სახელმწიფოს სპეციალური ფონდები წარმოადგენენ ფინანსური რესურსების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება მიზნობრივი დანიშნულებით. მათ მიეკუთნება:

– სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდი;

– დასაქმების სახელმწიფო ფონდი;

– სახელმწიფო საგზაო ფონდი.

ბიუჯეტის ფორმირება ეფუძნება რამდენიმე ძირითად პრინციპს: ესენია ბიუჯეტის სისრულის, ერთიანობის, რეალობისა და საჯაროობის პრინციპები. ბიუჯეტის სისრულე ნიშნავს ბიუჯეტში ყველა ხარჯებისა და შემოსავლების შეტანას; ბიუჯე-

ტის ერთიანობა მოითხოვს მთელი საბიუჯეტო მასალის ერთ დოკუმენტად წარმოდგენას. ბიუჯეტის რეალობა ნიშნავს მასში შეტანილი ხარჯებისა და შემოსავლების სიზუსტეს და შესაბამისობას პოტენციურად არსებული რესურსების გამოყენებასთან, ხოლო ბიუჯეტის საჯაროობა მოითხოვს იმას, რომ იგი იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე და ფართოდ შუქდებოდეს საინფორმაციო საშუალებებით.

ბიუჯეტი შედგება ორი ნაწილისაგან: შემოსავლებისაგან და დანახარჯებისაგან.

1. შემოსავლების ნაწილში მოცემულია იმ თანხების რაოდენობა, რომელთა მიღებაცაა მოსალოდნელი და მიღების წყაროები;
2. დანახარჯების ნაწილში მოცემულია ცალკეული მუხლების ანუ მიზნების მიხედვით სახელმწიფოს მიერ შემოსავლების გადანაწილება.

ბიუჯეტის შემოსავლები ფორმირდება საგადასახადო შემოსავლებით, არასაგადასახადო შემოსავლებით და გრანტებით.

საგადასახადო შემოსავლები ეს არის სხვადასხვა სახის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები. საქართველო'ში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

– საშემოსავლო გადასახადი;
– მოგების გადასახადი;
– დამატებული ღირებულების გადასახადი;
– აქციზი;
– საბაჟო გადასახადი;
– ქონების გადასახადი;
– მიწის გადასახადი;
– ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეთა გადასახადი;
– გადასახადი ქონების გადაცემისათვის;
– სოციალური გადასახადი;
– გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;
– გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის;

– გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე აეროსატრანსპორტო საშუალებების შემოსელისათვის.

ადგილობრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

– გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის;
– სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
– საკურორტო გადასახადი;
– სასტუმროს გადასახადი;
– რეკლამის გადასახადი;
– მანქანების პარკირების გადასახადი;
– გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებია:

– ნებართვის, ლიცენზიების გაცემისა და სხვა სახის სახელმწიფო მომსახურების გაწევიდან მიღებული მოსაკრებელი;
– შემოსავალი სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან ან მისი იჯარიდან;
– სახელმწიფო ქონების მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები და სხვა;

მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს ხშირად საერთაშორისო დახმარებასაც უწევენ გრანტების სახით, რომელიც ფაქტიურად საჩუქარს ნიშნავს;

სახელმწიფო ბიუჯეტის გასაელის (ხარჯების) ძირითადი ელემენტებია:

– მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა;
– ქვეყნის თავდაცვა;
– ჯანდაცვის სისტემის განვითარება;
– შრომისუნარიანი ადამიანების დასაქმების უზრუნველყოფა;
– მართლწესრიგის უზრუნველყოფა;
– ვალის მომსახურება;
– სხვა საჭიროებები.

თუ ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი ერთმანეთის ტოლია, ამბობენ, რომ ბიუჯეტი დაბალანსებულია.

თუ ბიუჯეტის შემოსავალი მეტია, ვიდრე ბიუჯეტის ხარჯები, მაშინ სახეზეა დადებითი სალდოს მქონე ბიუჯეტი, ანუ ნამეტი ბიუჯეტი.

თუ ბიუჯეტის ხარჯები აღემატება შემოსავლებს, მაშინ საქმე გვაქვს დეფიციტურ ბიუჯეტთან.

სრული დასაქმების ბიუჯეტი გვიჩვენებს, თუ როგორი იქნებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის ნამეტი ან დეფიციტი, თუ კი ეკონომიკა სრული დასაქმებით იმოქმედებდა წლის მანძილზე.

პრაქტიკაში სრული დასაქმების ბიუჯეტი განსხვავდება ფაქტიური ბიუჯეტისაგან. ნებისმიერი მთავრობის მიზანია ფაქტიური ბიუჯეტი მიუახლოვდეს სრული დასაქმების ბიუჯეტს.

2. ბიუჯეტისადმი რამდენიმე კონცეპტუალური მიდგომა

ეკონომიკაში არსებობს რამდენიმე საპირისპირო კონცეპტუალური მიდგომა ბიუჯეტისადმი.

ყოველწლიურად დაბალანსებული ბიუჯეტი. ყოველწლიურად დაბალანსებული ბიუჯეტი სამართლიანად ითვლებოდა და ითვლება ნებისმიერი სახელმწიფოს სასურველ მიზნად. მაგრამ უფრო ახლოს გაცნობით ცხადი ხდება, რომ ყოველწლიურად დაბალანსებული ბიუჯეტი ძირითადად გამორიცხავს სახელმწიფოს ფისკალურ საქმიანობას, როგორც ანტიციკლურ მასტაბილიზებელ ძალას. უფრო უარესი, ყოველწლიურად დაბალანსებული ბიუჯეტი, სინამდვილეში აღრმავებს ეკონომიკური ციკლის მერყეობას. მაგალითად ეკონომიკა იმყოფება უმუშევრობის და დაქვეითებადი შემოსავლების პერიოდში. ასეთ გარემოებაში, საგადასახადო შემოსავლები ავტომატურად მცირდება. მთავრობა ცდილობს ბიუჯეტის დაბალანსებას, ამიტომ ან ზრდის საგადასახადო განაკვეთებს, ან ამცირებს სახელმწიფო ხარჯებს, ან ორივე ამ ღონისძიებას ერთდროულად ატარებს. პრობლემა ის არის, რომ ყველა ეს ღონისძიება თავისი ხასიათით შემაკავებელია, ყოველი მათგანი კიდევ უფრო ამცირებს მოთხოვნას.

ანალოგიურად, ინფლაციის პროცესში იზრდება ფულადი შემოსავლები – ავტომატურად იზრდება საგადასახადო შემოსუ-

ლობანი. ბიუჯეტის მომავალი სიჭარბის თავიდან აცილებისათვის (ე.ი. ბიუჯეტის დაბალანსებისათვის) მთავრობამ უნდა შეამციროს საგადასახადო განაკვეთი ან გაზარდოს სახელმწიფო ხარჯები, ან ორივე ღონისძიება ერთად გამოიყენოს. ცხადია, ამ ღონისძიებებიდან ნებისმიერი კიდევ უფრო გააღრმავებს ინფლაციას, რადგან ისინი ერთობლივი მოთხოვნის ზრდას იწვევენ.

ამიტომ ვასკვნით, რომ ყოველწლიურად დაბალანსებული ბიუჯეტი არ არის ანტიციკლური პოლიტიკა. ის თავისი ხასიათით და შედეგებით უფრო პროციკლურია.

ციკლურ საფუძველზე დაბალანსებული ბიუჯეტი. რამდენადაც ყოველწლიურად დაბალანსებული ბიუჯეტი ეკონომიკურად არამყარია და ანტიციკლურ ღონისძიებად არ გამოდგება, ეკონომისტების ნაწილი მხარს უჭერს ციკლურ საფუძველზე დაბალანსებული ბიუჯეტის იდეას.

ციკლურ საფუძველზე დაბალანსებული ბიუჯეტის კონცეფციის თანახმად ბიუჯეტი ყოველწლიურად არ უნდა დაბალანსდეს. საკმარისია მისი დაბალანსება ეკონომიკური ციკლის მსვლელობაში.

ბიუჯეტის ამ კონცეფციის ლოგიკური დასაბუთება მარტივი, გონივრული და მიმზიდველია. იმისათვის, რომ წინ აღუდგეს დაქვეითებას, სახელმწიფომ უნდა შეამციროს გადასახადები და გაზარდოს დანახარჯები. ე.ი. შეგნებულად გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტი. საინფლაციო აღმავლობის პერიოდში აუცილებელია გადასახადების გადიდება და სამთავრობო ხარჯების შეკვეცა. ამის საფუძველზე წარმოშობილი ბიუჯეტის დადებითი სალდო შეიძლება გამოყენებული იქნას იმ ვალის დასაფარად, რომელიც დაქვეითებისას წარმოიშვა. ასეთი ქმედების შედეგად მთავრობას ამ პირობებში შეუძლია დააბალანსოს ბიუჯეტი, მაგრამ არა ყოველწლიურ საფუძველზე, არამედ რამდენიმე წელიწადში ერთხელ.

ამ ერთი შეხედვით მიმზიდველი ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემა ის არის, რომ ციკლის აღმავლობის და დაქვეითების ფაზები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიღრმითაც და ხანგრძლივობითაც. თუ დაქვეითება უფრო ღრმა და ხანგრძლივია, მაშინ ხანმოკლე აყვავების პერიოდში მიღებული ბიუჯე-

ტის დადებითი სალდო ვერ ფარავს ღრმა და ხანგრძლივი პერიოდის დაქვეითების ფაზის ბიუჯეტის დეფიციტს.

ფუნქციონალური ფინანსების კონცეფცია. ფუნქციონალური ფინანსების იდეის შესაბამისად საკითხი ბიუჯეტის დაბალანსების შესახებ ყოველწლიურ ან ციკლურ საფუძველზე მეორეხარისხოვანია. სახელმწიფო ბიუჯეტის პირველდაწყებითი მიზანია არაინფლაციური სრული დასაქმების უზრუნველყოფა ანუ ეკონომიკის დაბალანსება და არა ბიუჯეტის დაბალანსება. თუ ამ ღონისძიებას თან ახლავს მყარი დადებითი სალდო, ან დიდი და სულ უფრო მზარდი დეფიციტი – დე, ასე იყოს. ამ კონცეფციის თანახმად სახელმწიფო დეფიციტებთან ან სიჭარბესთან დაკავშირებული პრობლემები ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ხანგრძლივი დაქვეითების და მყარი ინფლაციის პრობლემები. ე.ი. თანამედროვე ფისკალური პოლიტიკა აღიარებს დაუბალანსებელი ბიუჯეტის გამოყენებას ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის.

3. ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალი

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ავღნიშნოთ, თუ რას ეგულისხმობთ დეფიციტსა და სახელმწიფო ვალში. **ბიუჯეტის დეფიციტი ის თანხაა, რომლითაც მოცემულ წელს მთავრობის დანახარჯები აჭარბებდნენ მის შემოსავლებს.**

სახელმწიფო ვალი გარკვეული პერიოდის მანძილზე ფორმირდება ამ პერიოდში ბიუჯეტის ყველა დეფიციტების ჯამით, რომელსაც აკლდება ამავე პერიოდში არსებული ყველა დადებითი სალდო.

ჩვეულებრივ, დეფიციტის დასაფინანსებლად მთავრობა სესხულობს ფულს. საგულისხმოა, რომ ბიუჯეტის დეფიციტი ყოველთვის არ მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობაზე. როცა დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში უმნიშვნელო წილს შეადგენს, მაშინ საგანგაშო არაფერია, ხოლო თუ დეფიციტი დიდია და გამოწვეულია საგანგებო მდგომარეობით, მაშინ მას მნიშვნელოვანი ზიანი მო-

აქვს საზოგადოებისათვის. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება რადიკალური ზომების მიღება მისი შემცირებისათვის. ჩვეულებრივ, თუ ბიუჯეტის ხარჯები შემოსავლებს უმნიშვნელოდ აღემატება, ეს დასაშვებად ითვლება. როდესაც ბიუჯეტის დეფიციტის ოდენობა მთლიანი შიდა პროდუქტის 5-6%-ზე მეტია, ასეთი ვითარება უკვე განსაკუთრებით უარყოფით მოვლენას წარმოადგენს.

საერთოდ ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა სხვადასხვა გზით ხდება. **ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყაროებია:**

– გადასახადების გადიდება;
– სახელმწიფო ხარჯების შემცირება;
– სახელმწიფო ვალის აღება;
– ფულის ემისია.

გადასახადების ზრდა საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს და ანელებს საწარმოო აქტივობას.

რაც შეეხება სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, ამ დროს უნდა შეიკვეცოს ზოგიერთი ხარჯების დაფინანსება. თუმცა ხარჯების შემცირებაც ისეთივე მტკივნეულია, რადგან მრავალი მნიშვნელოვანი სფერო შეიძლება დარჩეს სათანადო დაფინანსების გარეშე. შემოსავლების უკმარისობის შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს გასაველების სეკვესტრის მექანიზმი. რომელიც გულისხმობს ხარჯების ყოველთვიურ პროპორციულ შემცირებას განსაზღვრული პროცენტით ბიუჯეტის ხარჯების ყველა მუხლის მიხედვით, საფინანსო წლის დარჩენილი დროის განმავლობაში.

საქართველოს კანონმდებლობით სეკვესტრს (ანუ ჩამოჭრას) არ ექვემდებარება მხოლოდ ის განსაკუთრებული პუნქტები, რომლებიც ეხება ხელფასებს, პენსიებს, სტიპენდიებს და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან სოციალურ ღონისძიებებს. ბიუჯეტის ხარჯების ასეთ ნაწილს **დაცული მუხლები** ეწოდება.

ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა შესაძლებელია ფულის ემისიის (ანუ დამატებითი ფულის ნიშნების გამოშვების) მეშვეობით, რომელმაც ადვილი შესაძლებელია, რომ ინფლაცია გამოიწვიოს, ამიტომ ეს რეალურ დადებით შედეგს ეკონომიკას არ მისცემს.

რჩება კიდევ ერთი გზა, რითაც მთავრობამ შეიძლება დააფინანსოს დეფიციტური ბიუჯეტი. ეს არის **სახელმწიფო ვალი.**

სახელმწიფო ვალი ეს არის წლების მანძილზე დაგროვილი ნასესხები თანხა.

სახელმწიფო ვალი არის ორი სახის:

1. საშინაო ვალი;
2. საგარეო ვალი.

საშინაო ვალი არის მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ მისი მოქალაქეებისაგან აღებული ვალი. იგი როგორც წესი, დაკავშირებულია ბიუჯეტის დეფიციტთან. საშინაო ვალის სახეებია: ობლიგაციები (საქართველოს მთავრობა 1997 წლიდან უშვებს მის ნაირსახეობას – „სახელმწიფო სახაზინო ვალდებულება"-ს, რომელიც იყიდება სპეციალიზებულ აუქციონზე), პროცენტული დამატებები და ა.შ.

საშინაო ვალი არსებითად განსხვავდება საგარეო ვალისაგან. საგარეო ვალი სხვა სახელმწიფოებისაგან და მათი მოქალაქეებისაგან აღებული ვალია.

4. სახელმწიფო ვალის ზრდის მიზეზები

რა შეიძლება იყოს სახელმწიფო ვალის ზრდის მიზეზი? ანუ რა აიძულებს ქვეყანას შეინარჩუნოს ბიუჯეტის დიდი და მყარი დეფიციტები?

საერთოდ, სახელმწიფო ვალის ძირითადი მიზეზი **ომები და დაქვეითებები** იყო. მაგალითად აშშ-ის სახელმწიფო ვალი გაიზარდა როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის დროს. ისმის კითხვა: რატომ? ომის დროს რესურსები სამოქალაქო წარმოებიდან გადავიდა სამხედრო წარმოებაში. გაიზარდა მთავრობის ხარჯები შეიარაღებაზე და სამხედრო მოსამსახურეების შენახვაზე. არსებობდა ამ ხარჯების დაფინანსების სამი ვარიანტი: გადასახადების გადიდება, საჭირო რაოდენობის ფულის დაბეჭდვა ან დეფიციტური დაფინანსების გამოყენება. მთავრობა შიშობდა, რომ დაფინანსება გადასახადების ხარჯზე გამოიწვევდა შრომის სტიმულების და-

ცემას, ფულის დამატებითი მასის დაბეჭდვას ახალი ინფლაციური პროცესები მოჰყვებოდა, ამიტომ ომის ხარჯების დიდი ნაწილი ფინანსდებოდა მოსახლეობისადმი ობლიგაციების მიყიდვის ხარჯზე, ე.ი. ომი ზრდიდა სახელმწიფო ვალს.

სახელმწიფო ვალის მეორე მიზეზია დაქვეითებები, უფრო სწორად „ჩაშენებული“ სტაბილურობა, რომელიც საერთოდ ფისკალურ პოლიტიკას ახასიათებს. იმ პერიოდში, როდესაც ეროვნული შემოსავალი მცირდება, ან არ შეიძლება გაიზარდოს, საგადასახადო შემოსულებები ავტომატურად მცირდება და ბიუჯეტს დეფიციტის ტენდენცია გააჩნია. ე.ი. სახელმწიფო ვალი იზრდება დაქვეითების დროს.

გარდა ამისა, სახელმწიფო ვალი შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევაშიც, როცა სახელმწიფოში გამოდის **კანონი გადასახადების შემცირების შესახებ** და პარალელურად არ მცირდება სახელმწიფო ხარჯები. 80-იანი წლების დიდი დეფიციტი აშშ-ში სწორედ ასეთი სიტუაციითა იყო განპირობებული.

სახელმწიფო ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. რადგან მშპ მთავრობის საგადასახადო ბაზის უხეში საზომია, სახელმწიფო ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა მზარდი საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის კვალობაზე მთავრობის ვალდებულებების შემცირებას მოასწავებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია, თავად დაფაროს საკუთარი ხარჯები, და პირიქით, როდესაც სახელმწიფო ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა იზრდება, ეს კლებადი საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის პირობებში მთავრობის ვალდებულებებს სულ უფრო ამძიმებს.

თუ გაეცნობით ამერიკის ეკონომიკის მონაცემებს, შეიძლება გაგვიკვირდეს, რომ ასეთი გიგანტური პოტენციალის მქონე ქვეყანას, რომელშიც საკმაოდ მაღალი ეკონომიკური დონეა, გიგანტური ვალიც აქვს. მდიდარ ერს დიდი სახელმწიფო ვალის ატანა შეუძლია, ვიდრე ღარიბს. ამიტომ, თუ გვინდა რომ ქვეყნები ერთმანეთს შევადაროთ ვალის სიდიდის მიხედვით, უმჯობესია გამოვიყენოთ შეფარდებითი მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლებია:

1. სახელმწიფო ვალის სიდიდე მშპ-ს 1 ერთეულზე

$$= \frac{\text{სახელმწიფო ვალი}}{\text{მშპ}} \times 100\%$$

2. სახელმწიფო ვალის სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე

$$= \frac{\text{სახელმწიფო ვალი}}{\text{მოსახლეობის რაოდენობასთან}} \times 100\%$$

5. სახელმწიფო ვალი: მომხრეები და მოწინააღმდეგეები

პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მთავრობის მიერ აღებული ვალის ტვირთი მძიმეა და იგი ყოველთვის გადაწონის მისგან მიღებულ სარგებლიანობას, ვინაიდან:

1. ვალის გასტუმრება დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. სახელმწიფო ვალის სარგებლის გადასახადები წლიური ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილია;
2. მთავრობის მიერ ვალის აღება და მოსახლეობისაგან ფულის სესხება ამცირებს ამ თანხებით ინვესტიციების შექმნას, რაც ანელებს წარმოების განვითარებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას, აფერხებს მოსახლეობის შემოსავლების მატებას.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც სახელმწიფო ვალის გამოყენებას სასარგებლოდ მიიჩნევს ეკონომიკისათვის. ეს თვალსაზრისი ემყარება შემდეგ არგუმენტებს:

1. სახელმწიფო ვალი არც ისე დიდია, როგორც გვეჩვენება;
2. ვალის გადასახდელ თანხას ინფლაციის შედეგად მნიშვნელოვნად ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე სესხის აღების დროს ჰქონდა. თუ რამდენად მცირეა ეს ფასი, დამოკიდებულია ინფლაციის კონკრეტულ დონეზე;
3. გადასახადების შემცირების შედეგად წარმოქმნილი დეფიციტით შეიძლება ეკონომიკის სტიმულირება. დაზოგილ სახსრებს

მეწარმეები გამოიყენებენ ბიზნესის განვითარებისათვის. მათი გაზრდილი შემოსავალი კი მომავალში საგადასახადო შენატანებს გაზრდის;

4. სახელმწიფო ობლიგაციები, მთავრობის სახაზინო ვალდებულებები და სხვა ფასიანი ქაღალდები საინვესტიციო საჭიროებისათვის მოსახლეობის დანაზოგების თავმოყრას უზრუნველყოფს. მთავრობის მიერ ფულის სასესხებლად გამოშვებული ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები იძლევა სარგებლით უკან დაბრუნების გარანტიას, რითაც მოსახლეობასა და კერძო ფირმებს ფულის დაზოგვის საიმედო შესაძლებლობას სთავაზობენ. თუმცა უნდა აღინიშნოს: ამ სახის სესხი სახელმწიფოს მეტად ძვირი უჯდება.

6. სახელმწიფო ვალის ეკონომიკური შედეგები

გაკოტრება. მუდმივად მზარდი სახელმწიფო ვალი არ იწვევს მთავრობის და მთლიანად ერის გაკოტრებას. ეს ლოგიკა სამ პუნქტს მოიცავს:

1. **რეფინანსირება.** არ არსებობს არავითარი მიზეზი, რომელიც სახელმწიფოს აიძულებდა ვალის შემცირებას ან მის ლიკვიდაციას. პრაქტიკაში როგორც კი დგება ამ ვალის რაღაც ნაწილის გადახდის ყოველთვიური ვადა, მთავრობა, როგორც წესი, გადასახადებს არ ზრდის და ხარჯებს არ ამცირებს. ვადადამდგარი ობლიგაციების დასაფარი სახსრების მისაღებად მთავრობა ახდენს ვალის რეფინანსირებას, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი ჰყიდის ახალ ობლიგაციებს და ამ თანხით ისტუმრებს ძველ ობლიგაციებს.

2. **გადასახადით დაბეგვრა.** მთავრობას კონსტიტუციის ძალით უფლება აქვს მოსახლეობა გადასახადით დაბეგროს და აკრიფოს ეს გადასახადები. გადასახადების გადიდება ის საშუალებაა, რომელიც მთავრობას გააჩნია საკმარისი შემოსავლების მისაღებად სარგებლისა და სახელმწიფო ვალის საერთო თანხის გადასახდელად. კერძო მეურნეობებს და კორპორაციებს, რომლებიც ფინანსურ კრახს განიცდიან, არ შეუძლიათ შემო-

საკლის მიღება გადასახადების აკრეფის ხარჯზე, სახელმწიფოს კი შეუძლია. კერძო მეურნეობებს და კორპორაციებს შეუძლიათ გაკოტრდნენ, მთავრობას კი არ შეუძლია.

3. ფულის შექმნა. მთავრობის გაკოტრება ძალზე რთულია წარმოიდგინოთ, თუნდაც იმიტომ, რომ მას ფულის დაბეჭდვის უფლება აქვს. ე.ი. როცა დგება ობლიგაციების განაღდების ვადა, მთავრობას სხვა საშუალება რომც არ ჰქონდეს, შეუძლია ახლად დაბეჭდილი ფულით გაისტუმროს ვალი. ახალი ფულის შექმნას სარგებლის გადასახდელად, ან სესხის ძირითადი თანხის დასაფარად შეიძლება საინფლაციო ეფექტი გააჩნდეს, მაგრამ აქ განხილული საკითხის არსი ისაა, რომ ძალზე ძნელია დაიჯერო მთავრობის გაკოტრება.

სახელმწიფო ვალის ტვირთის სიმძიმე. ქმნის თუ არა სახელმწიფო ვალი სიმძიმეს მომავალი თაობებისათვის? ამერიკაში დაბადებული ყოველი ბავშვი დავალიანების მქონედ ითვლება? ძირითადად არა! საქმე ის არის, რომ აშშ-ს სახელმწიფო ვალის 87% განლაგებულია ქვეყნის შიგნით ამრიგად სახელმწიფო ვალი იმავდროულად წარმოადგენს საზოგადოებრივ აქტივს. ეს ვალი ერთის მხრივ სახელმწიფოს სავალო ვალდებულებებია (პასივია), მაგრამ მეორეს მხრივ აშშ-ს მოქალაქეებისა და ფირმების აქტივებია, რომელთაც მათთვის ფიქსირებული შემოსავალი მოაქვთ.

ე.ი. ახალდაბადებული ბავშვი მემკვიდრეობით ღებულობს გარკვეული რაოდენობის ვალს და იმავდროულად ხდება ამავე თანხის სამთავრობო ობლიგაციების მემკვიდრე.

ადრე ჩვენ აღვნიშნავდით, რომ სახელმწიფო ვალი მკვეთრად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის დროს, შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ მეორე მსოფლიო ომის ეკონომიკური ტვირთის სიმძიმის ნაწილი გადაკისრებული იქნა მომავალ თაობებზე სამხედრო შესყიდვების, სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვის მეშვეობით დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებით? პასუხი იქნება — არა. ომის ტვირთი თავის თავზე გადაიტანა ომის თაობამ. მას მოუხდა მრავალი სახის სამომხმარებლო საქონელზე უარის თქმა, იმისათვის, რომ აშშ-სა და მისი მოკავშირეებისათვის შეიარაღების საშუალება მიეცათ.

სახელმწიფო ვალის ტვირთის სიმძიმე არ გადაეკისრება მომავალ თაობებს განსაკუთრებული შემთხვევების გარდა. ეს არის ისეთი გარემოება, როცა სახელმწიფო მომავალ თაობებს უტოვებს უფრო ნაკლები სიდიდის საწარმოო ფონდებს. ხოლო თუ ვალის აღების შემდეგ საინვესტიციო საქონელზე უფრო მეტს ხარჯაენ, ვიდრე სამომხმარებლოზე, მაშინ მომავალი თაობებისათვის ვალის ტვირთი არ იქნება მძიმე.

სახელმწიფო ვალის მიმართ ამ ორი დამაიმედებელი შენიშვნის შემდეგ განვიხილოთ ის რეალური პრობლემები, რასაც სახელმწიფო ვალის ეკონომიკურ შედეგებში ვხედავთ.

შემოსავლის განაწილება. საკუთრების განაწილება სახელმწიფო ობლიგაციებზე, რა თქმა უნდა არამართლზომიერია. ერთი მოქალაქე იმდენ თანხას ფლობს, რაც აჭარბებს 1 სულზე ვალის სიდიდეს, მეორე კი – პირიქით ნაკლებს. არიან მოქალაქეები, რომლებიც საერთოდ არ ფლობენ ობლიგაციებს უდიდესი ნაწილი კონცენტრირებული მდიდარი ჯგუფის ხელში. რადგან საგადასახადო სისტემა უმნიშვნელოდ პროგრესულია, სახელმწიფო სესხის სარგებლის გადახდა უფრო ზრდის სოციალურ უთანასწორობას, რაც არასასურველია.

საგარეო ვალი. მეორე რეალური პრობლემა ის არის, რომ საგარეო ვალი ეს არის ვალის ის ნაწილი, რომელიც მაგ. „მართებს ამერიკას“ და რეალურად მოცემულ შემთხვევაში სარგებლისა და ძირითადი ვალის თანხის გადახდა მოცემულ შემთხვევაში მოითხოვს პროდუქციის საკუთარი რეალური გამოშვების გადაცემას სხვა ქვეყნების განკარგულებაში.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის ბიუჯეტი?
2. ჩამოთვალეთ ბიუჯეტის შემოსავლის მუხლები.
3. ჩამოთვალეთ ბიუჯეტის ხარჯების მუხლები.
4. როგორი ბიუჯეტები იცით?
5. შეაფასეთ სამი კონცეპტუალური მიდგომა ბიუჯეტისადმი.

6. რა არის ბიუჯეტის დეფიციტი? როგორ დაავაფინანსოთ იგი?
7. განმარტეთ სახელმწიფო ვალი და მისი სახეები.
8. განიხილეთ სახელმწიფო ვალის მაჩვენებლები.
9. დაასახელეთ სახელმწიფო ვალის მიზეზები.
10. როგორია სახელმწიფო ვალის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები.
11. ახსენით განსხვავება ვალის რეფინანსირებასა და დაფარვას შორის.

ტესტები

1. სახელმწიფო ვალი ეს არის ჯამი წინა პერიოდების:
ა. სახელმწიფო ხარჯების;
ბ. ბიუჯეტის დეფიციტების;
გ. ბიუჯეტის დეფიციტებს მინუს ბიუჯეტური ნამეტები;
დ. ბიუჯეტურ ნამეტებს მინუს ბიუჯეტური დეფიციტები;
ე. თავდაცვაზე ხარჯები.

2. სახელმწიფო ვალს არ შეუძლია სახელმწიფოს გაკოტრება, რადგან მან:
ა. აუცილებელი არაა დაფაროს ვალი;
ბ. შეიძლება მოახდინოს ვალის რეფინანსირება;
გ. შეიძლება გაზარდოს ფულის მასა ეკონომიკაში;
დ. ყველა წინა პასუხი სწორია;
ე. ყველა წინა პასუხი არასწორია.

3. როგორი ეკონომიკური შედეგები შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო ვალს:
ა. ეროვნული ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობების შემცირება;
ბ. ცხოვრების დონის დაცემა;
გ. ეროვნული სიმდიდრის გადანაწილება საზოგადოების წევრებს შორის;
დ. ერთობლივი ეროვნული დანახარჯების გაზრდა;

ე. ყველა წინა პასუხი სწორია.

4. თუ მთავრობა ყოველწლიურად ისწრაფვის დაბალანსებული ბიუჯეტისაკენ, მაშინ ასეთი ბიუჯეტი:
ა. არბილებს ეკონომიკური ციკლის რყევებს;
ბ. გააძლიერებს ეკონომიკური ციკლის რყევებს;
გ. არაეითარ ზეგავლენას არ მოახდენს წარმოების მოცულობაზე და დასაქმების დონეზე;
დ. შეამცირებს ინფლაციას;
ე. მოახდენს ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას.

5. სახელმწიფო ვალის მომსახურების შეფარდებითი დანახარჯები განისაზღვრება:
ა. სახელმწიფო ვალის სიდიდით;
ბ. ვალის საპროცენტო გადახდების თანხით;
გ. ვალის საპროცენტო გადახდების თანხის შეფარდებით მშპ–სთან;
დ. ყველა წინა პასუხი არასწორია.

6. სახელმწიფო ვალი გვეელინება, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება გადასახადის გადამხდელების წინაშე. ეს გამოწვეულია იმით, რომ:
ა. მხოლოდ საპროცენტო თანხების გადახდა არის ეკონომიკური ტვირთი;
ბ. ოფიციალური მონაცემები ამცირებენ სახელმწიფო ვალის სიდიდეს;
გ. სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი მასა ეკუთვნის ქვეყნის მოქალაქეებს და ეროვნულ ფირმებს;
დ. სახელმწიფო ვალი სახელმწიფოს აქტივების ჯამის ტოლია.
ე. მოქალაქეები ტრანსფერტული გადასახადების მიმღებები არიან.

7. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როცა:

ა. სახელმწიფოს აქტივების ჯამი აჭარბებს მის ვალდებულებებს;

ბ. სახელმწიფო ხარჯების ჯამი აჭარბებს საგადასახადო შემოსულობებს;

გ. საგადასახადო შემოსულობების ჯამი მცირდება;

დ. სახელმწიფოს ვალდებულებები აჭარბებს მის აქტივებს.

სავარჯიშოები

1. სრული დასაქმების პირობებში მეპ შეადგენს 20 მლრდ. ლარს. მშპ-ის ფაქტიური მოცულობა შეადგენს 16 მლრდ ლარს. გადასახადების თანხა შეადგენს მშპ-ის 10%-ს. სახელმწიფო ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე ტოლია 1,8 მლრდ. ლარის.

ა. განსაზღვრეთ ბიუჯეტი დეფიციტურია თუ ნამეტით და გამოიანგარიშეთ მისი სიდიდე.

ბ. განსაზღვრეთ როგორ შეიცვლება სახელმწიფო ბიუჯეტის სალდო სრული დასაქმების მიღწევის პირობებში.

2. სახელმწიფომ მიიღო სესხი 10 000 ლარის ოდენობით 1 წლის 4%-იანი განაკვეთით.

ა. წლის ბოლოს სახელმწიფომ რა მოცულობის ვალი უნდა გადაიხადოს?

ბ. თუ ინფლაციის წლიური ტემპი 3%-ია, ვალის ეს მოცულობა ნომინალური იქნება?

გ. როგორი იქნება ვალის მოცულობა და საპროცენტო თანხის სიდიდე ინფლაციის არ არსებობის შემთხვევაში?

დ. თუ ინფლაციის წლიური ტემპი იქნება 3%, როგორი იქნება ინფლაციით კორექტირებული ვალის მოცულობა და საპროცენტო თანხის მოცულობა?

თემა XV. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური ანალიზი

მაკროეკონომიკის შესწავლისას ჯერ კიდევ არ შეგხებივართ ეკონომიკის ურთიერთქმედებას მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან. მაკროეკონომიკის საკითხთა უმრავლესობისათვის საერთაშორისო ასპექტებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მაგ., როდესაც უმუშევრობის ბუნებრივ დონესა და ინფლაციის მიზეზებზე ვმსჯელობდით, საერთაშორისო ვაჭრობის შედეგების უგულებელყოფა სრულიად უმტკივნეულო იყო. ანალიზის სიმარტივისათვის ეკონომისტები ხშირად აკეთებენ დაშვებას ჩაკეტილი ეკონომიკის შესახებ – ისეთი ეკონომიკის შესახებ, რომელიც სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან არ ურთიერთქმედებს.

მაგრამ არსებობს რამდენიმე მაკროეკონომიკური საკითხი, რომელიც ჩნდება **ღია ეკონომიკაში** – ეკონომიკაში, რომელიც შეუზღუდავად ურთიერთქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან. ამ თავში ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკას გავეცნობით. გაცნობას დავიწყებთ იმ ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება ღია ეკონომიკის მსოფლიო ბაზრებთან ურთიერთქმედების აღწერა. ზოგიერთ ცვლადს – ექსპორტს, იმპორტს, საეჭრო ბალანსსა და სავალუტო კურსს – ალბათ უკვე იცნობთ გაზეთებიდან თუ ტელევიზიიდან. ჩვენი უპირველესი ამოცანაა ამ მონაცემების მნიშვნელობის გაგება. შემდეგ გავეცნობით მოდელს, რომლის დახმარებითაც ავხსნით, როგორ განისაზღვრება ეს ცვლადები და როგორ მოქმედებს მათზე ესა თუ ის სამთავრობო პოლიტიკა.

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მათი ძირითადი ფორმები

სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების განვითარება-გაღრმავება და მეურნეობრივი ცხოვრე-

ბის ინტეგრაცია დროის მოთხოვნაა. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა უაღრესად რთული ფენომენია არა მარტო მონაწილე სუბიექტების, არამედ კავშირ-ურთიერთობათა ფორმების მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც. ამჟამად, მსოფლიო მეურნეობის აქტიურ სუბიექტებს წარმოადგენენ: სახელმწიფოები თავიანთი სამეურნეო კომპლექსებით, ტრანსეროვნული კორპორაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები. **ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ფორმები** კი ასეთია: საგარეო ვაჭრობა, საწარმოო კაპიტალის მიგრაცია, სასესხო კაპიტალის საერთაშორისო ბაზარი, შრომითი რესურსების მიგრაცია, სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები.

1) საგარეო ვაჭრობა. ქვეყნებს შორის სავაჭრო კავშირურთიერთობების განვითარება-გაფართოებისა და მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბების ეკონომიკურ საფუძველს შრომის საერთაშორისო ტერიტორიული დანაწილება შეადგენს, რომელიც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების უმაღლესი საფეხურია და ნიშნავს თითოეული ქვეყნის სპეციალიზაციას ცალკეულ სახეობათა პროდუქციის (მომსახურების) წარმოებაზე.

მსოფლიო ბაზარი, როგორც მთლიანი ორგანიზმი და ერთიანი სისტემა, მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ჩამოყალიბდა. მანქანური წარმოების განვითარებამდე შრომის საერთაშორისო დანაწილება და საწარმოო სპეციალიზაცია თითქმის მთლიანად მის ბუნებრივ საფუძველს – ბუნებრივ-კლიმატური პირობების (წიაღისეული სიმდიდრეები, ნიადაგი, ჰავა, გეოგრაფიული მდებარეობა და ა.შ.) თვალსაზრისით ქვეყნებს შორის არსებულ განსხვავებას ემყარებოდა. მაგალითად, საქართველოსათვის საერთაშორისო სპეციალიზაციის პროფილის განმსაზღვრელ დარგებად იმთავითვე იქცა მანგანუმის, ღვინის, კონიაკის, თამბაქოს, ჩაის მრეწველობა, რამდენადაც ისინი დამყარებული იყო გაერცელების არეალშემზღუდველი ნედლეულის წაყროებზე. ამ დარგთა პროდუქცია, ადგილობრივ მოთხოვნილებასთან შედარებით, გაცილებით მეტი რაოდენობით იწარმოებოდა და ნამეტი ნაწარმი სარეალიზაციოდ გაჰქონდათ საგარეო ბაზარზე. სამაგიეროდ შემოჰქონდათ ის, რაც საქართველოში არ იწარმოებოდა (ცალ-

კეული სახეობის დაზგა-დანადგარები, ნავთობი, შაქარი, ყავა, და ა.შ.).

მსხვილი მანქანური წარმოების დამკვიდრების კვალობაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების კავშირი მის ბუნებრივ საფუძველთან მნიშვნელოვნად მცირდება და სულ უფრო დამოკიდებული ხდება საკუთრივ ტექნოლოგიური ფაქტორის განვითარებაზე. ეს ცნობილია ფარდობითი დანახარჯების თეორიის, ანუ **ფარდობითი უპირატესობის კანონის** სახით, რომლის ავტორი ცნობილი ეკონომისტი დ. რიკარდოა. ამ თეორიის თანახმად, სავაჭრო კავშირ-ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთთან არა მარტო, მაგალითად, ლუდის მწარმოებელ ქვეყნებსა და იმ სახელმწიფოებს, რომელთა ტერიტორიაზეც ლუდი საერთოდ არ იწარმოება, არამედ მრეწველურად ძლიერ განვითარებულ ქვეყნებსაც. თანაც ისეთი საგნებით, რომელთა წარმოება შესაძლებელია ორივე პარტნიორი ქვეყნის ფარგლებში. მაგრამ, მათ შორის ერთი უფრო დახელოვნებულია (სპეციალიზებულია) მის წარმოებაზე (აქვს დიდი ტრადიციები, ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები, აღჭურვილია ექსტრაკლასის უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილობით და ა.შ.), ამიტომ დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობა გაცილებით უფრო მაღალია, ხოლო წარმოების ხარჯები – შედარებით დაბალი (ძირითადად წარმოების მსხვილ მასშტაბებთან დაკავშირებული ეკონომიის გამო). ეს საშუალებას აძლევს მოცემულ ქვეყანას გაიტანოს თავისი ნაწარმი პარტნიორი ქვეყნის ბაზარზე, გაყიდოს შედარებით იაფად, ამით მიიზიდოს ბევრი მყიდველი და მოგებაც მიიღოს იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე შიდა ბაზარზე რეალიზებით მიიღებდა.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს განვაზოგადებთ, შეგვიძლია დავასკვნათ: **ექსპორტით** (ადგილობრივი საქონლის საგარეო ბაზარზე რეალიზაციით) გამოწვეული ეფექტის სიდიდე დამოკიდებულია მოცემული საქონლის ეროვნული და მსოფლიო ბაზრების ფასების თანაფარდობაზე. რაც უფრო დიდია მათ შორის სხვაობა, მით უფრო მეტია მოცემული საქონლის ექსპორტით მიღებული ეფექტი და, პირიქით.

მსოფლიო საქონელბრუნვაში ცალკეული ქვეყნების მონაწილეობის პოტენციური შესაძლებლობების დასადგენად გამოიყენება წარმოების დარგთა (მათი ნაწარმის) საერთაშორისო სპეციალიზაციის დონე. მისი კონკრეტული მაჩვენებლებია: **პროდუქციის ფარდობითი საექსპორტო სპეციალიზაციის კოეფიციენტი** და **საექსპორტო ქვოტა.**

პროდუქციის ფარდობითი საექსპორტო სპეციალიზაციის კოეფიციენტი უდრის მოცემული საქონლის (ან საქონელთა ერთობლიობის) ქვეყნის ექსპორტში ხვედრითი წონის მსოფლიო ექსპორტში საქონელთა (საქონელ-ანალოგთა) ხვედრით წონასთან შეფარდებას. ამ კოეფიციენტით შეიძლება დაახლოებით განვსაზღვროთ მოცემული ქვეყნის საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგთა და, შესაბამისად, საქონლისა და მომსახურების წრე. შეფარდების შედეგად მითებული მონაცემი თუ აღემატება 1-ს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული დარგი (საქონელი, მომსახურება) სპეციალიზებულია საერთაშორისო მასშტაბით, ხოლო თუ 1-ზე ნაკლებია, პირიქით, ასეთ დარგად ვერ ჩაითვლება.

საექსპორტო ქვოტა უდრის ექსპორტის ღირებულების მთლიანი შიგა პროდუქტის ღირებულებასთან შეფარდებას. ამ მაჩვენებლის გადიდება მოწმობს ქვეყნის როგორც შრომის საერთაშორისო ტერიტორიულ დანაწილებაში ზრდად მონაწილეობას, ისე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებას.

მოსახლეობის ერთ სულზე ექსპორტის მოცულობა გვიჩვენებს იმას, თუ რაოდენ აქტიურად მონაწილეობს იგი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ჩვენ ასე თუ ისე გავარკვიეთ ექსპორტის განმსაზღვრელი მოტივაციები, მაგრამ ძალიან ცოტა ვთქვით **იმპორტის** (უცხოეთიდან საქონლის შემოტანის) მამოძრავებელ მოტივებზე. ამა თუ იმ ქვეყანას (ან მის ცალკეულ კორპორაციას) უცხოეთიდან სარეალიზაციოდ შემოაქვს არა მარტო ის საქონელი, რომელიც საერთოდ არ იწარმოება ადგილობრივად, არამედ ისიც, რომელიც ადგილობრივ ნაწარმთან შედარებით უფრო იაფი, ხარისხიანი, მოდური და ესთეტიკურად მიმზიდველია. საგარეო

ვაჭრობის ეფექტიანობის გაანგარიშებისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება ის ეკონომიკური სიკეთე, რომელსაც მოცემული ქვეყანა იმპორტის შედეგად ღებულობს ცალკეულ საქონელზე თავისი მოთხოვნილებების სწრაფად დაკმაყოფილებითა და იმ რესურსების ეკონომიით, რომელიც ანალოგიური საქონლის ქვეყნის შიგნით წარმოებას დასჭირდებოდა.

ექსპორტისა და იმპორტის საერთო ჯამი შეადგენს საზღვარგარეთის ქვეყნებთან **საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვას**. მისი სტრუქტურისა და დინამიკური ცვლილებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და სტაბილურობაზე, საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში მონაწილეობის აქტიურობასა და მასშტაბებზე, მისი ნაწარმის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე და ა.შ.

გავიხსენოთ, რომ ქვეყნის **წმინდა ექსპორტი** ამ ქვეყნის ექსპორტის ღირებულებისა და მისივე იმპორტის ღირებულების სხვაობაა. „ბოინგის“ თვითმფრინავის უცხოეთში გაყიდვა აშშ-ს წმინდა ექსპორტს ზრდის, ხოლო „ვოლვოს“ ავტომობილის შეერთებულ შტატებში გაყიდვა აშშ-ს წმინდა ექსპორტს ამცირებს. რადგან წმინდა ექსპორტი იმაზე მეტყველებს, მყიდველია თუ გამყიდველი ქვეყანა მსოფლიოს საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე, წმინდა ექსპორტს **საგაჭრო ბალანსსაც** უწოდებენ. თუ წმინდა ექსპორტი დადებითია, მაშინ ექსპორტი იმპორტზე მეტია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანა იმაზე მეტს ყიდის უცხოეთში, რასაც უცხოეთიდან ყიდულობს. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ქვეყანას **საგაჭრო უპირატესობა** აქვს. თუ წმინდა ექსპორტი უარყოფითია, მაშინ ექსპორტი იმპორტზე ნაკლებია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანა იმაზე ნაკლებს ყიდის, რასაც ყიდულობს. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ქვეყანას **საგაჭრო დეფიციტი** აქვს. თუ წმინდა ექსპორტი ნულის ტოლია, მაშინ ექსპორტი და იმპორტი ერთმანეთის ტოლია და ამბობენ, რომ ქვეყანას **დაბალანსებული ვაჭრობა** აქვს.

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ზემოქმედებენ საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადებზე. ეს ფაქტორებია:

- მომხმარებლების გემოვნება სამამულო და უცხოური საქონლის მიმართ;
- საქონლის ფასი ქვეყანაში და უცხოეთში;
- სავალუტო კურსი, რომლითაც ეროვნული ვალუტით უცხოური ვალუტის ყიდვა შეიძლება;
- ქვეყნიდან ქვეყანაში საქონლის ტრანსპორტირების ხარჯები;
- მთავრობის პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებით.

როდესაც ეს ცვლადები მერყეობს, იცვლება საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობაც.

2) საწარმოო კაპიტალის მიგრაცია. აქამდე იმის შესახებ ვმსჯელობდით, როგორ იღებენ ღია ეკონომიკის რეზიდენტები მონაწილეობას საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრებში. ამას გარდა, ისინი მსოფლიო ფინანსურ ბაზრებშიც იღებენ მონაწილეობას. საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც $20 000 აქვს, შეუძლია ამ ფულით იყიდოს როგორც „ტოიოტას" მარკის ავტომობილი, ისე კორპორაცია „ტოიოტას" აქციები. პირველი გარიგება საქონლის ნაკადია, მეორე კი – კაპიტალის ნაკადი.

ტერმინით **კაპიტალის წმინდა გადინება** აღინიშნება სხვაობა ქვეყნის მოქალაქეების მიერ უცხოური აქტივების ყიდვასა და უცხოელების მიერ სამამულო აქტივების შეძენას შორის.

კაპიტალის ნიშანდობლივი თვისებაა სწრაფვა მაქსიმალური მოგებისაკენ. სწორედ ამითაა განპირობებული მის მიერ მშობლიური ქვეყნის საზღვრების გადალახვა და უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე დამკვიდრება. როგორც კერძო, ისე სახელმწიფო კაპიტალი გააქვთ ორი ძირითადი ფორმით. ესენია **საწარმოო** და **სასესხო კაპიტალი.**

საწარმოო კაპიტალი თავის მხრივ ორგვარია: **პირდაპირი ინვესტიციები** და **პორტფელური ინვესტიციები.** პირდაპირს უწოდებენ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გატანილი კაპიტალის დაბანდებას უშუალოდ მეწარმოებრივ საქმიანობაში (საწარმოს

შეძენა ან აგება, მისი აღჭურვა ტექნიკითა და ტექნოლოგიური მოწყობილობით, უზრუნველყოფა წარმოების სხვა აუცილებელი ფაქტორებით და პროდუქციის წარმოება) ან ამ კაპიტალით ადგილობრივი კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას. პორტფელური ინვესტიციები ისეთი დაბანდებაა, რომელიც არაა საკმარისი კონტროლის უფლების მოსაპოვებლად.

„მაკდონალდსის“ მიერ საქართველოში რესტორნის გახსნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაგალითია. ამერიკელის მიერ ქართული კომპანიის აქციის შეძენა პორტფელური ინვესტიციის მაგალითია. პირველ შემთხვევაში ამერიკელი მფლობელი აქტიურად ახორციელებს ინვესტირების მენეჯმენტს, მეორე შემთხვევაში კი ამერიკელ მფლობელს უფრო პასიური როლი აქვს. ორივე შემთხვევაში შეერთებული შტატების მოქალაქეები სხვა ქვეყანაში არსებულ აქტივებს ყიდულობენ, ამიტომ ორივე გარიგება აშშ-ს კაპიტალის წმინდა გადინებას ზრდის.

კაპიტალის წმინდა გადინება (რომელსაც ხანდახან წმინდა უცხოურ ინვესტიციებსაც უწოდებენ) შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც. როდესაც ის დადებითია, ადგილობრივი რეზიდენტები უფრო მეტ უცხოურ აქტივებს ყიდულობენ, ვიდრე უცხოელები ადგილობრივს. ამდენად ამბობენ, რომ ხდება ქვეყნიდან კაპიტალის გადინება. როდესაც კაპიტალის წმინდა გადინება უარყოფითია, ამ შემთხვევაში ადგილობრივი რეზიდენტები ნაკლებ უცხოურ აქტივებს ყიდულობენ, ვიდრე უცხოელები შეიძენენ ადგილობრივს. ამ დროს ამბობენ, რომ ქვეყანაში კაპიტალის შემოდინება ხდება.

წმინდა უცხოურ ინვესტიციებზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- უცხოური აქტივის სარგებლის რეალური განაკვეთი;
- სამამულო აქტივის სარგებლის რეალური განაკვეთი;
- უცხოეთში აქტივების ფლობის ეკონომიკური და პოლიტიკური რისკი;
- სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს სამამულო აქტივების უცხოურ მფლობელობაზე.

წმინდა ექსპორტისა და კაპიტალის წმინდა გადინების ტოლობა. როგორც ვნახეთ, ღია ეკონომიკა დანარჩენ სამყაროს-

თან ორგვარად ურთიერთქმედებს – საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრებზე და მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. წმინდა ექსპორტიცა და კაპიტალის წმინდა გადინებაც ამ ბაზრების დაუბალანსებლობას ზომავს. წმინდა ექსპორტი ასახავს ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის უთანაბრობას. კაპიტალის წმინდა გადინება კი ასახავს ქვეყნის მოქალაქეთა მიერ შეძენილ უცხოურ აქტივებსა და უცხოელთა მიერ შეძენილ სამამულო აქტივებს შორის უთანაბრობას.

გამოთვლებისას ირკვევა, რომ ეს ორი სიდიდე ერთმანეთს უნდა აწონასწორებდეს. ე.ი. კაპიტალის წმინდა გადინება (NCO) ყოველთვის წმინდა ექსპორტის (NX) ტოლი უნდა იყოს:

$$NCO = NX$$

ამ ტოლობის სამართლიანობაში დასარწმუნებლად ერთი მაგალითი განვიხილოთ. წარმოიდგინეთ, რომ პროგრამისტი ხართ და საქართველოში ცხოვრობთ. ერთ დღესაც თქვენს მიერ შექმნილ პროგრამას ამერიკელ მომხმარებელს მიჰყიდით $10 000. პროგრამის გაყიდვა საქართველოსთვის ექსპორტია და ამდენად ზრდის მის წმინდა ექსპორტს. მაგრამ კიდევ რა მოვლენა გვაქვს, რომელიც ტოლობის სამართლიანობას ადასტურებს? პასუხი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოექცევით ამ $10 000.

ჯერ დაეუშვათ, რომ თქვენ ამ დოლარებს ამერიკული კომპანიის აქციების საყიდლად გამოიყენებთ. ამ შემთხვევაში ადგილობრივი რეზიდენტი საბოლოოდ უცხოური აქტივის ყიდვას გადაწყვეტს. საქართველოს კაპიტალის წმინდა გადინება (აშშ აქციის შეძენის სახით) ზუსტად საქართველოს წმინდა ექსპორტის ტოლია (პროგრამის გაყიდვა).

ახლა შევცვალოთ მაგალითი. იმის ნაცვლად, რომ თქვენ $10 000 ამერიკული აქციების საყიდლად გამოიყენოთ, ამ ფულით ამერიკულ საქონელს ყიდულობთ. ამის შედეგად საქართველოს იმპორტი იზრდება. პროგრამის ექსპორტი და ამერიკული საქონლის იმპორტი ერთმანეთს აბალანსებს. იმის გამო, რომ იმპორტი და ექსპორტი ერთი და იმავე სიდიდით იცვლება, წმინდა ექსპორტი უცვლელი რჩება. ამ შემთხვევაში არც ქარ-

თველი იძენს ამერიკულ აქტივს და არც ამერიკელი – ქართულს. ამდენად, ეს არანაირ გავლენას არ ახდენს აშშ-ის კაპიტალის წმინდა გადინებაზე.

საბოლოო შესაძლებლობა ის არის, რომ ადგილობრივ ბანკში წახვიდეთ და $10 000 ლარებზე გადაცვალოთ. თუმცა ეს სიტუაციას არ ცვლის, რადგან ბანკმა რაღაც უნდა მოუხერხოს ამ $10 000. მას შეუძლია იყიდოს ამერიკული აქტივები (საქართველოს კაპიტალის წმინდა გადინება); იყიდოს ამერიკული საქონელი (საქართველოს იმპორტი); ან ამერიკული დოლარები საქართველოს იმ მოქალაქეს მიჰყიდოს, რომელსაც ამგვარი გარიგების შესრულება უნდა. საბოლოოდ, აშშ-ს წმინდა ექსპორტი კაპიტალის წმინდა გადინებას უნდა გაუტოლდეს.

შეგვიძლია ეს მაგალითი მთლიანად ეკონომიკაზე განვაზოგადოთ:

– როდესაც ქვეყანას სავაჭრო გარდამეტი აქვს (**NX > 0**), ის უფრო მეტ საქონელსა და მომსახურებას ყიდის უცხოელებზე, ვიდრე თავად ყიდულობს მათგან. როგორ იყენებს იმ უცხოურ ვალუტას, რომელსაც ის საქონლისა და მომსახურების ამ წმინდა გაყიდვიდან იღებს? ის უცხოურ აქტივებს ყიდულობს, რის გამოც ხდება ქვეყნიდან კაპიტალის გადინება (**NCO< 0**).

– როდესაც ქვეყანას სავაჭრო დეფიციტი აქვს (**NX < 0**), ის უფრო ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას ყიდის უცხოელებზე, ვიდრე თავად ყიდულობს უცხოელებისაგან. როგორ აფინანსებს მსოფლიო ბაზარზე უცხოელებისაგან ამ საქონლისა და მომსახურების ყიდვას ქვეყანა? ის საზღვარგარეთ ყიდის აქტივებს, რის გამოც ხდება კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში (**NCO > 0**).

საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადები და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები მონეტის ორი მხარეა.

თანამედროვე ეტაპზე კაპიტალის მიგრაციის ფრიად ყურადსაღები თავისებურებაა ძირეული ძვრები მის ტერიტორიულ განთავსებაში: თუ XX საუკუნის პირველ ნახევარში თავისუფალი კაპიტალი ძირითადად კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში მიემართებოდა და მაღალ მოგებას ამ ქვეყნების მდი-

დარი ნედლეულის წყაროებისა და იაფი მუშახელის ხარჯზე ღებულობდა, დღეისათვის კაპიტალის ძირითადმა ნაწილმა მიმართულება იცვალა და კურსი მრეწველობის მხრივ განვითარებული ქვეყნებისაკენ აიღო.

განვითარების დღევანდელ საფეხურზე კაპიტალის მიგრაციის კიდევ ერთი გამოკვეთილი თავისებურებაა მსოფლიოს ეკონომიკის პრინციპულად ახალი მოვლენა – კაპიტალის ექსპორტი ცალკეული განვითარებადი (განსაკუთრებით ნავთობის მწარმოებელი) ქვეყნებიდან თვით ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში.

3) სასესხო კაპიტალის საერთაშორისო ბაზარი. ამჟამად საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა **სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარი.** იგი წარმოგვიდგება როგორც სასესხო კაპიტალზე სხვადასხვა ქვეყნის მსესხებლებისა და კრედიტორების მოთხოვნა-მიწოდების ერთობლიობა. თვით სასესხო კაპიტალი ფულადი კაპიტალია, რომელიც სარგებლის მიღების მიზნით გაიცემა გარკვეული დროით სესხის სახით.

კაპიტალის მსოფლიო ბაზარი უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების კუთვნილი ფულადი საშუალებების, მნიშვნელოვანწილად კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების მიზნით, გრძელვადიანი სესხის სახით გაცემას. ამით იგი ემსახურება გაფართოებული აღწარმოების პროცესს მსოფლიო მასშტაბით.

ერთიმეორისაგან განასხვავებენ აგრეთვე **კრედიტისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრებს.** კრედიტის მსოფლიო ბაზარზე უშუალოდ ფული მიმოიქცევა (გარიგების საფუძველზე სესხად გაიცემა), ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზარზე კი – აქციები და ობლიგაციები.

წამყვან საერთაშორისო ფინანსურ ცენტრად ითვლება ნიუიორკი. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფასიანი ქაღალდების როგორც ემისიის, ისე რეალიზაციის მიმართულებით. ევროპაში მთავარი ფინანსური ცენტრია ლონდონი. მას პირველი ადგილი უკავია საერთაშორისო სავალუტო, დეპოზიტური და საკრედიტო ოპერაციების მოცულობის მიხედ-

ვით. ბოლო ათწლეულში სულ უფრო მატულობს ტოკიოს, როგორც საერთაშორისო ფინანსური ცენტრის როლი და მნიშვნელობა.

სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ცენტრალურ რგოლს **ევროსავალუტო ბაზარი** წარმოადგენს. „ევრო“ ნიშნავს არა ბაზრის შემოფარგელას დასავლეთი ევროპის საზღვრებით, არამედ იმას, რომ ვალუტა (ევროდოლარის, ევროფრანკის, ევრომარკისა თუ ევროიენის სახით) იმყოფება საზღვარგარეთის ქვეყნების ანგარიშებზე, რომლებიც იყენებენ მას კრედიტების გასაცემად. კაპიტალი შემოდის ძირითადად აშშ-დან და დასავლეთ ევროპიდან. განვითარებული ქვეყნებიდან მთავარი მსესხებლები არიან: იაპონია, აშშ, კანადა და შვედეთი.

4) შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაცია. საკითხი ეხება მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის (სამუშაო ძალის) მოძრაობას ერთი ქვეყნიდან მეორეში, რომლის ძირითადი მიზეზიც მძიმე ეკონომიკური პირობებია. როდესაც ადამიანს არა აქვს მუდმივი სამუშაო და მისი არც პერსპექტივა ჩანს, ან მუშაობს, მაგრამ მცირე შემოსავალს ღებულობს და ვერ ინახავს ოჯახს, იძულებული ხდება წავიდეს სამუშაოდ იმ ქვეყანაში, სადაც შრომის ანაზღაურება და ცხოერების პირობებიც უკეთესია.

შრომითი რესურსების გარე მიგრაციისათვის საკმარისი არაა ზემოაღნიშნული მძიმე ეკონომიკური პირობების არსებობა. ამისათვის აუცილებელია კიდევ ორი პირობაც: პირველ რიგში, მოთხოვნის არსებობა სხვა ქვეყნებში ასეთნაირი გზით მიწოდებულ დამატებით სამუშაო ძალაზე და, მეორე, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო აქტები, რომლებიც ნებას რთავს შრომითი რესურსების ასეთ მოძრაობას.

რაც შეეხება სამუშაო ძალის იმპორტს, მისი განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები შემდეგია:

1. ადგილობრივთან შედარებით, უცხოური იაფი სამუშაო ძალის გამოყენების საფუძველზე წარმოების ხარჯების შემცირებისაკენ სწრაფვა;

2. მაღალკვალიფიციური საინჟინრო-ტექნიკური და, რაც მთავარია, მეცნიერული კადრების მოზიდვის ინტერესები;
3. ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით სამუშაო ძალის გამოყენების პირობების გამოთანაბრებას.
4. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარება, რაც აადვილებს მგზავრობას და ინფორმაციების ურთიერთმიწოდებას.

სამუშაო ძალის ემიგრაციის დადებითი მხარეებია ის, რომ მის შედეგად მოცემული ქვეყნის შრომის ბაზარზე რამდენადმე განიმუხტება მდგომარეობა – შემცირდება უმუშევრობა; საზღვარგარეთ მუშაობის შედეგად სამშობლოს უბრუნდებიან, როგორც წესი, უფრო მაღალკვალიფიციური მუშაკები; დონორ ქვეყანაში შემოდის უცხოური ვალუტა. ნეგატიური მხარე კი გახლავთ ის, რომ შრომითი ემიგრაციის შედეგად დონორი ქვეყანა კარგავს მთლიანი ეროვნული პროდუქტის გარკვეული ნაწილის შექმნის პოტენციურ შესაძლებლობას.

თუკი ემიგრაციას სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყნების პოზიციებიდან შევხედავთ, მაშინ აღსანიშნავია მისი შემდეგი დადებითი მხარეები: ჩამოსული კადრების ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების ხარჯების ეკონომია; ხელფასის ეკონომია (იმიგრანტებს უხდიან გაცილებით ნაკლებს); მოხმარების საგნების შიგა ბაზრის ტევადობის გაფართოება; იმიგრანტთა დროებით თავისუფალი სახსრების აკუმულაცია შემნახველ ბანკებში, რომლის გამოყენებაც შეიძლება ეკონომიკის დასაფინანსებლად; მოსახლეობის გაახალგაზრდავება, რამდენადაც იმიგრანტები ძირითადად ახალგაზრდები არიან.

2. საერთაშორისო სავალუტო სისტემა

მსოფლიო ეკონომიკაში საგადამხდელო და საანგარიშსწორებო ოპერაციები სავალუტო სისტემის მეშვეობით რეალიზდება, ამიტომ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ვალუტების ურთიერთგაცვლა ხდება ვალუტის კურსის მიხედვით. **ვალუტის კურსი** არის ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ფასი, გამოხატული სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებში. იგი ცვალებადი სიდიდეა, რამდენადაც დამოკიდებულია შესადარი ვალუტების მსყიდველობითუნარიანობის ცვლილებებზე. მსყიდველობითი უნარის მიხედვით სხვადასხვა ქვეყნის ვალუტებს შორის თანაფარდობას **მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი** ეწოდება.

ვალუტის კურსები ყალიბდება მსოფლიო სავალუტო ბაზარზე მრავალი ფაქტორის გავლენით. მათ შორის ძირითადია: შრომის მწარმოებლურობის დონე, მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის გრძელვადიანი ტემპები, ქვეყნის ადგილი და როლი მსოფლიო ვაჭრობასა და საზღვარგარეთულ ინვესტიციებში, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა მიმდინარე ანგარიშების მიხედვით, ცალკეული ქვეყნების შიდა ბაზარზე ფასების ზრდის ტემპებს შორის სხვაობა, ბიუჯეტის დეფიციტურობა და ა. შ.

სახელმწიფო მოწოდებულია დაარეგულიროს ვალუტის კურსი. მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია ვალუტის კურსის დარეგულირების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

ვალუტის კურსზე არაპირდაპირ (ირიბ) გავლენას ახდენს ქვეყნის ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის ყველა ღონისძიება. მაგალითად, ინფლაციის შემცირებისათვის მიმართული ღონისძიებების შედეგად თუკი მიღწეულ იქნება ინფლაციის შემცირება, სხვა თანაბარ პირობებში ეროვნული ვალუტის სტაბილურობა გაიზრდება და გაცვლითი კურსი ამაღლდება. გატარებული ზომების მიუხედავად, თუკი ინფლაცია კიდევ უფრო გაღრმავდა, საპირისპირო შედეგიც არ დააყოვნებს – ვალუტის კურსი დაეცემა.

უფრო თვალსაჩინო და სწრაფ ეფექტს მაინც ვალუტის კურსის პირდაპირი რეგულირების ღონისძიებები იძლევა. მათ შორის, აღსანიშნავია ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გამოყოფილ კრედიტზე გადასახდელი პროცენტის გადიდება. ეს უშუალოდ ზრდის ვალუტის კურსსაც. ეს გამოწვეულია იმით, რომ მაღალი პროცენტის პირობებში კო-

მერციული ბანკები მნიშვნელოვნად ამცირებენ კრედიტის აღებას და საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზეც შემცირებული ოდენობით ყიდულობენ უცხოურ ვალუტას. ამ უკანასკნელზე მოთხოვნის შემცირებას ლოგიკურად თან სდევს ეროვნული ვალუტის კურსის ამაღლება.

ვალუტის კურსის პირდაპირი რეგულირების მეთოდია აგრეთვე ეროვნული ვალუტის რევალვაცია (კურსის ამაღლება), რომელიც ხორციელდება დევალვაციის (კურსის შემცირების) საპირისპიროდ.

უაღრესად მნიშვნელოვანია ვალუტის კონვერტირებადობის საკითხი. იგი განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართვის პირობებს, შრომის საერთაშორისო ტერიტორიული დანაწილების უპირატესობათა გამოყენებასა და კაპიტალის მიგრაციის შესაძლებლობებს. მიმოქცევადობის რეჟიმის მიხედვით განასხვავებენ: **კონვერტირებად, ნაწილობრივ კონვერტირებად და არაკონვერტირებად ვალუტას.**

კონვერტირებადია ვალუტა, რომელიც თავისუფლად იცვლება სხვა ქვეყნების ვალუტებზე. თანაც, გაცვლა, სახელმწიფოებთან ერთად, შეიძლება შეუზღუდველად განახორციელონ მოქალაქეებმა და ორგანიზაციებმა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

კონვერტირებადი ვალუტების მეშვეობით ხორციელდება საერთაშორისო ანგარიშსწორებებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. ასეთ ვალუტებს განეკუთვნება: ამერიკული დოლარი, გერმანული მარკა, იაპონური იენა, ინგლისური გირვანქა სტერლინგი, შვეიცარიული ფრანკი და კანადური დოლარი. თუმცა, საერთაშორისო ანგარიშსწორება ძირითადად აშშ დოლარით ხდება.

ნაწილობრივ კონვერტირებად ვალუტას სხვა ვალუტებზე გადაცვლისას აქვს გარკვეული შეზღუდვები: იცვლება არა ყველა უცხოურ ვალუტაზე და შეუზღუდველად გაცვლის უფლება ეძლევა მხოლოდ მის უცხოელ მფლობელს (უცხოეთის მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს).

არაკონვერტირებადი ვალუტა ეწოდება ფულის იმ ერთეულს, რომელიც არ იცვლება სხვა ქვეყნების ვალუტებზე და ფუნქციონირებს მხოლოდ მოცემულ ქვეყანაში. ასეთია მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ვალუტა, მათ შორისაა ქართული ლარიც.

თითოეული ქვეყნის ვალუტის კურსსა და სავალუტო პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენს საგადასახდელო ბალანსისა და სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა. **საგადასახდელო ბალანსი** არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ასახავს თანაფარდობას მოცემული ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად შემოსავლებსა და სხვა ქვეყნებისათვის გადახდილ თანხებს შორის, დროის გარკვეულ მონაკვეთში.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებული გადახდები აღირიცხება ორმაგი ბუღალტერიის პრინციპით. მაგალითად, ექსპორტის ანგარიშზე შემოსული თანხა აღირიცხება შემოსავალში ნიშანი „პლუსით“, ხოლო სხვა ქვეყნისათვის გადახდილი თანხა – გასავალში (ხარჯებში) ნიშანი „მინუსით“. საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების მიხედვით შემოსავალსა და გასავალს შორის სხვაობას უწოდებენ **საგადასახდელო ბალანსის სალდოს**. საგადასახდელო ბალანსი აქტიურია, როცა შემოსავალი აღემატება გადასახდელებს და პასიური (დეფიციტური) – როცა გადასახდელები სჭარბობს შემოსავალს. ეს უკანასკნელი იმის მაუწყებელია, რომ ქვეყანა იმაზე მეტ ფულს ხარჯავს საზღვარგარეთ, ვიდრე იქიდან ღებულობს. ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მისი ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობაზე.

საგადასახდელო ბალანსი შედგება სამი მთავარი განყოფილებისაგან:

– მიმდინარე ოპერაციების ანგარიში (ბალანსი);

– კაპიტალის ოპერაციებთან დაკავშირებული ანგარიში (ბალანსი);

– ანგარიშსწორებები ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მიხედვით.

მიმდინარე ოპერაციების ბალანსში აისახება, უწინარეს ყოვლისა, სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებები. საგადასახდელო ბალანსის იმ ნაწილს, რომე-

ლიც ასახავს მხოლოდ ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობას, **საგაჭრო ბალანსი** ეწოდება. იგი შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური.

საგადასახდელო ბალანსი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საგაჭრო ბალანსი. ეს უკანასკნელი მისი ერთი შემადგენელი ნაწილია.

საგადასახდელო ბალანსის პირველ განყოფილებაში ასახვას პოულობს სხვადასხვა სახის მომსახურებაც (ტურიზმი, საელჩოების, საკონსულოებისა და სხვა ოფიციალური სტრუქტურების მომსახურება, უცხოეთში მყოფი ნათესავებისათვის ფულის გაგზავნა და ა. შ.).

კაპიტალის მიმოქცევის ბალანსი ასახავს საზღვარგარეთული აქტივების ყიდვა-გაყიდვას, როგორც გრძელვადიანი, ისე საშუალო და მოკლევადიანი სესხების მიწოდებასა და მათგან მიღებას. კაპიტალის იმპორტი, თუკი იგი ექსპორტზე მეტია, უარყოფითად მოქმედებს საგადასახდელო ბალანსზე, ე. ი. ხელს უწყობს მის დეფიციტურობას.

საგადასახდელო ბალანსის მესამე განყოფილებაში თავს იყრის ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებული არ არის კომერციულ საქმიანობასთან. მიუხედავად ამისა, მას გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია საგადასახდელო ბალანსის აქტიური თუ პასიური სალდოს ჩამოყალიბებაში.

3. საერთაშორისო გარიგებების ფასები: რეალური და ნომინალური სავალუტო კურსები

ამ თემის დასაწყისში უკვე გავეცანით ქვეყნებს შორის საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გადადინების მაჩვენებლებს. ამ რაოდენობრივი ცვლადების გარდა, მაკროეკონომიკა ისეთ ცვლადებსაც შეისწავლის, რომლებიც ამ საერთაშორისო გარიგებების ფასებს ზომავენ. ისევე როგორც ნებისმიერ ბაზარზე, საერთაშორისო ფასები მსოფლიო ბაზარზე მყიდველებისა და გამყიდველების გადაწყვეტილებების კოორდინირების მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ახლა განვიხილოთ ორი

ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფასი – ნომინალური და რეალური სავალუტო კურსი.

ნომინალური სავალუტო კურსი ის კურსია, რომლითაც ერთი ქვეყნის ვალუტა მეორე ქვეყნის ვალუტაზე იცვლება. მაგალითად, დავუშვათ, რომ იაპონური იენის კურსია ერთ დოლარში 80 იენა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ბანკს ერთ აშშ დოლარს მისცემთ, 80 იაპონურ იენას მიიღებთ, ხოლო თუ 80 იაპონურ იენას მისცემთ, ერთ აშშ დოლარს მიიღებთ (სინამდვილეში იენის ყიდვისა და გაყიდვის ფასები ერთმანეთისგან ოდნავ განსხვავდება. ეს განსხვავება ბანკს გარკვეულ მოგებას აძლევს ამ მომსახურების სანაცვლოდ. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, აქ ამ განსხვავებას უგულებელვყოფთ).

სავალუტო კურსის გამოხატვა ორგვარად შეიძლება. თუ სავალუტო კურსია 80 იენა ერთ დოლარში, ეს იმასაც ნიშნავს, რომ სავალუტო კურსია 1/80 (=0,0125) დოლარი ერთ იენაში, ანუ 1 იენა = 0,0125 დოლარს.

თუ სავალუტო კურსი ისე იცვლება, რომ დოლარი მეტ უცხოურ ვალუტას ყიდულობს, ასეთ ცვლილებას დოლარის **ღირებულების ზრდა** ეწოდება. თუ სავალუტო კურსი ისე იცვლება, რომ დოლარი ნაკლებ უცხოურ ვალუტას ყიდულობს, ასეთ ცვლილებას დოლარის **ღირებულების შემცირება** ეწოდება.

როდესაც ვალუტის ღირებულება იზრდება, ამბობენ, რომ ვალუტა გამყარდა, რადგან მას მეტი უცხოური ვალუტის ყიდვა შეუძლია. როდესაც ვალუტის ღირებულება მცირდება, ვამბობთ, რომ ვალუტა დასუსტდა.

რეალური სავალუტო კურსი ის თანაფარდობაა, რომლითაც პიროვნებას შეუძლია შეიძინოს ერთი ქვეყნის საქონელი და მომსახურება მეორე ქვეყნის საქონლითა და მომსახურებით. მაგალითად, ეთქვათ, მაღაზიაში მისვლისას აღმოაჩენთ, რომ გერმანული ლუდი ამერიკულზე ორჯერ ძვირია. ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ რეალური სავალუტო კურსია 1/2 ბოთლი გერმანული ლუდი ერთ ბოთლ ამერიკულ ლუდში. აღსანიშნავია, რომ ნომინალური სავალუტო კურსის მსგავსად, რეალური სავალუტო კურსი გამოიხატება როგორც უცხოური საქონლის

ერთეულები სამამულო საქონლის ერთ ერთეულზე. ამ შემთხვევაში ერთეული საქონელია და არა ვალუტა.

რეალური და ნომინალური სავალუტო კურსები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ამაში რომ დავრწმუნდეთ, ერთი მაგალითი განვიხილოთ. ვთქვათ, ამერიკული ბრინჯის ერთი ბუშელი $100 ღირს, ხოლო იაპონური ბრინჯის ერთი ბუშელი – 16 000 იენი. რას უდრის რეალური სავალუტო კურსი ამერიკული და იაპონური ბრინჯისთვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ნომინალური სავალუტო კურსის მეშვეობით ფასები საერთო ვალუტაში უნდა გადავიყვანოთ. თუ ნომინალური სავალუტო კურსია 80 იენა ერთ დოლარში, მაშინ ერთი ბუშელი ამერიკული ბრინჯის ფასია 8 000 იენა. ამერიკული ბრინჯი იაპონურზე ორჯერ იაფია. რეალური სავალუტო კურსია 1/2 ბუშელი იაპონური ბრინჯი ერთ ბუშელ ამერიკულ ბრინჯში.

რეალური სავალუტო კურსის ეს გამოთვლები შემდეგი ფორმულით შეგვიძლია შევაჯამოთ:

$$\text{რეალური სავალუტო კურსი} = \frac{\text{ნომინალური სავალუტო კურსი X სამამულო ფასი}}{\text{უცხოური ფასი}}$$

ჩვენს მაგალითში მოცემული რიცხვების ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$$\text{რეალური სავალუტო კურსი} = \frac{\text{(80 იენა ერთ \$) X (\$100 ამერიკული ბრინჯის ერთ ბუშელზე)}}{\text{16 000 იენა იაპონური ბრინჯის ერთ ბუშელზე}} =$$

$$= \text{1/2 ბუშელი იაპონური ბრინჯი ერთ ბუშელ ამერიკულ ბრინჯში}$$

ამგვარად, რეალური სავალუტო კურსი დამოკიდებულია ნომინალურ სავალუტო კურსსა და ორი ქვეყნის ვალუტით გამოხატულ საქონლის ფასებზე.

ეკონომიკის მდგომარეობის შესწავლისას ეკონომისტები ცალკეული ფასების ნაცვლად ფასების საერთო დონეს იყენებენ. რეალური სავალუტო კურსის დასადგენად ისინი ფასების

ინდექსებს, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების ინდექსს მიმართავენ. შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებს შორის საერთო რეალური სავალუტო კურსის გამოსათვლელად საჭიროა აშშ-ის ფასების ინდექსის (P), უცხოური ფასების ინდექსის (P*) და აშშ დოლარსა და უცხოურ ვალუტას შორის ნომინალური სავალუტო კურსის (e) გამოყენება:

$$\text{რეალური სავალუტო კურსი} = (e \times P) / P^*$$

4. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი

სავალუტო კურსი დროში მნიშვნელოვნად იცვლება. რით აიხსნება ეს ცვლილებები. ეკონომისტებმა მრავალი მოდელი შექმნეს იმის ასახსნელად, თუ როგორ განისაზღვრება სავალუტო კურსი. თითოეული მოდელი ამ ცვლილებების გამომწვევ მიზეზთა გარკვეულ ნაწილზე ამახვილებს ყურადღებას. ჩვენ განვიხილავთ სავალუტო კურსების უმარტივეს თეორიას, რომელსაც **მსყიდველობითი უნარის პარიტეტი** ეწოდება.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია ემყარება პრინციპს, რომელსაც ერთიანი ფასის კანონი ეწოდება. ამ წესის თანახმად, საქონელი ყველგან ერთ ფასად უნდა იყიდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება მოგების მიღების შესაძლებლობის ხელიდან გაშვება. მაგალითად, ვთქვათ, ყავის მარცვლები სიეტლში უფრო იაფია, ვიდრე ბოსტონში. პიროვნებას შეუძლია სიეტლში ყავა, ვთქვათ, ფუნტი $4-ად იყიდოს. შემდეგ კი ბოსტონში ფუნტი $5-ად გაყიდოს, რის შედეგადაც ფასებში არსებული განსხვავებიდან ერთ ფუნტ ყავაში $1 მოგებას მიიღებს. სხვადასხვა ბაზრებზე სხვადასხვა ფასების უპირატესობის გამოყენების პროცესს **არბიტრაჟი** ეწოდება. ჩვენს მაგალითში, როდესაც ადამიანები ამ არბიტრაჟული შესაძლებლობის უპირატესობას იყენებენ, სიეტლში ყავაზე მოთხოვნა იზრდება, ბოსტონში კი – ყავის მიწოდება. სიეტლში ყავის ფასი გაიზრდება (მოთხოვნის ზრდის პასუხად), ბოსტონში კი – შემცირდება (მიწოდების ზრდის შედეგად). ეს პროცესი მანამ გაგ-

რძელდება, სანამ საბოლოოდ ორივე ბაზარზე ფასები არ გათანაბრდება.

ახლა ვნახოთ, როგორ მოქმედებს ერთიანი ფასის კანონი საერთაშორისო ბაზარზე. თუ ერთი დოლარით (ან ნებისმიერი ვალუტით) შეერთებულ შტატებში მეტი ყავის ყიდვა შეიძლება, ვიდრე იაპონიაში, საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილეებს შეუძლიათ მოგება მიიღონ, თუ ყავას შეერთებულ შტატებში იყიდიან და იაპონიაში გაყიდიან. შეერთებული შტატებიდან იაპონიაში ყავის ექსპორტი ყავის ფასს გაზრდის ამერიკაში, იაპონიაში კი – შეამცირებს. და პირიქით, თუ ერთი დოლარით იაპონიაში მეტი ყავის ყიდვა შეიძლება, ვიდრე შეერთებულ შტატებში, ვაჭრებს შეუძლიათ ყავა იაპონიაში იყიდონ და შეერთებულ შტატებში გაყიდონ. იაპონიიდან ამერიკაში ყავის იმპორტი ყავის ამერიკულ ფასს შეამცირებს, ხოლო იაპონურს – გაზრდის. საბოლოოდ, ერთიანი ფასის კანონის თანახმად, ერთ დოლარს ყველა ქვეყანაში ყავის ერთი და იმავე რაოდენობის ყიდვა უნდა შეეძლოს.

ამ ლოგიკას მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიამდე მიეყავართ. ამ თეორიის თანახმად, ვალუტას ყველა ქვეყანაში ერთნაირი მსყიდველობითი უნარი უნდა ჰქონდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ დოლარით ამერიკასა და იაპონიაში ერთი და იმავე რაოდენობის საქონლის ყიდვა უნდა შეიძლებოდეს, იაპონური იენა კი ამერიკასა და იაპონიაში ერთი და იმავე რაოდენობის საქონელს უნდა ყიდულობდეს. **პარიტეტი** ნიშნავს თანასწორობას, ხოლო მსყიდველობითი უნარი ეხება ფულის ღირებულებას, გამოხატულს იმ საქონლისა და მომსახურების რაოდენობაში, რომლის ყიდვაც ფულის ამ ერთეულს შეუძლია. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, ფულის ერთეულს ყველა ქვეყანაში ერთნაირი ღირებულება უნდა ჰქონდეს.

რას გვეუბნება მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია სავალუტო კურსებთან დაკავშირებით? იმას, რომ ორი ქვეყნის ვალუტას შორის ნომინალური სავალუტო კურსი ამ ქვეყნებში არსებული ფასების დონეზეა დამოკიდებული. თუ ერთი დოლარი საქონლის ერთსა და იმავე რაოდენობას ყიდულობს ამერიკაშიც (სადაც ფასები დოლარებშია გამოხატული)

და იაპონიაშიც (სადაც ფასები იენებშია გამოხატული), მაშინ ერთი დოლარის შესაბამისი იენების რაოდენობა უნდა ასახავდეს საქონლის ფასებს შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში. მაგალითად, თუ ერთი ფუნტი ყავა 500 იენა ღირს იაპონიაში და $5 ამერიკაში, მაშინ ნომინალური სავალუტო კურსი უნდა იყოს 100 იენა ერთ დოლარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დოლარის მსყიდველობითი უნარი ორივე ქვეყანაში ერთნაირი არ იქნება.

ამის უკეთ გასაგებად მარტივი მათემატიკური ოპერაციები გამოვიყენოთ. ვთქვათ, P არის ფასების დონე აშშ-ში (დოლარებში), P* არის ფასების დონე იაპონიაში (იენებში), ხოლო e ნომინალური სავალუტო კურსია (იენების რაოდენობა, რომლის ყიდვაც ერთი დოლარით შეიძლება). ახლა განვიხილოთ საქონლის ის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შეუძლია ერთ დოლარს შეერთებულ შტატებსა და უცხოეთში. შეერთებულ შტატებში ფასების დონეა P, ამიტომ $1-ის მსყიდველობითი უნარი ამ ქვეყანაში 1/P-ს ტოლია. უცხოეთში ერთი დოლარი შეიძლება უცხოური ვალუტის e ერთეულზე გადაიცვალოს, ამიტომ აქ დოლარის მსყიდველობითი უნარია e / P*. იმისათვის, რომ ერთი დოლარის მსყიდველობითი უნარი ორივე ქვეყანაში ერთნაირი იყოს, უნდა შესრულდეს შემდეგი ტოლობა:

$$1 / P = e / P^*$$

გარდაქმნის შედეგად მივიღებთ:

$$1 = e\ P / P^*$$

ამ ტოლობის მარცხენა მხარე მუდმივია, ხოლო მარჯვენა მხარე რეალური სავალუტო კურსია. ამგვარად, თუ ვალუტის მსყიდველობითი უნარი ქვეყანაში და ქვეყნის საზღვრებს გარეთ ყოველთვის ერთნაირია, მაშინ რეალური სავალუტო კურსი – სამამულო და უცხოური საქონლის ფარდობითი ფასი – ვერ შეიცვლება. რომ ვნახოთ, რას ნიშნავს ეს ანალიზი ნომინალური სავალუტო კურსისათვის, გარდავქმნათ უკანასკნელი ტოლობა:

$$e = P^* / P$$

ე. ი. ნომინალური სავალუტო კურსი უცხოური ფასების დონისა (უცხოური ვალუტის ერთეულებში) და სამამულო ფასების დონის (სამამულო ფასების ერთეულებში) შეფარდების ტოლია. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის თანახმად, ორი ქვეყნის ვალუტებს შორის ნომინალური სავალუტო კურსი ამ ქვეყნების ფასების დონეებს შორის სხვაობას უნდა ასახავდეს.

ამ თეორიის ძირითადი შედეგი ისაა, რომ ნომინალური სავალუტო კურსები ფასების დონეების ცვლილებასთან ერთად იცვლება. ნებისმიერ ქვეყანაში ფასების დონე ფულის მიწოდების რაოდენობისა და ფულზე მოთხოვნის რაოდენობის სრულ გაწონასწორებამდე თვითრეგულირდება. რადგან ნომინალური სავალუტო კურსი ფასების დონეზეა დამოკიდებული, ამიტომ, ის დამოკიდებულია თითოეულ ქვეყანაში ფულის მიწოდებასა და მოთხოვნაზეც. როდესაც რომელიმე ქვეყნის ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას ზრდის, რითაც ფასების დონის ზრდას იწვევს, ამ ქვეყნის ვალუტის ღირებულება მსოფლიოს სხვა ვალუტებთან შედარებით მცირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის დიდ რაოდენობას ბეჭდავს, ამ ფულით არა მხოლოდ ნაკლები სამამულო საქონლისა და მომსახურების შეძენა შეიძლება, არამედ, მას უკვე ნაკლები უცხოური ვალუტის ყიდვა ძალუძს.

5. სასესხო კაპიტალისა და უცხოური ვალუტის ბაზრები

ღია ეკონომიკაში მიწოდებისა და მოთხოვნის ფუნქციონირების უკეთ გასაგებად მხოლოდ ორი ბაზრით შემოვიფარგლოთ. პირველი ბაზარია სასესხო კაპიტალის ბაზარი, რომელიც ეკონომიკაში დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინირებას ახდენს (კაპიტალის წმინდა გადინების ჩათვლით). მეორე ბაზარია ვალუტის ბაზარი, რომელიც იმ ადამიანების კოორდინირებას ახდენს, რომელთაც სამამულო ვალუტის გაც-

ვლა სურთ უცხოურ ვალუტაზე. ახლა განვიხილოთ მიწოდება და მოთხოვნა თითოეულ ამ ბაზარზე.

თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ სასესხო კაპიტალის ბაზრისკენ მიემართება დაზოგვის მსურველი ყველა ადამიანის თანხები და ამავე ბაზარზე შეუძლია სესხის აღება ყველა მსურველს. ბაზარზე მოქმედებს სარგებლის ერთიანი განაკეთი, რომელიც ერთდროულად დანაზოგებიდან მოსალოდნელ შემოსავალსაც გამოხატავს და სესხის გამოყენების საფასურსაც.

ღია ეკონომიკაში **სასესხო კაპიტალის ბაზრის** უკეთ გასაგებად განვიხილოთ შემდეგი ტოლობა:

$$S = I + NCO,$$ ანუ

დანაზოგები = ადგილობრივი ინვესტიციები + კაპიტალის წმინდა გადინება

როდესაც ქვეყანა თავისი შემოსავლის ერთ დოლარს ზოგავს, ეს დოლარი შეუძლია სამამულო კაპიტალის შეძენის ან უცხოური აქტივის შესყიდვის დაფინანსებისთვის გამოიყენოს. ტოლობის ორი მხარე სასესხო კაპიტალის ორ მხარეს ასახავს. სასესხო კაპიტალის მიწოდების წყარო ეროვნული დანაზოგია (**S**). სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის წყარო – სამამულო ინვესტიციები (**I**) და კაპიტალის წმინდა გადინება (**NCO**).

სასესხო კაპიტალი უნდა განვიხილოთ, როგორც იმ ადგილობრივი რესურსების ნაკადი, რომელიც სამამულო ეკონომიკაში კაპიტალის დაგროვების მიზნით წარმოიქმნება. აღსანიშნავია, რომ კაპიტალური აქტივის შეძენა სასესხო კაპიტალზე მოთხოვნას ზრდის, იმის მიუხედავად, სამამულოა ეს აქტივი (**I**), თუ უცხოური (**NCO**). ვინაიდან კაპიტალის წმინდა გადინება შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც, ის ან ზრდის, ან ამცირებს მოთხოვნას სამამულო ინვესტიციებიდან წარმოქმნილ სასესხო კაპიტალზე. როდესაც $NCO > 0$, მაშინ ქვეყანაში კაპიტალის წმინდა გადინებაა; უცხოური კაპიტალის წმინდა შესყიდვა ზრდის მოთხოვნას სამამულო წარმოშობის სასესხო ფონდებზე. როდესაც $NCO < 0$, მაშინ ქვეყანაში კაპიტალის წმინდა შემოდინება ხდება; უცხოური კაპიტალური რესურსების


ნაკადი ამცირებს მოთხოვნას სამამულო წარმოშობის სასესხო ფონდებზე.

სასესხო კაპიტალის მოთხოვნისა და მიწოდების რაოდენობები სარგებლის რეალურ განაკვეთზეა დამოკიდებული. სარგებლის მაღალი რეალური განაკვეთი ადამიანებს დაზოგვისკენ უბიძგებს და ამიტომ სასესხო კაპიტალის მიწოდების რაოდენობის ზრდას იწვევს. ამას გარდა, სარგებლის მაღალი რეალური განაკვეთი კაპიტალური პროექტების დაფინანსებისთვის სესხებას უფრო ხარჯიანს ხდის, რის შედეგადაც ამცირებს ინვესტირების სტიმულებს და სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის რაოდენობას.

ეროვნულ დანაზოგსა და სამამულო ინვესტიციებზე ზემოქმედების გარდა, ქვეყანაში არსებული სარგებლის რეალური განაკვეთი ქვეყნის კაპიტალის წმინდა გადინებაზეც მოქმედებს. ამის მიზეზის გასაგებად განვიხილოთ ორი ურთიერთფონდი – ერთი საქართველოში, მეორე კი აზერბაიჯანში, – რომელთაც უნდა გადაწყვიტონ, ქართული სამთავრობო ობლიგაციები იყიდონ თუ აზერბაიჯანული. გადაწყვეტილების მიღებისას ეს ორმხრივი ფონდები ერთმანეთს შეადარებენ საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებულ სარგებლის რეალურ განაკვეთებს. როდესაც საქართველოში სარგებლის რეალური განაკვეთი იზრდება, ქართული ობლიგაციები ორივე ფონდისთვის უფრო მიმზიდველი ხდება, ვიდრე აზერბაიჯანული. ამგვარად, საქართველოში სარგებლის რეალური განაკვეთის ზრდა საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხოური აქტივების შესყიდვას აბრკოლებს, უცხოელებს კი ქართული აქტივების შეძენისკენ უბიძგებს. ორივე მიზეზის გამო საქართველოში არსებული სარგებლის მაღალი რეალური განაკვეთი ქვეყნის კაპიტალის წმინდა გადინების შემცირებას იწვევს.

15.1 ნახაზზე სასესხო კაპიტალის ბაზარი ჩვენთვის კარგად ცნობილ მოთხოვნა-მიწოდების დიაგრამაზეა ასახული. სასესხო კაპიტალის მიწოდების მრუდი ზრდადია, რადგან სარგებლის განაკვეთის ზრდა სასესხო კაპიტალის მიწოდების რაოდენობის ზრდას იწვევს. სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის მრუდი კი კლებადია, ვინაიდან სარგებლის განაკვეთის ზრდა სასესხო კა-

პიტალზე მოთხოვნის რაოდენობის შემცირებას იწვევს. მაგრამ, ამჯერად, ბაზრის მოთხოვნის მხარე ასახავს არა მარტო სამამულო ინვესტიციებს, არამედ, კაპიტალის წმინდა გადინებასაც. ე. ი. ღია ეკონომიკაში სასესხო კაპიტალზე მოთხოვნა არ მხოლოდ იმ ადამიანებისგან მოდის, რომელთაც სესხის აღება სურთ სამამულო კაპიტალური საქონლის ყიდვის მიზნით, არამედ იმათგანაც, ვისაც სესხის აღება უცხოური აქტივების ყიდვისთვის სურს.



ნახ. 15.1 სასესხო კაპიტალის ბაზარი

ღია ეკონომიკაში, ჩაკეტილი ეკონომიკის მსგავსად, სარგებლის განაკვეთს სასესხო კაპიტალის მიწოდება და მოთხოვნა განსაზღვრავს. ეროვნული დანაზოგი სასესხო კაპიტალის მიწოდების წყაროა. სამამულო ინვესტიციები და კაპიტალის წმინდა გადინება სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის წყაროებია. სარგებლის წონასწორული განაკვეთის დროს ის თანხა, რომლის დაზოგვაც სურთ ადამიანებს, ზუსტად იმ თანხის ტოლია, რომლის სესხების სურვილიც აქვთ ადამიანებს სამამულო კაპიტალისა და უცხოური აქტივების შეძენის მიზნით.

სარგებლის განაკვეთი თვითრეგულირდება სასესხო კაპიტალის მიწოდებისა და მოთხოვნის სრულ გაწონასწორებამდე. თუ სარგებლის განაკვეთი წონასწორულ დონეზე ნაკლებია, სასესხო კაპიტალის მიწოდების რაოდენობა მოთხოვნის რაო-

დენობაზე ნაკლები იქნება. ამის შედეგად მიღებული სასესხო კაპიტალის დეფიციტი სარგებლის განაკვეთს ზრდისკენ უბიძგებს. და პირიქით, თუ სარგებლის განაკვეთი წონასწორულზე მეტია, სასესხო კაპიტალის მიწოდების რაოდენობა მოთხოვნის რაოდენობაზე მეტი იქნება და სასესხო კაპიტალის სიჭარბე სარგებლის განაკვეთს შემცირებისკენ უბიძგებს. სარგებლის წონასწორული განაკვეთის დროს სასესხო კაპიტალის მიწოდება ზუსტად მოთხოვნის ტოლია. **ე. ი. სარგებლის წონასწორული განაკვეთის დროს თანხა, რომლის დაზოგვაც ადამიანებს სურთ, ზუსტად აწონასწორებს სამამულო ინვესტიციებისა და კაპიტალის წმინდა გადინების სასურველ რაოდენობებს.**

მეორე ბაზარი ღია ეკონომიკის მოდელში **უცხოური ვალუტის გაცვლის ბაზარია.** ამ ბაზრის მონაწილეები აშშ დოლარებს უცხოურ ვალუტაზე ცვლიან. ვალუტის ბაზრის გასაგებად განვიხილოთ კიდევ ერთი ტოლობა:

NCO = NX, ანუ

კაპიტალის წმინდა გადინება = წმინდა ექსპორტი.

ამ ტოლობის თანახმად, სხვაობა უცხოური კაპიტალური აქტივების შესყიდვასა და ამ აქტივების გაყიდვას შორის (**NCO**) საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის სხვაობის (**NX**) ტოლია. მაგალითად, როდესაც წმინდა ექსპორტი დადებითია (**NX > 0**), უცხოელების მიერ შეძენილი ქართული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა საქართველოს მოქალაქეთა მიერ შეძენილი უცხოური საქონლისა და მომსახურების რაოდენობაზე მეტია. როგორ განკარგავენ ქართველები უცხოურ ვალუტას, რომელსაც საქონლისა და მომსახურების უცხოეთში გაყიდვით იღებენ? ეს ვალუტა მათ ხელთ არსებული უცხოური აქტივების მარაგის გასაზრდელად უნდა გამოიყენონ (**NCO > 0**). და პირიქით, თუ საქართველოში სავაჭრო დეფიციტია (**NX < 0**), საქართველოს მოქალაქეები უცხოურ საქონელსა და მომსახურებაზე უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე თვითონ იღებენ უცხოეთში გაყიდული საქონლისგან. ამ დანახარჯების გარკვეული ნაწილი ქართული აქტივების უცხოეთში


გაყიდვით უნდა დაფინანსდეს. ამდენად, ხდება საქართველოში უცხოური კაპიტალის შემოდინება (NCO < 0).

ამ ტოლობის ორი მხარე შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც უცხოური ვალუტის გაცვლის ბაზრის ორი მხარე. კაპიტალის წმინდა გადინებაში იგულისხმება დოლარების ის რაოდენობა, რომელიც უცხოეთს აქტივების ყიდვის მიზნით მიეწოდება. მაგალითად, როდესაც ამერიკულ ორმხრივ ფონდს იაპონური სამთავრობო ობლიგაციების ყიდვა სურს, მან დოლარები იენებზე უნდა გაცვალოს. ამიტომ, ვალუტის ბაზარზე დოლარების მიწოდება იზრდება. წმინდა ექსპორტში დოლარების ის რაოდენობა იგულისხმება, რომელზეც წარმოიქმნება მოთხოვნა აშშ-ს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ყიდვის მიზნით. მაგ., როდესაც იაპონურ ავიაკომპანიას „ბოინგის" მიერ წარმოებული თვითმფრინავის ყიდვა სურს, მან იენები დოლარებზე უნდა გაცვალოს, რის გამოც ვალუტის ბაზარზე წარმოიქმნება მოთხოვნა აშშ დოლარზე.

რას წარმოადგენს ფასი, რომელიც აწონასწორებს მიწოდებასა და მოთხოვნას უცხოური ვალუტის გაცვლის ბაზარზე? ეს ფასია რეალური სავალუტო კურსი. როგორც გახსოვთ, რეალური სავალუტო კურსი სამამულო და უცხოური საქონლის ფარდობითი ფასი და, აქედან გამომდინარე, წმინდა ექსპორტის ძირითადი დეტერმინანტია. როდესაც აშშ-ში რეალური სავალუტო კურსი იზრდება, ამერიკული საქონელი უცხოურ საქონელთან შედარებით ძვირდება, რის გამოც ნაკლებმიმზიდველი ხდება როგორც შეერთებულ შტატებში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ამის შედეგად მცირდება ექსპორტი აშშ-დან და იზრდება იმპორტი აშშ-ში. ორივე ამ მიზეზის გამო წმინდა ექსპორტი მცირდება. ასე რომ, რეალური სავალუტო კურსის ზრდა ვალუტის ბაზარზე ამერიკულ დოლარზე მოთხოვნის რაოდენობის შემცირებას იწვევს.

15.2 ნახაზზე ნაჩვენებია მოთხოვნა-მიწოდება უცხოური ვალუტის გაცვლის ბაზარზე. მოთხოვნის მრუდი კლებადია, რადგან რეალური სავალუტო კურსის ზრდა იწვევს ამერიკული საქონლის გაძვირებასა და ამ საქონლის ყიდვის მიზნით დოლარებზე მოთხოვნის რაოდენობის შემცირებას. მიწოდების მრუდი

ვერტიკალურია, რადგან კაპიტალის წმინდა გადინებისათვის დოლარების მიწოდების რაოდენობა რეალურ სავალუტო კურსზე დამოკიდებული არ არის.



ნახ. 15. 2 უცხოური ვალუტის გაცვლის ბაზარი

რეალური სავალუტო კურსი განისაზღვრება უცხოური ვალუტის მიწოდებითა და მოთხოვნით. უცხოურ ვალუტაზე გასაცვლელი დოლარების მიწოდების წყარო კაპიტალის წმინდა გადინებაა. რადგან კაპიტალის წმინდა გადინება რეალურ სავალუტო კურსზე დამოკიდებული არ არის, ამიტომ მიწოდების მრუდი ვერტიკალურია. დოლარებზე მოთხოვნის წყაროა წმინდა ექსპორტი. რადგან რეალური სავალუტო კურსის შემცირება სტიმულს აძლევს წმინდა ექსპორტს (და ამით წმინდა ექსპორტის ყიდვისთვის საჭირო დოლარების რაოდენობის ზრდას იწვევს), ამიტომ მოთხოვნის მრუდი კლებადია. წონასწორული რეალური სავალუტო კურსის დროს დოლარის ის რაოდენობა, რომელსაც ადამიანები მიაწოდებენ უცხოური აქტივების ყიდვის მიზნით, დოლარის იმ რაოდენობის ტოლია, რომელსაც ადამიანები წმინდა ექსპორტის ყიდვის მიზნით მოითხოვენ.

რეალური სავალუტო კურსი თვითრეგულირდება დოლარების მიწოდებისა და მოთხოვნის სრულ გაწონასწორებამდე, ისევე როგორც, რაიმე საქონლის ფასი თვითრეგულირდება ამ საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის სრულ გაწონასწორებამდე. თუ რეალური სავალუტო კურსი წონასწორულ დონეზე დაბალია, დოლარების მიწოდების რაოდენობა მოთხოვნის რაოდე-

ნობაზე ნაკლები იქნება. ამის შედეგად მიღებული დოლარების დეფიციტი დოლარის ღირებულების ზრდას გამოიწვევს. და პირიქით, თუ რეალური სავალუტო კურსი წონასწორულ დონეზე მაღალია, დოლარების მიწოდების რაოდენობა მოთხოვნის რაოდენობაზე მეტი იქნება. დოლარების სიჭარბე დოლარის ღირებულების შემცირებას გამოიწვევს. წონასწორული რეალური სავალუტო კურსის დროს მოთხოვნა დოლარებზე, რომლებიც უცხოელებს წარმოექმნებათ ამერიკული საქონლის წმინდა ექსპორტის გამო, ზუსტად იმ დოლარების მიწოდების ტოლია, რომელიც ამერიკელების მიერ უცხოური აქტივების ყიდვისათვის, ანუ, კაპიტალის წმინდა გადინებისათვის არის საჭირო.

საკონტროლო კითხვები

1. რითაა განპირობებული საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა აუცილებლობა?
2. როგორია თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა ძირითადი ფორმები?
3. რა ფორმებით ხდება კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია?
4. რაში მდგომარეობს თანამედროვე პირობებში კაპიტალის მიგრაციის თავისებურებანი?
5. რა მიზეზები უდევს საფუძვლად შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციას?
6. რა არის საგადასახდელო ბალანსი და რით განსხვაედება იგი სავაჭრო ბალანსისაგან?
7. რას ნიშნავს პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები?
8. როგორ ხდება სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ვალუტების ურთიერთგაცვლა?
9. რა არის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი?
10. რა არის ვალუტის კურსი და რომელია მისი განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები?
11. რას ნიშნავს ვალუტის კონვერტირებადობა?
12. რომელია კონვერტირებადი ვალუტები?
13. რა არის ნომინალური და რეალური სავალუტო კურსები?
14. როგორ იანგარიშება რეალური სავალუტო კურსი?

ტესტები

1. ვაჭრობის განვითარებამ ქვეყნები გახადა უფრო...
ა. დამოუკიდებელი;
ბ. ურთიერთდამოკიდებული;
გ. იზოლირებული;
დ. ნაკლებად მგრძნობიარე.

2. საერთაშორისო ვაჭრობას შედეგად მოაქვს....
ა. განსხვავება სხვადასხვა ქვეყნების კუთვნილ რესურსებს შორის;
ბ. მოთხოვნა-მიწოდების კანონის მოქმედება;
გ. ჭარბწარმოება ერთ ან მეტ ქვეყანაში;
დ. საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის შეთანხმება.

3. შეზღუდული რესურსების განაწილება ყველაზე ეფექტიანი იქნება თუკი....
ა. ქვეყნები ივაჭრებენ მხოლოდ იმ საქონლით, რომლის წარმოებაშიც მათ აბსოლუტური უპირატესობა აქვთ;
ბ. მდიდარი ქვეყნები უმთავრესად ერთმანეთს შორის ივაჭრებენ;
გ. ქვეყნები დასპეციალდებიან იმ საქონლის წარმოებაში, რომელთა მიხედვით მათ უდიდესი შედარებითი უპირატესობა გააჩნიათ;
დ. თითოეული ქვეყანა ეცდება აწარმოოს ყველა საქონელი და მომსახურება, რომელიც მას სჭირდება.

4. სავაჭრო ბალანსი ხელსაყრელია მაშინ, როდესაც....
ა. ექსპორტის ღირებულება დოლარებში მეტია იმპორტის ღირებულებაზე ამავე ვალუტაში;
ბ. ამერიკელები სხვა ქვეყნების ეკონომიკაში უფრო მეტ სახსრებს დებენ, ვიდრე სხვა ქვეყნები ამერიკის ეკონომიკაში;
გ. ოქროს მსოფლიო მარაგი თავს იყრის აშშ-ში;
დ. აშშ-ის იმპორტისა და ექსპორტის მთლიანი ღირებულება (დოლარებში) იზრდება.

5. როდესაც უცხოეთის საჯალუტო ბაზარზე დოლარის კურსი მაღლა იწევს, ეს ალბათ იმის მაჩვენებელია, რომ სხვა ქვეყნებს....

ა. ამერიკული საქონლისა და მომსახურების შეძენის მეტი სურვილი გაუჩნდათ;

ბ. ამერიკული საქონლისა და მომსახურების შეძენის ნაკლები სურვილი აქვთ;

გ. დოლარი აღარ მიაჩნიათ მსოფლიოს ძირითად ვალუტად;

დ. მხოლოდ დოლარი მიაჩნიათ საერთაშორისო საფინანსო ოპერაციებში გამოსაყენებელ ვალუტად.

6. როდესაც დოლარის კურსი ეცემა....

ა. სარგებლის განაკვეთები იზრდება;

ბ. ამერიკელებს უფრო ძვირი უჯდებათ უცხოური საქონლისა და მომსახურების შეძენა;

გ. ამერიკელებს უფრო იაფი უჯდებათ უცხოური საქონლისა და მომსახურების შეძენა;

დ. უცხოელებს უფრო ძვირი უჯდებათ ამერიკული საქონლისა და მომსახურების შეძენა.

7. შეერთებულ შტატებში არსებული სარგებლის განაკვეთის გაზრდა ალბათ გამოიწვევს იმას, რომ....

ა. უცხოელები ნაკლებად დაინტერესებულნი იქნებიან ამერიკული დოლარებით;

ბ. დოლარის კურსი დაეცემა;

გ. უცხოელების მხრიდან გაიზრდება მოთხოვნა ამერიკულ დოლარზე;

დ. ამერიკული საექსპორტო საქონლის ფასები დაიკლებს.

სავარჯიშოები

1. ვაჭრობა ადამიანებსა და ქვეყნებს შორის არსებობს ათასობით წლის განმავლობაში. რა უპირატესობები გააჩნია ვაჭრობას? რატომ ხედავს ბევრი ადამიანი საშიშროებას სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის იდეაში?

2. გამოთვალეთ ნომინალური და რეალური სავალუტო კურსები, თუ ცნობილია, რომ იაპონური ავტომობილი 500 000 იენა ღირს, ასეთივე ტიპის ამერიკული ავტომობილი – $10 000 და ერთ დოლარს 100 იენის ყიდვა შეუძლია.

3. როგორ იმოქმედებს ქვემოთ ჩამოთვლილი გარიგებები აშშ-ს ექსპორტზე, იმპორტსა და წმინდა ექსპორტზე?

ა. ხელოვნებათმცოდნეობის ამერიკელი პროფესორი ზაფხულს ევროპული მუზეუმების თვალიერებაში ატარებს;

ბ. პარიზელი სტუდენტები ერთად მიდიან ჰოლივუდის უკანასკნელი ფილმის სანახავად;

გ. აშშ-ს მოქალაქე ახალ „ვოლვოს“ ყიდულობს;

დ. კანადის მოქალაქე საქონელს აშშ-ს ჩრდილოეთში ყიდულობს, რათა თავი აარიდოს კანადაში არსებულ გაყიდვის გადასახადებს.

4. წმინდა ექსპორტში აისახება ქვემოთ ჩამოთვლილი გარიგებები თუ წმინდა კაპიტალის გადინებაში? განსაზღვრეთ, ამ ცვლადების შემცირებას ასახავს ისინი თუ ზრდას?

ა. ამერიკელი ყიდულობს „სონის“ ტელევიზორს;

ბ. ამერიკელი ყიდულობს „სონის“ აქციებს;

გ. „სონის“ საპენსიო ფონდი ყიდულობს აშშ-ს სახაზინო ობლიგაციას;

დ. „სონის“ თანამშრომელი ყიდულობს ჯორჯიის ატამს ამერიკელი ფერმერისაგან.

5. დაასახელეთ მიზეზები, რომელთა გამოც ქვემოთ ჩამოთვლილი საქონელი დღეს უფრო მეტად მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში, ვიდრე წარსულში:

ა. ხორბალი;

ბ. საბანკო მომსახურება;

გ. კომპიუტერული პროგრამები;

დ. ავტომობილები.

6. თუ ეროვნული დანაზოგი არ იცვლება, რა მოსდის სამამულო კაპიტალის მარაგს კაპიტალის წმინდა გადინების შედეგად – იზრდება, მცირდება თუ უცვლელი რჩება?

7. როგორ იმოქმედებს ქვემოთ ჩამოთვლილი გარიგებები აშშ-ს კაპიტალის წმინდა გადინებაზე? პირდაპირი ინვესტიცია მონაწილეობს ამ შემთხვევაში თუ პორტფელური ინვესტიცია?

ა) ფიჭური სატელეფონო კავშირის ამერიკული კომპანია თავის ოფისს ხსნის ჩეხეთის რესპუბლიკაში;

ბ) ინგლისური კომპანია თავის აქციებს ამერიკული კომპანიის საპენსიო ფონდს მიჰყიდის;

გ) „ჰონდა“ აფართოებს თავის ქარხანას აშშ-ში;

8. როგორ შეიცვლება აშშ-ის რეალური სავალუტო კურსი ქვემოთ ჩამოთვლილ სიტუაციებში? ახსენით.

ა) აშშ-ს ნომინალური სავალუტო კურსი უცვლელია, მაგრამ ფასები შეერთებულ შტატებში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე უცხოეთში;

ბ) აშშ-ს ნომინალური სავალუტო კურსი უცვლელია, მაგრამ ფასები უცხოეთში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შეერთებულ შტატებში;

გ) აშშ-ს ნომინალური სავალუტო კურსი მცირდება, ხოლო ფასები შეერთებულ შტატებშიც და უცხოეთშიც უცვლელია;

დ) აშშ-ს ნომინალური სავალუტო კურსი მცირდება, ფასები კი უცხოეთში უფროს სწრაფად იზრდება, ვიდრე შეერთებულ შტატებში.

9. ქილა სოდა აშშ-ში §0,75 ღირს, მექსიკაში კი – 12 პესო. როგორი იქნება პესო / დოლარის კურსი, თუ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შენარჩუნებულია? თუ მონეტარული პოლიტიკის შედეგად მექსიკის ფულის მასა გაორმაგდება და სოდის ფასი 24 პესომდე აიწევს, როგორ შეიცვლება მისი კურსი დოლართან მიმართებაში?

10. ვთქვათ, ევროპაში იზრდება სარგებლის რეალური განაკვეთები. ახსენით, როგორ იმოქმედებს ეს აშშ-ის კაპიტალის წმინდა გადინებაზე. როგორ იმოქმედებს ეს ცვლილება აშშ-ის წმინდა ექსპორტზე. რა მოუვა აშშ-ის რეალურ სავალუტო კურსს?

ლიტერატურა

1. ეკონომიკური თეორია – რედ. გ. ადეიშვილი, რ. ასათიანი, თბ., 1998
2. კახნიაშვილი ჯ. – მაკროეკონომიკა, ნაწ. I–II თბ. 1996
3. ლუკასი რ. – საბაზრო ეკონომიკა, თბ., 1997
4. მაკკონელი კ.რ., ბრიუ ს.ლ. – ეკონომიკსი, ნაწ. I-II, თბ., 1993 ნაწ. III-IV, თბ. 1997
5. მაკროეკონომიკის ლექციათა კურსი – ESM თბილისი 2003
6. მენქიუ გ. – ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008
7. ჩიქავა ლ. – ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი თბ., 2005
8. Агапова Т. А ., Серегина С.Ф., Макроэкономика. М., 2007.
9. Базелер Н., Сабов З., Хайнрих И., Кох В. - Основы экономической теории. Санкт-Петербург, 2000 г.
10. Борисов Е.Ф. - Экономическая теория. М. 1997.
11. Дорнбуш Р., Фишер С. - Макроэкономика, М.1997.
12. Дж. Сломан- Экономикс, М. 2005
13. Казаков А.П., Минаев Н.В. - Экономика. М. 1999.
14. Основы экономической теории. Под ред. В.Д. Камаева, М. 1996.
15. Попов А.И. - Экономическая теория, Санкт-Петеребург, 2001
16. Рузавин Г.И. - Основы рыночной экономики, М. 2000.
17. Самуэльсон Н.Э., Нордхаус В.Д. - Экономика, М. 2007.
18. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. – Макроэкономика, М. 1996.
19. Селищев А.С. – Макроэкономика, Санкт-Петеребург, 2000.
20. Сио К.К. – Управленческая экономика, М. 2000.
21. Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. – Экономика, М. 1993.
22. Хейне П. – Экономический образ мышления, М. 1991.
23. Экономика. Учебник под ред. А.С, Булатова, М. 2001.
24. Экономическая теория (политэкономия). Учебник. Под общей ред. В.Н. Видяпина, Г.П. Журавлевой. М. 2000.
25. Экономическая теория (Учебник для вузов) Под ред. В.Д. Камаева, М.1998.
26. Экономическая теория. Учебник Под ред. А.И. Добрынина, А.С. Тарасевича. Санкт-Петеребург. 1999.
27. Экономическая теория. Учебник, под редакцией И. П. Николаевой. М., 2008.

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge